ქართული ხალხური ზღაპრები

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1966

მიხეილ მახათაძის წინამდებარე წიგნში განხილულია მნიშვნელოვანი პრობლემები შ. რუსთაველის უკვდავი პოემისა. ავტორი ფართოდ განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულ იდეებს, სამხედრო ხელოვნებას, მედიცინას, ნადირობას, ტექსტის დადგენის საკითხებს და პოემის დაბოლოების პრობლემას.

წიგნი ეძღვნება შ. რუსთაველის 800 წლის იუბილეს.

ეროვნული იდეები ვეფხისტყაოსანში

რუსთველოლოგიაში დიდი ხანია წამოიჭრა პოემის იდეური ღირებულების და მასში ასახული მოვლენების თუ ფაქტების რაობისა და სადაურობის საკითხები. ძირითადად ეს საკითხები შეიძლება გადაჭრილადაც ჩავთვალოთ. რუსთველოლოგიის თანამედროვე ეტაპზე უკვე არასერიოზულად გვეჩვენება პროფ. კ. კაპანელის განცხადება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი" დაწერილი იყოს „სიყვარულის განმარტების მიზნით" [1], მოძველებულად — კ. ჭიჭინაძის მიერ პოემის ლეიტმოტივად სიყვარულისა და მეგობრობის აღიარება [2] და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულად — პროფ. ი. აბულაძის მტკიცება, თითქოს „სიუჟეტი, ისევე როგორც მთელი შინაარსი პოემისა, სავსებით ეუცხოება ქართულ სინამდვილეს" [3].

დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ რუსთაველის ჰუმანიზმში ინტერნაციონალურ მისწრაფებებთან ერთად წამყვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ იდეალებს. რუსთაველს სწყამს სამშობლო, მისი ინტერესები, პრესტიჟი, ინტერესები თავისი მშობელი ერისა და ქვეყნის, და უეჭველია, რომ ეს იდეალები XII საუკ. საქართველოს მოწინავე, პროგრესული საზოგადოებრივი ფენების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა ანარეკლია.

მთელ თავის მისწრაფებებსა და იდეალებს რუსთაველი გვაცნობს,

---

[1] კ. კაპანელი, „ქართული კულტურა და რუსთაველის იდეები", რუსთაველის კრებული, სახელგამი, 1938, გვ. 209.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1937 წ. № 294.

[3] ი. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტისათვის". ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, პირველი სერია, I, გვ. 145.

პროფ. ი. აბულაძე მეორეგან სავსებით სერიოზულად ამტკიცებს, რომ პოემაში ყველაზე საგულისხმოა „ჭალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქართულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე განვითარება" („რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი", რუსთაველის კრებული, გვ. 82).

ერთი მხრივ, პოემის პროლოგში და თხრობითი ნაწილის აღწერით მომენტებსა და ლირიკულ გადახვევებში, მეორე მხრივ კი, მათი გამომხატველი არიან პოემის გმირები, რომელთა მოღვაწეობა მუდამ მიმართულია, ან მუდამ გამომდინარეობს სამშობლო ქვეყნის ინტერესებიდან.

პოემის პროლოგისა და ეპილოგის სათანადო ტაეპები ადასტურებენ, რომ პოემის ავტორი მოხიბლულია მეფეების — თამარისა და დავითის პიროვნებებით და მოღვაწეობით. ავტორის განცხადებით, ის აქებს თამარს (4,19), „ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“ (1666) გალექსა პოემა. შეუძლებელია XII საუკ. რთულ პოლიტიკურ და შინასახელმწიფოებრივ ვითარებაში პოეტის ასეთი დეკლარაცია მის მიერ ეროვნული ინტერესების ხმამაღალ აღიარებად არ მივიღოთ.

პოემის თხრობითს ნაწილში რუსთაველი მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობით ახდენს თავისი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების თეატრალიზაციას. თინათინის სამეფო ტახტზე ასვლის ნიშნად გამართული ხანგრძლივი ზეიმები, ტარიელის ხატაეთიდან გამარჯვებით დაბრუნების გამო მოწყობილი ბრწყინვალე აღლუმები, შეხვედრები, ნადიმები, დასაჩუქრებანი და სახალხო აღფრთოვანება, ბიძაშვილთა სამთავროზე გამარჯვებით გამოწვეული სახალხო სიხარული ფრიდონის სამეფოში და სხვა აღწერითი მომენტები ამის უტყუარი დადასტურებაა.

სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით არის გამთბარი პოემაში შეტანილი ლირიკული სტროფი, რომლითაც ავტორი სამშობლოდან გარდახვეწილი ავთანდილის სულიერი განწყობილების ასათვისებლად გვამზადებს:

> ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნევ, რა ზნე გჭირსა!
> ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;
> სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა... (951).

მაგრამ რუსთაველის ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებათა და იდეალების სრულ გაშლას ჩვენ ვხვდებით პოემის გმირების რუსთაველურ დახასიათებასა და მათს მოღვაწეობაში. მივყვეთ პოემას და დავიწყოთ არაბი გმირების დახასიათებით:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი (32).

ასე იწყება პოემა. როსტევანი თავისი ხალხის მოწყალე მეფეა, ხოლო მისი ინტერესებისათვის — უებრო მეომარი. იგი განგებიანია, ანუ ბრძენი გამგებელი, სახელმწიფოს საუკეთესო მმართველი, რომლის მრწამსი მდგომარეობს არა მეფურ ქედმაღლობაში, არამედ თავმდაბლობაში. ასეთია როსტევანის დამოკიდებულება ხალხისა და საშობლოსადმი. სხვაგვარად ის ვერც შეიძენდა იმ შარავანდედს, რომლითაც მოსილია ქვეშევრდომთა თვალში: ისინი ხომ ადვილად ბედავენ შეაფასონ მისი ყოველი ნაბიჯი (100).

ხანში შესული როსტევანი ზრუნავს ტახტზე:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია...
ჩემი ძე დაესვათ ხელმწიფედ (36), —

მიმართა მან ვაზირებს საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე. მართალია, აქ როსტევანი ლაპარაკობს ტახტზე და მის მემკვიდრეზე, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ასეთი ზრუნვა აგვეხსნა როსტევანის მარტოოდენ სუბიექტური მოტივებით — შეუნარჩუნოს ტახტი საკუთარ შთამომავლობას. როსტევანის ეს ნაბიჯი უთუოდ გამომდინარეობს სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ტახტი შემთხვევითი ელემენტების, ან გავლენიანი ფეოდალური წრეების და პირების საცილობელ საგნად იქცეს. რასაც მოჰყვება ძმათა შორის სისხლის ღვრა და საბოლოო შედეგად — არაბეთის სამეფოს დაშლაც.

ვაზირებმა მხარი დაუჭირეს მეფეს, რადგან როსტევანის „თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“ (38). თან, ვაზირების აზრით,

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია...
... იცის მეფობა (39),

თინათინმა „იცის მეფობა“, ე. ი. მისი სამეფო ტახტზე აყვანა ყოველმხრივ შეესატყვისება არაბეთის სახელმწიფოს ნაციონალურ ინტერესებს.

თინათინის ტახტზე ასვლა არაბეთის ნაციონალურ დღესასწაულად გადაიქცა. რუსთაველი დიდი პათოსით ხატავს ამ ზეიმს და შენიშნავს: „მოვიდეს სრულნი არაბნი“ (44).

როსტევანი გამეფების დღეს უდიდეს მოვალეობას აკისრებს თინათინს:

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
ღღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი,
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“ (48).

როსტევანის აზრით, ამიერიდან არაბეთის სამეფო მინდობილი აქვს თინათინს, რაც უდიდესი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე. როსტევანს იგი ესმის, როგორც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების (49), —

ეუბნება ის თინათინს. აშკარაა, ამ ზრუნვაში დიდთა და „წვრილთადმი“ გამოსჭვივის როსტევანის სიყვარული თავისი ხალხისადმი.

თინათინის გამეფების გამო გამართულ ერთ-ერთ ნადიმზე მეფემ მოიწყინა. მეფე შემდეგგვარად ხსნის თავისი მოწყენის მიზეზს:

სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია (62)...
ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა,
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა...
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა (63).

როგორც ვიცით, ამის გამო ავთანდილმა როსტევანი შეჯიბრებაში გაიწვია — ვინ მეტ ნადირს დახოცავდა და ვინ იქნებოდა უკეთესი მოასპარეზე (და აქედან მეომარიც). ნადირობის შემდეგ მონებმა მათ მოახსენეს: ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოციაო (81). თან, მისი ისარი ერთიც არ გაცუდებულა. რუსთაველი ამის გამო შენიშნავს:

მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა (82).

თითქოს გაუგებარია, რა ჰქონდა მეფეს სადარდო, ან რად „მიეცა“ მას „გულით ამოსლვა დარდისა“, როცა ავთანდილმა, ყმამ და მისძავე გაზრდილმა, მასთან შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ როსტევანს არ ჰყავდა ვაჟი — მემკვიდრე. თავისთავს კი იგი უკვე მოხუცებულად თვლიდა. ამიტომ ის ეძებდა ნამდვილ სამხედრო ხელმძღვანელს და სარდალს, რომელსაც გაჰყვებოდა არაბეთის სამეფო და ლაშქარი, როგორც ბელადს, როგორც როსტევანის შემცვლელს სამშობლოს დაცვის საქმეში. მარტო თინათინი, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებდა. შემდეგში, როცა ავთანდილი გაიპარა ძმად შეფიცული ტარიელის დასახმარებლად, ე. ი. ნესტანის საძებრად, როსტევანი გულსაკლავად მოთქვამდა:

სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცაღა ვით დაგვიჭირნა (826).

აქედან ჩანს, რომ ავთანდილის გაპარვას როსტევანი ეროვნულ უბედურებადაც კი თვლიდა. აქ კი ამ ნადირობით, რომელიც დიდი წინდახედულობით იქნა მოწყობილი როსტევანის მიერ, მან მთელ ქვეყანას დაანახა, რომ არაბეთის ლაშქარს ჰყავს საუკეთესო ბელადი და წინამძღოლი[1]. ეს უხარია როსტევანს, ამიტომ მიეცა მას „გულით ამოსლვა დარდისა“. ამრიგად, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა როსტევანში ჩრდილავს ყველაფერს პირადულსა და პიროვნულს. ასე მიუტანა მან მსხვერპლად სამშობლოს ინტერესებს საკუთარი მეფური პრესტიჟი.

გადავიდეთ თინათინის პატრიოტიზმის მიმოხილვაზე.

თინათინს, არაბეთის ტახტის მემკვიდრეს და შემდგომ — მეფეს, წამყვანი ადგილი უჭირავს პოემის სიუჟეტის განვითარებაში, მაგრამ აქტიურ მოქმედ პირად იგი პოემის მხოლოდ რამდენიმე თავში გვხვდება. რუსთაველი მაინც ასწრებს ხაზი გაუსვას თინათინის უდიდეს პატრიოტიზმს და მას წარმოგვიდგენს არა მხოლოდ როგორც შეყვარებულ ქალს, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწესა და პატრიოტს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თინათინის ტახტზე ასვლის დღეს როსტევანმა მას მოვალეობად დააკისრა სამშობლოსადმი თავდადებული

---

1 შდრ. კ. ჰიჰინაძე, რუსთაველის გარშემო, გვ. 71 — 74, აგრეთვე „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, პირველი სერია, I, გვ. 177.

სამსახური. თინათინმაც მორჩილებით მიიღო მამის დარიგება და საფეფო ტვირთი, და ბრძანა:

„ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა“ (53).

ამრიგად, თინათინმა საჯაროდ განაცხადა, რომ იგი დაიცავს სახელმწიფოსა და სასახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ტრადიციებს და შეასრულებს მამის ანდერძს.

როგორც ვიცით, როსტევანი უცხო მოყმესთან საბედისწერო შეხვედრის შემდეგ მწუხარებით სავსე, დასევდიანებული დაბრუნდა, პირდაპირ საწოლ ოთახში შევიდა და თან მხოლოდ ავთანდილი იახლა. მეფე მძიმე სულიერ დეპრესიაში მოექცა.

აუცილებელია მეფის გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. გარდა წმინდა სახელმწიფოებრივი მოსაზრებისა (სასახლის კარზე მაშინვე შეიქნა მითქმა-მოთქმა: „ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი, „ღმერთო!“ უზრახვიდა“ 100). თინათინს სააქისოდ უბიძგებს უნაზესი სიყვარული მამისადმი. როსტევანმაც მრჩევლად და მწუხარების განმქარვებლად მხოლოდ ასული მიიხმო (105).

თინათინმა უნდა გადადგას პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ და როგორც მზრუნველმა შვილმა.

ჩვენთვის ამ ნაბიჯთან ერთად საყურადღებოა ის მომხიბლავი არგუმენტაცია, რომლითაც თინათინი ცდილობს მეფის გამოყვანას დარღვეული სულიერი წონასწორობიდან.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რა დიაპაზონისაა როსტევანის პატრიოტიზმი. თინათინი სწორედ ამ მოტივს მოიმარჯვებს, ჩააქსოვოს რა შიგ საკუთარ პატრიოტულ აღმაფრენას, და მამას ეუბნება:

„მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი,
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი“ (114),

გაგზავნე კაცი ყოველ მხარეს და იმ ყმის ამბავსაც ადვილად გავიგებთო.

ფართო, ვრცელი, შორეული საზღვრების მჭონე, ბრძანება-მიუთხრობელი — ასეთია თინათინის სამშობლო, რომლითაც ამაყობს იგი.

რა ახლოა ეს გრძნობა ჩვენთან, საბჭოთა მკითხველთან! იგი ჩვენია, ჩვენი საკუთარი გრძნობაა, მახლობელი და მშობლიური.

დიდია სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა ავთანდილშიც. ავ-

თანდილი, თავდადებული მიჯნური და მეგობარი, ფართო ფილოსოფიური განათლების მქონე პიროვნება, პოემის მთავარი გმირია. რუსთველოლოგია დიდი ხანია ყურადღებით სწავლობს ავთანდილის ჩამოთვლილ თვისებებს, მაგრამ ასეთივე ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი ავთანდილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებიც.

ავთანდილი არაბეთის სამეფო მთავრობის სპასპეტია. არაბეთის მეფე როსტევანიც, ავთანდილის წარმოდგენით, უძლიერესი მეფეა:

> ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია (142),—

პატრიოტული აღმაფრენით შეუთვალა მან როსტევანს. თან თვითვე იკისრა როსტევანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების, ინტერესების, პრესტიჟის დაცვა:

> მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
> თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,
> მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყოელი ავატირო (143), —

აცნობა მან როსტევანს, როცა ვეფხისტყაოსნის საძებრად მიემგზავრებოდა. იგი ხშირად აცხადებს: მე ვარო

> სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა (1262).

ავთანდილი გაემგზავრა ვეფხისტყაოსნის საძებრად. თავის ქალაქში (ფეოდი), იგი გამგებლად ტოვებს შერმადინს, რომელსაც უბარებს:

> სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა (163).

თავის ყმებსაც ავთანდილი ანდერძად უტოვებს:

> გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
> მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი (167).

გაპარვის წინაც ავთანდილი ეუბნება შერმადინს:

> მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების (1780).

ესოდენ მაღალია ავთანდილის ზრუნვა სამშობლოზე.

როცა ავთანდილი ტარიელის კვალს წააწყდა, მას გრძნობით აღმოხდა:

> მე იმა ყმისა საძებრად მოვჰშორდი საგაზრდილოსა (212).

ეს გარემოება — სამშობლოდან გარდახვეწა, ღარიბობა, როგორც თვით ავთანდილი უწოდებს, განსაკუთრებით ძნელი ასატანი გახდა მისთვის. ავთანდილი მუდამ მწუხარებით და სევდით იგონებს ძვირფას სამშობლოს. გაპარვის წინ დაწერილ შესანიშნავ ანდერძში ავთანდილი განსაკუთრებული ტრაგიკულობით წარმოგვიდგენს სამშობლოდან გარდახვეწილი ადამიანის ბედს. იგი სთხოვს მეფე როსტევანს:

თუ საწურთომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან.
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან (802).

სამშობლოდან გარდახვეწით გამოწვეულ სევდას დინჯი, აუჩქარებელი, ჭკუადამჯდარი და მაღალგონიერი ავთანდილი ხანდახან ნერვიულობამდეც მიჰყავს (845) და უსაყვედურებს ასმათს: ტარიელი რად არ დამხვდა ქვაბშიო. ასმათმა ტარიელი დაიცვა. მაშინ

ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ, არ მამართლო მდურვად მისად...
გამოჰვრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად (855)...
... წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი (257),

ის კი აქ არ დამხვდაო. და რომ ეს ყვედრება არ გამოსულიყო, ყველაფერს ამას დაუმატა: „არ ვინანი გარდასულსა“. (859). ფრიდოხსაც ავთანდილმა სამშობლოდან გარდახვეწა შესჩივლა:

ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა მოშორვებული (984).

მაღალი ეროვნული შეგნებულობის ყველაზე ნათელი და სრული გამომხატველნი პოემაში სარიდანი, ნესტანი და ტარიელი არიან.

სარიდანი ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი გმირია. ის მხოლოდ მცირე ხნით გაიელვებს ჩვენს წინ და ჩაესვენება, მაგრამ პოემაში იგი ერთ-ერთი დიდი ეროვნული მოღვაწეა.

როგორც ვიცით, ინდოეთი შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა. უდიდესი ნაწილი — ექვსი სამეფო, ეპყრა ფარსადანს, ხოლო მეორე ნაწილი — ერთი სამეფო, ტარიელის მამის, სარიდანის სამფლობელოს შეადგენდა. ამრიგად, ინდოეთი გაყოფილი იყო ორად.

ტარიელის გადმოცემით, მისი მამა ძლიერი და ბედნიერი ხელმწიფე იყო:

ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი,
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი (312).

მაგრამ სარიდანს „ხალვა მოსძულდა“, მარტოობა მოსძულდა. მას „შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები“ (313). ის დასევდიანდა. რა აწუხებს მეფეს? იგი თვითვე ამბობდა:

... წამიღია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
ყოელგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქეს ზეიმი და ზარები (313).

რადგანაც სარიდანი ასეთი ძლიერი და ბედნიერი მეფეა, თითქოს გაუგებარია მისი შემდგომი განზრახვაც:

... წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები (313).

რომ გასაგები გახდეს სარიდანის გადაწყვეტილება, საჭიროა გავაანალიზოთ დეკლარაცია, რომლითაც მან მიმართა ინდოეთის მეფეს. იგი უაღრესად ეროვნული შინაარსისაა და აცხადებს სარიდანის პატარა სამეფოს შეერთებას დედა-სამშობლოსთან, ინდოეთის ეროვნულ გაერთიანებას.

მართლაც, ტარიელი ჰოგვითხრობს, რომ სარიდანმა

ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა,
შესთვალა: **„შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა;**
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა, ერთგულად ნამსახურისა“ (314).

დაყოფილი ტაეპები გვიჩვენებს, რომ სარიდანი ფარსადანს აღიარებს **სრულიად ინდოეთის მეფედ**. მაგრამ ინდოეთის ნაციონალურ და პოლიტიკურ მთლიანობაში დისონანსი შეაქვს სარიდანის სამეფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. სარიდანმა გადაწყვიტა, ბოლო მოუღოს ერთი ეროვნული ერთეულის ხელოვნურ გახლეჩას. მას სურს, ინდოეთის ხალხების ცხოვრებაში განახორციელოს უდიდესი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი: გააერთიანოს ერთი სკიპტრის ქვეშ ორად გაყოფილი ინდოეთი. და რადგანაც ინდოეთის ექვსი მეშვიდედის მფლობელია ფარსადანი, ბუნებრივია, რომ სწორედ სარიდანმა აიღოს ხელი მეფობაზე, ე. ი. ფარსადანის „წინაშე ცნას ძალი გულისა“. სარიდანის ეს ნაბიჯი გამომდინარეობს მისი ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეხედულებებიდან. იგი უპირატესობას ანიჭებს სამშობლოს პრესტიჟს და მის კეთილდღეობას. სარიდანს საუკეთესოდ ესმის მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ისტორიული მნიშვნელობა მისი სამშობლოს, ინდოეთის ნაციონალური და სახელმწი-

ფოებრივი ცხოვრებისათვის, რის გამოც იგი უშიშრად უტოვებს თავის სახელს შთამომავლობასა და ისტორიას, როგორც მეფე-გამაერთიანებელი. ამას საუკეთესოდ ადასტურებს სარიდანის ზემონაჩვენები დეკლარაციის ფინალიც:

სახელი დარჩეს ჩემისა, ერთგულად ნამსახურისა (314)...

ასევე გაიგო ეს ნაბიჯი ფარსადანის სასახლემ, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება მას და სამაგიერო პატივიც მიაგო სამშობლოს კეთილდღეობისათვის დიდ მოღვაწეს: სრულიად ინდოეთის მეფემ ფარსადანმა სარიდანი ინდოეთის ამირბარად და ამირსპასალარად დანიშნა. ამრიგად, სარიდანს „არა სჭირს ხელისა მიუმცთარობა" (316), ე. ი. სარიდანი ისევ დიდი უფლებების მქონე პერსონაა, თუმცა იგი აღარ არის მეფე, დამოუკიდებელი მმართველი, კეისარი:

სხვად პატრონია, მართოდენ არა აქუს კეისარობა (316).

ეჭვი არ არის, რომ სარიდანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალებს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ეყოლებოდა. ასეთ სეპარატისტულ მისწრაფებათა მქონე დიდგვარიან ფეოდალთა ჯგუფის არსებობა სარიდანის სამეფოში და სასახლის კარზეც, a priori შეიძლება ვივარაუდოთ. ისიც საგულებელია, რომ სარიდანმა დიდი ბრძოლები გადაიხადა ამგვარი ელემენტების წინააღმდეგ. ამის გამოძახილი უნდა იყოს სარიდანის განცხადება, რომელიც ერთხელ უკვე დავიმოწმეთ (313).

მაგრამ უფრო საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ტარიელის მოწმობა. იგი მოგვითხრობს: მამის, სარიდანის გარდაცვალების გამოო,

ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იშისა (334).

უნდა ვიფიქროთ, რომ „მტრებში" აქ ტარიელი იმ სეპარატიზმის მომხრე რეაქციულ ელემენტებს გულისხმობს, რომლებიც სარიდანის სიცოცხლეშივე იბრძოდნენ სარიდანისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ სარიდანის გარდაცვალება მართლაც გაუხარდებოდათ და მართლაც შექმნიდნენ ამის გამო „იშის" ხსენებას [1].

გადავდივართ ნესტანის პატრიოტიზმის განხილვაზე.

უნდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ნესტანისა და ტარიელის ეროვ-

---

1 შდრ. პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, ფედერაცია, 1938, გვ. 53 — 54.

ნულ-ნაციონალურ მისწრაფებათა სწორი ინტერპრეტაცია პირველად წარმოდგენილია პროფ. ალ. ბარამიძის წერილში „ტარიელი“[1].

ნესტანის, ამ უაღრესად ენერგიული, გაბედული, გმირული სულით და მაღალი გონებით აღჭურვილი ქალის გულში თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულია ჩაღვრილი. იგი დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც პირადს მუდამ დაბლა აყენებს, მუდამ უქვემდებარებს სამშობლოს ინტერესებს.

ის სულ ცამეტი წლისა იყო, როცა იგრძნო, რა უდიდესი ძალით შეუყვარდა ტარიელს. უებრო ვაჟკაცისა და რაინდის ეს განწყობა მან თავიდანვე სამშობლოს საკეთილდღეოდ წარმართა და ტარიელს მისწერა:

წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე (379).

ნესტანის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი მთელი სიძლიერით მაშინ გამოჩნდა, როცა მან გაიგო, რომ მეფემ მიიღო თანხმობა „უმცროსი წესით“ შეკრებილი დარბაზისა, რომელსაც ტარიელიც ესწრებოდა, მისი, ნესტანის, ხვარაზმელ უფლისწულზე გათხოვების შესახებ. ნესტანი მრისხანებით აღივსო. მან სასწრაფოდ დაიბარა ტარიელი და ფიცის გატეხისათვის სამშობლოდან გაძევებით დაემუქრა:

ოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო (528).

ჩანს, ნესტანი სამშობლოდან გაძევებას უდიდეს უბედურებად თვლის, რადგან ის ეუბნება ტარიელს:

თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო (528).

ტარიელმა ნესტანი დაარწმუნა, რომ იგი არც ნესტანს, არც ინდოეთის ტახტს არავის დაუთმობს. მაშინ ნესტანი დამშვიდდა. იწყება თათბირი. ნესტანი აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას. ვითარება მეტად სერიოზულია. ამიტომ ნესტანი მოითხოვს აუჩქარებლად განსჯას (539).

ნესტანი ფრთხილობს: ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი და... ვაი თუ „ინდოეთი გარდაქარდეს“:

თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიყიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს (539).

---

[1] ალ. ბარამიძე, რუსთაველის კრებული, სახელგამი 1938.

ნესტანის აზრით, თუ ტარიელი სიძეს არ შემოუშვებს, ეს გამოიწვევს კონფლიქტს მეფესა და ტარიელს შორის, რაც შექმნის ინდოეთში შინაურ განხეთქილებას. ამრიგად, მაშინაც, როცა ნესტანის პირადი ბედნიერების და ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ნესტანი ინდოეთის, სამშობლოს ბედზე ფიქრობს [1].

თუ სიძე შემოვიდა ინდოეთში, შესაძლოა მოხდეს ჭორწინება. მაშინ გაასდება ნესტანისა და ტარიელის „პატიჟი" (ტანჯვა), ხოლო ისინი „მოიღუნენ" (მოილხენენ) (540).

თუმცა ეს ჭორწინება ნესტანისა და ტარიელის პირადი უბედურებაა, ამავე დროს იგი ინდოეთის ნაციონალური ინტერესების შელახვას, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დარღვევას მოასწავებს, რადგან სიძე ეროვნებით არაინდოელია, სპარსელია, სასიძოს კი იწვევენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს და სამეფოს ნამდვილ ბატონ-პატრონს:

> აწ ქალისა ჩვენისათჳს ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
> რომე მიჳსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
> სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევინახოთ (509),—

განაცხადა დასახელებულ თათბირზე მეფემ. როგორც ვხედავთ, ნესტანის გათხოვების საკითხმა „დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-ეროვნული" მნიშვნელობა მოიპოვა [2]. ნესტანმაც ფარსადანის ანტინაციონალურ, ანტიეროვნულ, განსაზღვრული თვალსაზრისით, ლიბერალურ პოლიტიკას თავისი ეროვნული პოზიცია დაუპირისპირა და განაცხადა:

> ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ (540).

აქ მერყეობა, დაყოვნება აღარ შეძლება. ნესტანის ღრმა რწმენით, აუცილებელია მოკვდეს სასიძო. ნესტანის ხელის მაძიებელი, მთავარი ფიგურა და ინდოეთის ტახტის უკანონო პრეტენდენტი. ამიტომ მან ტარიელს დაავალა: „რა მოვიდეს სიძე, მოკალ" (542), რადგან:

> ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად (542).

---

[1] ალ. ბარამიძე, რუსთაველის კრებული, გვ. 96.

[2] იქვე, გვ. 95.

ეს უკვე მეფის წინააღმდეგ აჯანყებაა, მაგრამ აჯანყება ეროვნული ინტერესების დამცველი:

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა,
პკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,
ჩემია მკეიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“ (544), —

ეუბნება ნესტანი ტარიელს სიძის მკვლელობის მოტივისა და აჯანყების მიზნის შესახებ [1].

ამგვარად, აჯანყება მეფის წინააღმდეგ ცხადდება ინდოეთის სუვერენულ უფლებათა დამცველ ნაციონალურ აჯანყებად, რომელიც იცავს ინდოეთის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ხვარაზმელთა დინასტიის, სპარსეთის ბატონობისაგან.

ტარიელის აჯანყება ასევე გაიგო ინდოეთის ლაშქარმა. ტარიელმა სასიძო მოკლა და მოწოდებით მიმართა ლაშქარს:

აქა მომმართეთ, ვინღაცა ჩემსა იქმოდეთ შველასა (560).

მართლაც,

არ გაწყდა მოსვლა მდევართა, ღამესა დია ბნელასა,
ჩემი რა ცნიან, სცევდიან თავებსა მათსა მრთელასა (560), —

შენიშნავს ტარიელი. მეფე ფარსადანიც იძულებული გახდა სწრაფად წასულიყო დათმობაზე: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინეო“ (562). რადგან ინდოეთის ლაშქარი ეროვნული დამოუკიდებლობის ნიადაგზე დადგა და ამით ტარიელის გამარჯვებაც წინასწარვე განპირობებული აღმოჩნდა, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა სხვაგვარად წარიმართა და ნესტანი ჯერ ფატმანის სასახლეში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ — ქაჯეთის ციხეში.

ნესტანი დაუშრეტელი ცრემლით დასტირის თავის ტრაგედიას, რომელიც, მისი აზრით, მდგომარეობს არა მხოლოდ მიჯნურისგან განშორებაში, არამედ აგრეთვე სამშობლოდან გარდახვეწაში. ყოველ შემთხვევაში, ფატმანს მან მხოლოდ ეს მოტივი უჩვენა, როგორც თავისი ტრაგედიის სათავე:

რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის უბედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა (1141).

---

[1] ალ. ბარამიძე, რუსთაველის კრებული, გვ. 96.

ცნობილია, რომ ქაჯეთის ციხიდანაც ნესტანი ტარიელს წერდა: მე ნუღარ დამეძებ, ჩემი გამოხსნა შეუძლებელია,

> წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
> მტერთაგან შეიწრებულსა, ყოლგნით ხელ-აღუპყრობელსაო (1307).

ქაჯეთის ციხეშიც ნესტანი სამშობლოს უპატრონობას დასტიროდა და ავალებდა ტარიელს სამშობლოსადმი სამსახურსა და თავდადებას. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი ტარიელის პატრიოტიზმი და ის ღვაწლი, რომელიც მან დასდო თავის სამშობლოს კეთილდღეობას.

ტარიელის ეროვნული მისწრაფებანი ემთხვევა ნესტანის ასეთსავე მისწრაფებებს. მართალია, ნესტანის უშედეგო ძებნის შემდეგ ტარიელი ტოვებს სამშობლოს და აღარც დაბრუნებას ფიქრობს, მაგრამ მას იქ აღარც ეცხოვრება, რადგან ნესტანის დაკარგვაში თავისებური ბრალი მასაც მიუძღვის, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ აჯანყების დღეს მან დაუშვა საბედისწერო შეცდომა: არც ნესტანის, არც მეფის სასახლე სამხედრო დაცვას არ დაუქვემდებარა.

ტარიელის გადმოცემაში ინდოეთი წარმოდგენილია დიდ ნაციონალურ სახელმწიფოდ. ინდოეთის მეფე, ინდოეთის სახელმწიფოებრიობის გამომხატველი და სახელმწიფოს მეთაური, დახატულია ქველმოქმედ, სამართლიან და, რაც მთავარია, უძლიერეს მეფედ. ხატაელთათვის გაგზავნილ „წერილში“ (ნოტაში) ტარიელი წერს:

> ... მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებ ძლიერი;
> მათი ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი,
> ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი (387).

მდგომარეობა გამწვავდა. მაშინ ტარიელმა ხატაეთზე გალაშქრება ინდოეთის სამხედრო ძლიერების დემონსტრაციად აქცია და მას ინდოეთის ნაციონალური დღესასწაულის ხასიათი მისცა. ტარიელი გადმოგვცემს:

> ვებრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია,
> იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია (402).

ლაშქარმა ფიცხლავ აავსო ინდოეთის ტერიტორიაო, ამბობს იგი და განაგრძობს:

აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა (403).

ამგვარად, ტარიელმა ინდოეთის სამხედრო ძალების საბრძოლო შესაძლებლობის დათვალიერება, ანუ აღლუმი მოაწყო. რა პათეტიკური აღტყინებით არის საუსე ტარიელის განცხადება: მეკეთა, მომეწონა ლაშქართა მოკაზმულობაო. ან რა უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა გამოსჭვივის სამშობლოს დროშისადმი ტარიელის განცხადებაში:

ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა (404).

როდესაც ტარიელი ხატაეთში მივიდა, ბრძოლის დაწყების წინ მან თავის მეწინავე მცირერიცხოვან მხედრობას ამაღელვებელი პატრიოტული მოწოდებით მიმართა:

ვთქვი, თუ: ძმანო, ისი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიდგებიან,
მკლავთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისმცა რად დალბიან!
ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.
აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რად გვაბიან? (440).

მართალია, აქ ტარიელი მოუწოდებს მხედრობას თავი დასდოს მეფისათვის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეფე ამ შემთხვევაში ინდოეთის სახელმწიფოებრიობის და მისივე ინტერესების გამომხატველია. ამიტომ ბრძოლა მეფის ინტერესებისათვის გაიგივებულია სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლასთან. შემდეგში, როცა მეფე ვეღარ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, როცა მისი საქმიანობა ინდოეთის ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ წარიმართა, ტარიელმა მიმართა ლაშქარს მოწოდებით — დამდგარიყო ინდოეთის ნაციონალური დროშის ქვეშ და არა მეფის ვიწრო, გვაროვნულ-დინასტიური ინტერესების სადარაჯოზე.

ტარიელი გამარჯვებული დაბრუნდა ხატაეთიდან:

მეფე შევიპყარ, მოგიყალ მე ალაფიან-ტყვეიანად (463),—

წერდა იგი მეფე ფარსადანს. მთავარსარდალი ზეიმით და დიდებით მიიღეს ინდოეთში. მას თვით მეფე შეეგება, საკუთარი ხელით გაუხსნა ჭრილობა და თვითვე შეუხვია რბილი სახვევით, რითაც გამოხატა უდიდესი მადლობა ინდოეთის ნაციონალური გმირისადმი (465).

ფარსადანმა გამარჯვებული ტარიელის პატივსაცემად მეორე დღეს კვე დანიშნა აღლუმი და დარბაზობა, სადაც მოხდა ტარიელის ოფიციალური მიღება (467).

ნადიმებს და ზეიმებს დასასრული არ უჩანს (488). დიდი იყო მეფე-დედოფლის სიხარული:

... შვილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გვიხარიან?!
ნეტარძი გვაქვსო, მებრძოლნი მით ჩვენნი ვაგლახ არიან.
მართალან შენნი მკვრეტელნი, არ ცუდად იმკეხარიან (485),—

ეთხრეს მათ ტარიელს და შესაფერისი იყო მათი ხელგაშლილობაც:

მომართვნეს ასნი კლიტენი, ასთაეე საჯურჭლეთანი...
რა გასცეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი (487), —

ამთავრებს ტარიელი.

რუსთველოლოგებმა კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს ერთ მეტად თავისებურ მომენტს პოემაში. ტარიელი, ეს ნამდვილი გმირი და შესანიშნავი სარდალი, მერყეობს, ხვარაზმელი მოქიშპის წინააღმდეგ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი. ბევრი ბრალდება იქნა წაყენებული ტარიელისადმი ამის გამო. შევჩერდეთ ამ საკითხზე და გავაანალიზოთ პოემის სათანადო ადგილები.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მეფე-დედოფალმა ნესტანის საქმროდ და ტახტის მემკვიდრედ ხვარაზმშას ძის კანდიდატურა წამოაყენეს. თათბირს ესწრება ტარიელიც, მაგრამ იქ საკითხი გამოტანილ იქნა მხოლოდ დასტურისათვის და არა საკამათოდ (512).

ტარიელი განცვიფრდა. მის მწუხარებას არ აქვს საზღვარი:

ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა (512), —

უამბობს იგი ავთანდილს. ტახტის მემკვიდრედ ტარიელი იზრდებოდა. ტარიელი დაბადებიდან აიყვანა მეფემ შვილად და მემკვიდრედ:

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად.
ს:პატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად (319) —

მეფე-დედოფალიო, უთხრა მან ავთანდილს. ეს შვილად აყვანა მოხდა ნესტანის დაბადებამდე. მაგრამ შემდეგაც ტარიელი ფარსადანის სასახლეში იზრდება და მეფე-დედოფლის უდიდესი სიყვარულით სარგებლობს:

ვუყვარდით და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა (325)

მე და ნესტანიო, გადმოგვცემს იგი.

რამ გამოიწვია მეფე-დედოფლის ორიენტაციის შეცვლა ტახტის მემკვიდრის საკითხში? ტარიელის შვილად აყვანა თავის დროზე მოხდა გარკვეულ პოლიტიკურ და ნაციონალურ მოსაზრებათა მიხედვით, რომელთაც განამტკიცებდა, ამაგრებდა ტარიელის მეფური შთამომავლობა; როგორც ვიცით, ტარიელის შესახებ

დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა (533), —

ჩემივე გვარის, ე. ი. ჩემივე ეროვნებისაა ტარიელიო, ამბობდა მეფე. მაგრამ ორიენტაციის შეცვლა მემკვიდრის საკითხში უკვე სამწუხარო ფაქტი იყო მას შემდეგ, რაც თვით მეფე-დედოფალმა ინდოეთის სამეფო ტახტზე წამოაყენეს ახალი კანდიდატი, რომელსაც ტარიელთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი იყო ფაქტიური უფლისწული, ბატონიშვილი (511, 513). სხვა რაიმე ღირსება თვით სასიძოსი მეფე-დედოფალს თათბირზე არ აღუნიშნავთ. ტარიელი კი მხოლოდ შთამომავლობითაა უფლისწული, თუმცა შემკულია მრავალი ღირსებით და ეროვნებითაც ინდოელია. ამრიგად, მეფე-დედოფალმა ფაქტიურ ლეგიტიმურ-დინასტიურ მდგომარეობას უპირატესობა მიანიჭეს, რითაც დაუშვეს დიდი შეცდომა, რადგან ნესტანის გათხოვება ნესტანისა და მეფე-დედოფლის პირადი ნება-სურვილის საკითხი კი არ იყო, არამედ ფართო ეროვნულ-პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდა [1]. ამიტომ ტარიელმა ზედმეტადაც ჩათვალა გაემართა მოლაპარაკება მეფესთან, ან მიეცა რაიმე ახსნა-განმარტება თათბირისათვის ამ საკითხზე. ტარიელი მხოლოდ აღშფოთდა, რადგან „მეფე ვერ მიმხვდარა“, მან „არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა“. რა მომხიბლავია პოემის ეს სტროფი, რომელშიაც ტარიელის ზვიადი ეროვნული სიამაყე, პატრიოტიზმი, შეუდრეკელობა, საკუთარი ღირსებისა და ეროვნული პრიორიტეტის ვაჟკაცური შეგნება ჩანს:

მემცა დაშლა ეითა ვჰკადრე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა,
არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?!
ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა,
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა (534).

1 ალ. ბარამიძე, რუსთაველის კრებული, გვ. 95.

თუმცა ასეთი კატეგორიულია ტარიელის გადაწყვეტილება, მაგრამ რაიმე პრეტენზიები ტახტზე, აშკარა გალაშქრება მეფე-დედოფლის თუნდაც ანტინაციონალურ მოსაზრებათა წინააღმდეგ თათბირის მსელელობისას, თვითმპყრობელი მეფის სასახლის კარზე დადგენილი ეტიკეტის უხეში დარღვევა იქნებოდა, რასაც ტარიელს უმეცრებაში ჩამოართმევდნენ:

დამეშალა, ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა (533), —

შენიშნავს ტარიელი. მაგრამ კიდეც რომ გადაედგა ტარიელს ასეთი ნაბიჯი თათბირზე, აქედან არაფერი გამოვიდოდა და რეალურ გამარჯვებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ ეუბნება იგი ნესტანს:

ვთქვი: „ამითა ვეღარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვარო“ (535).

ამ წინააღმდეგობიდან არაფერი გამოვიდოდაო, შენიშნავს ტარიელი. ამიტომ გადაწყვიტა მან, მონახოს სხვა გამოსავალი. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია — მისცეს დროებითი თანხმობა ხვარაზმული უფლისწულის სასიძოდ მოწვევაზე, ე. ი. ინდოეთში უცხო დინასტიის გამეფებაზე. მაგრამ ეს იყო ტაქტიკური უკან დახევა და არავითარ შემთხვევაში — სამშობლოს ინტერესებისადმი ღალატი:

თავსა ეუთხარ: „მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა“ (533), —

განუმარტავს თავისი თანხმობის ფარული მიზეზს იგი ნესტანს. ამრიგად, ტარიელი მტკიცედ დგას ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, რომელიც ასე გადაჯაჭვული აღმოჩნდა მის პირად ინტერესებთან [1].

ჩვენ არ ვიცით, რა დამოუკიდებელ ნაბიჯს გადადგამდა ტარიელი თათბირის შემდეგ. საამისო დრო მას ნესტანმა არ მისცა. მაგრამ მათი მღელვარე შეხვედრის შემდეგ, რომელიც შერიგებით დამთავრდა, გადაწყვეტილ იქნა არცერთი უდანაშაულო კაცის სისხლი არ დაღვრილიყო, მიპარვით მოეკლა ტარიელს მხოლოდ სასიძო, ფაქტის წინაშე დაეყენებინა მეფე და სასახლე, და მხოლოდ შემდეგ მიემართა მათთვის ერთგვარი ულტიმატური დეკლარაციით, რომელიც, როგორც ვნახეთ, უაღრესად ეროვნული ხასიათისაა.

---

1 ალ. ბარამიძე. რუსთაველის კრებული, გვ. 97.

როგორ იქცევა ამის შემდეგ ტარიელი, ან გადაწყვეტილ იქნა თუ არა ნესტანთან თათბირზე წინასწარი საჯანყებო სამზადისის ჩატარება?

ტარიელი წინასწარ სამზადისს არ აწარმოებს; არ იკრებს თავის გარშემო ერთგულ ლაშქარს, დიდებულებს, სასახლესთან ახლო მდგომ წრეებს; არ ეძებს დახმარებას არც უცხო ქვეყნებში, არც თავისი მამის ყოფილი სამეფოს მმართველ წრეებში. უცხო ქვეყნებს დახმარებისათვის ტარიელი არ მიმართავდა, რადგან მას ამის ნებას არ აძლევდა ეროვნულ-პატრიოტული შეგნება და სამშობლო ქვეყნის ინტერესები. შემდეგში, როცა ტარიელმა სასიძო მოკლა და ჯანყი გამოაცხადა, მან მეფეს აჯანყების მიზეზი აცნობა, რომელიც ეროვნული დეკლარაციის ხასიათს ატარებდა, და დასძინა:

> ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოეფხვრიდე,
> სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე (566).

ვინც ჩემს სამშობლოს დამეცილოს, ჩემი სამშობლოს მეშვეობით მას აღმოვეფხვრი, სხვა მეშველს კი (ე. ი. გარეშე დამხმარე ძალას) ამ საქმეში მე არ მივმართავ, რომც მომკლაო. გარეშე დამხმარე ძალის მეშვეობით ასვლა ტახტზე ტარიელმა ეროვნულ-ნაციონალური ინტერესების შელახვად მიიჩნია და არც მიუმართავს ამ ზომისათვის. ამის ნებას ალბათ არც ნესტანი მისცემდა. თვით ინდოეთში წინასწარ სამზადისს კი ტარიელი არ აწარმოებს, რადგან არც მას თვლის საჭიროდ: არც ნესტანი, არც ტარიელი ხვარაზმელ სასიძოს დიდძალი ლაშქრით არ მოელიან და ხვარაზმელებთან სამხედრო შეტაკების საშიშროება არ არსებობს. ნესტანი ეუბნება ტარიელს:

> მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
> მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო (543).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასიძოს მოკვლის თაობაზე ნესტანისა და ტარიელის გეგმაში ხვარაზმელთა საპასუხო ოპერაციები გათვალისწინებული არ არის. ტარიელი კი, ხატაეთის, მულღაზანზარის, ჭაჯეთის ბრძოლების ნამდვილი გმირი და თავისი დროის უდიდესი სარდალი, ასე არ მოიქცეოდა, ხვარაზმელთა დიდძალი ლაშქრის მოლოდინში რომ ყოფილიყო.

მაგრამ მოხდა სწორედ მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი: სასიძო ინდოეთში დიდი ლაშქრის თანხლებით შემოვიდა, რამაც სრუ-

ლიად არივ-დარია ნესტანისა და ტარიელის გეგმა. ტარიელი გადმოგვცემს:

> მე გავგზავნენ ყოლგნით კაცნი, საჴურჭლეთა წამომხმელნი;
> სასიძოცა მოგვივიდა, იყვნეს ხანსა არ დამზმელნი;
> შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი;
> მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი (550).

ინდოელთა და ხვარაზმელთა ერთად მყოფ ლაშქარს ვერ იტევდა ვერც ხმელეთიო, ამბობს ტარიელი (ინდოეთის ლაშქარი გამოწვეულ იქნა საქორწილო ზეიმზე).

შეიქმნა უაღრესად დაძაბული სამხედრო მდგომარეობა. ხვარაზმელი სასიძო ყოველგვარი მოულოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად დიდძალი ჯარით შემოვიდა ინდოეთის სატახტო ქალაქში და ზედ სასახლის კარის ზღურბლთან დაბანაკდა. უკვე ძნელია სასიძოს მიპარვით, ქურდულად მოკვლა. ესეც რომ მოხერხდეს, თვით სიკვდილის ფაქტი ხომ აღარ დაიმალება. მოსალოდნელია ამის გამო ინდო-ხვარაზმელთა შეტაკება სატახტო ქალაქში, სასახლის კართან. საფრთხე შეექმნა ნესტანისთვის, სასახლისთვის, სატახტო ქალაქის მოსახლეობისათვის, მთელი ინდოეთისათვის — ტარიელისათვის ძნელი გახდა. სხვაგვარად ვერ ავხსნით ტარიელის პასივობის, უმოქმედობის მიზეზს. კარზე მომდგარი უაღრესად სერიოზული საფრთხის წინაშე, ნაცვლად იმისა, რომ ჯარებს კრებდეს, შეთქმულების ქსელს აფართოებდეს, მომხრეებს დაეძებდეს, — იგი სასიძოსადმი „საურავ-გარდახდილი", „მაშვრალი", საწოლისკენ მიემართება დასაძინებლად:

> მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა;
> შინა წამოვე მაშვრალი, ჭმნა მომნდომოდა ძილისა (553), —

აცხადებს იგი. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ქვეყნის ბედი და ოპერაციის წარმატების შესაძლებლობა აფიქრებს, თორემ რა დროს ძილია! ტარიელი ვერ კისრულობს პასუხისმგებლობას ინდო-ხვარაზმელთა შეტაკებისათვის სასახლის კარზე, შიგ სატახტო ქალაქში. ჩვენ ვიცით, როგორი გმირია იგი, როცა სხვის ტერიტორიაზე იბრძვის. აქ, შინ, იგი „დაძაბუნდა" (556), ფლეგმატურ, პასიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თითქოს ტარიელი ახალ დირექტივას ელის ნესტანისაგან, როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრისაგან, რომელსაც მეტი უფლება აქვს გა-

დადგას გადამწყვეტი ნაბიჯი ხვარაზმელი სასიძოს წინააღმდეგ ინდოეთის სუვერენიტეტისა და ეროვნული პრესტიჟის დასაცავად. აკი ერთხელ უთხრა მან ტარიელს:

ამას ვბრძანებ: „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოდ ვლიდენ, თუნდა გზეთსა (527).

ასეც მოხდა: გადამწყვეტ მომენტში სწორედ ნესტანმა იკისრა პასუხისმგებლობა — გადაედგა უკანასკნელი ნაბიჯი. მან მშვენივრად აუღო ალღო შექმნილ გარემოებას, მიანიჭა ტარიელს ვითარების შესაფერისი თავისუფალი მოქმედების უფლება და უბრძანა:

რასა სდგა? დღე გიჩანს წინ საომარე! (555).

ტარიელი უკვე ხელ-ფეხ გახსნილია, მან სასწრაფოდ მოხაზა ახალი საოპერაციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა არა მიპარვით, არამედ აშკარა სამხედრო ძალის დახმარებით თავდასხმას სასიძოზე. ტარიელი მოგვითხრობს:

ამასა ვუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“ (557).

ამრიგად მიპარვით მისელის მაგივრად ტარიელმა გაიყოლა საომრად შეიარაღებული რაზმი და თუმცა ქალაქი უხმაუროდ გაიარა, სასიძოს მიუხტა, მისი კარავი გაფატრა და ხვარაზმშა თავით სვეტს მიაკლა (558). „წინა მწოლთა დაიზახეს“, მაგრამ გვიანღა იყო. ხვარაზმელთა მხრივ ამას აღარ მოჰყოლია დიდი საპასუხო საბრძოლო ოპერაციები, რაც ძალიან საკვირველია, თუმცა ჩვენთვის — არა საინტერესო: მდევარი მხოლოდ ტარიელს დაედევნა. ტარიელმა მდევარი დახოცა და ხვარაზმელთა „ლაშქრობაც“ ამით დამთავრდა.

ამგვარად, ვფიქრობთ, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ტარიელის მერყეობა სასიძოს მოკვლისა და ჯანყის გამოცხადებაში მხოლოდ იმ უზარმაზარი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აიხსნას, რომლითაც გამსჭვალული იყო იგი ინდოეთის ხალხებისა და სამეფო ტახტის მიმართ. ასეთი ძალით უყვარს ტარიელს თავისი სამშობლო და თავისი ხალხი, ასე უფრთხილდება იგი მათ და მისთვის პირადად უაღრესად კრიტიკულ მომენტებშიც კი სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრობს.

ასეთივე ძლიერი პატრიოტული სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი პოემის დანარჩენი გმირებიც, თუმცა მათგან გამოირჩევა ფრიდონი.

ფრიდონი თავისი პატარა სამშობლოს თაყვანისმცემელია. იგი გაცნობისთანავე ეუბნება ტარიელს:

ნულღაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქვსო რომელი,
სურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი;
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,
ცოტაა, მაგრა ყოველგნით .სიკეთე-მიუწვდომელი (600).

ფრიდონს საგვარეულო ბრძოლა აქვს ბიძაშვილებთან მცირე სანადირო კუნძულისათვის. იგი უამბობს ტარიელს:

მამის ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს,
ზღვათა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს;
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს:
მათკე დარჩა სანადირო, — არ მივსცემდი, მომერჩოდეს (601).

ტარიელთან დაახლოებამ და მეგობრობამ ახალი პერსპექტივები გადაშალა ფრიდონის წინაშე. ტარიელმა აღუთქვა მას დახმარება ბიძაშვილების წინააღმდეგ:

ჩვენ ორთაენ მეომარი განაღამცა შეგვიძრწუნდა (609), —

უთხრა მან ფრიდონს. ფრიდონმა რაღაც დიდმნიშვნელოვანი გაითვალისწინა. ალბათ, ამის გამოც უთხრა მან ტარიელს: „ლხინი საჩემო მაგას რა შეეწონების!“ (606).

მართლაც, როდესაც ფრიდონი ისე „მოჯობდა“, რომ „ომი შეეძლო“, მან და ტარიელმა დაკაზმეს „ნავი-კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა“ (613) და ფრიდონის ბიძაშვილების სამთავროზე გაილაშქრეს. ფრიდონი ეეფხვივით იბრძოდაო, გადმოგვცემს ტარიელი:

თვით ორნივე ბიძა-ძენი მისნი ხრმლითა ჰამოყარნა..
მოიყვანნა მხარ-დაკრულნი (617)...

ფრიდონმა არა თუ სანადირო კუნძული, ქალაქიც წაართვა ბიძაშვილებსო, შენიშნავს ტარიელი: „ფიცხლავ წავუღეთ ქალაქი“-ო (618).

ამგვარად, გაერთიანდა ფრიდონის სამთავროებად დაქსაქსული სამშობლოც. ფრიდონმა ბიძაშვილებიც დაატყვევა, კუნძულიც და ქალაქიც წაართვა და სამშობლოც გააერთიანა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ტარიელმა შეასრულა და ამიტომ იყო, რომ იგი „მეფეთა-მეფედ“ დასახა ფრიდონის ლაშქარმა:

ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით,
თვით თავსა მათსა — მონად და ჩემსა — ყველასა სეფობით (621). —

გადმოგვცემს ტარიელი. დიდი იყო მულღაზანზარელთა პატრიოტული აღფრთოვანება და სიხარული სამშობლოს გაერთიანების გამო (620).

პოემის არა მარტო მთავარი გმირები, არამედ მეორე და მესამეხარისხოვანი გმირებიც კი სამშობლოს სიყვარულით ცოცხლობენ და სულდგმულობენ. ისინი გამოსული არიან როგორც უმაღლესი ფეოდალურ-არისტოკრატიული წრიდან, ისე დაბალი სოციალური ფენებიდან. მართალია, ასეთი გმირები პოემაში წარმოდგენილნი არიან დამხმარე პერსონაჟების სახით, მაგრამ მით უფრო ჰეტად საყურადღებოა მათი რაობა და შეხედულებანი.

ვაზირი სოკრატი ფეოდალური საზოგადოების მაღალ საფეხურზე მდგომი ფიგურაა. იგი დამხმარე პერსონაა პოემაში, მაგრამ რუსთაველს არ ავიწყდება ხაზი გაუსვას მის პატრიოტიზმს.

როდესაც სოკრატს ავთანდილმა როსტევანის წინაშე შუამდგომლობა სთხოვა, მან უპასუხა:

> ოჲ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოღორდენ!..
> შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ.
> ეჴე აგრე არ იქნების, ვითა ჩიტნი არ გაჭორდენ (754).

შერმადინმა არაბეთს დაბრუნებულ ავთანდილს უთხრა:

> შენი წასვლა არვინ იცის, რაცა მითხარ, აგრე ექმენა (678).

ამით რუსთაველმა ერთი კალმის მოსმით მოხაზა შერმადინის დამოკიდებულება სამშობლოსადმი. აკი მას ავთანდილმა დაუბარა:

> სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა (163).

ფატმანი სიყვარულით აუწერს ავთანდილს თავისი სამშობლო ქალაქის ტრადიციებს, ცხოვრებას, სასახლეს და სხვ.

> ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა,
> არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წაეა გზობასა;
> ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა,
> დიდსა შეიქმენ მეფენი პურობა-დარბაზობასა (1121).

გულანშარო ლხინის, სიხარულისა და ბედნიერების ქალაქია:

> კელა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შვებულნი (1126).

ასე რომ, ლხინსა და მღერას დასასრული არ უჩანს:

ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა,
მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა (1122).

ფატმანიც გულანშაროს ხელმწიფეს „დიდ ხელმწიფეს“ (1167) ეძახის.

გულანშაროელი ვაჭართა უხუცესის მებაღე ავთანდილს აუწერს ძმობლიურ ქალაქს. ამ აღწერაში სამშობლოს უდიდესი სიყვარული გამოსჭვივის:

ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა საელითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრაელითა,
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა (1065).

გულნაშარო, მებაღის გადმოცემით, სავსეა სიკეთით და ბედნიერებით:

აქა მოსლვითა გაუმდების, კაცისცა იყოს ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არ სიმღერები (1066).

ასეთი ბედნიერია გულანშაროს მოსახლეობა მებაღის გადმოცემით, მაგრამ იგი განსაკუთრებით აღნიშნავს გულანშაროს ბუნებრივ-კლიმატური პირობების სიკეთეს:

ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები,
ვისცა გვიცნობენ, გვნატრიან იგიცა, ვინა მტერები (1066).

მტრებიც ჩვენ შემოგვნატრიანო, სიამაყით აცხადებს უსენის მებაღე. ძნელია საკუთარი სამშობლოს სიტურფისა და სიყვარულის უფრო მხატვრული ასახვა და გადმოცემა.

ორიოდე სიტყვა ხატაელთა პატრიოტიზმზე.

ხატაელნი არ არიან მოკლებული ეროვნულ გრძნობას, სამშობლოსადმი რწმენასა და ეროვნულ სიამაყეს. საკუთარი ეროვნული პრესტიჟის, ეროვნული ინტერესების დაცვის სურვილით არის ნაკარნახევი ხატაელთა მეფის პასუხი ტარიელისადმი, „ლაღნი“ და ინდოეთისათვის „უკადრონი“:

სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:
„არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია,
ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენზედა რა პატრონია“? (400) —

გადმოგვცემს ტარიელი ხატაელთა პასუხის შინაარსს.

ხატაელებმა ბრძოლაც გაუმართეს ტარიელს. ისინი არავითარ ხერხებს არ ერიდებიან სამშობლოს გადასარჩენად: ცდილობენ, შეაცდინონ ტარიელი, ღალატით მოკლან იგი და, ამრიგად, ლაშქარს ჩამოაცილონ სარდალი, რის შემდეგაც ადვილი იქნება მისი დამარცხება (423).

ტარიელი ადრევე მიხვდა ხატაელთა განზრახვას, თანაც ჯაშუშმა გასცა მეფის საიდუმლო და ტარიელს აცნობა:

მეფე ცოტათ მოგეგებვის, ვის მჭერეტნი ვერ გელევიან;
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან;
ავამლსა შეიქმენ, ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან.
რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან (435).

თვით ომისათვის ხატაელნი საუკეთესოდ მომზადებულან: მოუწყვიათ და აუგიათ სამალავები და სიმაგრეები, დაუკომპლექტებიათ ლაშქარი რაზმებად და მრავალკეც შენაერთებად, დაუწესებიათ სიგნალები და სხვ. ტარიელის შეტევის შემდეგ ხატაელებმა

კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს,
სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს,
შექმნეს რაზმი მრავალ-კეცი (444)...

ტარიელი გაკვირვებულია ხატაელთა რაზმების „ურიცხვობით", სამხედრო დისციპლინით და აღნიშნავს:

მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად (445).

ხატაელები მოხერხებულად იბრძვიან. ისინი მტერს ორმხრივ ესხმიან თავს: „თავნი ორგნით აქარავნესო", შენიშნავს ტარიელი მათ შესახებ, და — გარემომიცვეს, „ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდიო" (448).

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხატაეთის ლაშქარში აღმოჩნდა ჯაშუშიც. ეს ერთადერთი შემთხვევაა საკუთარი სამშობლოსადმი ჯაშუშობისა პოემაში. ერთი სიტყვით, თუმცა სტრატეგიული გააზრებით და ტაქტიკური ხერხებით იბრძოდა, ხატაეთის ლაშქარი მაინც დამარცხდა. ეს დამარცხება კი ხატაელებს უდიდეს ეროვნულ უბედურებად მიაჩნიათ:

საღამო ჟამ დაიზახა ჭედით მათმან დარაჯამან:
„ნუღარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან,
მოვა მტკვერი საშინელი, შეგვაშინა ამად ამან" (449).

ასლა თვალი გადავავლოთ ტარიელის ხატაეთზე ლაშქრობის მიზეზებსა და მიზანდასახულობას.

ტარიელმა ნესტანის დავალებით ხატაეთზე გაილაშქრა, ხატაეთის ჰეფე და მისი ლაშქარი დაამარცხა, ხატაეთი ინდოეთს დაუმორჩილა და მეფეც ტყვედ წამოიყვანა. ერთი შეხედვით, ნესტანისა და ტარიელის ასეთი ნაბიჯი შესაძლოა ახსნილ იქნას, როგორც აშკარა აგრესიული აქტი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ნამდვილად კი საქმის ვითარება ასეთია.

ტარიელისადმი გაგზავნილ წერილში ნესტანი გვაძლევს თავისი მოთხოვნის შემდეგ დასაბუთებას:

> ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
> აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია (377).

აქ ნესტანი აღნიშნავს, რომ ხატაელნი ინდოეთს უნდა უხდიდნენ ხარკს. ასე მომდინარეობს ისტორიულად. ნესტანიც დგას მხოლოდ ინდო-ხატაელთა ისტორიულად დადგენილი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შენარჩუნების საჭიროების ნიადაგზე. ამ ურთიერთობის ცალმხრივი დარღვევა ხატაელთაგან მიაჩნია ნესტანს ინდოეთის სახელმწიფო პრესტიჟის შელახვად. ამიტომ ავალებს იგი ტარიელს, აღადგინოს დარღვეული ურთიერთობა. სხვა აგრესიული მიზანი ნესტანს არა აქვს.

ასევე გაიგო მისი დავალება ტარიელმაც.

ტარიელმა გაილაშქრა ხატაეთზე. მაგრამ ეს ლაშქრობა არ ისახავდა მიზნად უცხო სახელმწიფოს დაპყრობას, ანექსიას, გაუქმებას; ომი არ ატარებდა ნაციონალურ-შოვინისტურ, ხალხთა უპრინციპო ჟლეტის ხასიათს, იგი არც რელიგიურ-სექტანტური მიზნით ნაკარნახევი ბრძოლა იყო.

უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ ტარიელი არც ხატაელთა ეროვნულ სიწმინდეს — დროშას შეხებია, არც რელიგიურ სიწმინდეს — ტაძრებს და სალოცავებს. როგორც კი ხატაელთა ლაშქარი და მეფე დამარცხდნენ, ტარიელმა ბრძოლა შეწყვიტა და მხოლოდ მეფე და ლაშქარი დაატყვევა:

> რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით,
> მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით (451), —

შენიშნავს ტარიელი. დამარცხებულ და გაქცეულ ხატაელებს არ ქლეტენ:

უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ, გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა (452), —

გვიამბობს სარდალი [1]. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ტარიელმა რამდენიმე სამხედრო ხასიათის ბრძანება გასცა სიმაგრეთა, ქალაქების, ტყვეებისა და სხვათა შესახებ, ხოლო მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობას ხელი არ ახლო. პირიქით, მან სპეციალური, განსაკუთრებული ბრძანებით მოუწოდა მოსახლეობას და მისცა მას უშიშროების გარანტია. თვით ტარიელი მოგვითხრობს: ბრძოლის დამთავრების შემდეგო:

ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: „იყვენით თქვენ უკრძალავად“ (459).

ინდოეთს გამარჯვებით დაბრუნებული ტარიელი პატივით წარადგენს ხატაეთის ტყვე მეფეს ინდოეთის მეფის ფარსადანის წინაშე. ტარიელი ანის შესახებ შენიშნავს:

ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე (468).

ამ ეპოპეას მოჰყვა ინდოეთის და ხატაეთის დამეგობრება. ხატაელთა მეფე პატივით მიიღო ფარსადანმა:

ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი საკვანე (468).

თანაც გააფრთხილა:

... ნუ გნახავთ კვლაცაღა ჩვენს წინა გაწბილებულსა (470)...
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია (471).

რამაზ მეფე მეტად კმაყოფილია, ალბათ, იმის გამო, რომ მას შეუნარჩუნეს ტახტიც, დამოუკიდებლობაც:

ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,
მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.
თუღა ოდეს შეღაცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა“ (472).

---

[1] ალ. ბარამიძე, რუსთაველის კრებული, გვ. 92.

დასასრულ, ამ მეგობრობის გულწრფელობაზე მიუთითებს ისიც, რომ რამაზ მეფეს არც ერთი ტყვე მძევლად არ დაუტოვებია ინდოეთში:

წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა (472),—

მოგვითხრობს ტარიელი.

ასეთი გულწრფელი მეგობრობით დასრულდა ორ მეზობელ ხალხს შორის ატეხილი ეს დიდი ბრძოლა, რომელსაც, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ნაციონალისტურ-შოვინისტური, დაპყრობითი ხასიათი ჰქონოდა.

თვით სიუჟეტური რკალი პოემისა გააზრებულია, როგორც ხალხთა ბრწყინვალე მეგობრობის დემონსტრაცია. ავთანდილმა გაცნობის დღესვე უთხრა ტარიელს:

ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა! (298).

ამ გულთბილი შეგობრული გრძნობის გამომჟღავნებაში და მთელ შემდგომ მეგობრობასა და თავდადებაში ხელი არ შეუშლია იმ გარემოებას, რომ ტარიელი ინდოელია და ავთანდილი — არაბი. ასევე თინათინმა ნება დართო ავთანდილს წასულიყო იგი ნესტანის საძებრად, ე. ი. დახმარებოდა ინდოელ მეგობარს; ფატმანმა უდიდეს ბედნიერებად ჩათვალა ნესტანისა და ტარიელის შეერთება. როდესაც მას ავთანდილმა გაუმჟღავნა თავისი ნამდვილი ვინაობა და მისვლის მიზანი, და სთხოვა დახმარება, ფატმანმა ამაღელვებელი, აღფრთოვანებით აღსავსე პასუხი მისცა:

ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო, რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი უკვდავებისა სწორანი“ (1268).

ქაჯეთში გაგზავნილ მონას მან უთხრა:

აწ გამოჩნდების სახმრობა ჩემი შენისა გრძნებისა,
ფიცხლად დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა,
მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა (1269).

და ა. შ. პოემის ყველა გმირი პატივს ცემს უცხო ქვეყნელ მეგობრებს, მათ სამშობლოს, პატრიოტულ გრძნობებსა და ინტერესებს. მაგრამ მათ შორის განცალკევებით დგას როგორც ტარიელის დახმარება

ფრიდონისადმი მულღაზანზარის გაერთიანების საქმე[illegible], რომელზედაც უკვე შევჩერდით, ასევე ავთანდილის მთელი მოღვაწეობა, რომლის ფილოსოფიურ დასაბუთებასაც იგი გვაძლევს „ანდერძში".

ავთანდილი „ანდერძში" ფილოსოფიურად ასაბუთებს თავისი გაპარვის აუცილებლობას.

> მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
> „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" (789),—

მიმართავს ავთანდილი მეფე როსტევანს და განაგრძობს:

> რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
> მე რად გავწირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა?
> არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
> მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა (790).

მიტომ ვსწავლობთ, რომ ვეზიაროთ, შევერთოთ სამყაროს უზენაეს წყობას, სამყაროს წყობის უზენაეს კანონებსო, ამბობს ავთანდილი, რომლის დარღვევადაც თვლის იგი ტარიელისადმი, ძმაზე უმტკიცესი ძმისაღმი, ღალატს. ავთანდილის ამ ფილოსოფიური კონცეფციით, უკეთ ქვეყნელთა ჰგავობა სამყაროს წყობის ერთ-ერთი უზენაესი კანონია.

ამრიგად უნდა დავასკვნათ, რომ რუსთაველის პატრიოტიზმი არ ატარებს ნაციონალისტურ-შოვინისტურ ხასიათს; ეს პატრიოტიზმი რამდენად საკაცობრიო გრძნობაა, სრულქმნილი ადამიანის ნამდვილი საკაცობრიო იდეალი. რუსთაველს სწამს როგორც საკუთარი, ისე სხვისი სამშობლო. რუსთაველი ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის უდიდესი მქადაგებელია.

ამრიგად, ეჭვი არაა, რუსთაველის შემოქმედებაში ასახვა უპოვნია პატრიოტულ მისწრაფებებს, ეროვნულ სულისკვეთებასა და ნაციონალურ იდეალებს. რომელი ქვეყნის ეროვნული მისწრაფებების გამოხმაურებაა რუსთაველის ნაციონალური ტენდენციები, მის პოემაში გატარებული ეროვნული ერთიანობის იდეალები?

რუსთაველმცოდნეობაში უკვე მრავალგზის არის აღნიშნული, რომ „ვეფხისტყაოსნის" ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული ყოფის სურათები ქართულია. ამის დასტურად თუნდაც ის გარემოება კმარა, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების,

პოლიტიკური მართვა-გამგეობის, სახელისუფლო, სოციალური, საეხედრო და სხვ. სპეციალური ტერმინები, რომელთა მეშვეობითაც დიდი მგოსანი თავისი პოემის ქვეყნებისა და მათი დედაქალაქების პოლიტიკურ სინამდვილეს, მართვა-გამგეობის ფორმებს, სოციალურ წყობას, სამხედრო საქმეს და სხვა მოვლენებს ასახავს, როგორიცაა: მეფე, ვაზირი, ამირსპასალარი. ჭაშნაგირი, მოლარე. ეჯიბი, შეაბჯრე. პატრონი, დიდებული, უხუცესი, დარბაზი, დარბაზობა, ვაზირობა, სახელო, საურავი და სხვ. იგივე სახელები და ტერმინებია, რომელთა მეშვეობითაც XII — XIII საუკუნეების ქართულ შესატყვის სინამდვილეს გადმოგვცემენ და გვისურათებენ არა მარტო თამარის მემატიანენი, არამედ ცნობილი „ხელმწიფის კარის გარიგებაც", ძეგლი, რომლის აღმოჩენასაც თვით მისმა მომპოვებელმა „საქართველოს ისტორიის ზეიმი" უწოდა. მაგრამ ეს ტერმინები და სახელები იმ ქვეყნებში, რომლებიც პოემაში იხსენიება, სრულიად სხვა იქნებოდა, ისევე როგორც განსხვავებული იქნებოდა ქართულისაგან ხსენებული ქვეყნების შესატყვისი სინამდვილე.

შევჩერდეთ ზოგიერთ ასეთ განმასხვავებელ მაჩვენებლებზე.

რუსთაველმცოდნეობაში არაერთხელ უცდიათ დაემტკიცებინათ, რომ შვიდ სამეფოდ გაყოფილი ინდოეთი იგივე საქართველოა; რომ თინათინი და ნესტანი იგივე თამარია; რომ ავთანდილი დავით სოსლანია, ან რუსთაველი; ტარიელი დემნაა, ან რუსთაველი და ა. შ.; რომ პოემაში მოცემულია საქართველოს XII საუკ. სასახლეების და ისტორიულ პირთა ალეგორიული გამოხატვა და სხვ.

ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა პოემის გმირთა ასეთი მექანისტური გაიგივება ისტორიულ პირებთან, ან პოემის სხვადასხვა ეპიზოდებისა — საქართველოს ისტორიის კარგად ცნობილ ფაქტებთან, რადგან არც ერთი დიდი მხატვარი ცხოვრებაში მოცემულის ფიტოგრაფიულ გადახატვას არ ახდენს. მაგრამ უდავოა, რომ „поэма эта, как зеркало, с поразительной точностью отображает все детали жизни феодального грузинского общества эпохи царицы Тамары"[1].

მართლაც, აკად. ნ. მარიც კი, 1910 წელს პირველი თვითონ მივიდა

---

[1] К. Кекелидзе. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Тбилиси, 1939, стр. 59.

იმ დასკვნამდე, რომ პოემაში ასახული ქალის კულტი, მიჯნურობა, რაინდობა საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრების ანარეკლი და მისივე იდეალია. იგივე ნ. მარი სწორედ შენიშნავს, რომ ძმადნაფიცობაც, რომელსაც ასე დიდი როლი აქვს დაკისრებული პოემაში, ქართული სინამდვილის ანარეკლია [1].

ეს მხოლოდ დასაწყისში იყო ახალი ეტაპისა რუსთაველმცოდნეობაში. მალე მტკიცედ გამოირკვა ბევრი საყურადღებო გარემოება, რომელთაც აქ აღარ გავიმეორებთ. შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მაჩვენებლებზე.

პოემაში, როგორც გამორკვეულია, ასახულია პატრონყმური სოციალური ურთიერთობა [2].

მაგრამ ქართული პატრონყმობა ძალიან ჰგავდა დასავლეთ ევროპულს, ამიტომ მნიშვნელობას არ არის მოკლებული განსხვავების დადგენა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ პატრონყმობას არ ახასიათებდა შეუვალობა, immunitet-ი, რაც ახასიათებდა დასავლეთ ევროპულ საფეოდალოებს და მათ სრულ, დამთავრებულ პოლიტიკურ ერთეულებად აქცევდა: „ქართულ საპატრონო ქვეყანას და პატრონებს სახელმწიფოებრივი უფლება აკლდათ და სრულებით ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულებად ვერ ჩაითვლებიან“, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი [3].

პოემაში წარმოდგენილი ვასალური ქვეყნები და ფეოდები დამოუკიდებელ ერთეულებად ვერ ჩაითვლებიან:

დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მაისა სცნობდი (156).

სასახლიდან დირექტივებს მიიღებდეო, ეუბნება უცხო მოყმის საძებრად გამგზავრების წინ ავთანდილი შერმადინს, რომელსაც თავის ნაცვლად ტოვებს საფეოდალოს გამგებლად. როდესაც ავთანდილი გაიპარა უკვე ძმადნაფიცი ტარიელის დასახმარებლად, მან კიდევ უფრო გარკვევით დაუბარა შერმადინს:

აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე (779).

---

[1] Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, С-Петербург, 1910, XXXVII—XXXVIII.

[2] პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. მე-2, გვ. 101 — 102.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა დეტალი.

როდესაც სარიდახმა თავისი სამეფო შეუერთა ფარსადანის სამეფოს, რამაც ინდოეთი გააერთიანა, ამ ფაქტით გაუქმებულ იქნა სარიდანის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მადლიერმა ფარსადანმა სარიდანს სამაგიეროდ უბოძა „ერთი სამეფო საკარგყმო“, აგრეთვე ამირბარობა. ტრადიციით კი

თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა (316),

რაც იმას ნიშნავს, რომ ინდოეთის საზღვაო და სახმელეთო სამხედრო ძალებს ერთი მინისტრი ჰყავს, ერთი ვაზირი ხელმძღვანელობს. ამრიგად, სარიდანი კვლავ დიდი სამეფოს მფლობელად დარჩენილა, რასაც დართვია ახალი პატივი: გაერთიანებული ინდოეთის ამირბარ-ამირსპასალარობა. გამოდის, რომ სარიდანი უფრო აღზევებულა, მისი უფლებები გაფართოებულა... მაგრამ რუსთაველი არ ივიწყებს შენიშნოს: სარიდანი ახალ ვითარებაში

სხვად პატრონია, მართოდენ არა აქვს კეისარობა (316)...

როგორც თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, საქართველოს სამეფო კართან ინიშნებოდა და ქვეყნის მართვა-გამგეობას განახორციელებდა არა ერთი, როგორც ეს აღმოსავლეთში ხდებოდა ხოლმე, არამედ რამდენიმე ვაზირი [1]. მანვე აღნიშნა [2] და აკად. ე. შიშმარიოვმაც, მასზევე დაყრდნობით, ქართული სინამდვილის ანარეკლად მიიჩნია ის გარემოება, რომ არაბეთის, ინდოეთისა და სხვ. ქვეყნების სამეფო კართანაც, პოემის მიხედვით, ჩანს არა თითო, არამედ რამდენიმე ვაზირი [3].

მაგრამ რამდენიმე ვაზირი ჰყავდა ბიზანტიის სამეფო კარსაც. ასეთ ვითარებაში გაჭირდებოდა პოემის მრავალვაზირიანობა უსათუოდ ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და მართვა-გამგეობის ფორმების ანარეკლად ჩაგვეთვალა რაიმე ნიშანდობლივი მაჩვენებლის გარეშე, მით უმეტეს, რომ პირველ ვაზირებს ბიზანტიის სამეფო კარზეც ვხვდებით.

---

1 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. პირველი, გვ. 116—140.

2 იქვე, გვ. 121, სქ. პირველი.

3 შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია), ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 3, 1958, თბ., გვ. 241.

ერთ ასეთ მაჩვენებლად რუსთაველმცოდნეობაში უკვე იმ გარემოებას თვლიან, რომ პოემისეული ინდოეთის სასახლეში დარბაზობას, მსგავსად 1212 წლამდე საქართველოს სამეფო კარზე მიღებული წესისა, ოთხი ვაზირი ესწრება [1]. საქართველოს სამეფო კარზე ეს პრივილეგირებული ვაზირები იყვნენ: მწიგნობართუხუცესი — (იგივე ვაზირთა უპირველესი), ამირსპასალარი, მეჯურჭლეთუხუცესი და მანდატურთუხუცესი. 1212 წლიდან ასე „მცირე წესით“ შეკრებილ დარბაზს მეხუთე წევრიც, ათაბაგიც, შეემატა. პოემაში ასახულია 1212 წლამდელი ვითარება: მიხმეს რა მეფე-დედოფალმა სასახლეში, მიველი,

ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა (507), —

გვიამბობს ტარიელი (მეოთხე თვით ტარიელია; დედოფალი დარბაზობას ესწრება, რადგან დღის წესრიგშია ნესტანის გათხოვების საკითხი).

არანაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ ბიზანტიაში პირველი ვაზირის თანამდებობა არამყარი იყო: მეფეს შეეძლო ამ თანამდებობაზე არავინაც არ დაენიშნა [2].

სხვა მდგომარეობა იყო საქართველოში. ჩვენი „ვაზირთა ყოველთა უპირველესის“ თანამდებობა მტკიცედ დადგენილი კონსტიტუციური მომენტი იყო. ის მთავრობას მეთაურობდა და მის მუშაობას ხელმძღვანელობდა. სწორედ მის შესახებ ლაპარაკობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „თავ ადგა... პატრონისა მსახურებათაო“... [3] იგი დიდი უფლებებით და ნდობით იყო აღჭურვილი, იმდენად დიდით, რომ „ქარის გარიგებით ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“ (გვ. 4). იმოწმებს რა ამ ცნობებს, აკად. ივ. ჯავახიშვილი მართებულად დაასკვნის: „ყველა ამ მხრივ საქართველოს მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი ბიზანტიისას არ მიაგავდა“ [4].

პოემაში კი ვაზირი სოგრატი არის „მოახლე მეფისა დასთა დასისა“ (44), ანუ მეფის მსახურია, იგულისხმება — ძეფის მთავრობის ხელმძღვანელი. შეცდომას ჩავიდენდით, თუ ჩვენ ერთი წუთით დავუშვებდით, რომ დამოწმებული ფრაზა პოემაში შემთხვევითია. ეს არა მხო-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. პირველი, გვ. 140.

2 იქვე, გვ. 116 — 140.

3 ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 337.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. პირველი, გვ. 140.

ცოდ იმიტომ, რომ მასში ყოველ ცალკე სიტყვასაც კი ისეთივე მტკიცედ განსაზღვრული ადგილი უჭირავს, როგორც მოზაიკურ ძეგლში — თითოეულ ქვას, ან მათემატიკურ ფორმულაში — მის რომელიმე თუნდაც უმარტივეს წევრს, არამედ იმიტომ, რომ ავთანდილი სოგრატს

> ეტყვის: შენი დაბალული დარბაზს არა არ იქმნების,
> რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების (732).

მართალია, არის განსხვავებაც. საქართველოს ვაზირთა ყოველთა უპირველესს მწიგნობართუხუცესის მაღალი თანამდებობაც ეჭირა. ის საეკლესიო პირია, ჭყონდიდის ეპარქიის ეპისკოპოსი და ამის გამო, იმავე „კარის გარიგებით“, „რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა (მისი) სახელიისა“ არის (იქვე). სოგრატს კი ეკლესიასთან არაფერი აქვს საერთო. მაგრამ, როგორც ვიცით, რუსთაველი ეკლესიას შეგნებულად ავუალირებს და უგულებელყოფს. ამის გამოა, რომ პოემაში ერთი სიტყვითაც არ იხსენიება „საეკლესიონი დასნი“. სამაგიეროდ მასში ლაპარაკია „მეფისა დასთა დასის“ შესახებ, რომელსაც მეთაურობს სოგრატი...

სწორედ მათი მეშვეობით განახორციელებდა მეფე გაერთიანებულ, სრულიად საქართველოს მოვლა-პატრონობას.

ამ გაერთიანებას კი წინ უძღოდა ფეოდალური სამთავროების, სამეფო გვარეულობათა და მოწინავე საზოგადოებრივი ფენების ხანგრძლივი, მტკიცე და ენერგიული ბრძოლა. ეს ფენები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილდღეობას მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებაში და სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებაში ხედავდნენ. ჯერ კიდევ ღვაწლმოსილი შუშანიკი გაეყარა ქმარს, როგორც სამშობლოს მოღალატესა და რენეგატს, რისთვისაც მოწამეობრივი გვირგვინი დაიდგა; VIII საუკ. მოღვაწე იოანე საბანისძე თავის ხალხს უხსნიდა, განუმარტავდა: აბო არ არის ერთი კუთხის თუ პროვინციის მოღვაწე, ის „ყ ო ვ ე ლ ს ა ა მ ა ს ს ო ფ ე ლ ს ა ჩ უ ე ნ ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ს ა მ ე ო ხ ე ბ ა ჩ უ ე ნ დ ა“ მოგვანიჭა ღმერთმა, აბო მთელი ქართლის ეროვნული გმირიაო. ამ ხანიდან ფეხს იკიდებს საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველი ტომების ერთიანობის საპატიო იდეალი, რასაც X საუკ. გამოჩენილმა მწერალმა გ. მერჩულემ ეროვნული დეკლარაციის სახე მისცა: „ქართლად ფრიადი

ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ქამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. აქედან დიდი მანძილი აღარ დარჩენილა საქართველოს გაერთიანებისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე. მართლაც, ამავე საუკუნის მოღვაწე იოვანე მარუშისძე უკვე ეროვნული გაერთიანების გზებს სახავდა, პრაქტიკულ საშუალებებს ეძებდა და თავგამოდებითაც იღწვოდა ამ გაერთიანებისათვის. სწორედ მისი აქტიური დახმარებით გააერთიანა ბაგრატ III-მ საქართველო ერთ სამეფოდ.

ამრიგად, საქართველოს გაერთიანებას შოთას დროს უკვე ჰქონდა თავისი ისტორია. მაგრამ ეს ისტორიული პროცესი ცნობილია არა როგორც ჰარმონიით სავსე, მყუდროებისა და მშვიდობიანი ეროვნული აღორძინების, არამედ როგორც მრისხანე ამბოხებებით, შეთქმულებებით, განდგომებით სავსე პროცესი, როცა ეროვნული მთლიანობის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციული ელემენტებიც „მოღვაწეობდნენ“. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ბაგრატ III იძულებული გახდა ძალით აეღო ქართლის ციხეები და არსებითად შინაურ პატიმრობაში აეყვანა თვით საკუთარი დედაც კი, გურანდუხტ დედოფალი, რომელიც ქართლის განდგომილ აზნაურებს მეთაურობდა[1], სასტიკად გასწორებოდა კლარჯ ხელმწიფეებს, თავისი მამის დისწულის შვილებს, სუმბატ და გურგენ არტანუჯელის ძეთ[2], მკაცრად დაესაჯა კახეთ-ჰერეთის ფეოდალები და სხვ., ან მოვიგონოთ ისეთი თავგასული ფეოდალის ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ, როგორიც ლიპარიტ ორბელიანი იყო, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ამ ეპოქის ტენდენციებზე. „თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ქართველმა ერმა დიდი ძალღონე შეალია... განცალკევების მიდრეკილების საწინააღმდეგო ბრძოლას“, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი[3].

თვით თამარის ეპოქაც აღსავსეა მღელვარებებით. რუსთაველი, როგორც უაღრესად მაღალგონიერი და განათლებული პიროვნება, ვერ დარჩებოდა ისტორიის პასიურ დამკვირვებლად. იგი იძულებული იქნებოდა მიმხრობოდა ან სახელმწიფოს მთლიანობის დამცველ, პროგრესული ელემენტების დასს, ან თავგასული ფეოდალების მხარე დაე-

---

1 ქაროლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 276.

2 იქვე, გვ. 283.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. მე-2, გვ. 113.

ჭირა. რუსთაველი გადაჭრით იზიარებს ეროვნული მთლიანობის მოძღვრებას და თავის პოემაში ფართო გასაქანს აძლევს თავისი ეპოქის მოწინავე საზოგადოებრივი ფენების პატრიოტულ და საკაცობრიო იდეალების ასახვას. პოემის გმირთა ეროვნულ-პატრიოტული იდეალები ეროვნულ სინამდვილეზეა აღმოცენებული და მისივე გამომხატველია. მაგრამ პოემის ავტორი მაღალმხატვრული ოსტატობით ახერხებს განაზოგადოს ეს სინამდვილე.

ზედმეტი არ იქნება ამის ნათელსაყოფად ისევ ჩვენი ქვეყნის ისტორიას დავუბრუნდეთ.

X საუკ. საქართველო რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი: ტაო-კლარჯეთ-მესხეთი (სამხრ. საქართველო) ცალკე სამეფოს წარმოადგენდა და მის ტახტზე მეფე დავით კურაპალატი იჯდა, აფხაზეთის (დასავ. საქართველო) ტახტს ბრმა მეფე თეოდოსი ფლობდა, კახეთს კახელი ქორ-ეპისკოპოსები პატრონობდნენ, ხოლო თბილისი ჯერ კიდევ არაბთა მფლობელობაში იყო, თუმცა ქართლის ტახტი მეფე ბაგრატ II რეგვენს ეკუთვნოდა. და აი, მეფე ბაგრატ II რეგვენის შვილიშვილი, გურგენის ვაჟი ბაგრატი (შემდეგში მეფე ბაგრატ III), ზემოდასახელებული იოვანე მარუშისძის რჩევით, იშვილა უშვილო, უმემკვიდრეო დავით კურაპალატმა. ბუნებრივია, რომ დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ სამხრეთ საქართველოს ტახტიც ბაგრატს გადაეცემოდა. განსაზღვრული ისტორიული პირობების გამო ასევე ბუნებრივად დასავლეთ საქართველოს ტახტიც დედასამშობლოს უერთდებოდა.

აქ უმჯობესია სიტყვა კვლავ ქართველ მემატიანეებს მივცეთ. „და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა, იოვანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერ-მრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა, აუწყა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თვით. ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსაც ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი [1]". ასეც მოხდა. დავითმა აიღო ქართლი და „დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ჰასაკითა თვისითა უსრულ, ამისათვის თანაგანმგებლად დაუტევა მამა მისი გურგენ, შემოიკრიბნა ქართველნი აზნაურნი და

[1] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 272.

უბრძანა: „ესე (ბაგრატ — მ. მ.) არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილეხით ყოველნი“ [1].

მეძატიანის ეს ცნობა უდიდესი ყურადღების ღირსია ჩვენი საკითხის თვალსაზრისითაც. დავითმა დაიპყრო ქართლი, მაგრამ მან ქართლის ტახტი ბაგრატს გადასცა და მას „განმგებლად“ დაუტოვა მისივე მამა, ბაგრატ II რეგვენის ძე, გურგენი, მეფეთა-მეფე. ამრიგად, დავითმა ქართლის ტახტი თვით კი არ დაიჭირა, იგი ფაქტიურად გურგენს ჩააბარა იმ მოტივით, რომ გურგენის ძე ბაგრატი (შემდეგში — ბაგრატ III) იყო „მკვიდრი ქართლისა“, როგორც გურგენის ძე, და აფხაზეთისა, როგორც „ასულისწული... აფხაზთა მეფისა“ (აფხაზეთის მაშინდელ მეფეს, უსინათლო თეოდოსის სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა). ამრიგად, „საქართველოსა სრულისა“ მემკვიდრე იყო ბაგრატი, და არა დავითი. ამიტომ იშვილა უმემკვიდრეო, უძეო დავით კურაპალატმა ბაგრატი. ამ უკანასკნელი აქტით ბაგრატის ხელში გადადიოდა ტაოს სამეფოც, ანუ ნამდვილად „საქართველოსა სრულისა“ სამეფოთა მემკვიდრეობა (გარდა კახეთის და სხვა წვრილი საერისთაოებისა) და საქართველო ერთი სკიპტრის ქვეშ ერთიანდებოდა. სწორედ ამიტომ განუცხადა დავითმა ქართლის აზნაურებს: „მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე (ბაგრატის), ამას დაემორჩილენით ყველანიო“, და თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოსაზრებაც მხოლოდ იმით დაასაბუთა, რომ „ესე (ბაგრატ) არის მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა“. ძნელი არ არის ვიცნოთ დავით კურაპალატის ქართლის აზნაურებისადმი მიმართვის დიდი ნათესაობა სარიდანის მოღვაწეობასა და მოციქულობასთან ფარსადან მეფის წინაშე:

შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,
ან მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა, ერთგულად ნამსახურისა (314).

ცხადია სამშობლო ქვეყნის ისტორიაშიო.

დაქსაქსული კუთხეების გაერთიანება ერთ ეროვნულ ერთეულად — აი, მიზანი როგორც ისტორიული დავითის, ისე პოემის გმირის სარიდანისა.

---

1 ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 274.

მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო მიზანთა, არამედ კზების ერთგვაროვნებაც, რომლითაც ეს მოღვაწენი მიდიან. მართლაც, დავითმა თავისი ნებით იცნო და აღიარა ბაგრატის უმაღლესი ხელისუფლება საქართველოში, იცხო და აღიარა იგი „მემკვიდრედ“ და მეფედ, და ხელიც აიღო სუვერენიტეტზე, რადგან თავისი თავი ბაგრატის მოურავად და თანაშემწედ გამოაცხადა. სარიდანმაც თავისი ნებით იცნო და აღიარა ფარსადანის უმაღლესი ხელისუფლება ინდოეთში, იცნო მის წინაშე „ძალი გულისა“, აღიარა იგი „ინდოეთისა სრულისა“ მეფედ და ხელიც აიღო „კეისრობაზე“.

დეტალების ასეთი ერთგვაროვნება, უფრო სრულადაც რომ გვეელინებოდეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სარიდანისა და ბაგრატის იგივეობას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეცნიერულად არ ვთვლით ასეთ არქეოლოგიურ ძიებას და იმის დადგენას, თუ ვინ ვის უდრის საქართველოს ისტორიიდან „ვეფხისტყაოსანში“ და რა—რას. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ რუსთაველის ეროვნული იდეალები ერთი ხალხის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიკეთისა, სარგებლიანობისა და აუცილებლობის შესახებ, რისთვისაც მეფეები თავისი ნებით იღებენ ხელს სუვერენიტეტზე, ჩვენი ეროვნული სინამდვილის შვილია, მართალია, ოდნავ შეფერადებული მხატვრის მიერ.

პოემაში გვხვდება საყურადღებო ეპიზოდი, რომელშიაც ასახულია ქვეყნის ეროვნული გაერთიანება არა ნებაყოფლობით, არამედ სამხედრო ძალის მეშვეობით, სამხედრო ღონისძიებებით. ასეთია ფრიდონის სამეფოსთან მისი ბიძაშვილების სამფლობელოს ხმლით შემოერთების ისტორია. საქართველოშიც, როგორც აღნიშნული გვქონდა, არა ერთი და ორი ბრძოლა იქნა გადახდილი ამ მიზნით. ამ ბრძოლებისა და სეპარატისტულ მისწრაფებათა ანარეკლი უნდა იყოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოემაში დაცული ყრუ გამოძახილი იმის შესახებ, რომ სარიდანის, მეფე-გამაერთიანებლის, გარდაცვალების გამო.

ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება „იშისა“ (334).

უფრო საყურადღებოა სხვა პარალელები. ბაგრატ მეფის დამოკიდებულება თავისი მამიდაშვილებისა და მათი შვილებისადმი ბევრ რამეში გვაგონებს ფრიდონის დამოკიდებულებას თავისიანებისადმი. მართლაც, მემატიანე მოგვითხრობს: ბაგრატმაო „მიიყვანა ესე ირნი ძმანი კლარჯთა ჴელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტან-

უჯელისანი (თავისი მამის დისწულისანი)... დარბაზობად მის წინაშე. ცხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგნი და აღიხუნა ციხენი და ქალაქნი მათნი. რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხეას შინა თმოგვისასა და მუნ... გარდაიცვალნეს" ორიენნი... ხოლო „ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე" გარდაიხვეწნენ კონსტანტინოპოლში, საერთოდ კი „მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამა ქვეყანას, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა" [1].

საქართველოს ისტორიის ეს ფრაგმენტი უნდა იყოს ასახული და მისი მიხედვით იყოს შესრულებული ფრიდონისეული ეპიზოდის ზოგიერთი დეტალი. მართლაც, ფრიდონმა დაატყვევა ბიძაშვილები, წაართვა მათ ქალაქი და მათი სამფლობელოც შემოიერთა. როგორ გვაგონებს სამშობლოს გაერთიანების იდეით ანთებული ბაგრატის სახე ამავე იდეით განათებულ ფრიდონის სახეს:

... ღხინი საჩემო მაგას არ შეეწონების.
დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონებისო (610),—

უთხრა მან ტარიელს პასუხად, როცა მისგან სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში დახმარების დაპირება მიიღო. ამ ბრძოლაში

იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია (616),

ფრიდონიო, გვიამბობს ტარიელი, და განაგრძობს:

თვით ორნივე ბიძა-ძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა,
ხელნი წმიდად დაეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა,
მოიყვანნა მხარ-დაკრულნი. ერთმან ორნი არ დაყარსა.
მათნი ყმანი აატირნა, მისნი ყმანი ამაყარნა (617).

ქართულია რუსთაველის მოძღვრებაც სამეფოთა და მეფის ხელისუფლების შესახებ, რომლის ღაღადისითაც იწყება თვით პოემა:

რომელმან შექმნა სამყარო...
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა (1).

ეს მოძღვრება ჩვენში საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა როგორც თეორიულად, ისე, თუ შეიძლება ითქვას, ერის ცხოვრება-

[1] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 283.

შიც. ეს შეხედულება უთუოდ უნდა ჩაითვალოს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, პატრიოტული სულისკვეთების უმაღლეს გამოხატულებად, რადგან სწორედ მეფე იყო ეროვნული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის გამომხატველი საქართველოში და არა რეაქციული ფეოდალური წრეები, რომლებიც თავიანთი სასიცოცხლო ამოცანად სწორედ ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცებას, დანაწილებასა და დაქვეითებას სახავდნენ.

უკვე მეფობის აღდგენიდან დაწყებული რუსთაველის ეპოქამდე და შემდეგაც ქართული ისტორიული ქრონიკები და მატიანეები, სიგელ-გუჯრები და მხატვრულ-ლიტერატურული, ოფიციალური და არაოფიციალური დოკუმენტები ქართველ მეფეებს ყოველთვის „ნათესავთა ამათ მკვიდრად", „მფლობელად" იხსენიებენ, რომლებიც „სახელითა ღვთისითა" მეფობენ და „ნებითა უფლისათა" განაგებენ, რასაც „სინი თითქმის ყოველ სიგელშიც კი აღნიშნავენ ხოლმე: „სახელითა ღვთისათა მე თამარ ბაგრატონიანმან, ნებითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშმა და შაჰანშმა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან" ეს ბრძანება გავეცი, ან ეს სიგელი გავუბოძეო.

ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ რუსთაველის პოემაში გატარებული ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებანი და ტენდენციები ისეთივე ანარეკლი და ასახვაა ქართულისა, როგორც მისი პოემის ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური ელფერი XII საუკ. ქართული სოციალ-პოლიტიკური სინამდვილის.

1941 წ.

სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“

1. საკითხის შესწავლის ისტორიიდან

„ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნების შესახებ, ისევე როგორც თვით ქართული სამხედრო ხელოვნების შესახებ, ჯერჯერობით არა თუ მარქსისტული თვალსაზრისით დამუშავებული მონოგრაფია ან ისტორია არ მოგვეპოვება, არამედ მცირედი სერიოზული გამოკვლევაც არ არსებობს. სახელგამის მიერ 1937 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული 30 გვერდიანი ბროშურა[1], რომელიც ოდნავადაც ვერ გვაძლევს წარმოდგენას პოემის სამხედრო ხელოვნებაზე, ამასთანავე შეიცავს რიგ შეცდომებს და არასწორ ფორმულირებებს. გარდა იმისა, რომ ავტორი, სპეციალობით და პროფესიით სამხედრო პირი, ვერ ერკვევა რუსთაველის პოემის ბატალურ სურათებში, ვერ ახდენს მასში წარმოდგენილი ტაქტიკისა და სტრატეგიის სწორ გაანალიზებას, რომ მისთვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩა პოემისეული სამხედრო მონაცემების ეს მხარე, იგი იძლევა მცდარ დასკვნებს პოემის სამხედრო ხელოვნების სადაურობის შესახებ, როცა ცდილობს ეს ხელოვნება ახსნას, როგორც ეკლექტიკური მოვლენა, ნასესხები და უთუოდ უცხოური (არაბული, ბიზანტიური) გავლენის შედეგი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის „საქართველოსა და კავკასიის ისტორიის მასალებში“[2] გამოქვეყნებული ი. გედევანიშვილის „სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“ ასევე არასრულად მიმოიხილავს დასახულ თემას.

---

[1] პოლკოვნიკი ლ. გარსიაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“, სამხედრო ხელოვნების მასალები, სახელგამი, თბ. 1937.

[2] „საქართველოსა და კავკასიის ისტორიის მასალები“, 1939, ნაკვ. I, თბ., იგივე სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1938, № 5.

საკმარისია აღინიშნოს, რომ, ავტორის აზრით, პოემაში მხოლოდ ორი საყურადღებო ბრძოლა გვხვდება: ინდო-ხატაელთა და ქაჯეთისა. ავტორი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ტარიელისა და ფრიდონის მიერ ჰულღაზანზარის გაერთიანებისათვის გადახდილ შესანიშნავ საზღვაო და სახმელეთო ბრძოლებს. ამ ბრძოლათა გაანალიზების გარეშე კი შეუძლებელია რუსთაველის სამხედრო ხელოვნებაზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ [1].

სხვა რამ საყურადღებო კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ სტრიქონების ავტორის მიერ ჭუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნებულ ნარკვევებს [2] და ორიოდე სხვა კორესპონდენციას, რომელიც ამ ნარკვევების გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა, „ვეფხისტყაოსანის" სამხედრო ხელოვნების შესახებ ჯერჯერობით არაფერი მოგვეპოვება.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეშიც. ჯერ კიდევ გადაჭრა-გაშუქებას მოელის ქართული სამხედრო ხელოვნების პირველადი და ძირითადი პრობლემები. არ არის შესწავლილი და კრიტიკულად შეფასებული ქართველი და მეზობელი ხალხების მემატიანეთა და ქრონოგრაფების, მხატვრული და აგიოგრაფიული მწერლობის, სიგელ-გუჯრების და სხვ. ლიტერატურული და საისტორიო ხასიათის წერილობითი წყაროების ფასდაუდებელი ცნობები ქართული სამხედრო ხელოვნების შესახებ. დამუშავებას მოელის ენობრივი და მატერიალური კულტურის ნაშთები; ზეპირგადმოცემანი და ყველაფერი, რაც ნათელს მოჰფენდა ჩვენი წარსულის ამ ჯერ კიდევ მივიწყებულ სფეროს. ის ორიოდე წერილი, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე [3] მოიპოვება, და მცირეოდენი

---

[1] ეს ბრძოლები მხედველობიდან გამორჩა ზემონახსენები ბროშურის ავტორსაც.

[2] სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში", ტ. 4, 1942, „ვეფხისტყაოსანის" ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ტ. 5, 1946.

[3] Т. Дадешкелиани, Военная организация и боевой порядок грузинского войска в период 1089—1222 гг., „Известия Кавказского общества истории и археологии", т. I, выпуск второй, Тб. 1884 г.

იგივე წერილები ქართულად (შემოკლებით „ივერიასა" და „სახალხო ფურცელში"), ი. გე-ვა-ლი," სამხედრო ხელოვნება საქართველოში. ნიმუშები სამხედრო ისტორიიდან, თბ. 1915.

შენიშვნები უცხო ენებზე ხარეზს ოდნავადაც ვერ ავსებს. ამ წერილების ავტორები მხოლოდ ერთი ეპოქით, მე-11– 12 საუკუნეებით იფარგლებიან. ის გამაერთიანებელი და თავდაცვითი ომები, რომელთაც აწარმოებდა ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლამდე, მათ არ განუხილავთ. თვით გიორგი III-ის სამხედრო ღვაწლიც კი მათი ყურადღების გარეშე დარჩა. ამასთანავე, როგორც თ. დადეშკელიანი, ისე ი. გედევანიშვილი მე-12 საუკ. ქართულ სამხედრო ხელოვნებას განიხილავენ არა როგორც წინამავალ ეპოქათა ეროვნული სამხედრო ხელოვნების კანონზომიერ განვითარებას, საკუთარ ეკონომიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოშობილ მოვლენას, არამედ როგორც უცხო გავლენის შედეგად წარმოშობილ ფაქტს. ასე მაგალითად, ლაპარაკობს რა ქართული საბრძოლო წესის (боевой порядок) შესახებ, თ. დადეშკელიანი აღნიშნავს: „ქართველებმა ბიზანტიელებისაგან შეითვისეს სახაზო ტაქტიკა"[1]. ი. გე-ვა-ლი კი ამავე საკითხზე წერს: „თ. დადეშკელიანს ჰგონია, რომ ეს წესი ბიზანტიელებისაგან არის გადმოღებული, მაგრამ ეს შეცდომაა, აქ უფრო არაბული გავლენა ჩანს"[2].

მაგრამ, გარდა იმისა, რომ საკითხის ასე მარტივად გადაჭრა მეთოდოლოგიურად მიუღებელია, არავითარი ან თითქმის არავითარი დასაბუთება წარმოდგენილ დებულებათა ბჭენებულ ავტორებს არ მოეპოვებათ. ვხვდებით ცალკეულ არასიზუსტეებსაც. მართლაც, მარჭაფი (რეზერვის) შემოღება სამხედრო ხელოვნებაში საზოგადოდ დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის, და არა არაბების სახელთან. რეზერვის ბრძოლაში საღამო ჟამს ჩაბმა კი არავითარი გამასხვავებელი ნიშანი არ არის, რადგან რეზერვი ყოველთვის მაშინ ჩაებმება ბრძოლაში, როცა მოწინააღმდეგეზე გადამჭრელი იერიშის მიტანაა საჭირო. იქნება ეს საღამოს თუ შუადღისას — სულერთია; ან როცა მოწინააღმდეგის მოწოლას ვეღარ აჩერებენ ფრონტზე. ამას გარდა, ასეთი თითქოროლა ნიშანი არ განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნების, როგორც სისტემების, მსგავსება-განსხვავებას. ასევე შეუძლებელია სამხედრო ხელოვნების ამა თუ იმ მომენტის ან მთელი სისტემის სესხება-ზეგავლენაზე ლაპარაკი ისე, თუ ახსნილი არ იქნა ორი ქვეყნის პოლიტი-

[1] Т. Дадешкелиани, Военная организация и боевой порядок грузинского войска в период 1089—1222 гг.

[2] დასახელებული „სამხედრო ხელოვნება", გვ. 56.

კური, ეკონომიური, კულტურული ურთიერთობის, სოციალური ყოფის. ტექნიკის მონაცემების მსგავსების თუ განსხვავების პირობები და ვითარება. ის გარემოება, რომ არაბებმა მე-7 საუკ. დაიპყრეს საქართველო, სრულიადაც არ კმარა ვამტკიცოთ, რომ დამპყრობლებმა მოახდინეს უთუო გავლენა დაპყრობილებზე. პირუკუც ხომ ხშირად მომხდარა. მე-8 საუკ. აგიოგრაფი იოანე საბანის-ძეც სწორედ ამას ამტკიცებს: კულტურულად ჩვენ მაღლა ვდგავართ, ვიდრე ჩვენი დამპყრობელები[1].

ზემოდასახელებული ნარკვევების გარდა, დაინტერესებული მკითხველი მრავალ საყურადღებო შენიშვნასა და მოსაზრებას იპოვის ვახუშტი ბაგრატიონის, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის და სხვ. „საქართველოს ისტორიის“ ცალკეულ გამოცემებსა და შრომებში[2]. მაგრამ მათში მეცნიერული ღირებულების მიხედვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკად. ივ. ჯავახიშვილის მრავალტომიან „ქართველი ერის ისტორიას“, რომელშიც ვრცლად არის წარმოდგენილი ქართველი ხალხის მიერ გადახდილი ბრძოლების აღწერილობანი, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ აღწერილობანი, ყოველგვარი სპეციალური ანალიზისა და შეფასების გარეშე.

საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავენ ცალკეული მონოგრაფიები ქართველ მეფეებსა და გამოჩენილ სარდლებზე, როგორც, მაგალითად. ალ. ფრონელის, გ. ქიქოძის, შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის და სხვ. მაგრამ ამ უკანასკნელ ავტორებს ქართული სამხედრო ხელოვნება არ განუხილავთ როგორც სისტემა.

მიუხედავად ამისა ჩამოთვლილი ავტორები მაინც ყურადღების ღირსია. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ავტორები, განსაკუთრებით პირველი ორი, ცდილობენ გააანაწილონ ქართველი ხალხის სამხედრო წარსული, როგორც განსაზღვრული სამხედრო სისტემა, ქართული ტექნიკა (თ. დადეშკელიანი), ქართული სტრატეგია (ი. გე-ვა-ლი) და მიახლოე-

---

1 ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ. 1964, გვ. 57; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ. 1935, გვ. 58.

2 ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძის რედაქციით, თბ. 1885; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ. 1889; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ. 1909.

ბითი წარმოდგენა მაინც მისცენ მკითხველს ისტორიის ამ მონაკვეთზე. სამწუხაროა, რომ ამ ცნობებმა და მონაცემებმა ვერავითარი ასახვა და გამოხმაურება ვერ ჰპოვა ისეთ სერიოზულ და სოლიდურ ნაშრომში, როგორიცაა პროფ. ე. რაზინის მარქსისტული მეთოდით დამუშავებული „Очерки по истории военного искусства“[1].

2. „ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნება

„ვეფხისტყაოსანი“ იმ დროს წარმოიშვა, როცა დასავლეთის ხალხები დაქსაქსულნი იყვნენ საფეოდალო ერთეულებად, ხოლო ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ძლიერს, გაერთიანებულ მონარქიულ სახელმწიფოს, რომლის სათავეშიც თვითმპყრობელი მეფენი იდგნენ. ეს არის ძირითადი იმ პირობათაგან, რომლებიც განსაზღვრავენ მე-12—13 საუკ. ფეოდალური დასავლეთისა და ქართული სამხედრო ხელოვნების განსხვავებას.

მართლაც, ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების პირობებში არც მასშტაბით და მსხვერპლთა რაოდენობით, არც არმიის ორგანიზაციისა და საბრძოლო წყობის დარგში, არც ტაქტიკის, სტრატეგიისა და ბრძოლის წარმოების ხაზით გარდა მუდმივი ცხენოსანი ჯარისა ფეოდალური დასავლეთის ომები სამხედრო ხელოვნებაში მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენენ და ახალს არაფერს ქმნიან (ფ. ენგელსი).

სრულებით სხვაგვარია ქართული სინამდვილე.

გაერთიანების შემდეგ, როდესაც მთელს წინა აზიაში უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, მონგოლთა შემოსევამდე ჩვენი ქვეყნის სათავეში ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები და სამხედრო გენიოსები იდგნენ, როგორიც იყვნენ ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, დავით სოსლანი. მათს დროშას მიჰყვებოდნენ ახალციხელნი, მხარგრძელები, თმოგველები და სხვა გამოჩენილი სარდლები. თამარის ეპოქის არა მარტო სამხედრო, არამედ ქვეყნის ყველა წოდება და კლასი დაუფლებული იყო სამხედრო საქმეს. სხვას არც ეკლესია ჩამორჩებოდა. როდესაც ბანელმა ეპისკოპოსმა

[1] Очерки по истории военного искусства. М., 1956, I, 2.

უღალატა მეფე ბაგრატ IV-ს და ბიზანტიის იმპერატორს მიემხრო, „ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ უერთგულა ბაგრატს, ხელად ააშენა სიმაგრე „სვეტი“ და ოპიზის ეპისკოპოსთან ერთად, შავშეთის მცხოვრებთა დახმარებით და თავისივე სარდლობით მედგრად გაუმკლავდა ბიზანტიის ჯარს, რის შემდეგაც უნდა მინიშნებოდა მას, როგორც ფიქრობს ექვ. თაყაიშვილი, შავშეთის ერისთავობა [1].

აღარ შევუდგებით ქართული სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპების დადგენას. საკმარისია ზოგიერთი მომენტის აღნიშვნაც, რომ მის მაღალი დონისა და ხასიათის შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას.

მემატიანის ცნობით, ბასიანის ომში, რომელშიც ქართველებმა სახელოვნად გაიმარჯვეს, რუქნადინის ლაშქრის რაოდენობა 400 000 კაცით განისაზღვრებოდა [2]. იგივე მემატიანე გვაცნობებს, რომ „ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“, რომელმაც „განამზადნა საბრძოლველი მანქანანი მრღვეველმან და მარბიელმან და ამაოხრებელმან გარეშემოთა ქუეყანათამან“ [3].

როცა მეფე თამარმა განდგომილ მთიულთა დამორჩილება და ამბოხების ჩაქრობა დაავალა, „ივანე გონიერად ყო“, მოგვითხრობს იგივე მემატიანე. ათაბაგმა პირისპირ ბრძოლის ნაცვლად ტაქტიკური მნიშვნელობის მწვერვალი დაიკავა: „აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წუერი მთისა“, რომლის შემდეგ „ერთ-კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოეთი“. ამით ის აჯანყებულებს ზემოდან მოექცა და მათი ძალები გასთიშა. მაშინ „იწყეს ზეიდანღმა ბრძოლად“ და აჯანყება ჩააქრეს. ეს მანევრი თვით მემატიანის განცვიფრებას იწვევს, როგორც უმაგალითო მოვლენა სამხედრო ხელოვნებაში: „რომელი არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად“, აღნიშნავს იგი [4].

---

[1] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გამ. მესამე, ე. თაყაიშვილისა, 1949, გვ. 53; თვით „ქრონიკით“ (იქვე § 98), იხ. აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 386, — ეზრა ანჩელ ეპისკოპოსთან ერთად.

[2] ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 92–93.

ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, იხ. მ. მახათაძე. ქართლის ცხოვრების ერთი ადგილისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტ. შრომები, ტ. 8, 1947.

[3] ქართლის ცხოვრება, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 3.

მაგრამ უველაზე მნიშვნელოვანია მემატიანის ცნობა ერთ-ერთი ლაშქრობის შესახებ, რომლის მიხედვით გიორგი III-ე „ლიხთიქით ყოფასა და შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა შინა პაემან-შემქმნელმან, უბრძანა ტაოელთა. კლარჯთა და შავშთა მორბეკა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა-კარისა და აშორნისა, ამირ-სპასალარსა და სომხითართა-მტკუარს აქეთ და ვიდრე განძამდის, თვით ხასაგიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა — განძაის დამართებით მტკურის პირი იმერ და ამიერ ხლათამცის, ჰერთა და კახთა-ალაზნის შესართავით ვიდრე შირვანამდის; იქმნა ესე ვითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგრძე არაოდეს ვის ეხილა“ [1].

გიორგი III-ის მიერ გადახდილ ლაშქრობათა ძირითად ტაქტიკურ პრინციპსა და ტემპს იგივე მემატიანე ბიბლიურ ელია წინასწარმეტყველის ელვის ეტლით გატაცების სისწრაფეს ადარებს და ამბობს. რომ იგი იყოო „მსგავსი ვეფხისა მის ფრთოვანისა, წამსა შინა მლაშ ქვრელი“ [2].

ასეთ გარემოში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი“. იგი მე-12—13 საუკ. ქართული ცხოვრების ენციკლოპედიაა. ამიტომ არის, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნება ესოდენ მაღლა დგას შედარებით საშუალო საუკუნეთა და ფეოდალური დასავლეთის სამხედრო ხელოვნების დონესთან.

იმ დღეებში, როდესაც პირსისხლიანი ფაშისტური გერმანია და მისი საჰხედრო მანქანა განადგურებით ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას. ხოლო მონობის ბორკილებით — მთელს კაცობრიობას, ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით გამოვაქვეყნეთ ეს ნარკვევი. იგი ერთგვარად ნათელს ჰფენდა საბჭოთა კავშირის ხალხთა დაუშრეტელ სამხედრო ხელოვნების შემოქმედებითს პოტენციას, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთ საწინდარად მიგვაჩნდა ჩვენი აუცილებელი გამარჯვებისა სამამულო ომში, მეორე მხრივ, ვიმედოვნებდით, რომ იგი ხელს შეუწყობდა რუსთაველის სამხედრო ხელოვნების შესწავლისადმი ინტერესის ზრდას, რაც შესაძლებელს გახდიდა რუსთველოლოგიის მთელი რიგი ძირითადი პრობლემების ახალი თვალსაზრისით გადაჭრას.

---

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 16 — ზოგიერთი წაკითხვით — „რომლისა მსგავსი“...

[2] იქვე.

„ვეფხისტყაოსანში“, გარდა ცალკეულ გმირთა შეტაკებებისა ამა თუ იმ ჯგუფებთან (ტარიელისა — როსტევანის მონებთან და ხატაელ ძმებთან, ავთანდილისა — ზღვის მეკობრეებთან) და მცირე მასშტაბის ომისა (ფრიდონის პირველი შეტაკება ბიძაშვილებთან), სამი დიდი ბრძოლა გვხვდება: ინდო-ხატაელთა, ფრიდონის სამშობლოს გამაერთიანებელი ომი და ქაჯეთის ბრძოლები. სამივე ბრძოლა სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში ხდება, სხვადასხვაა მათში ჰონაწილე ძალთა თანაფარდობა, სახეობა, ტექნიკური საშუალებანი (შეიარაღება) და, მათთან დაკავშირებით — სტრატეგია და ტაქტიკაც.

როდესაც ტარიელმა, ხატაეთში შეჭრის შემდეგ, მისი მეფე დაინახა, რომელსაც ინდოელის ღალატით მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, შეუთვალა მას: შენი ორგულობა ვიცი, გავიგე, მაქედან არაფერი გამოვა,

ბრძანეთ: მოდით! შეგვებენით, ვითა წესი და რიგია (443).

ქაჯეთის ციხის ზღურბლთან კი გმირებმა განაცხადეს:

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მჭმნელია (1392).

ე. ი. პოემის გმირებმა იციან, რომ ომი წარმოებული უნდა იქნას სამხედრო ხელოვნების წესების და საომარი ტრადიციების დაცვით, ანუ „წესისა და რიგის“ მიხედვით, „გამორჩევით“. ე. ი. ჰოცეძული საბრძოლო პირობებისათვის შესაფერისი სტრატეგიით და ტაქტიკით.

სანამ რუსთაველის სამხედრო სისტემის შესახებ საუბარს შევუდგებოდეთ, ზედმეტი არაა გავარკვიოთ, რად თვლის, რად მიიჩნევს რუსთაველი ომს.

ამის გასათვალისწინებლად საჭიროა ზერელედ მაინც გადავავლოთ თვალი ომის შესახებ თეორიულად თუ მხატვრულ ლიტერატურაში გამოთქმულ და გატარებულ შეხედულებებს. საჭიროდ არ ვთვლით გადმოვცეთ ეს შეხედულებები სისტემატიზებული სახით ან მათს ისტორიულ განვითარებაში წარმოვიდგინოთ. ჩვენ უბრალოდ გვინდა მოვაგონოთ მკითხველს მალთუსის და მალთუსიანელთა შეხედულებანი ომებზე და მათს აუცილებლობაზე. ერთი მათგანი, მაგალითად. წერს, რომ „ომს ყველა ხალხი უპირველესად ღვთაებრივ ფაქტად მიიჩნევს“. ომოწმებს რა ეს

ავტორი თეოსოფ დე-მესტრეს, რომელსაც ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული, დაასკვნის: „დიდება ომს! მისი შეოხებით ადამიანი თავდაღწეული სიბინძურისაგან გარდაიქმნება გმირად და მამაცად. მტრის ბოკლულ გვამზე აღმოცენდება მისი პირველი ოცნება სახელზე და უკვდავებაზე [1]".

ასე წერდნენ კაცობრიობის უბოროტესი მტრები და ამ შეხედულებებზე აღმოცენდა ფაშიზმის საზიზღარი მოძღვრება ომზე, რომელმაც მრავალი მილიონი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სხვაგვარად დგას საკითხი ზღაპრებსა და მათ მსგავს ლიტერატურულ დოკუმენტებში. მათში ფანტასტიკური მასშტაბის ომებს ხშირად წინ უძღვის ასეთივე მიზეზები, ზოგჯერაც — მეფის უარი — მისცეს ცოლად თავისი მზეთუნახავი ასული მეფეს, ან მეფისწულს და ტახტის მემკვიდრეს. ასე, მაგალითად, „ვისრამიანში", უთხრეს რა შაჰმოაბადს უარი ვისის ცოლად გატანებაზე, შეიკრიბა ლაშქარი „ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, ხუარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, ჰინდოეთით, თობითით, ჩინით, მაჩინით, სუღდით და თურანითა. ამაზედან მარავის მინდორი ესრე გახდა ლაშქრისაგან, რომელ საუკუნისა განკითხვისა დღესა ჰგუანდა კაცისა სიმრავლითა და ზარითა". როცა შაჰმა ეს ლაშქარი დასძრა, „მიწამან ძვრა დაიწყო მათ ქუეშე სიმძიმითა მათითა და სიმძლავრითა" [2]. ასეთივე ლაშქარი შეკრიბა მოწინააღმდეგემაც და გაიმართა სისხლისმღვრელი შეტაკება. ყველაფერი ეს ხდება 17 წლის ვისისათვის, რომელთან ქორწინებასაც არავითარი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ერთი მხარისათვის.

უფრო მეტი გულუბრყვილობა ომის, მისი მიზნისა და წარმოშობის მიზეზების გაშუქებაში შეუძლებელია.

მაგრამ არსებობს ომებისა და მათი წარმომშობი მიზეზების მეცნიერული, ე. ი. მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა.

ვ. ი. ლენინი წერილში „К пересмотру партийной программы". მსჯელობს რა სამართლიან და უსამართლო ომებზე, აღნიშნავს; „Война есть продолжение политики того или иного класса; и в каждом классовом обществе, и в рабском, и в крепостническом, и в ка-

---

[1] Прудон, Война и мир, т. I, М., 1864, стр. 28—31.

[2] „ვისრამიანი", აღ. ბარამიძის და სხვ. რედაქციით, თბ. 1938, გვ. 20—21.

нталистическом, бывали войны, продолжавшие политику угнетательских классов, а также бывали войны, продолжавшие политику угнетенных классов[1]".

მაგრამ ლენინის განსაზღვრით, „Политика есть самое концентрированное выражение экономики".

ჩვენი მხრივ გულუბრყვილობა იქნებოდა, ვამტკიცოთ, რომ რუსთაველი ომების გაგებაში ლენინის თვალსაზრისზე დგას. არა, მას შეიანიშნავმა რეალისტურმა ალღომ დაანახა ომების წარმოშობის ნამდვილი მიზეზები. ესაა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები, უმრავლეს შემთხვევაში გაბატონებული კლასებისა. მართლაც, ინდოხატაელთა ომი წარმოიშვა ღრმა პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების შედეგად:

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია (377), —

მისწერა ტარიელს ნესტანმა. ჰგავს, ხატაეთი დიდი ხანია ინდოეთის ხოხარკეა, მაგრამ უკანასკნელ წლებში მას არაფერი გადაუხდია. ეს აიხსნება ხატაეთის გაძლიერებით, რაც პირდაპირ ემუქრება ინდოეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს. ამიტომ არის, რომ ნესტანი, იჩენს რა შესანიშნავ პოლიტიკურ ალღოს, შეუძლებლად თვლის რაიმე კომპრომისს ხატაელთა მიმართ:

აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია (377).

ამიტომ ავალებს იგი ტარიელს:

წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე (414).

ამაზე ნათლად დასურათება და დასაბუთება ფეოდალურ-მონარქიულ სახელმწიფოთა შორის ამტყდარი ომის მიზეზებისა იმ ეპოქაში წარმოუდგენელია. „მალტა, ან ომი" — დაიძახა ნაპოლეონმა 1803 წლის 13 მარტს, და გავიდა დარბაზიდან, რომელშიც ინგლისის ელჩი მიიღო. მალტა იყო მხოლოდ უბრალო საბაბი, ომის ნამდვილი მიზეზი კი გახლდათ კონტინენტალური ბლოკადა, რომლის გატარებასაც მთელი შესაძლებლობით ეწინააღმდეგებოდა ინგლისი. ინგლისელებმა არ დათმის, და „დაიწყო ნაპოლეონის ომი ინგლისთან, რომელიც მისი მეფობის დასასრულამდე არ შეწყვეტილა"[2].

1 В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 34, стр. 365.

2 Е. Тарле, Наполеон, 1941, стр. 123.

ტარიელი კი უფრო პირდაპირი და გასაგები მუქარით უთვლის ხატაეთის მეფეს:

... მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებ ძლიერი:
მისი ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი...
ესე რა ჰნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით,
თუ თქვენ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით (387,8).

ამრიგად, ინდო-ხატაელთა ომი, პოემის მიხედვით, წარმოიშვა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების შედეგად. ტარიელი მოითხოვს ხატაელთაგან, რომ ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ ვალდებულებას ინდოეთის მეფის წინაშე, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, იცავდნენ ურთიერთობას, რომლებიც ისტორიულად დამკვიდრდა მათ შორის, რეგულარულად იხდიდნენ ხარკს. ამით მას სურს განამტკიცოს ინდოეთის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები და პოზიცია. ცნობილია, რომ ხარკები არა მცირე როლს ასრულებდნენ სახელმწიფოთა, კერძოდ, შუა საუკუნეების სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებაში. სახელმწიფო შემოსავალს თვით რუსთაველის ეპოქის საქართველოში. რომელიც, ყაზვინის ცნობით, 50000 თუმანს, ანუ რამდენიმე მილიონ ოქროს მანეთს უდრიდა, უმთავრესად სამხედრო ხარკები და გადასახადები იძლეოდა.

რა გულუბრყვილობად გამოიყურება ინდო-ხატაელთა ომის წარმომშობ მიზეზებთან „ვისრამიანის" ხსენებული ომის მიზეზი. პოემის დანარჩენ ომებსაც საფუძვლად დაედო ასეთივე ღრმა მიზეზები.

ამრიგად, ტარიელმა გადაწყვიტა, აღადგინოს ხატაელთაგან ცალმხრივად დარღვეული ინდო-ხატაელთა ისტორიული ურთიერთობა ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, და შემდეგ, თუ აქედან არაფერი გამოვიდა, იარაღის დახმარებით. მან ხატაეთის მეფეს თავისი სახელით მისწერა წიგნი, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, გაუგზავნა ულტიმატუმის მსგავსი ნოტა.

ხატაეთის მეფემ გადაწყვიტა, არ მიიღოს ინდოეთის მოთხოვნები და თავის მხრივ ელჩს გადასცა მწვავე ტონით შედგენილი საპასუხო ნოტა:

რაგვარა თუ მანდა გეხმე, ვინ ეპპატრონობ ბევრსა ერსა,
ამის მეტსა ნუმცა ეჰნახავ კვლაღა წიგნსა შენ მიერსა (401).

სიტყვიერადაც მეტად მკვახედ უპასუხა მან ელჩს:

ამის შემდეგ ინდო-ხატაელთა ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. ამ მიწერ-მოწერაში კი, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია უფლებებზე, მორჩილებაზე და სხვ.

საერთაშორისო სამართლის ისტორიას ბურჟუაზიული მეცნიერები იწყებენ ვესტფალის ზავიდან (1648 წ.), ან ჰუგო-ჰორაციის „ომის შესახებ სამი წიგნის“ გამოსვლიდან (1625 წ.). საბჭოთა სკოლა კი ამ ისტორიას სრულიად სამართლიანად ანტიკური ქვეყნებიდან იწყებს, რამდენადაც საერთაშორისო უფლებრივი ურთიერთობანი, ომები, გარიგებანი, წარმომადგენლობანი, საერთაშორისო კონფერენციები და ორგანიზაციები ანტიკური ქვეყნებისათვისაც ცნობილია.

„სახელმწიფოთა წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) სამართალი. სახელმწიფოთა ისტორიული ტიპების ცვალებადობასთან ერთად, საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაციების ცვალებადობასთან ერთად იცვლება საერთაშორისო სამართლის ნორმებიც“ [1].

დღეს უკვე გარკვევითაა ჩამოყალიბებული სოციალისტური საერთაშორისო სამართალი, რომელმაც გააშიშვლა ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის მთელი კლასობრივი ბუნება და შექმნა ამ სამართლის ახალი ნორმები, დამყარებული ახალ ეკონომიურ ბაზისსა, სოციალურ სინამდვილესა, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ მორალზე. ვილაპარაკოთ ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართალზე.

ფეოდალურ შუასაუკუნეთა საერთაშორისო ურთიერთობის ნორმების შექმნასა და განმტკიცებაში საპატიო როლი შეასრულა ძველი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთმა ელემენტმა, როგორც, მაგალითად: ძველი ქვეყნების ისტორიულმა უფლებრივმა ურთიერთობამ, რომის სამართალმა, ლათინურმა ენამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „რეალური ფაქტორები“ და ეკლესია, ქრისტიანობის კანონიკური სამართალი, მსოფლიო კრებები, საერთოდ კი ქრისტიანობის როლი. ასე, მაგალითად, ერთი უდიდესი საეკლესიო მოღვაწეთაგანი, ნეტარი ავგუსტინე (354 — 430), ჯერ კიდევ მე-5 საუკ.

[1] Международное право, Институт Права АИ СССР, М., 1947, стр. 36.

გვაძლევს საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგვარ კოდიფიკაციას.

თავის წიგნში „ღვთის ქალაქი“ ავგუსტინე მოითხოვს, რომ სახელმწიფო თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდეს სამართლის პრინციპით, რადგან, ამბობს ის: „თუ სამართალს გვერდს აუვლის, რასღა წარმოადგენს სახელმწიფო, თუ არ დიდ ყაჩაღურ ბრბოს?“ ავგუსტინე თვლის, რომ ქრისტიანები როგორც ურთიერთშორის, ისე არაქრისტიანებთან დადებულ ხელშეკრულებებს კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ. ომს, მისი შეხედულებით, აქვს თავისი უფლებრივი ნორმები და საზღვრები. ეს ნორმებია ის, რასაც ეწოდება ომის ჩვეულებანი, წესები... სამართლიანი ომი გულისხმობს სამართლიან მიზეზს და უმაღლეს ხელისუფალთა სამართლიან ბრძანებებს. მესამე პირობა სამართლიანი ომისა არის მისი წარმოების წესები. ომში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიმკაცრეს, შეტაკების დროს დაუზოგაობას, გაბატონების მისწრაფებას.

ამით ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვამბობთ, რომ შუასაუკუნეთა ვრცელ მანძილზე ომები და ხალხთა ურთიერთობა ნეტარი ავგუსტინეს მოთხოვნათა და განმარტებათა საფუძველზე რეგულირდებოდა. ეჭვგარეშეა, შუასაუკუნეებში არსებობდა საერთაშორისო სამართლის თუ კოდიფიკაციები არა, გაგება მაინც, და შეიძლება უფრო მრავალმხრივი და ღრმაც, ვიდრე ეს წარმოდგენილია ავგუსტინეს შრომებში, რომელსაც, როგორც ავტორს, იცნობდნენ საქართველოში. რუსთაველის პოემაში აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მართლაც, როგორც ვნახეთ, ავგუსტინეს შეხედულებით, ხელშეკრულებანი და ზავის პირობები ორივე მხარემ უნდა დაიცვას, თუნდაც მოწინააღმდეგენი სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელნი იყვნენ. ნესტანიც ხატაელთაგან მოითხოვს, რომ მათ დაიცვან და შეასრულონ ინდო-ხატაელთა ისტორიულად განმტკიცებული ერთიერთობა და ავალებს ტარიელს, აღადგინოს ეს ურთიერთობა, ცალმხრივად დარღვეული ხატაელთაგან. შემდეგშიც, როცა ტარიელმა დამარცხებული და დატყვევებული რამაზი წარუდგინა ინდოეთის მეფეს, ამ უკანასკნელმა უთხრა მას:

> ... იცოდი, გაგგზავნი შეწყნარებულსა,
> მაგრა ნუ გნახავთ კვლამცაღა ჩვენს წინა გაწბილებულსა (470).

ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,
მოახსენა: ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.
თუღა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა (472).

ავგუსტინეს შეხედულებით, ომს აქვს თავისი უფლებრივი საზღვრები. ეს საზღვრები, ეს ფარგლები, მისი აზრით, არის ის, რასაც ომის წესები, ტრადიციები, ჩვეულებანი ეწოდება. ტარიელიც, როგორც ვნახეთ, მოითხოვს რამაზისაგან, რომ მან ომი აწარმოოს არა მუხანათურად, მოტყუებით, ყაჩაღურად, უკანონოდ და უწესოდ, არამედ „ვითა წესი და რიგია“. ეს ნიშნავს, რომ ომი წარმოებული უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით და მისი პრინციპების დაურღვევლად.

მაგრამ მებრძოლ მხარეებს არა მარტო საერთაშორისო პრინციპების დაცვა ევალებათ. ომი წარმოებული უნდა იქნას „გამორჩევით“... მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ასეთია რუსთაველის შეხედულება ომზე. მისი აზრით, ომი არაა და არც უნდა იყოს ავანტიურა, შემთხვევითი, უმიზნო ხოცვა-ჟლეტა, ომს წარმოშობს გარკვეული კლასების პოლიტიკა, ის პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საშუალებაა.

ვფიქრობთ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ პოლიტიკური ამოცანები ედო საფუძვლად როგორც ფრიდონის სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლას, ისე ქაჯეთის დაცემას.

ტარიელმა გასცა ბრძანება ლაშქრის შეკრების შესახებ და დაგზავნა სათანადო უფლებებით აღჭურვილი მარზპანები. შეიკრიბა დიდძალი ლაშქარი:

იგი ვარსკვლავთა ურიცხვი, მოკრბეს ინდოთა სპანია...
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია (402).

ამრიგად, ხატაეთზე გალაშქრების წინ გამოცხადებულ იქნა ინდოეთის ლაშქრის მობილიზაცია, თორემ ინდოეთს ჰყავს მუდმივი ჯარიც, რომლის ყოველდღიურ სამწყობრო თუ საბრძოლო მომზადებას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. აკი ტარიელი ერთგან შენიშნავს: სევდისა და ავადმყოფობის გამოო,

ვეღარ ვუპყრეტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მაეალთა (361).

ნესტანის საქორწინო ზეიმზეც გამოწვეულ იქნა ინდოეთის მუდმივი ჯარის ნაწილები:

შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი,
მათ ლაშქართა, ერთგან მყოფთა, ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი (550).

სამხედრო ხელოვნების ისტორიამ იცის, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები არიან ქვეითი და ცხენოსანი ლაშქრის პირველი შემქმნელები [1]. მათვე შემოიღეს მეომართა სამხედრო გაწვრთნა-მომზადება. ეგვიპტეში, მაგალითად, სამხედრო წვრთნას საგანგებო მოხელეები ხელმძღვანელობდნენ [2]. მაგრამ როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი მუდმივი ჯარი პირველად ბერძნებმა შექმნეს. ცნობილია აღზრდის სპარტანული წესები, ხოლო ჯარის საბრძოლო მზადყოფნის და უნარის შესამოწმებლად იქ პერიოდულად ეწყობოდა დათვალიერებანი და აღლუმები, რაც ჩვეულებრივ მთავრდებოდა შეჯიბრებებით [3].

გალაშქრების წინ „აღლუმი ვნახეო" (403), გვიამბობს ტარიელი. იგი კმაყოფილი დარჩა თავისი ჯარის დისციპლინით, მოკაზმულობით, სიჩაუქით, ტაიჭთა სიმალითა და საომარი იარაღის მაღალი ხარისხით. ტარიელი განაგრძობს:

ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა (404)...
დილასა შევჯე, ვუბრძანე: „ჰკარით ბუკსა და ნობასა" (420).

ტარიელმა გადალახა ინდო-ხატაელთა საზღვარი და მტრის ტერიტორიაზე შეიჭრა.

კლასიკური დასავლეთისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიას კარგად ახსოვს დიდ, უზარმაზარ ლაშქართა მიერ გაუვალი გზებით და დაბრკოლებებით აღსავსე უდიდეს მანძილთა გადალახვა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მოსაზრებით. გავიხსენოთ, მაგალითად, ბერძენ-სპარსელთა ომები, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობანი, ჰანიბალის მიერ 218 — 216 წწ. ჩვ.წ.-მდე იტალიაში ლაშქრობა, რომლის დროსაც მან, გადალახა რა უდაბნოები, ალპები და სხვა დაბრკოლებანი, 1500 კილომეტრი გაიარა. სამხედრო ხელოვნების ისტორიას მუდამ ეხსომება სუვოროვის მიერ ევროპის ალპებზე ლეგენდარული გადასვლა და სხვა. ამის გამო, ტარიელის განცხადება:

---

[1] Ф. Энгелс, Избранные военные произведения, М., 1957, стр. 205.

[2] Е. Разин, История военного искусства, т. I, М., 1956, стр. 36—37.

[3] Там же, стр. 135, 201.

უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არა გაივლიდეს გზობსა (420).

არაფერს ფანტასტიკურს არ შეიცავს.

ხატაეთის ტერიტორიაზე ტარიელს შემოხვდა რამაზის მოციქული, რომელიც მეფის სახელით ჰპირდებოდა სრულ მორჩილებას, ოღონდ ინდოეთის ამირბარს გაებრუნებინა ჯარი და მცირერიცხოვანი მხლებლებით შესულიყო რამაზის მთავარბანაკში (421 — 423).

ტარიელმა მოიწვია სარდლებისა და მრჩეველების თათბირი, რომელზეც მას მოახსენეს, რომ მოსალოდნელია ღალატით თქვენი მოკვლაო. ამიტომ უმჯობესია, მცირე მხედრობით გაემართოთ რამაზ მეფის ბანაკისაკენ, მთავარი ძალა კი გამოგყვეთ უკან. თუ ხატაელნი არ გამოგიცხადებენ სრულ მორჩილებას და არ შეასრულებენ თქვენს მოთხოვნებს, „შეჰრისხდი რისხვითა კვლა და კვლაცითაო“ (425).

ამრიგად, აქ ლაპარაკია მთავარი ძალების სარეზერვოდ გამოყოფაზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას საჭიროების მიხედვით. თუმცა ამას ძველი საბერძნეთიც იცნობდა, მაგრამ რეზერვი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად პირველად ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარში გაჩნდა და მან უდიდესი როლი შეასრულა გავგამელა-არბელასთან ბრძოლაში 331 წელს ჩვ. წ-მდე. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რეზერვს და რა უდიდესი როლი აკისრია მას ბრძოლაში, ამას ნათელყოფს თუნდაც ის გარემოება, რომ რეზერვის გამოყოფა დღესაც ცოცხალია სამხედრო ხელოვნებაში.

ტარიელმაც რამაზს დადებითი პასუხი აცნობა, ჯარისადმი კი სათანადო ბრძანება გამოსცა:

მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოუმენი, ქველანი,
თანა წამომყვეს, წაცავე, დავყარენ სპანი ყველანი.
დავჰვედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი,
ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდენ შველანი“ (427).

რამაზმა გაახშირა დესპანების გზავნა, რამაც საბედისწერო შედეგი მოუტანა მას: ერთ-ერთმა მოციქულმა ტარიელს აცნობა:

რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გღალატობენ,

შენს გასანადგურებლად რამაზს სხვადასხვა ადგილას დამალული ჰყავს 130000 მეომარი, აქედანვე,

აწვე თავსა არ ეწევი, ფათერაკსა შეგასწრობენ (434).
მეფე ცოტათ მოგეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელეევიან...

კვამლსა შეიქმენ. ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან,
რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან (435).

ტარიელმა ცნობა დამალა, როგორც ჰორი:

არვის გავენდევ სულდგმულსა, დავმალე, ვითა ჰორია (437),—

მოგვითხრობს სარდალი. ეტყობა, მან იცის, რომ მტრის ასეთმა რიცხობრივმა უპირატესობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯარის საბრძოლო სულისკვეთებაზე და გამოიწვიოს მისი დემორალიზაცია. ვითარების შესაფერისად კი მთავარ სარეზერვო ძალებს აცნობა, წამოდითო:

შევსთვალე: „ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია“ (437).

თითქოს ტარიელი აქაც იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს იცავს, რომ როცა მიღებულია საბრძოლო გადაწყვეტილება, აუცილებელია მთელი ძალების თავმოყრა გადამწყვეტ უბანზე.

დღესდღეობით ადვილი არ არის „ვეფხისტყაოსნისეული“ ჯარების შენაერთებისა და დანაყოფების რიცხობრივი შემადგენლობისა და რაოდენობის გარკვევა და დადგენა. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, თემი არის „ქვეყნის ერთი ნაწილი“, ლაშქარი — „დიდი ჯარი სამტერო“, გუნდი — „ჯარი ექვსი ათასი“, დასი — „გუნდივით“, ხოლო რაზმი — „მწყობრი ჯართა“. რადგან გუნდი და დასი ეწოდება 6-6 ათასიან შენაერთებს, ხოლო ტარიელი თავისი ავანგარდის შესახებ ამბობს:

რაზმი დავაწყევ, მივჰმართე, წავე დიდითა სწრაფითაო (441).

ე. ი. თავის მოწინავე სამასკაციან ჯგუფს რაზმს უწოდებს, უნდა დავასკვნათ, რომ დასი უფრო დიდი დანაყოფია, ვიდრე რაზმი. ტარიელის განცხადება „რაზმი დავაწყევ, მივჰმართეო“ და სხვ. ნიშნავს, რომ მან თავისი რაზმი მოწინააღმდეგის გამოჩენისას სალაშქრო, თავისუფალი წყობიდან გადაიყვანა საბრძოლო წყობაზე.

მიუახლოვდნენ რამაზის მთავარბანაკს და დადგა მძიმე განსაცდელის ჟამი.

მაშინ ეუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე (439).

და ტარიელმა მოწოდებით მიმართა თავის მოწინავე მხედრობას (440). მოწინააღმდეგეს კი შესანიშნავი საომარი გეგმა შეუდგინა. ჩვენ

უკვე ვიცით, რომ მან განიზრახა ტარიელის მცირერიცხოვანი რაზმის შეტყუება. რამაზის ჯარის რაოდენობა 130000 კაცით განისაზღვრება, რომლის დიდი შენაერთები საიდუმლოდ არის ჩასაფრებული ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელ პუნქტებში:

ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ,
კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი (434), —

აცნობეს ტარიელს.

ასეთი მანევრის ჩანასახს (ჩასაფრებას) ვხედავთ ბერძენ-სპარსელთა ომებშიც, ხოლო ამის კლასიკური და ბრწყინვალე მაგალითია—ჰანიბალის მიერ 217 წელს ჩვ. წ-მდე ტრაზიმენის ტბასთან რომაელების წინააღმდეგ გადახდილი ბრძოლა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სანიმუშო მნიშვნელობას სამხედრო ხელოვნებაში.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო მაინც მტრის ტაქტიკური ხერხია, რომლითაც იგი ცდილობს ინდოეთის ლაშქრის ავანგარდის და მთავარსარდლის მოსპობას: „ლაშქარნი ყოველგნით მოგებვევიან" (435), — გადასცა ჯაშუშმა ტარიელს. როგორც ვხედავთ, მტერი აპირებს იმავე ჰანიბალის მიერ 216 წელს ჩვ. წ-მდე ქ. კანთან დადგენილი შესანიშნავი ტაქტიკური პრინციპის გამოყენებას: ფიქრობს, ტერიტორიულად, ტაქტიკურად გარემოცვას ტარიელი და მიიტანოს მასზე ეერიში ყოველმხრივ და მოულოდნელად.

აქ ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ ბრძოლის ველს.

ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტერი დავინახე (439),—

ამბობს ტარიელი, როცა ის მტრის პოზიციებს მიუახლოვდა. ომის დაწყების შემდეგ რამაზის ლაშქარი „სამალავით გამოვიდეს" (444), ხოლო ბრძოლის დამთავრებისას,

საღამო ჟამ დაიზახა ქედით... დარაჯამან (449).

და ხატაელთა ჯარს იარაღის დაყრა და მტრისათვის დამორჩილების ბრძანება გადასცა. ამრიგად, ხატაეთის საომარი ტერიტორია, ტოპოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია: იქ მოჩანს ქედები, მინდვრები, ხეობები, რასაც გულისხმობს სამალავები (444), რომელთა აგებაზე პოემაში ლაპარაკი არაა. სამხედრო ხელოვნების თეორიაში კი ცნობილია, რომ ქედები და ბუნებრივი საფრები თავდაცვითი ბრძოლების წარმოებისას დიდ უპირატესობას ანიჭებს თავ-

დამცველ მხარეს, რომელსაც ამას გარდაც უკეთესი მდგომარეობა აქვს თავდამსხმელზე.

ინდო-ხატაელთა ომში ბრძოლის მთელ ტერიტორიას განუსაზღვრელად, შეუზღუდავად ფლობს და მბრძანებლობს რამაზი. ამას უნდა დაემატოს სხვა ფაქტორებიც: ეკონომიური და საკომუნიკაციო ბაზების სიახლოვე, რიცხობრივი უპირატესობა და სხვ. მარტო ის გარემოებაც კი, რომ ტარიელის რაზმი და ლაშქარი ლაშქრობიდან დაუსვენებლად ჩაება ბრძოლაში, ხოლო ხატაელები დიდი ხანია დაბანაკებულნი არიან, მაშასადამე, დასვენებულნი ელიან ბრძოლაში ჩაბმას, თავდამცველ მხარეს უდიდეს უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ, რუსთაველის გაგებით, რიცხობრივი შეფარდება, ხელსაყრელი ტოპოგრაფიული ვითარება და სხვა უპირატესობანი ცალ-ცალკე და ერთად არ წარმოადგენენ გამარჯვების აუცილებელ, უტყუარ პირობას. გამარჯვების ძირითადი ფაქტორი, რუსთაველის აზრით, სარდლობა, ე. ი. უშეცდომო ხელმძღვანელობაა.

მართლაც, როგორც უკვე ვიცით, რამაზმა მოინდომა გარემოეცვა უიარაღო ტარიელი. ამის გამო, როცა ეს უკანასკნელი რამაზის საბრძოლო განლაგებაში შევიდა, რამაზი შიშმა მოიცვა, რადგან ტარიელმა უკვე ამაზე ადრე უბრძანა თავის ავანგარდს საბრძოლველად აღჭურვა და მოწინააღმდეგის პირისპირ თავით ფეხებამდე შეიარაღებული გამოცხადდა:

> ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა,
> დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა,
> რაზმი დავაწყევ, მივჰმარე (441).—

გადმოგვცემს ტარიელი. ამრიგად ტარიელმა ბრძოლის ველზე გაიყვანა მძიმედ შეიარაღებული 300 კაციანი რაზმი. მძიმედ შეიარაღებული სამასი რაინდი, რა თქმა უნდა, მცირე სამხედრო ძალა არაა. ტარიელისა და მისი თანამებრძოლების სიგულოვნემ, მათმა მოულოდნელმა თავდასხმამ რამაზი დააბნია. ხატაელთა მეფემ ზელიდან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი. მაშინ, როცა ყოველი წუთი ძვირფასია და ბრძოლისა და ომის ბედი ხმალმა უნდა გადაწყვიტოს, ის ტარიელთან იწყებს უნაყოფო დიპლომატიურ მოლაპარაკებას (438).

მაგრამ იგი მალე იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო. მან აუშვა სასიგნალო კვამლი, გამოიყვანა ჩასაფრებული ჯარების დიდი შენაერთები და ორი მიმართულებით დაიძრა ტარიელის წინააღმდეგ:

> კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს,

სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს,
შექმნეს რაზმის მრავალკეცი (444).

ამრიგად, შეტაკება დაიწყო. შეიძლებოდა ხატაელთა მდგომარეობა გამოსწორებულიყო, მის სარდლობა მოვლენათა სიმაღლეზე რომ აღმოჩენილიყო. მაგრამ რამაზის სრული დაბნეულობა აშკარა გახდა. მან დაუშვა მეორე საბედისწერო შეცდომა: არა მარტო ხელიდან გაუშვა ინიციატივა, არამედ შეტაკების დაწყების შემდეგაც:

მათ ურიცხვი რაზმი... წუნარად დგეს და აუშლელად (445).

ეს ნიშნავს, რომ ხატაელთა დიდძალმა დისციპლინირებულმა ლაშქარმა ვერ გამოიჩინა მოქნილობა, ხოლო მისმა სარდლობამ — შექმნილ ვითარებაში ორიენტირების უნარი. ტარიელმა კი დაუყოვნებლივ ისარგებლა მათ მიერ დაშვებული შეცდომით და შეტევაზე თვითონ გადავიდა. სწორედ ამ მომენტმა გადაწყვიტა ომის ბედი.

როგორც ცნობილია, სამხედრო ხელოვნებაში არსებობს საბრძოლო წყობისა და შეტევის რამდენიმე სახეობა და მათი არჩევა დამოკიდებულია არა მარტო შემტევი მხარის სურვილზე, არამედ შემტევი მხარის შესაძლებლობაზე, ტაქტიკურ ვითარებაზე, ტოპოგრაფიულ პირობებზე და სხვ., აგრეთვე თავდამცველი მხარის საბრძოლო განლაგებასა, ძალასა და სხვა გარემოებაზე. პოემის მეომარი მხარეების — ინდოეთისა და ხატაეთის საბრძოლო წყობას არაფერი აქვს საერთო არც მონათმფლობელური ეპოქის ფალანგებთან, არც ცენტურიასთან, კვინკუნციალურ ან მანიპულაციურ წყობასთან, ან კოჰორტასთან. ეს არა მარტო იმიტომ, რომ საბრძოლო წესი იცვლება სამხედრო-ტექნიკური საშუალებების (იარაღის), აგრეთვე სხვა ფაქტორების და პირობების განვითარებასთან ერთად. სრულიად სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ნიადაგი, რომელმაც წარმოშვა ფალანგა ან ძველი რომის და სხვა სახელმწიფოების საბრძოლო წყობანი, აგრეთვე პოემისეული ქვეყნების შესაბამისი სინამდვილე, პოემის ქვეყნების მეომარ მხარეთა საბრძოლო წყობას არაფერი აქვთ საერთო არც იმ გაშლილ-გაფანტული ბრძოლის წესთან, რომელსაც პირველად მიმართეს ჩრდილოეთ-ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, არც ურთიერთ დაპირისპირებული მებრძოლი მასების შუბლური შეტაკების წესთან.

ხატაელთა საბრძოლო წესის გასათვალისწინებლად ყურადსაღებია

ტერმინები: „უფროსი ჯარი“ (446), რომელიც დაყოფილი და განლაგებულია „ურიცხვ“ (445) და „მრავალკეც რაზმებად“ (444). ტარიელმა დაასახელა აგრეთვე ხატაელთა „წინა კერძო რაზმი ორი“ (447). ეს საბრძოლოდ გამზადებული ჯარები, დაყოფილი მრავალრიცხოვან რაზმებად, უნდა ჩავთვალოთ ღრმად ეშელონირებულ ნაწილებად. რუსთაველი მხოლოდ მოკლედ აღნიშნავს, რომ ხატაელთა „ურიცხვი რაზმი ეწყო, წუნარად დგეს და აუშლელად“ (445), და რომ ხატაელებმა „თავნი ორგნით აჭარავნეს“ (444), ე. ი. მტერი მარწუხში მოიქციეს.

სამხედრო ხელოვნების ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსი ჟომინი შეტევის 12 სახეობას ასახელებს, რომელთაც მისი ეპოქის სამხედრო ხელოვნება იცნობდა. დღეს, უეჭველია, შეტევის სახეობანი უფრო მეტია. შემტევი დანაყოფის, ნაწილის განლაგების წესები, სახეები ისტორიულად ყალიბდებოდა. ტარიელის მიერ განხორციელებული შეტევის ფორმას უფრო მეტი აქვს საერთო ახალი დროის ბრძოლის წესებთან, ვიდრე ერთხელ გამომუშავებულ და გაყინულ ფალანგისა და კოჰორტის წესებთან.

გ. ჟომინი წერს: „შეტევის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოწინააღმდეგის შევიწროება და მის რიგებში არევ-დარევის შეტანა, ან მისი არმიის სრული განადგურება. მოწინააღმდეგის შევიწროება შეიძლება ან მისი ფრონტის ხაზის რომელიმე პუნქტში გარღვევით, ან რომელიმე პუნქტში მისი შემოვლით, რათა დავარტყათ მის ფლანგებს, ან ზურგს, ან ბოლოს, ორივე ხერხის ერთდროულად გამოყენებით, ე. ი. ფრონტალური იერიშით და იმავე დროს შემოვლის განხორციელებით აქტიორად მოქმედი ჩვენი ნაწილების მიერ.

ამ სხვადა ა მიზნის მისაღწევად აუცილებელია ავირჩიოთ ბრძოლის შესაფერისი წესი.

ითვლიან, სულ მცირე, ბრძოლის თორმეტ წესს, სახელდობრ:

1. მარტივი პარალელური საბრძოლო წესი.
2. პარალელური საბრძოლო წესი შემტევი ან თავდაცვითი მოხრილობით.
3. წესი, გაძლიერებული ერთ ან ორივე ფლანგზე.
4. ბრძოლის წესი, გაძლიერებული შუაში.
5. მარტივი ირიბი ბრძოლის წესი.
6. მოხრილი ბრძოლის წესი.
9. გამოზნექილი ბრძოლის წესი.

10. ბრძოლის წესი, ცენტრში ეშელონირებული[1] და სხვ. განლაგების ბრძოლის წესის, როგორც მას უწოდებენ სამხედრო ხელოვნებაში, არჩევას განსაზღვრავს შეტაკების კონკრეტული ვითარება, შეტევის მიზანი და სხვა ფაქტორები.

ტარიელის წინაშე მტერი განლაგებულია ან ფრონტალურად ერთ სწორ ხაზზე, ან სამკუთხედურად, როცა ცენტრი წამოწეულია წინ და ფლანგები განლაგებულია სიღრმეში, ან მარწუხისებურად. მასთან მიახლოებისას ტარიელმა გაშალა თავისი შემჭიდროებული კარე 125 ნაბიჯის სიგრძეზე:

ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად (445),—

გვაცნობებს სარდალი. მან ჯერ მტრის მთავარ ძალებს დაარტყა:

მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა (446).

და შედეგიც სასურველი მიიღო:

ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი (447),

ამბობს ტარიელი.

მტერი ახერხებს ძალების შემოკრებას: ერთგული რჩება მის მიერ არჩეული გარემოცვის ტაქტიკისა და პირველი დაბნეულობისა და უმოქმედობის შემდეგ განახორციელებს კიდეც მას:

ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი (448), —

გვეიმბობს სარდალი.

მაგრამ მტერს არც ამ ხერხმა უშველა.

ტარიელი ტყუილად არ აღნიშნავს, წავე დიდითა სწრაფითაო (441). მან იერიში ისეთი სისწრაფით და ენერგიით წარმართა, რომ შმაგადაც კი ჩათვალეს:

აბლოს მივე, შემომხედეს, შმაგიაო, ესა თქვესა (446)...

ეს სისწრაფე და ფიცხელი შეტევა ტარიელის ტაქტიკის ძირითადი მომენტია. ასეთი შეტევის ბრწყინვალე ნიმუში სამხედრო ხელოვნებისა ისტორიას იულიუს კეისარმა უჩვენა 48 წელს ჩვ. წ-მდე თესალიაში ვარსალთან პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა პირველი მოუ-

[1] Г. Жомини, т. II, стр. 12—13.

ლოდნელი და სწრაფი თავდასხმა დაკავშირებულია ეგვიპტელ ტუტმოს III-ის სახელთან, პირველ სარდალთან ისტორიაში, რომელმაც განახორციელა გეგმაშეზომილი შეტევა. სისწრაფე საერთოდ დამახასიათებელია იულიუს კეისრის მიერ ჩატარებული ყველა საჰხედრო ოპერაციისათვის და შემდეგი დროის გამოჩენილი სარდლები არაერთხელ ჰიმართავდნენ ხოლმე მას.

სწრაფმა, ფიცხელმა და მოულოდნელმა შეტევამ გასჭრა. თუ ბრძოლის დაწყებისას რამაზის ჯარი „წყნარად დგეს და აუშლელად", ე. ი. დისციპლინირებულად. პირველივე შეტაკების შემდეგ მასში თავი იჩინა სრულმა დეზორგანიზაციამ. ტარიელი გვიამბობს:

Ვითაც ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი (448).

ამრიგად, ბრძოლა თითქოს დამთავრდა ტარიელის გამარჯვებით. მაგრამ სარდალი, ეტყობა, სხვაგვარად ფიქრობს. მოსალოდნელია მტერმა ძალა მოიკრიბოს და თავისი რიგები შეავსოს და აღადგინოს, რასაც შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგი. ვის არ ახსოვს ნაპოლეონის დამარცხება ვატერლოოსთან, რაშიაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნაპოლეონის მიერ არა ბოლომდე განადგურებულმა ბლუხერის არმიამ. ჯერ კიდევ ბერძენმა ეპამინონდამ ნათელყო და თვით დღევანდელი ტაქტიკაც აღიარებს, რომ მოწინააღმდეგის ძალთა მოსპობა ან პარალიზება, ე. ი. სრული გამარჯვება მტერზე შეიძლება მხოლოდ მისი მთავარი ძალების განუწყვეტელი კვალდაკვალ დევნით შედეგად უმთავრესი მიმართულებით.

განავითარა რა ბერძნული სამხედრო ხელოვნების პრინციპები, ალექსანდრე მაკედონელმა ნათელყო მეორე დიდი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ცხენოსანი ნაწილების შეტევა უნდა დაწყებულ იქნას ყოველთვის, როცა მოწინააღმდეგე მზად არ არის ორგანიზებული წინააღმდეგობისათვის, როცა მისი თავდაცვის სისტემა დარღვეულია.

თითქოს ამ პრინციპებს იცავს და მით ხელმძღვანელობს ტარიელი. მან შეტაკება სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა:

Ალამო ჟამ დაიზახა ქედით მათმან დარაჯამან:
სულარა დგათ, წაედითო, კვლა მოგვეხედნა რისხვით ცამან.
მოვა მტერი სამინელი, შეგვაშინა ამად ამან,
ხუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან ბევრმან სპამან (449).

გვიამბობს ზატაელთა შესახებ სარდალი.

საიდანაა ეს მტევრი და რატომ „მოხედნა რიცხვით ცამან" ხატაელებს, საიდან გაჩნდა ეს უთვალავი სპა მტრისა, რომელიც ბრძოლაში ჩაბმას აპირებს? ახსნას სარდალი მომდევნო სტროფში გვაძლევს:

ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წარმომეტანნეს მე არა,
რა ეცნა, წარმოსულიყუნეს, ღამე-წამორთვით ეარა,
ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა,
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა (450).

ამრიგად, ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის ახალი ძალების გამოჩენის შემდეგ ხატაელები სამარცხვინო კაპიტულაციაზე წასულან. ვათ მოუხსნიათ ფრონტი. ტყვედ ჩავარდა თვით რამაზ მეფე, მართალია, გააფთრებული ორთაბრძოლის შემდეგ:

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით, (151), —

გადმოგვცემს ტარიელი.

მაგრამ როგორია დამარცხებულ ხატაელთა ლაშქრისადმი გამარჯვებული ინდოელების დამოკიდებულება?

მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით (451), —

შენიშნავს ტარიელი.

ასეთი ჰუმანიურობის მიუხედავად, ტარიელი ერთი წუთითაც არ ივიწყებს სამხედრო ამოცანებს და სარდლის მოვალეობას. ამიტომაა, რომ ინდოეთის ლაშქრის მთავარ ძალებს შეტაკება მიჰყავთ მტრის ფრონტის და მთავარი ძალების საბოლოო პარალიზაციამდე:

უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ, გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა, შეშინებულთა, ძლეულთა (452),—

გვიდასტურებს ტარიელი.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ, საღამო ჟამს, ტარიელმა მოაწყო აღლუმი, საზეიმო პირობებში წარუდგნენ მას სარდლები, ჯარის ნაწილები, და მიიღო მათგან მილოცვები და მისალმებანი:

მას ადგილსა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად,
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან ვერ მიმხვდარნი ქებისაცა მოხსენებად (453).

გენერალური ბრძოლის შემდეგ მთავარსარდალმა განაიარაღა ან დაამარცხა მოწინააღმდეგის ცალკეული დანაყოფები და ჯგუფები, თუ

პარტიზანული რაზმები, ზოგიერთი ქალაქები კი მას უბრძოლველად ეძლებდა. აკი ტარიელი გვიამბობს:

... გაეგზავნენ ყოელგნით ლაშქარნი...
ჩემთა მებრძოლთა სისხლითა მინდორი შევაღებინე,
არ ებრალოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე (455).

ამრიგად ტარიელმა მოწინააღმდეგის ძალების სრულ პარალიზაციას მიაღწია და რამაზისაგან სრული მორჩილება მოითხოვა:

სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე,
თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წავსთვალე (456).

რამაზი უსიტყვოდ ასრულებს გამარჯვებულის ბრძანებას, მან უთხრა ტარიელს:

... აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე:
ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,
ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარი გამიგონე,
ხელთა მოგცემ სიმაგრეთა, განაღამცა შენ გაქონე (457).

მართლაც, მან რამაზს, მისივე თხოვნით თუ წინადადების თანახმად, დაუნიშნა ახალი პრემიერი, რადგან ძველს, რომელმაც ინდო-ხატაელთა კონფლიქტი ომამდე მიიყვანა, ტარიელი, ალბათ, არ ენდობოდა, რაც იცოდა რამაზმა. ესეცაა, რომ დიდი ნდობა ტარიელს არც ახალი ვაზირის მიმართ გამოუჩენია. ასეა თუ ისე შემთხვევითი არაა, რომ მას დაუნიშნა ინდოელი ხელქვეითები, სინამდვილეში — უმაღლესი ემისარი და ხელისუფალი:

მივეც ერთი დიდებული, თანა ყმანი წავატანენ (458), —

გვიამბობს გმირი და განაგრძობს:

კლიტენი საპურჭლეთანი მომართვნეს დაუმალავად (459).

მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობას კი მან სპეციალური ბრძანებით ჰიმართა და მისცა უშიშროების გარანტიები:

ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: იყვენით თქვენ უკრძალავად,
მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ დაუგვალავად (459).

ამის შემდეგ მან დაარჩია საუკეთესო და უძვირფასესი საჩუქრები ინდოეთის მეფისა და ნესტანისათვის, დატვირთა „ჯორ-აქლემი ათჯერ

ასი" (462) და გაუგზავნა მეფეს გამარჯვების მილოცვად. მხოლოდ ამის შემდეგ, „რა ყველაი დავიურვე" და „რაცა მწადდა, ვყავ-რე" (464). დიდძალი ალაფით დატვირთული გავემართე ინდოეთისაკენ, და თან წავიყვანე დატყვევებული რამაზიო (463), — მოგვითხრობს ტარიელი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხატაეთში მან დატოვა საოკუპაციო ჯარი და თავისი მომხრე მთავრობა. ინდოეთის მეფე დიდი პატივით შეეგება გამარჯვებულ ტარიელს. მან საკუთარი ხელით გაუხსნა და შეუხვია ეგირს ომში მიღებული ჭრილობა (465), რითაც გამოხატა თავისი უდიდესი პატივისცემა სამშობლოს დიდებისათვის მებრძოლისადმი, ხოლო ტყვეთა, კერძოდ, რამაზის მიღება და აღლუმი მეორე დღისათვის დანიშნა (467).

ძვირად დაუჯდა იგი ხატაეთის მეფეს:

ხარაჯა დასდეს, შეჰკეეთეს დარაჰანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტაერა, სხვა ატლასია... (471).

შემდეგ, გულუხვად დაასაჩუქრა რა ხატაეთის მეფე და მისი მხლებელნი, გააუქმა ხატაეთის ანექსია, დაუბრუნა ტახტი მეფეს და შეწყნარებული გაგზავნა სამშობლოში:

მერმე ყველაი დამოსა იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია (471).

ორ მეზობელ ქვეყანას შორის კი დაიდო ზავი და საუკუნო მეგობრობის პირობა (472).

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევჩერდეთ ფრიდონის სამშობლოს გაერთიანებისათვის გადახდილ ბრძოლაზე. ეს გრანდიოზული ხასიათის საზღვაო და სახმელეთო ბრძოლა მკვლევართა შორის, შეცდომით, ნაკლებ მნიშვნელობის ბრძოლადაა მიჩნეული.

ფრიდოხს და მის ბიძა-ძეთ ურთიერთშორის დავა აქვთ კუნძულისათვის, რომელიც გაყოფისას პაპამ ფრიდონს არგუნა. მაგრამ ნათესავებმა არ იცნეს ფრიდონის უფლებები კუნძულზე და განახორციელეს სადავო ტერიტორიის ოკუპაცია, ან არ დასცალეს, არ გაიყვანეს მისგან გაყოფისას იქ მდგარი თავისი ჯარის ნაწილები: „თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა" (601) კუნძულიო, უამბობს ფრიდონი ტარიელს. თავის

მხრივ, არც ფრიდონი ცნობს ბიძა-ძეთა უფლებებს კუნძულზე: „არ მივსცემდი, მომერჩოდეს-ო“ (601), — აღნიშნავს იგი. ასეთი პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის წანამძღვარები დაედო საფუძვლად ფრიდონის შეტაკებას ბიძაშვილებთან, რასაც მოჰყვა ფრიდონის სამშობლოს გაერთიანება.

ერთხელ ფრიდონი გამოვიდა სანადიროდ ზღვის პირზე, იქვე დატოვა მხლებელი სპა და თვით მხოლოდ ხუთი ბაზიერის თანხლებით დაედევნა ქორებს (602). მან ნავით გადაჭრა სრუტე და გადავიდა სადავო კუნძულზე, ისჯ რომ ანგარიშიც არ გაუწია მტრის სანაპირო დამცველ რაზმებს, მესაზღვრეებს, ანუ „გამყოფთ“:

არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავჰრიდო, და (603)...

მაგრამ ბიძაშვილთა მესაზღვრეებმა იწყინეს ეს დემარში:

მართლად იჯავრეს, წუნობა მათი თუ ესე ხმდა ვითა (604),

და ფრიდონის ასეთ „სტუმრობას“ მათ დემარშით უპასუხეს:

გამომაპარნეს ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა.

ამრიგად, სარდალი მოწყვეტილი აღმოჩნდა ლაშქარს. რითაც ისარგებლა მოწინააღმდეგემ:

თვით ბიძა-ძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,
ჩემთა გაუხდეს ლაშქართა ომად მათითა მკლავითა. (604).

როცა ფრიდონმა ეს დაინახა, მან, როგორც ჰგავს, გააღრღვია მტრის შემხვედრი რაზმის წინააღმდეგობა, ჩაჯდა ნავში და გაემართა ბიძაშვილებისაკენ: „ნავი ვსთხოვე მენავეთა... ზღვასა შევე“ (605), — გადმოგვცემს იგი. მტრის საზღვაო ძალებმა მას აქაც გზა გადაუჭრეს: „მომეგება მეომარი, ვითა ღელვა“ (605), — გვიამბობს გმირი. მოწინააღმდეგეს სურდა უვნებელეყო ფრიდონი, სანამ იგი შეუერთდებოდა თავის რაზმს, მაგრამ ეს ვერ მოახერხა:

სწადდა, მაგრა ვეღარა ქმნეს ჩემი ზედა წამოქელეა (605), —

ამბობს ფრიდონი და ცოტა ქვემოთ იმეორებს: „ერთგნით ვერ მომერეოდესო“ (606). მაშინ მოწინააღმდეგემ გამოიყენა თავისი რიცხობრივი უპირატესობა და ფრიდონისაკენ ზურგის მხრივ დასძრა ახალი ძალები:

კელა სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწეოდეს (606), —

გვიამბობს იგი. ამრიგად, ფრიდონი მარწუხში მოექცა, რასაც თვითვე აღნიშნავს ხაზგასმით: „იქით და აქით მომხიდეს“ (606) ბიძაშვილებიო. მტერმა ვერ გაბედა პირისპირი, ხელჩართული შეტაკება. ფრიდონი აცხადებს:

არ მომწურეოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მეოდეს (606).

მტერი, რომელმაც მნიშვნელოვანი ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვა, ორმხრივ აწვებოდა ფრიდონს და მარწუხის პირს თანდათან ავიწროვებდა. ბოლოს და ბოლოს საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა, რადგან, ალბათ. შორიდან დაშენილი ისრებით ფრიდონს ვერაფერი დააკლეს: ფრიდონი თავს გაშმაგებით იცავდა. მაგრამ მას ისარი დაელია, ხმალი გაუტყდა (606) და მხლებელნიც დაუხოცეს (607). ბოლოს თვითონაც დაიჭრა. მას უკვე ტყვედ ჩავარდნის საფრთხე ელოდა, მაგრამ იხსნა მისმა შესანიშნავმა მერანმა (607).

როდესაც ბიძაშვილებთან შეტაკებაში დაჭრილი ფრიდონი გამოკეთდა, მან და ტარიელმა გადაწყვიტეს რევანში აეღოთ:

მოჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯარისა,
დავკაზმეთ ნავი-კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა (613).

გაილაშქრეს. მოწინააღმდეგეც დიდი მასშტაბის საზღვაო ბრძოლისათვის შემზადებულა. ტარიელი აცხადებს:

ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რეა (614).

ამრიგად, ამ საზღვაო ომში ძალთა შეფარდება დისპროპორციულია მტრის სასარგებლოდ — 8:1, მაგრამ ტარიელმა მაინც გაიმარჯვა. რატომ?

თუმცა ტარიელი დიდი ფიზიკური ძალის მქონე გმირია, მაგრამ რუსთაველი, მხატვარი-რეალისტი, არ დაუშვებს ისეთ ჰიპერბოლას, რომ ტარიელმა მთელი ხომალდები ქუსლით დალეწოს, ან ხელით ააყირაოს და ზღვაში დაღუპოს. მართალია, ამ ომშიაც ტარიელმა გამოიჩინა დიდი სამხედრო ტალანტი, გამბედაობა და სწრაფი ორიენტირების უნარი, რაც მუდამ იყო, არის და იქნება ყოველი მებრძოლის დამამშვენებელი თვისება და სამხედრო ხელოვნებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, მაგრამ ომის ბედი აქ სხვა გარემოებებმა განსაზღვრა.

ტარიელმა ერთი საბრძოლო ერთეული — შეიარაღებული ხომალდი ანუ კატარღა გაიყვანა ზღვაზე. ზღვაზე ბრძოლა აქ აბორდაჟის სახეს მიიღებს, როცა მებრძოლი ხომალდები უშუალოდ მიადგებიან ერთმანეთს და გაჩაღდება შეტაკება. ტარიელის სიტყვები: „ქუსლი ვჰკარ“ (614) — ნიშნავს ტარანი ვაძგერე მტრის ხომალდს, ხოლო „მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“ — (615) — ნავამწით (ворон) ავაყირავე მტრის ხომალდიო. ამგვარი ნავსამსხვრევი დანადგარების სრულ დახასიათებას რუსთაველი გვაძლევს ავთანდილის ზღვის მეკობრეებთან ბრძოლის სურათში:

გამოჩნდა ნაჲ მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,
მას ნავსა ნაეთა სალეწად სახნისი ჰგია ძელითა (1037).

როდესაც მეკობრეები მიუახლოვდნენ ავთანდილის ნავს,

აძგერეს ბჱლი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა (1042).

ასეთ ყოველმხრივ აღწერას ტარიელის ხომალდისას, მართალია, რუსთაველი არ გვაძლევს, მაგრამ სამაგიეროდ ტარიელი გვეუბნება: „დავკაზმეთ კატარღა“. მოწინააღმდეგეს კი მხოლოდ ნავები (ჩვეულებრივი სამგზავრო ხომალდები) ჰყავს, თუმცა მათი რიცხვი ბევრად ჭარბობს ტარიელის საბრძოლო ერთეულთა რიცხვს. ამგვარად, კატარღამ, უეჭველია, დიდი როლი შეასრულა ამ საზღვაო ომში.

რა თქმა უნდა, არც მხოლოდ კატარღას შეეძლო გადაეჭრა საკითხი ტარიელის სასარგებლოდ.

ამ ბრძოლაში მტერმა დაუშვა ტაქტიკური შეცდომა. მან ვერ ისარგებლა თავისი რიცხობრივი უპირატესობით და ტარიელისაკენ წამოვიდა უსისტემოდ შეჯგუფებული, ან გაფანტული სახით, რასაც ეჭვმიუტანლად ადასტურებს ტარიელის მოწმობა:

ნაჲ წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რვა (614).

მტერი რომ კილვატერით, გაშლილი სწორი ხაზით (фронтально), ნამგლისებურად (наперерез), ან ირიბულად (параллельно) წამოსულიყო, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა ტარიელის ხომალდები სწრაფად გარემოეცვა და განეხორციელებინა ეს გარემოცვა, სარდალი ამას უსათუოდ საგანგებოდ აღნიშნავდა, როგორც უკვე აღ-

ნიშნა ხატაელთა ასეთი ტაქტიკის შესახებ სახმელეთო ომში (448). ეშინ ტარიელი ხომალდების დათვლასაც მოახერხებდა. მტერმა ვერც „თავნი ორგნით აქარავნა“, ვერც „იქით და აქით მოუხდა“ ტარიელს, როვორც ეს განახორციელა ფრიდონმა პირველი შეტაკებისას. ერთი სიტყვით, შეიძლება განზრახული ჰქონდა ტარიელის გარემოცვა ბრძოლის პროცესში, მაგრამ ტარიელისაკენ იგი უთუოდ უსისტემოდ დაიძრა, რაც მისი დიდი შეცდომა იყო. ტარიელმა ისე სწრაფად შეუტია, რომ გარემოცვის შესაძლებლობა მოუსპო: „ფიცხლად ზედა შევაჯახე“, (614), „ქვლა სხვასა მიევე“ (615), — გვიამბობს ტარიელი. მტერიც დაიბნა, მისმა ხომალდებმა „დაიწყეს ამაოდ ცურვა“, „დაიზახეს დიცურ ვა“ (614), გაიქცნენ. ბრძოლას გაერიდნენ და „მიჰმართეს მათ მათსა საქულბაგესა“ (615), ალბათ, ნავსადგურებს.

ტარიელმა გაიმარჯვა ზღვაზე, მაგრამ ომი ჯერ არ დამთავრებულა. ახლა საჭიროა ხმელეთზე გადასვლა, რასაც დესანტს უწოდებენ, და მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავება.

დესანტი ეწოდება მტრის ტერიტორიაზე ზღვით ან ჰაერით ჯარის გადასხმას. მას მეტად იშვიათად განახორციელებენ ხოლმე, რადგან რთულ ოპერაციად ითვლება, თუ მას ადგილი აქვს კარგად მომზადებული მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

მთავარსარდალმა ბრწყინვალედ განახორციელა დესანტი და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასხა თავისი ქვეითი ჯარის ნაწილები: ზღვა გავიარეთ, გავედით (616), — გვიამბობს სარდალი. ეს ნაწილები, მოზიდული ტერიტორიაზე კატარღის მეშვეობით, არ შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ბიძაშვილთა ტერიტორიული ჯარი.

მაგრამ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე უეჭველად გადასხმულ იქნა ქვეითი ნაწილები, რასაც ადასტურებს ტარიელის სიტყვები:

დავკაზმეთ ნავი. კატარღა, და რიცხვი სპათა ჯარისა (613).

ერთ კატარღას მაშინდელი წყალწყვისა არ შეეძლო დაეტია ისეთი რაოდენობის ცხენოსანი ჯარი, როგორიცაა „რიცხვი სპათა ჯარისა“. ამას გარდა, სხვაგან რუსთაველი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს ცხენოსანი ჯარის სახეობას. ასე, მაგალითად, ხატაეთზე გალაშქრების წინ მან ნახა აღლუმი, მეკეთა „ტაიჭთა მათთა სიმალე“, ჩემი ლაშქრის ცხენების სიფიცხეო, ამბობს ტარიელი. ქაჯეთშიც გმირები:

თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს გმირთა დარსა (1389).

ტარიელს რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მხედრობა გადაეყვანა, იგი ამას უსათუოდ აღნიშნავდა, როგორც მის მიერ განხორციელებულ რთულ ოპერაციას. ამრიგად, არავითარი ეჭვი არაა, რომ ტარიელმა სადავო კუნძულზე გადასხა ქვეითი ჯარი.

მაგრამ მტერი მზად არის დესანტის გასანადგურებლადაც, თუ თავდამსხმელმა მოახერხა ხმელეთზე გადასვლა, რისთვისაც ტარიელ-ჟრიდონის ქვეით სადესანტო ნაწილებს მან ცხენოსანი ლაშქარი შეაგება: „გაეედით, შემოგვიტიეს ცხენია“ (616), — გვიამბობს სარდალი.

ამრიგად, აქ დასტურდება სამხედრო ხელოვნების თეორიაში საერთოდ ძნელად მიჩნეული, ხოლო ისტორიაში — იშვიათი შემთხვევაა: ქვეითი ნაწილების შეტაკება ცხენოსან ჯართან.

ჯერ კიდევ 490 წელს ჩვ. წ-მდე, ბერძენ-სპარსელთა ომებში, მარათონთან, ბერძნებმა ნათელყვეს, რომ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ქვეითი ნაწილებისათვის ცხენოსანი ნაწილები საშიში არ არის. უფრო მეტიც, კარგად გაწვრთნილ და დისციპლინიან ქვეით ნაწილებს არა მარტო შეუძლიათ უკუაგდონ ცხენოსანი ნაწილების შემოტევა, არამედ გაიმარჯვონ კიდეც ამ ბრძოლაში. პოემაშიც ქვეითი ნაწილების შეტევა ცხენოსანი ჯარისადმი ამ უკანასკნელის სრული დამარცხებით დამთავრდა: „მათნი ლაშქარნი გაგვეჭცეს... გაცავფანტენით... წაუღეთ ქალაქი“ (618),

ფრიდონ ნახნა საჲურჭლენი და ბეჭედნი მისნი დასხნა,
თვით ორნივე ბიძა-ძენი დაჰყრობილნი წამოასხნა (619), —

გვიამბობს ტარიელი.

მაგრამ როგორ? ე. ი. რა ტაქტიკური ხერხით იქნა წარმოებული ბრძოლა და რა იარაღით იქნა გადაწყვეტილი მთელი ამოცანა?

რუსთაველი ყოველთვის გვიჩვენებს იმ ტაქტიკურ ხერხებს, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებენ ბრძოლას მოწინააღმდეგეები. ეს ხერხები ყოველთვის სხვადასხვაა, თუმცა თვით ტარიელის ტაქტიკას ახასიათებს ძირითადი საერთო პრინციპი, რომელსაც სარდალს კარნახობს საკუთარი ძალების სტრატეგიული ვითარება: იგი თითქმის ყოველთვის მცირერიცხოვანი რაზმით იბრძვის მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ძალთა ასეთი შეფარდებით დაიწყო ბრძოლა თვით ხატაეთშიაც კი, თუმცა იქ ტარიელს დიდი ლაშქარი ახლდა. ამიტომ მისი ძირითადი ტაქტიკური ხერხია არაზანტი, სწრაფი და ფიცხელი შეტევა.

ეს ტაქტიკური ხერხი გამოიყენა ტარიელმა საზღვაო ომშიც, და ასევე მოიქცა იგი, როცა ბრძოლა ხმელეთზე გადაიტანა:

> მათნი ლაშქარნი გაგეექცეს, ვეცენით, გაცავფანტენით,
> ფიცხლად წავუღეთ ქალაქი, არ თაენი გავაბანტენით (616).

რა იარაღით იქნა გადაწყვეტილი ეს ბრძოლა?

რუსთაველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯარის ტექნიკურ შეიარაღებას, რადგანაც პოეტმა იცის, რა როლს ასრულებს იარაღი ბრძოლაში. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ომის ტაქტიკა და სტრატეგია დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სახის იარაღით და ტექნიკური საშუალებებით წარმოებს ბრძოლა, და რომ იარაღის შეცვლა და გაუმჯობესება იწვევს სტრატეგიისა და ტაქტიკის პროგრესულ ცვალებადობას.

აღარ ჩამოვთვლით იარაღებს ან მათი დამხმარე ნაწილების სახელებს, რომელთაც ვხვდებით პოემაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აქ არ გვხვდება არც ცეცხლმსროლელი იარაღი — თოფი, დამბაჩა, ზარბაზანი, არც სახმელეთო ომში სახმარი რაიმე რთული სახის ცივი სასროლი მანქანა, ან მანქანა-დანადგარი, საომარი ეტლები, მეომარი სპილოები და სხვა, რასაც ძველი ქვეყნები იყენებდნენ ხოლმე ბრძოლაში ველზე, ციხის ალყის დროს, ან ალყის გასარღვევად თუ სხვა საჭიროებისათვის.

პოემის გმირები ომში მხოლოდ მარტივი სახის ცივ ნაჯედ იარაღს იცნობენ და მითვე აწარმოებენ გიგანტურ ბრძოლებსა და ომებს. სამაგიეროდ რუსთაველი უდიდესი ყურადღებით ეკიდება იარაღის სარისხს.

როცა ხატაეთზე გალაშქრების წინ ტარიელმა ნახა აღლუმი, მოეწონა „ლაშქართა მოკაზმულობა“ და „აბჯართა ხვარაზმულობა“. ბრძოლაში, მართალია, მისი „შუბი გატყდა“, მაგრამ იმიტომ, რომ ტარიელს ვერ გაუძლო. ხმალს კი იგი აღტაცებით მიმართავს: „ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესაო“ (446). და აღფრთოვანებით გაიძახის: „ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის“ (448).

უფრო მეტი ყურადღებით ჩერდება რუსთაველი გმირთა იარაღსა და ხარისხზე, როცა ისინი ქაჯეთზე სალაშქროდ ემზადებიან. ტარიელმა ქვაბში მთელი ზარადხანა იპოვა, „აბჯარისათვის სახლად ქმნილი“, ანუ იარაღის საწყობი, და „შიგან ერთი კიდობანი“, რომელსაც

ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი — ალმასი, ხრმალი — პასრისა, მჭრელიო“ (1368).

გმირებმა

კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი,
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი (1369).

მათ ეს იარაღი ჩაიცვეს, აისხეს და გამოსცადეს:

ხრმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა, სჭრიდიან (1370).

სწორედ ამ იარაღითა და ხმლით იყო, რომ ტარიელი ქაჯთა „აბჯარსა ფრეწდის“, რომლის წინაშე „გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ (1416). გასაკვირიც არ არის, თუ ეს იარაღი „მათ უღირს ყოვლად ქვეყნად“, თუ ამ იარაღს მთელი ქვეყნის ფასადაც „არ გაჰყიდიან“ (1370).

მაგრამ რუსთაველი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს იმ ნაჭედ იარაღს, რომლითაც ტარიელმა ფრიდონის სამშობლოს გაერთიანებისათვის გადახდილი ბრძოლა მოიგო და სრულებით არაფერს ლაპარაკობს ამ იარაღის ხარისხის შესახებ. იქ ნათქვამია მხოლოდ, რომ ფრიდონს „შეეძლო ხმარება ცხენ-აბჯარისა“ (613). რომ მტერი „ხრმლითა ჩამოყარნა“. ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ცივ ნაჭედ იარაღს ამ ბრძოლაში ძალიან მცირე როლი აქვს დაკისრებული. ეს ბრძოლა სრულიად სხვა იარაღით (საშუალებით) იქნა გადაწყვეტილი.

ტარიელის, როგორც მთავარსარდლის წინაშე დგას ამოცანა: გამოაცალოს მტერს უპირატესობა და ამრიგად ან გააწონასწოროს მებრძოლი ძალები, ან გამოიწვიოს მტრის რიგებში არევ-დარევა, შიში, დაბნეულობა და ხელთ იგდოს ინიციატივა. მოწინააღმდეგის უპირატესობა ამჟამად ცხენებია. ტარიელმაც მათ წინააღმდეგ მიმართა იარაღი, რასაც თვითვე აღნიშნავს:

ქვითა დავჰლეწეთ წვივები, ჩვენ იგი გავანატენით (618).

ერთი შეხედვით, აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, ვისი წვივები დალეწეს ქვით მებრძოლებმა, რადგან ცხენები მოხსენებულია ნაცვალსახელით „იგი“. მაგრამ ამ სტროფის პირველ ორ ტაეპში ლაპარაკია იმაზე, თუ რა ტაქტიკური ხერხით იქნა აღებული ქალაქი. ეს

არის სწრაფი, ფიცხელი, არაზანტი შეტევა. მესამეში კი ავტორი გვაცნობს იმ საშუალებას, რომლითაც დამარცხებულ იქნა მტრის ცხენოსანი ნაწილები მანამდე, სანამ ისინი მოახერხებდნენ ტარიელ-ფრიდონის ქვეითი ნაწილებისათვის შემოტევას და მათთან უთანასწორო ხელჩართული ბრძოლის გამართვას: ჩვენ ქვით დავლეწეთ (ცხენთა) წვივები, ისინი ნატებად ვაქციეთო. ნატი ქვეშაგებად დამუშავებულ ცხოველის ტყავს ეწოდება. შდრ. მაგ:

> მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები,
> მას მაზედა დაჯდა იგი ყმა (267).

მეტაფორულადაც არ შეიძლება ადამიანის გადაქცევა ქვეშაგებ ტყავად. ამასთანავე, ამხედრებულ მეომართა წვივების ქვით დალეწვა შეუძლებელია: გასროლილი ქვა ან ცხენებს მოხვდება, ან მეომრების ზედატანს.

ამგვარად დაამარცხა ტარიელ-ფრიდონის სადესანტო ქვეითმა ჯარებმა მტრის ცხენოსანი ნაწილები.

ამ ანალიზის შემდეგ, ვფიქრობთ, მცდარად უნდა ჩაითვალოს რუსთაველმცოდნეობაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს პოემაში ჩვენ გვქონდეს ორი დიდი—ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ბრძოლებიս სურათები. როგორც ვხედავთ, ფრიდონის სამშობლოს გამაერთიანებელი ბრძოლა არა ნაკლებ საყურადღებო ბრძოლაა[1].

---

1 თვით რუსთაველის დროს „რიჩარდ ლომგულს თავს დაესხა დაახლოებით 7000 მამელუკი და ქურთი, მაშინ როცა... მას ჰყავდა 55 რაინდი, რომელთაგან მხოლოდ 15 იყო ცხენოსანი, 2000 კი ქვეითი მოისარ-შურდულოსანი გენუელი—პიზელი მეზღვაურები. მან შექმნა შურდულოსანთა ხაზი, რომლებმაც დაიჩოქეს ცალ მუხლზე და დაუნიშნეს შურდულები (მოწინააღმდეგეთა) ცხენებს მკერდში. მათ უკან დადგნენ მოისარნი, რომელთაც ებრძანათ, დაეშინათ (ისარი) განუწყვეტლად... ამრიგად, ისრები ცვიოდა სეტყვისებურად... მოძრავ ცხენებიდან გამოგზავნილ ისრებით (ქურთ-მამელუკებმა) ვერაფერს მიაღწიეს, თვით კი განიცადეს დიდი დანაკლისი... ასე ბრძოლა გაგრძელდა... ბოლოს თურქებმა დატოვეს რა ბრძოლის ველზე 700 კაცი და 1500 ცხენი, დაიხიეს, მაშინ, როცა ჯვაროსნებმა დაკარგეს მხოლოდ 2 კაცი („ჰანს დელბრუკი" სამხედრო ხელოვნების ისტორია, რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1938. ტ. 3, გვ. 299). ეყრდნობა რა ომანს, ასე აგვიწერს სამხედრო ხელოვნების გერმანელი ისტორიკოსი ჰანს დელბრუკი 1292 წელს იაფასთან მომხდარ ბრძოლას და თან დაუსაბუთებლად ეპვს გამოთქვამს ამ ფაქტების სინამდვილისადმი. მაგრამ დელბრუკი უარყოფს მთელ რუსულ სამხედრო ხელოვნებასაც, თუმცა სწორედ ამ რუსულმა სამხედრო ხელოვნებამ გაფანტა და მტვრად აქცია ჰანს დელბ-

გადაეიდეთ ქაჯეთის ეპოპეაზე. მოწინააღმდეგე ძალები აქ ერთმანეთს ხვდებიან არა გაშლილ ველზე, ან ზღვაზე: ძმადნაფიცებმა უნდა აიღონ მიუვალ კლდეზე აღმართული ციხე-სიმაგრე.

ციხის აღების სამი ძირითადი გზა არსებობს. პირველია იერიში, მეორე — ალყა, ალყა ხშირად მეციხოვნეთა კაპიტულაციით დასრულდება ხოლმე, ხანდახან კი მას მოჰყვება იერიშიც. ამგვარად, მესამე გზა ციხეზე კომბინირებულ დაწოლას მოითხოვს.

ცხადია, ამ გზების არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის საბრძოლო ობიექტი არის ასაღები, როგორია მოწინააღმდეგე ძალთა შეფარდება, საბრძოლო საშუალებანი, ეკონომიური რესურსები და სხვ. ეს, როგორც ჩანს, იცის ავთანდილმა: ქაჯეთის ციხის აღებისათვის საჭიროა მისი გულდასმით შესწავლა, რაც დაუყოვნებლივ დაიწყო მან, როგორც კი ნესტანის კვალს წააწყდა.

ქაჯეთზე პირველად ლაპარაკია ფატმანის სასახლეში. პირველად ფატმანმა გააცნო ავთანდილს ქაჯეთი:

> ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
> ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
> მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია (1242).

ეს გვირაბი არის დედა-ციხეში შესასვლელი ერთადერთი გზა.

> გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები.
> ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები,

ქალაქის კართა სამთავე ციხის გალავანში შესავალ სამივე კარებს სამათას-სამათასები (1243) იცავენ. ავთანდილის შეკითხვაზე: „ქაჯნი რას აქნევენ ქალსო“ (1246). ფატმანი პასუხად გვაძლევს ქაჯეთის და ქაჯების უფრო დაწვრილებით დახასიათებას. ირკვევა, რომ ქაჯნი ნამდვილი ადამიანები არიან. მაგრამ ცხოვრობენ მიუვალი კლდეებით შემოზღუდულ სიმაღლეზე და აქვთ საკვირველებამდე განვითარებული ტექნიკა, ანუ არიან „გახელოვნებულნი“. ამიტომ, ფატმანის აზრით, შეუძლებელია მათი დამარცხება:

> მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი (1247).

რუკის ქვეყნის და მისი ჯარების უბადაღებული უძლეველობის მითი. ასევე, იმავე 1192 თუ 1193 წელს ქართველების წინააღმდეგ ქ. ბარდავში „წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკთა შინა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცნელნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 2, 1959, გვ. 59, ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ისტორია“, ტ. II. გვ. 599).

მაგრამ ავთანდილი ვერ შეაკრთო ქაჯეთის უძლეველობის მითმა, ქაჯეთის ტექნიკამ და საიდუმლოებებმა. იგი არ კარგავს იმედს, რომ ქაჯეთი აღებულ იქნება. საჭიროა მხოლოდ ოპერაცია ჩატარებულ იქნას რაც შეიძლება ფრთხილად და დიდი სტრატეგიული დაზვერვის, მოწინააღმდეგის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ. ამიტომ ის თხოვს ფატმანს. როგორმე მოახერხოს, რომ ხესტანმა „გვაცნობოს მართალი“, რათა „ვქმნათ მისი გამორჩეულიო“ (1267).

აქ ავთანდილმა პირდაპირ დააყენა ქაჯეთის სტრატეგიული დაზვერვის საკითხი. ქაჯეთის ციხეზე მისული გმირები ბრძოლის წინა ღამეს აწყობენ ქაჯეთის ტაქტიკურ დაზვერვასაც. ასეთ დაზვერვათა პირველი კლასიკური მაგალითები სამხედრო ხელოვნებას ალექსანდრე მაკედონელმა უჩვენა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ორივე სახის დაზვერვას. ასევე, იულიუს კეისრის კამპანიის გეგმა ყოველთვის გამოდიოდა რეალური ვითარებიდან, იგი თავის პირველ ამოცანად აუცილებელი ცნობების შეგროვებას სახავდა.

სხვათა შორის, ინდო-ხატაელთა და ფრიდონის სამშობლოს გაერთიანებისათვის გადახდილ ბრძოლებში ტარიელს არც დაუყენებია, არც გადაუჭრია მოწინააღმდეგის ტაქტიკური და სტრატეგიული დაზვერვის ამოცანა. ადვილად შესაძლოა, ტარიელს რომ რამაზ მეფის მოციქული არ დახმარებოდა, რომელიც თავისი სურვილით გამოცხადდა ინდოეთის სარდლობის მთავარ ბანაკში, მთელი ხატაეთის კამპანია ტარიელის დამარცხებით დამთავრებულიყო. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ბრძოლის ბედი ხატაეთში საბოლოოდ გადაწყვიტა რეზერვის (აქ მთავარი ძალების) ომში ჩაბმამ, იმან, რომ ბრძოლის ველზე დროულად გამოცხადდა „უკანანიცა ლაშქარნი“. ეს მოხდა ხატაელი ჯაშუშის ინფორმაციის კვალობაზე. მაგრამ იგი ხომ თავისი ნებით გამოცხადდა ტარიელთან. ფრიდონის მოწინააღმდეგეებიც კარგად მოემზადნენ ბრძოლისათვის, მაგრამ ტარიელს არც ამის შესახებ შეუკრებია ცნობები. ორივე ეს ბრძოლა ტარიელმა მოიგო თავისი შესანიშნავი ტაქტიკური უნარის მეშვეობით. ტარიელი არ უარყოფს გამბედაობის ერთგვარ მნიშვნელობას ბრძოლაში. როდესაც ხატაელმა აცნობა, რამაზი 130000-იანი ლაშქრით გელოდება ჩასაფრებულიო, მან განაცხადა:

რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია (437),

ე. ი. წინასწარ გადაწყვეტილებებს ბრძოლაში არ აქვთ გადამწყვეტი მხიშვნელობაო, და 300 კაცით დაიძრა 130000-იანი ჩასაფრებული ლაშქრის წინააღმდეგ. ამრიგად, ტარიელი ფიქრობს, რომ ომში გადამწყვეტია ბრძოლის ველი და იქ განხორციელებული ნაბიჯები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელის ასეთი გამბედაობა და გადაწყვეტილებანი არასოდეს არ გადადის ავანტიურაში. ეს ის გამბედაობაა, რომლის შესახებაც ჟომინი წერდა: „ეს ის კეთილმოქმედი ფაქტორია, ურომლისოდაც ვერც არმია დაიმსახურებს პატივისცემას და არც სახელის მოპოვება შეიძლებაო". ავთანდილის აზრით კი, გამარჯვების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოწინააღმდეგის ძალთა შესწავლა:

ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა:
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?
მანდაურთა მეომართა ანგარიში წერილად გვინა,
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ ა?
რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე (1273, 74), —

მისწერა ავთანდილის დავალებით ფატმანმა ნესტანს. გამოდის, რომ ავთანდილში ჰარბობს სტრატეგი, ტარიელში — ტაქტიკოსი.

დავუბრუნდეთ ქაჯეთის ბრძოლის გაანალიზებას. ნესტანმა შესანიშნავად გაიგო თავისი ამოცანა:

აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები,
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები (1286);
ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,
მაგრა სპანი უთვალავნი მცველ (1287),—

სწერდა იგი ფატმანს, ტარიელს-კი აცნობებდა:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან (1300).

მაგრამ ნესტანის აზრით, სრულიად ზედმეტია ქაჯეთის აღებაზე ფიქრიც კი:

რასა ჰქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე! (1287).
ვინცაღა ჩემი მძებნელი მოსრულა, ცუდ მაშვრალია (1288), —

სწერს იგი ფატმანს და სთხოვს: ტარიელიო

ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შეცასთვალე (1289).
ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჰორითა (1290).

თვით ტარიელი კი შეიძლება მსხვერპლი გახდეს ქაჯებისაო. ასევე სწერდა იგი ტარიელსაც (1299, 1300, 1301).

ასეთ კაპიტულანტურ თვალსაზრისზე დგანან პოემის გმირი ქალები, კერძოდ, ნესტანიც (რატომ — ამაზე ქვემოთ). მაგრამ ავთანდილის გადაწყვეტილება მტკიცეა. მან ამ მიწერ-მოწერით უკვე შეაგროვა მისთვის საჭირო ცნობები ქაჯეთის ტოპოგრაფიული ვითარებისა და მდგომარეობის, მცველი ძალების რაოდენობისა და ხასიათის, სარდლობის და სხვათა შესახებ, და ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მოითათბირებდეს ტარიელთან და ფრიდონთან, უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ქაჯეთზე გალაშქრება, რაც მისწერა კიდეც ფრიდონს (1320).

შემდეგ ქაჯეთზე ლაპარაკია ფრიდონთან, მან უთხრა ძმადნაფიცებს:

> აწ ყოვნა არ ვარგა, წასვლა სჯობს გზისა გრძელისა,
> თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა (1386).

ამრიგად, სტრატეგიული დაზვერვით მიღებულ ცნობათა მიხედვით უკვე გადაგმულია პირველი ნაბიჯი.

ფრიდონი კარგად იცნობს ქაჯეთს, აქ იგი ადრეც ყოფილა:

> ჯოლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების (1388).

ფრიდონიც, რა თქმა უნდა, ქაჯეთზე გალაშქრების მომხრეა, თუმცა იერიშით ან ალყით ციხის აღება მასაც შეუძლებლად მიაჩნია:

> თუ იდუმალ არ შევუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების (1388).

ამრიგად, ფრიდონს სურს ქაჯეთის ტექნიკას და საიდუმლოებებს დაუპირისპიროს ასეთივე საშუალებანი. ამიტომ,

> მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვყვების. (1388).
> დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანი,
> სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი (1387)...

გმირებიც „დაემოწმნეს ამა მისსა ნაუბარსა“ (1389) და მხოლოდ სამასი მძიმედ შეიარაღებული მეომრის თანხლებით გადალახეს ზღვა, დღისით და ღამით იარეს, და როცა ქაჯეთს მიუახლოვდნენ,

> ფრიდონ თქვა: „ეახლაეთ არეთა, ჩვენ, ქაჯეთს მიახლებულთა,
> აქათგან ღამით ვლა გვინდა, მით არას გამჭღავნებულთა“ (1390).
> ამა ფრიდონის თათბირსა სამნიე ერთგან ჰზმიდიან,
> რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლად ვლიდიან,
> მოვიდეს, აჩხდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან (1391).

ჯერ კიდევ გულანშაროში ავთანდილს აინტერესებდა, არიან თუ არა ქაჯნი — მეფის ძენი ქაჯეთში, ან ვინ არის ნესტანის მცველი ჯარის თავადი, ე. ი. სარდალი (1273). ნესტანიც იწერებოდა:

ქაჯთა მეფე არ მოსულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე (1287).

ავთანდილმა სიხარულით გადასცა ეს ცნობა ფრიდონს (1320), ხოლო ეს უკანასკნელი გმირებს აფრთხილებს: ვისწრაფოთ, ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, თორემ

თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საქმე არს სიძნელისა (1386).

აქედან ჩანს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რუსთაველის გმირები სარდალს, სარდლობას, რითაც ისინი სამხედრო თეორეტიკოსთა რიგებში დგებიან. თვით ქაჯეთს გმირები, როგორც უკვე ვნახეთ, ღამით მიადგნენ და სწორედ აქ

თქვეს: ვითათბიროთ ვითა ექმნათ, აწ გამორჩევა ძნელია,
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია (1392).

სანამ დასახელებული თათბირის გარჩევას შევუდგებოდეთ, ზედმეტი არ იქნებოდა შევჩერებულიყავით საკითხებზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ სამხედრო თეორეტიკოსები ოპერაციის მომზადებას მტრისათვის საიდუმლო ვითარებაში, ჯარების გადაჯგუფება-განლაგებას და სხვ., მაგრამ აქ მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით. ქაჯეთის ზღურბლთან გმირებმა განაცხადეს:

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია...

ეს კოლექტიური განცხადება ადასტურებს, რომ გმირები სამხედრო საქმეს, ომსა და ბრძოლას განიხილავენ, როგორც სამხედრო ხელოვნებას, რითაც თავიანთ მაღალ თეორიულ მომზადებას ამჟღავნებენ. მათ კარგად იციან, რომ მებრძოლი მასების უბრალო, პირდაპირი, შუბლური ურთიერთ შეტაკებისას დამარცხებული აღმოჩნდება (ან უნდა აღმოჩნდეს) მცირერიცხოვანი მხარე. ამავე დროს მათ კარგად ესმით, რომ „კამეჩის ტაქტიკა“ პირდაპირი, შუბლური დაწოლისა, ან შუბლის ცემა მტრის სიმაგრეზე ხელოვნება არაა, რომ ამა თუ იმ ბრძოლის წარმოებისას საჭიროა გამორჩევა, ბრძოლის ხერხების, საშუალებების, ფორმების შერჩევა, ანუ ბრძოლისა და ომის წარმოებისას კონკრეტული საორიენტაციო საოპერაციო გეგმის შედგენა და მის მიხედვით ბრძო-

ლა, ისეთი სტრატეგიით და ტაქტიკით ბრძოლა, რომელიც მოცემულ გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ გარემოში, ძალთა თანაფარდობაში, ტექნიკისა და შეჯურვილობის ვითარებაში, პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში, ე. ი. მოცემულ საბრძოლო სინამდვილეში უზრუნველყოფს გამარჯვებას. ასეთი გზის გამოძებნა ადვილი არაა, „აწ გამორჩევა ძნელია“, აცხადებენ გმირები. ამავე დროს ისინი დარწმუნებული არიან, რომ „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“...

რუსთაველის ეს ბრწყინვალე თეორიული შეხედულება უდიდესი სიახლეა მისი ეპოქის სამხედრო ხელოვნებაში. მაშინ, როცა მთელს აღმოსავლეთში გამარჯვების უეჭველ საწინდარად რიცხობრივი უპირატესობა და დიდი ლაშქარი ითვლებოდა, რუსთაველმა წამოაყენა დღეს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული პრინციპი მცირერიცხოვანი ძალების მრავალრიცხოვან მტერზე სრული გამარჯვების შესაძლებლობისა. სწორედ ესაა, რუსთაველის აზრით, ხელოვნება. ნაპოლეონიც კი ამბობდა, დიდი არმიები ყოველთვის მართალი არიანო. მაგრამ იგივე ნაპოლეონი თავის მიერ გადახდილ ბრძოლებში ყველაზე საუკეთესოდ აუსტერლიცის ბრძოლას თვლიდა. ცნობილია ის დიდი შეფასება, რასაც ამ ბრძოლას აძლევდნენ მარქსიზმის კლასიკოსები — მარქსი და ენგელსი. აუსტერლიცთან კი ნაპოლეონმა დაამარცხა საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსული ევროპის კოალიციის ჯარები, რომელთა რაოდენობა ბევრად ჭარბობდა საფრანგეთის ძალებს.

ჭაჯეთი მიუვალი და მიუდგომელი ციხეა, მისი დამცველნი კი — აღჭურვილნი გასაოცარი საბრძოლო ტექნიკით. შემთხვევითი არაა, რომ პოემის გმირი ქალები, კერძოდ, ნესტანიც კი, ჭაჯეთის ციტადელის ძალით დამხობის საკითხში კაპიტულანტურ თვალსაზრისზე დგანან. ამით რუსთაველმა ხაზი გაუსვა, რომ არსებობს ჭაჯეთის უძლეველობის აზრი. ციტადელი დაეცა გამორჩევის საფუძველზე მოქმედების შედეგად. არ არსებობს სიმაგრე, რომელიც ადამიანის გონების შეტევას გაუძლებს. ასეთია რუსთაველის აზრი.

ფრიდონი თავის მიერ ერთხელვე აღიარებულ გეგმას იცავს: მას სურს ჭაჯეთის ტექნიკას, საიდუმლოებებსა და გრძნეულებას დაუპირისპიროს თავისი მუშაითობა (ჯამბაზობა). მან შემოიტანა წინადადება, გაეჭიმათ გრძელი საბელი ციხეზე. ფრიდონი გაივლიდა ზედ მთელი საბრძოლო შეკაზმულობით, ჩახტებოდა ციხეში, გააღებდა კარებს და წარმატებაც გმირების მხარეზე იქნებოდა (1393-96).

ავთანდილი არ იზიარებს ფრიდონის გეგმას: ქაჯებს უკეთესი ტექნიკა აქვთ, მოსალოდნელია მტერმა გადაჭრას საბელი, რაც ფრიდონის აუცილებელ დაღუპვას გამოიწვევს და მთელ კამპანიას ჩაშლის. იგი ფიქრობს, რომ ქაჯეთის ტექნიკა და საიდუმლოებები უნდა დაძლეული იქნეს მოტყუების გზით. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ავთანდილი ვაჭრულად ჩაცმული შეიპარება ციხეში, ერთი ჯორით შეიტანს საჭურველს და სხვ. (1397—1401).

ცნობილია, რომ თათბირზე მიღებულ იქნა ტარიელის გეგმა.

სამხედრო ხელოვნებაში უშესანიშნავესი იერიში ციხეზე, „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის სამხედრო გენიის კონცენტრირება და შემოქმედებითი შედევრი, — ეს არის ქაჯეთის ეპოპეა. იგი მწვერვალია ტარიელის სამხედრო მოღვაწეობაში. მართალია, ინდო-ხატაელთა ომში ტარიელმა მტრის 130 000-იანი ლაშქარი დაამარცხა, მაგრამ როგორი მაღალი კლასისაც არ უნდა იყოს ამ ომში ტარიელის ტაქტიკა და ოპერატიული ხელოვნება, ბრძოლის ბედი საბოლოოდ მაინც იმ გარემოებამ გადაჭრა, რომ მასში ჩაბმულ იქნა ინდოელთა უზარმაზარი ცოცხალი სამხედრო ძალა (402).

პოემის მეორე დიდ ომში საზღვაო ბრძოლის ბედი არა მარტო ტარიელის ტაქტიკამ ან მტრის ტაქტიკურმა შეცდომამ გადაჭრა, არამედ მასში დიდი როლი შეასრულა კატარღამაც. თუმცა მტრის საბრძოლო ერთეულთა რაოდენობა მკვეთრად ჭარბობდა ტარიელისას. რიცხობრივად არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს ამ ბრძოლაში ხმელეთზეც. პოემაში თუმცა ეს ნათქვამი არ არის, მაგრამ სადესანტო ჯარები, ცხადია, უფრო მცირერიცხოვანი იქნებოდა, ვიდრე ფრიდონის პირაშვილთა მთელი სახმელეთო ძალები. მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ქაჯეთში მებრძოლ ძალთა თანაფარდობა, რადგან განაყოფებს ასე თუ ისე ერთმანეთზე ცოტათი მეტ-ნაკლები ძალების გამოყვანა შეეძლოთ.

სხვა მდგომრეობაა ქაჯეთის ციხის ზღურბლთან. აქ ძმადნაფიცების გაწყარგულებაშია მხოლოდ 300 რჩეული მხედარი. ამ ძალის მეშვეობით მათ უნდა აიღონ მიუვალ მწვერვალზე აღმართული ციხე, რომელსაც 19 000 მეომარი იცავს. მოწინააღმდეგე ძალთა დისპროპორცია აქ უკიდურეს საზღვარს აღწევს.

რიცხობრივი უპირატესობა, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო ხელოვნებაში მუდამ ითვლებოდა და ითვლება გამარჯვების ერთ-ერთ უძირი-

თადეს ფაქტორად. მე-19 საუკ. სამხედრო ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელიც კი აღიარებს, რომ რიცხობრივად ორჯერ მეტი ძალების დამარცხება, თუ სხვა ფაქტორები თანაბარი ძალისა და უნარის არიან, არ შეუძლია თვით საუკეთესო და უნიჭიერეს სარდალსაც კი. რუსთაველიც აღიარებს, რომ თუ ბრძოლა მიმდინარეობს შეუსწავლელ და გაუთვალისწინებელ ვითარებაში და რიცხობრივი თანაფარდობა მეტად დისპროპორციულია, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, რიცხობრივი უპირატესობა თავისას გაიტანს:

რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან (435).

უთხრეს ტარიელს.

ადვილი გასათვალისწინებელია, რა სიძნელეთა წინაშე დგას ტარიელი. მაგრამ ქაჯეთის აღების სიძნელეს არა მარტო მისი მცველი გარნიზონების მრავალრიცხოვანობა განაპირობებს. მას 19000 მეომარი იცავს, არა უბრალო, ჩვეულებრივი, არამედ გასაოცარი ტექნიკური საშუალებებით. ქაჯები ხომ არიან გ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ უ ლ ნ ი ისე, რომ

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა, გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ,
სწადდეს, დღესა ბნელად იქმან, სწადდეს, ბნელსა ანათობენ (1248).

და ეს მაშინ, როცა ძმადნაფიცებს დრო საშუალებას არ აძლევს ასეთ განვითარებულ თავდაცვით ტექნიკას დაუპირისპირონ არა თუ განვითარებული, არამედ ციხის უბრალო საიერიშო ტექნიკაც კი.

თანაც ქაჯეთი განსაკუთრებული სიმაგრეა. მისი დაცემის სიძნელე მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მას 19000 მეომარი იცავს, რომ იგი მიუვალი კლდეებითაა შემოზღუდული, რომ ქაჯეთის ტექნიკას განცვიფრებაში მოჰყავს ყველა. ამ დაბრკოლებათა გადალახვა ასე თუ ისე შეიძლება. ქაჯეთის აღების მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ქაჯებს შეუძლიათ არც ჩაებან პირისპირ ბრძოლაში. ალყა კი, როგორი ხანგრძლივიც არ უნდა იყოს იგი, ქაჯების წინააღმდეგობას ვერ გასტეხს. მაშინ მთელი კამპანია განწირული აღმოჩნდება ყოველგვარი შეტევისა და შეტაკებათა გარეშეც:

ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია (1393), —

აღიარებს, როგორც მწარე სინამდვილეს, ფრიდონი.

ამრიგად, ცხადია, ქაჯეთი შეიძლება დაეცეს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ჩაებმებიან ბრძოლაში, თუ გამოვლენ საბრძოლველად. ამის გამო მთავარსარდლის წინაშე დგას ამოცანა: გამოინახოს ტაქტიკური ხერხი, რომელიც აიძულებს ქაჯებს ჩაებან ბრძოლაში, და მოიგოს ეს ბრძოლა.

ბრძოლაში ხშირად ერთი მოწინააღმდეგე მხარე აიძულებს მეორეს, გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით ხელსაყრელია პირველისათვის. ეს მანევრირებაა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს სარდალს, რადგან მის ჩაშლას შეუძლია გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები: მთელი კამპანია მომანევრე მხარის სრული განადგურებით დამთავრდეს.

ტარიელმა გადაწყვიტა ერთგვარი მანევრირება, რომელსაც მტერი აუცილებლად ბრძოლით უპასუხებს. ამისათვის საჭიროა შეყუანილი იქნას მტერი შეცდომაში თავდამსხმელი მხარის მცირერიცხოვანობით, რომლის პოტენციალური შესაძლებლობის შესახებ მას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე წარმოდგენა.

მტერს რომ თავდამსხმელი ძალა უმნიშვნელოდ ეჩვენოს, ამისათვის ტარიელმა გადაწყვიტა, თავისი ისედაც მცირერიცხოვანი მხედრობა სამ გუნდად გაჰყოს და თვითეულს დააკისროს დამოუკიდებელი ამოცანა: იერიში თითო კარზე. მაგრამ იერიში მიტანილი უნდა იქნეს ერთსადაიმავე დროს სამივე მხრიდან, და უთუოდ განთიადისას. განიხილა რა ტარიელმა ფრიდონისა და ავთანდილის გეგმები, რომლებიც მან, სხვათა შორის, დაიწუნა სუბიექტური თვალსაზრისით („ესე მე დამსერის“... წინააღმდეგ შემთხვევაში იტყოდა მე შევიპარებიო) და არა როგორც ობიექტურად უვარგისი სამხედრო გეგმები (სინამდვილეში ორივე მათგანი ერთ კაცს აკისრებს ციხის კარების გაღების უძნელეს და სახიფათო ამოცანის გადაჭრას), თქვა:

> მაგა თათბირსა ეგე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
> გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
> სამთავე სამკინით მივჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები,
> მოგვეგებვიან, ეემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ მძლე ნები (1404).

ამ უაღრესი გაბედულებით მოხაზული სამხედრო ოპერაციის განხორციელებაში ტარიელი მთელ იმედებს ფიცხელ, სწრაფ შეტევაზე ამყარებს, რომლის გამოც მტერი, თუ მან კარები გააღო და ბრძოლაში

ჩაება, ველარ მოასწრებს მათ დახურვას და ბრძოლაც ძმადნაფიცების გამარჯვებით დამთავრდება: „ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები“, ამბობს იგი და განაგრძობს:

ფიცხლად შევებნეთ. შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა (1405).

ტარიელი აქაც თავისი პრინციპის — ფიცხელი შეტევის ერთგული რჩება, და რადგან არ შეიძლება მტერი რიცხობრივად ან პოტენციალურად ყველგან თანაბარი სიძლიერისა იყოს, ამიტომ სამთაგან ერთი შევუვალთო, აცხადებს ტარიელი.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ, ავალებს რა სარდლებს რთულ ამოცანებს, ტარიელი ანიჭებს მათ სრულ თავისუფლებას მოქმედებაში:

ფიცხლად შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შევუვალთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანნი მიესცნეთ სისხლისა ღვარებსა,
ხელი კელა ვჰხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა (1405).

როგორც ვხედავთ, ტარიელი არ ავალებს სარდლებს, მიაწოდონ მას ბრძოლის მსვლელობის შესახებ ინფორმაციები, მოიქცნენ მისი დირექტივების თანახმად და სხვ. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა.

თათბირზე, როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა ტარიელის გეგმა. გმირებმა,

დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები,
გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,
ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები (1408).
გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა (1407).

შემდეგ მათ —

სამთაეე სამად გაიყვეს თითომან თითო კარები...

და ქაჯეთს,

მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები (1412),

ანუ მოაწყვეს ქაჯეთის ადგილობრივი, ტერიტორიული, ტაქტიკური დაზვერვა. ამრიგად, ოპერაციის დასაწყებად ყველაფერი მზადაა, და როცა

გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები (1412).

შეტევა დაიწყო.

პირველ ამოდ მიდიოდეს, მგზავრთა, რათმე მაგიერად.
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხედეს გულხმიერად,
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად.
მიდგეს გარე, მუზარადნი დაიხურეს ჟამიერად (1413).

„ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი“ (1414). „რა ნახეს“ ქაჯებმა, რომ მათ თავს დაესხა ასე მცირერიცხოვანი მტერი, მოტყუვდნენ, ციხის „კარნი გაახვნეს“ და ქალაქიდან გამოისმა ზრიალი. მათ, ქაჯებმა, სამთავე თავდამსხმელს „სამგნით მიჰმართეს“ და სწორედ ამით უყვეს თავს რიალი, დაიტეხეს თავს უბედურება, შეეძლოთ, არ გაეღოთ კარნი და განადგურებას გადარჩებოდნენ. ისინი პირიქით მოიქცნენ:

იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი (1414).
მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა...
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადა ჯარი მკვდრისა (1415).

სამივე ვაჟკაცი ერთნაირი სიმამაცით იბრძვის, სამივენი ერთდროულად შეიჭრნენ ციხის გალავანში სამი კარიდან:

სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჰირნი არ ნახნეს კაფისა,

რადგან გალავნის კარები თვითონ ქაჯებმა გააღეს. მაგრამ ბრძოლა მაინც სასტიკი გაჩაღდა. სწორედ ამ ვითარებაში,

კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრენწდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა...

როცა ძმადნაფიცები სამივენი „ქალაქსა შეხდეს“, „შეიქმნა სიხარკე ციხეს სწრაფისა“ (1416), რადგან იქ, დედაციხეში, ეგულებათ ნესტანი. მაგრამ იქ ყველას ტარიელმა და მისმა რაზმმა შეასწრო: ავთანდილმა და ფრიდონმა „ციხისა კარსა მიჰმართეს... ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა, ათი ათასი ნობათი უსულო“ (1418)...

ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული...
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული...
გზანი დახუდეს შეკაფულნი, შეეიდეს და გაძვრეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა (1419, 1420).

გმირებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს:

მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა (1425).

მშვიდობიან მოსახლეობას კი ხელი არ ახლეს. ამის შემდეგ

მონახეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს მალები,
სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები...
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალება (1426).
სამოცი კაცი დააგდეს, ქაჯეთის ციხის მცველია,
წამოიყვანეს იგი მზე...
ზღვათა ქალაქსა დაჰმართეს...

თქვეს: ფატმან ენახოთ, მუქაფა გვაქვს მისი გარდუხდელია. (1427).

ასეც მოიქცნენ. ქაჯეთით წამოღებული სიმდიდრე ტარიელმა ფატმანს აჩუქა, ქაჯეთი კი გულანშაროს მეფეს.

ამრიგად, ქაჯეთის სამეფოს დამოუკიდებლობა გაუქმდა.

ზედმეტი არაა ჩვენ მიერ გაანალიზებული ბრძოლები შევადაროთ ერთმანეთს მიზანდასახულობის თვალსაზრისით.

სამხედრო ხელოვნების ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მტრის ცოცხალი ძალის სრული მოსპობა ითვლებოდა სამხედრო ხელოვნების უმაღლეს სახედ. ეს უფრო უახლოესი ეპოქის თვალსაზრისია. მე-16—13 საუკ. კი, იმავე ავტორთა მოწმობით, ომებს აწარმოებდნენ არა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის სრული განადგურების, არამედ მისი შებერტყვის ან სტრატეგიული გამოფიტვის გეგმით.

ორივე აღნიშნული პრინციპი დღესაც ცოცხალია სამხედრო ხელოვნებაში. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ვაი-„სტრატეგია“ ითვალისწინებდა საბჭოთა არმიის სრულ მოსპობას. ძვირად დაუჯდათ ფაშისტ უაჩაღებს ასეთი ოცნება.

ძნელი არაა გამოვიტანოთ დასკვნა, რა აზრისაა ამ საკითხზე რუსთაველი: რამაზის

სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით (451).
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა, შეშინებულთა ძლეულთა (452) —

რამაზის ჯარისკაცებს ჩემმა მებრძოლებმაო, გვიამბობს ტარიელი. ხოლო ფრიდონის და მისი ბიძაშვილების შესახებ კი გადმოგვცემს:

თვით ორნიე ბიძა-ძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა,
ხელნი წმიდად დაეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა,
მოიყვანნა მხარდაკრულნი, ერთმან ორნი არ დაყარნა.
მათნი ყმანი აატირნა, მისნი ყმანი ამაყარნა (617).
მათნი ლაშქარნი გაგვექცეს, ეეცნით გაცვეფანტენით (618).

როგორც ვხედავთ, ტარიელს არც ერთ ამ ომში მიზნად არ დაუსახავს და არც უწარმოებია მოწინააღმდეგის ხოცვა-ჟლეტა და ცოცხალი ძალის განადგურება. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ თუ ხატაეთის ომში „ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძო რაზმი ორიო“, გვიამბობს ტარიელი, მულღაზანზარის გამაერთიანებელ ომში არ დაცილა არც ერთი მებრძოლი არც ერთი მხარიდან, გარდა ბიძაშვილებისეულ ხომალდთა მეზღვაურებისა. განა ნათელი არაა, რომ რუსთაველის გმირები აქ ფეოდალური ეპოქის რაინდული მორალის თვალსაზრისზე დგანან?

ქაჯეთში კი, როგორც ვნახეთ, გმირები სხვაგვარად იქცევიან. რატომ? პასუხი ნათელია: ქაჯეთი მშვიდობიანობის მუდმივ საფრთხედ აღმართულიყო, მძარცველთა და მოძალადეთა ორგანიზაციას წარმოადგენდა. ამიტომ გმირებმა არა მარტო მთლიანად ამოჟლიტეს ქაჯეთის მებრძოლი ძალები, არამედ მისი სრული ანექსია განახორციელეს: იგი მელიქ-სურხავს აჩუქეს. გამოდის, რომ რუსთაველი იცნობს როგორც მტრის სრული მოსპობის, ისე მისი შებერტყვის ტაქტიკას.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არაფერი გვითქვამს ისეთი, რაც პოემის ტექსტიდან არ გამომდინარეობს. ამის გამო ჩვენ გვერდი აუვარეთ საკითხს, თუ როგორ ესმის რუსთაველს ლაშქრის მომარაგება, აღალი, ღამის ბრძოლები, საკომუნიკაციო გზები, დაჭრილ-დახოცილთა მოვლა-პატრონობა და სხვ. შესაძლოა პოემისეული ბატალური მონაცემების უფრო ღრმა ანალიზმა ამ მხრივაც რამე საყურადღებო დასკვნა მოგვცეს.

3. დასკვნები

გავაანალიზეთ რა რუსთველის ბატალური სურათები, ვფიქრობთ, შესაძლოა ამ თავში ცალკე შევჩერდეთ ზოგად დასკვნებზე, ე. ი. აღვნუსხოთ და ჩამოვაყალიბოთ რუსთველის სამხედრო ხელოვნების პრინციპები და ზოგიერთი შეხედულება. რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ რუსთაველის სამხედრო სისტემაში.

1. ომი, რუსთველის აზრით, არის არა „ღვთაებრივი მოვლენა“, ან შემთხვევითი, უორგანიზაციო ბანდების ყაჩაღური თავდასხმები და ძარცვა-რბევა, არამედ პოლიტიკის გაგრძელება იარაღის საშუალებით,

პოლიტიკისა, რომელსაც ატარებენ მმართველი კლასები, რუსთაველისათვის—ფეოდალური კლასები გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად (ასეთი მიზეზები და ამოცანები დაედო საფუძვლად სამივე ომს).

2. ომს წინ უნდა უძღოდეს სადავო პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრის ცდა. თუ ამ გზით არაფერი გამოვიდა — ომის გამოცხადება, რასაც უნდა მოჰყვეს მოწინააღმდეგე მხარის „დაპირება", ე. ი. თანხმობა (ინდო-ხატაელთა და მულღაზანზარის ომები). თუ ომი თავისი სამართლიანობით განსაკუთრებულია, თუ ის მიზნად ისახავს მშვიდობიანობის მუდმივი საფრთხის მოსპობას, შეიძლება ომი დაიწყოს მოულოდნელი და გაუფრთხილებელი თავდასხმით (ქაჯეთის ბრძოლა).

3. ომი უნდა წარმოებულ იქნას არა ყაჩაღურად, თვითნებურად. მზაკვრულად, არამედ „წესისა და რიგის" მიხედვით, ე. ი. საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამად.

4. მშვიდობიანობის პირობებში სახელმწიფო ინახავს მუდმივ ჯარს, რომლის სამხედრო გაწვრთნა-მომზადებას დიდი ყურადღება ეთმობა (ინდოეთი, ქაჯეთი, ხატაეთი).

5. ომის დაწყებას წინ უძღვის ლაშქრის შეკრება და მობილიზაციის გამოცხადება, რაც მოსახლეობას ეცნობება საგანგებო მარხაპანების და შიკრიკების მეშვეობით (ინდოეთში ჩატარებული მობილიზაცია); საჭიროების შემთხვევაში მობილიზაცია და გალაშქრების სამზადისი უნდა ჩატარდეს საიდუმლოდ (სამზადისი ქაჯეთზე გალაშქრებისათვის).

6. საომარი ვითარების დასაწყისად ითვლება საზღვრის გადალახვა, ან დესანტი; ამდენად — საზღვარი ხელშეუხებელია (ინდო-ხატაელთა და მულღაზანზარის პირველი ბრძოლები).

7. ომის დაწყებას წინ უძღვის ჯარის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება და საგანგებო აღლუმები (ინდოეთში გამართული აღლუმი).

8. როგორც მუდმივი, ისე მობილიზაციის წესით შეკრებილი ჯარი ექვემდებარება მტკიცე ორგანიზებულ დისციპლინას: („ფიცხლად მოვიდეს" ლაშქარი დაძახილზეო, გვიამბობს ტარიელი; ყველა შეომარი მხარეების ლაშქარი).

9. ჯარი ორი სახეობისაა: ქვეითი (ხატაელთა ჯარის ერთი ნაწილი, ტარიელის დესანტი, ქაჯეთის დამცველი ჯარი) და ცხენოსანი (ტარიე-

ლის ლაშქარი ხატაეთში, ფრიდონის ბიძაშვილთა ლაშქარი, ქაჯეთის ციხესთან მებრძოლი ჯარი).

10. ტაქტიკური ერთეულია რაზმი და დასი, რომელთა შენაერთები იძლევა ლაშქარს (ყველა ბრძოლები).

11. ჯარი ორგანიზებულია თემობრივ — ტერიტორიული პრინციპით (ინდოეთის ლაშქარი).

12. სახელმწიფოს სამხედრო უწყების — საზღვაო და სახმელეთო ძალების სათავეში დგას ამირბარ-ამირსპასალარი (ადმირალი და მთავარსარდალი), რაც ინდოეთში ერთი პირის სახელისუფლოა, და ამირსპასალარი (უმაღლესი მთავარსარდალი არაბეთში), რომელთაც ემორჩილებიან უფრო მცირე დანაყოფების სპასპეტნი (სარდლები), რომლებიც მონაწილეობენ „ვაზირობაში". სარდლები და მრჩეველ-ვეზირები ქმნიან ლაშქრის ერთიერთ შტაბს (ინდოეთის ლაშქარი).

13. იარაღის საერთო სახელია აბჯარი. ცეცხლმსროლელი იარაღი პოემაში არ გვხვდება, გვხვდება ცივი, მარტივი ნაჭედი იარაღი. სასროლი იარაღია მშვილდ-ისარი. ხდება ქვის გასროლაც (მულღაზანზარი), მაგრამ არ ჩანს — რით.

იარაღი ორგვარია: შეტევის და თავდაცვის. შეტევის იარაღებია, სინონიმებიანად — ხრმალი, შუბი, ლახვარი, მშვილდ-ისარი, კაპარჭი. როგორც გამონაკლისს, ტარიელი იყენებს იარაღად მათრახს, ავთანდილი — დანას და ჩაინის ქეტს. ლახტი პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება გამოყენების გარეშე (1109), რაც გადაჭრით მიუთითებს მის არარაუსთაველურობაზე სტროფში; მეორე „ლახტიანი" სტროფი (635) კი მთლიანად ყალბია. თავდაცვის იარაღებია, ასევე სინონიმებიანად: ჯაჭვი, ჯაჭვი საკურტაკე, ჯავშანი, ქაფი, საბარკლული, ჩაბალახი, მუზარადი, ფარი და სხვ.

14. შეიარაღება ორგვარია: მძიმე (ტარიელის ავანგარდი ინდო-ხატაელთა ბრძოლაში, ფრიდონის რაზმი ქაჯეთთან, ქაჯები) და მსუბუქი (ტარიელის ლაშქარი, ხატაელები).

15. ბრძოლის დაწყებას წინ უძღვის „შტაბების" თათბირები, რომელთაც ხელმძღვანელობენ მთავარსარდლები; სარდლები და მრჩევლები (ვაზირები) ესწრებიან სათათბირო უფლებით (ტარიელის თათბირი ხატაეთსა და ქაჯეთში). მთავარსარდალი თავისუფალია მოქმედებაში. იგი უფლებამოსილია გადადგას დამოუკიდებელი ნაბიჯი, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და განახორციელოს იგი „შტაბთან"

შეუთანხმებლად (ტარიელი აგრძელებს ლაშქრობას ხატაეთში, როცა გამოირკვა ახალი ვითარება, და ამის შესახებ არავის ეკითხება).

16. ომისა და ბრძოლის შემთხვევაში ჯარების მოძრაობა და ადგილგადანაცვლება ხდება სწრაფად, უმოკლესი, თუნდაც უგზო გზებით, რათა მოწინააღმდეგეს არ მიეცეს შემზადების დრო (ტარიელის ლაშქრობა ხატაეთში), ან მტრისთვის სრულიად საიდუმლოდ და მოულოდნელად (გმირების ლაშქრობა ქაჯეთზე).

17. ბრძოლა წარმოადგენს ფრონტზე საბრძოლო განლაგებაში დაპირისპირებული მასების შეტაკებას.

18. ბრძოლის დაწყებას წინ უძღვის, თუ ეს გამოწვეულია საჭიროებით, სტრატეგიული და ტაქტიკური დაზვერვა (ავთანდილის მიერ ჩატარებული სტრატეგიული დაზვერვა ქაჯეთისა, იმავე ქაჯეთის ტაქტიკური დაზვერვა).

19. ბრძოლას ხელმძღვანელობს მთავარსარდალი, რომლის ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებიან დანარჩენი სარდლები და ყველა ჯარისკაცი (სამივე ბრძოლა). ცალკეული რაზმების, დანაყოფების თუ შენაერთების სარდლები დაკისრებული ამოცანის გადაწყვეტისას თავისუფალი არიან მოქმედებაში (ქაჯეთის ბრძოლა).

20. ომში, გარდა გადამწყვეტი ფაქტორებისა, განსაზღვრულ როლს ასრულებენ ჯაშუშები, მზვერავები, სიგნალთა სისტემა, მთავარსარდლის ბრძანებანი და მოწოდებანი, მიმართული ჯარებისადმი საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად და სხვ. ყველა ამ მეორეხარისხოვანი მომენტების დროულ და მოხერხებულ გამოყენებაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს მთელი ოპერაციის წარმატებაც კი (ინდო-ხატაელთა ომი).

21. ბრძოლის მსვლელობაში შეიძლება ამოტივტივდეს მოულოდნელი გართულებანი და სერიოზული საფრთხე, რამაც შესაძლოა დასცეს ჯარის საბრძოლო სულისკვეთება (ხატაელთა ჯაშუშის ცნობები მთავარსარდლის დაჭრა ინდო-ხატაელთა ბრძოლაში), სარდალი მოვალეა ასეთი მოულოდნელობანი და საფრთხე დაჰფაროს, „ვითა ჭორია“.

22. ომში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სარდლობას („თავადი მათი“, ე. ი. ნესტანის მცველი ჯარის სარდალი, ვინაიო, ჰკითხულობს ავთანდილი). სარდლობის უნარიანობაზე, სხვა ხელშემწყობ გარემოებებთან ერთად, დამოკიდებულია მთელი ოპერაციის ბედი: „თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა, — აცხადებს ფრიდონი (1386).

23. ბრძოლა წარმოებს როგორც 100000-იან ლაშქართა, ისე მცი-

რე შენაერთთა და რაზმებს შორის, საერთოდ, ძალთა თანაფარდობის ვითარებაში (ინდო-ხატაელთა ბრძოლა). მაგრამ ხშირია ბრძოლები, რომლებშიც ეს თანაფარდობა ძალზე დისპროპორციულია (ბრძოლა ქაჯეთისათვის, ტარიელის ავანგარდის შეტაკება ხატაეთის მთავარ ძალებთან). ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიცხობრივ უპირატესობას: „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიანო“, არწმუნებენ ტარიელს. ასევე უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია ტექნიკა, დახელოვნება, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებენ ფატმანი და ნესტანი; მცირე მნიშვნელობის ფაქტორი არ არის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული ვითარება.

მიუხედავად ამისა, ომის და ბრძოლის ბედს წყვეტენ არა ეს ფაქტორები: მათ არა აქვთ თავისთავადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია **გამორჩევა**, ტაქტიკა, სტრატეგია, ხელმძღვანელობა: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

24. ბრძოლა წარმოებს მსგავსი ფორმირების ჯარებს შორის: ცხენოსანი — ცხენოსანთან, ქვეითი — ქვეითთან (ინდო-ხატაელთა ბრძოლა). მაგრამ ადგილი აქვს ქვეითი ნაწილების შეტაკებას ცხენოსან ჯართან (ბრძოლა ხმელეთზე მულღაზანზარში).

25. ბრძოლის დაწყების წინ ხდება სწრაფი „ჩაცმა აბჯრისა“ (საბრძოლოდ შეიარაღება) და საბრძოლო სამარშო გადაჯგუფება, დაწყობა (ტარიელის ბრძანებანი ხატაეთში ბრძოლის წინ, ქაჯეთთან ბრძოლა). უშუალოდ იერიშის წინ ხდება მებრძოლი რაზმების გაშლა საიერიშოდ, ფრონტის ხაზის სიგრძის შესაფერისად (ინდო-ხატაელთა ბრძოლაში ტარიელის რაზმისა ერთ უტევანზე).

26. აბსოლუტურად დაუშვებელია ძალების დაქსაქსვა და უაზრო დანაწილება (ტარიელის ბრძანება თავისი ლაშქრისადმი ხატაეთში: ახლოს მომდევდითო)...

27. როდესაც მიღებულია საბრძოლო გადაწყვეტილება, აუცილებელია მთელი ძალების თავმოყრა გადამწყვეტ უბანზე (ტარიელის ბრძანება **უკანა ლაშქრისადმი**: „ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია“).

28. როგორც აგრესიული, ისე თავდაცვითი, მოგერიებითი ომები და ბრძოლები ხდება წინასწარ დამუშავებული გეგმების (დისპოზიციის) მიხედვით, რადგან შემთხვევითობაზე დაყრდნობა და ბედისადმი მინდობა სახიფათოა (რამაზის დისპოზიცია, ტარიელის თათბირები ხატაეთსა და ქაჯეთში).

29. მიუხედავად ამისა, ომში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია გმირული გამბედაობა და ვაჟკაცური შემართება (ტარიელის გადაწყვეტილება ხატაეთში ახალი ვითარების გამოაშკარავების შემდეგ), შეტევის მიმართულებას და ობიექტს, მდგომარეობის შესაფერად, განსაზღვრავს სარდალი („მუნ მივმართე, სად უფროსი ჯარი დგესა“).

30. მოწინააღმდეგის მდგომარეობის წინასწარი დაზვერვა, მის განზრახვათა გამოცნობა, ყოველმხრივი შესწავლა, კარგად შედგენილი საომარი გეგმა, ერთი სიტყვით, სტრატეგიული და ტაქტიკური გააზრება ომისა თუმცა უდიდესი მნიშვნელობის მომენტია, მაგრამ ეს მნიშვნელობა შეიძლება ნულამდე დავიდეს, თუ სარდალმა თვით ფრონტზე, ბრძოლაში, შეტაკებაში ვერ გამოიჩინა სწრაფი ორიენტირება და ჯარების ხელმძღვანელობის უნარი, ვერ დაიჭირა და ვერ გამოიყენა მტრის სუსტი მხარეები და შეცდომები, ვერ მიიღო მდგომარეობის შესაფერი გადაწყვეტილებანი, და სხვა; ერთი სიტყვით, ბრძოლის ბედი თვით ფრონტზე, ბრძოლაში უნდა გადაწყდეს. მანამდე კი, პოლოს და ბოლოს „ყოვლი თათბირი სწორია“, ყოველგვარი (ტაქტიკური) გადაწყვეტილება პირობითია.

31. თავდაცვისათვის მზადება ხდება გულდასმით: მზადდება საგანგებო დისპოზიციები, წარმოებს მოსახლეობის, ლაშქრის, სარდლობის, რესურსების სრული მობილიზაცია და ომის ინტერესებისადმი დაქვემდებარება (ხატაელთა სამზადისი).

32. თავდამსხმელის გასანადგურებლად თავდამცველი მხარე მტერს ჩაუსაფრდება საგანგებოდ შერჩეულ, მისთვის ხელსაყრელ ადგილებში (ხატაელთა სამალავებში განლაგებული ჯარები).

33. ჯარის საბრძოლო წყობაში გამოირჩევა ავანგარდი, რომელიც მძიმედ შეიარაღებული რაზმისაგან შედგება (ტარიელის ავანგარდი ხატაეთში), მთავარი ძალები (ტარიელის „უკანა ლაშქარი“, ხატაელთა „უფროსი ჯარი“, ქაჯეთის „ათიათასი ჰაბუკი“), ფლანგები (ხატაელთა „ორგნით“ შემტევი ნაწილები).

34. თავდამსხმელი ჯარების განადგურების საუკეთესო ტაქტიკურ ხერხად მიჩნეულია გარემოცვა, რაც ხორციელდება ჩასაფრებული მთავარი ძალებისა და ერთდროული ორმხრივი საფლანგო შემოვლის მეშვეობით, როცა რკალი თანდათან ვიწროვდება (ხატაელთა თავდაცვითი ომი ან ისეთი უპირატესობის გამოყენება, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თავდასხმისას, მტერს შეიძლება არ გააჩნდეს (ქვეითი სადესანტო ნაწილების წინააღმდეგ — ცხენოსანი ლაშქარი მულღაზანზარში).

35. შეტევა წარმოებს ფრონტალურად, თუ ეს მიზანშეწონილია, ე. ი. გამოწვეულია აუცილებლობით (ტარიელის შეტევა ხატაეთის მთავარ ძალებზე). მტრის გარემოცვისათვის წარმოებს მისი შეტყუება ორმხრივ ჩასაფრებულ განლაგებაში, რკალის თანდათანი შევიწროებით.

36. ბრძოლა, როცა იგი გადაწყვეტილია, იწყება განსაკუთრებით შერჩეულ, ხელსაყრელ მომენტში, უმეტეს შემთხვევაში — განთიადისას, ან დილით, როცა მოწინააღმდეგე მზად არ არის თავდაცვისათვის. ბრძოლის დაწყება განთიადისას შეპირობებულია სხვა ამოცანებითაც: იგი ერთი ძირითადი პირობაა ოპერაციის დაღამებამდე დამთავრებისა (ბრძოლები ინდო-ხატაელთა, ქაჯეთისა). თავდასხმა, ბრძოლა და შეტაკება ზოგჯერ იწყება და წარმოებს მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელად (ქაჯეთის ბრძოლა).

37. შეტაკება ხდება როგორც ხელჩართული (ინდო-ხატაელთა, ქაჯეთის ბრძოლები), ისე გარკვეული დისტანციის დაცვით. უკანასკნელ შემთხვევაში ბრძოლა წარმოებს გასროლილი ისრებისა და ქვების მეშვეობით (პირველი საზღვაო ბრძოლა, ხმელეთზე ბრძოლა მულღაზანზარში).

38. მებრძოლი მხარეების მთავარი ამოცანა — ეს არის მოპირდაპირის ცოცხალი ძალის მოსპობა, ან პარალიზება; ომი წარმოებს სამი ტაქტიკით: მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის სრული მოსპობის (ქაჯეთის ბრძოლა), მოწინააღმდეგის შებერტყვის (ინდო-ხატაელთა) ან მისი ტერორიზირების ტაქტიკით (ბრძოლები მულღაზანზარში).

39. გამარჯვების ბოლომდე შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, რათა ადგილი არ დაურჩეს მდგომარეობის შებრუნებას, შესაძლოა საჭირო გახდეს რეზერვების თუ მთავარი ძალების ჩაბმაც ბრძოლაში (ინდო-ხატაელთა ომი). უკუქცეული და ტყვედ დანებებული მტრის ჭლეტა არ წარმოებს (იგივე ბრძოლა), გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა (ქაჯეთი).

40. საზღვაო ბრძოლა წარმოებს სრუტეებში და გაშლილ ზღვაზეც (პირველი და მეორე საზღვაო ბრძოლები) ჩვეულებრივ ნავებსა, კატარღებსა და შეიარაღებულ სამხედრო ხომალდებს შორის აბორდაჟის (ზღვაზე ბრძოლა ტარიელის მონაწილეობით) ან დისტანციური წესით (ფრიდონის პირველი შეტაკება ზღვაზე ბიძაშვილებთან).

41. ზღვაზე ბრძოლის ძირითადი ტაქტიკური პრინციპია მტრის ხომალდის გარემოცვა, ან მარწუხში მომწყვდევა (პირველი საზღვაო

ბრძოლა), და იერიში ცალკეულ ხომალდებზე (მეორე საზღვაო ბრძოლა).

42. საზღვაო ბრძოლას უნდა მოჰყვეს ქვეითი ნაწილების სადესანტო ოპერაციები და ბრძოლა ხმელეთზე.

43. ციხის აღების ძირითადი მეთოდებია ალყა და გარემოცვა; რომლის დროსაც სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ: ცოცხალი ძალის გადასხმა ციხეში (ფრიდონის თათბირი), ციხეში მებრძოლთა ჯგუფების, თუ ინდივიდების შეგზავნა (ავთანდილის თათბირი), ან გაშლილი იერიში ყოველი მხრიდან (ტარიელის თათბირი).

44. დამცველი ჯარის დამარცხებას მოჰყვება მისი მხარის მშვიდობიანი მოსახლეობის არა ტერორიზირება და ძლეტა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთში, არამედ გამარჯვებული სარდლის მხრივ სპეციალური ბრძანებანი უშიშროების გარანტირებით და მოქალაქეთა საკუთრების და უფლების დაცვა.

45. ომის დამთავრებას მოჰყვება:

ა) დამარცხებული ქვეყნის დროებითი ოკუპაცია და დროებითი ხელისუფლის დანიშვნა (მდგომარეობა დამარცხებულ ხატაეთში), შემდეგ — დახავება, სამშვიდობო ხელშეკრულებანი და ოკუპირებული ტერიტორიების დაცლა; დამარცხებული ქვეყანა იხდის ხარკს და ასწორებს ომის ხარჯებს ინდოეთ-ხატაელთა ომის შემდგომი ურთიერთობა);

ბ) გამარჯვებული მხარის ძალაუფლების დამყარება და სადავო ტერიტორიის სრული შემოერთება, თუ ომი გამაერთიანებელია (ფრიდონის მიერ ბიძაშვილთა სამთავროს შემოერთება);

გ) სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გაუქმება და მისი ტერიტორიის ანექსია, თუ ამ სახელმწიფოს თავისუფალი არსებობა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობიანობისა და პროგრესისათვის (ჭაჯეთის დამოუკიდებლობის გაუქმება).

46. რუსთაველი განასხვავებს ტაქტიკას და სტრატეგიას. ყოველ შემთხვევაში, ავთანდილი მომხრეა ომის სტრატეგიული გაანგარიშებისა და გათვალისწინების („რაცა იცი მანდაური, მოგკიწერე“)... ტარიელი კი ომის ბედს ბრძოლის ველს უკავშირებს („რაცა იქმნების, იქმნების, ყოველი (წინასწარი) თათბირი სწორია“)...

47. რუსთაველი განასხვავებს ომს ბრძოლისაგან:
ომი მთელი კამპანიაა, ბრძოლა — ერთი შეტაკება.

48. რუსთაველის მიერ ასახული სამხედრო ხელოვნება, ძირითადად ფეოდალური, თუმცა ბევრი რამით უახლოვდება ახალი ეპოქის სამხედრო ხელოვნებას, პოემიდან არ ჩანს, როგორ ხდება და ითვალისწინებს რუსთაველი დიდი ლაშქრის მომარაგებას, კომუნიკაციებს, დაჭრილთა მოვლას და სხვ.

4. ვეფხისტყაოსნისეული სამხედრო ხელოვნების სადაურობისათვის

ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა „ვეფხისტყაოსნისეული“ ომების შინაარსი და სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპები ისე, როგორც იგი წარმოდგენილია პოემაში. აქა-იქ ვცადეთ, აღგვენიშნა, სად და როდის იქნა პირველად დადგენილი ეს პრინციპები, რომლებიც დიდი ხანია ცოცხლობენ სამხედრო ხელოვნებაში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ნაწარმოებია, წარმოშობილი ქართულ ნაციონალურ ნიადაგზე, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში და იგი უეჭველად გვაძლევს თავისი წარმომშობი ეპოქის მხატვრულ უკუფენას. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნების მკვლევარს არ შეუძლია გვერდი აუაროს ქართულ სამხედრო ხელოვნებას, რომლის მეცნიერული ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ არ დაწერილა, რაც შესაძლებლობას გვართმევს ვისარგებლოთ მზა დასკვნებით და შევუფარდოთ მას პოემისეული სინამდვილე. ამის გამო მკვლევარი იძულებულია მხოლოდ პირველწყაროებს დაეყრდნოს და პოემის ბატალური სურათები და სამხედრო ხელოვნება პირდაპირ შეადაროს ისტორიული ფაქტების, საერთოდ, ქართული სამხედრო ხელოვნების მატიანისეულ ინტერპრეტაციას, სიგელ-გუჯრების ცნობებს, მატერიალური კულტურის ნაშთებს, ან სხვანაირად — ისტორიის ნედლ მასალას.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების ურთიერთ შედარება უკანასკნელში „ისტორიული ელემენტების ამოშიფვრის“ მიზნით, ან ამ ფაქტების ურთიერთ ნებისმიერი შედარება, თვით პოემის შექმნა არ შეიძლება 1210 წელზე ადრე და 1212 წელზე გვიან მომხდარიყო. ამიტომ შესადარებლად და პარალელებისათვის ჩვენ უმთავრესად ავიღებთ შამქორის (1194 — 1202 წ.), ბასიანის (1206) და ქართველ-სპარსელთა 1210 წლის ომებს. ესენი სახმელეთო ომებია და თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, დიდი მნიშვნელობის

მაინც არიან მონგოლთა შემოსევამდე გადახდილთა შორის. ამ ომებით დასრულდა ქართული სამხედრო ხელოვნების კლასიკური ხანა[1]. ამიტომ ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების შედარება მე-12 — 13 საუკ. ომებთან არ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს. მაშინ აღმოჩნდება, რომ გენიალური შემოქმედი რეალური სინამდვილიდან იხატავდა თავისი პოემის პატალურ სურათებს, რომ პოემაში დახატული ომების პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა და მოლაპარაკებანი ომის წინ, ჯარის ორგანიზაცია თემობრივ-ტერიტორიული პრინციპის დაცვით, დიდ შენაერთებად და რაზმებად დაყოფა ჯარისა, მისი შეკრების წესი შიკრიკების, მალემსრბოლთა და მარშალანების მეშვეობით, მუდმივი ჯარის არსებობა, ომში მონაწილე ძალთა რაოდენობა და შეფარდება, აღლუმები, სამხედრო გასართობები და ცერემონიალი დროშებით, ჯარის სამწყობრო გაწვრთნა-მომზადება, ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი ადგილების შერჩევა და აქ ჩასაფრება, ომის წარმოების ტემპი. მზვერავთა ინსტიტუტი, სწრაფი და ფიცხელი შეტევა, რეზერვის გამოყოფა და მისი დროული ჩაბმა ომში, ჯარის ნაწილების საბრძოლო გადაჯგუფება, მოწინააღმდეგეთა გარემოცვა და მარწუხში მომწყვდევა, მოწოდებით მიმართვა ჯარისადმი, მთელი ლაშქრის და მეფე-მთავართა დატყვევება, მილოცვანი და გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმები, ქალაქთა გასაღებების ჩაბარება, სამხედრო ხარკის და დავლა-ალაფის აკრეფა, სამშვიდობო ბრძანებანი ომის დამთავრების შემდეგ, მახარობელთა და დავლა-ალაფის გაგზავნა სამშობლოში, გამარჯვებულთა საზეიმო მიღება მეფისა და სამშობლოს მიერ, დამარცხებულთა შეწყალება, ან — იერიშები ციხეზე, მანევრირება და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი პოტენციური ძალის მქონე ლაშქრის მეშვეობით; თათბირები და საომარი გეგმების შედგენა ბრძოლის წინ, ფიცხელი შეტევა გან-

---

[1] მონგოლთა შემოსევისას ქართულმა სამხედრო ხელოვნებამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, სწრაფი დაცემა განიცადა. შემდგომ ეპოქათა დიდი სარდლების — გიორგი ბრწყინვალის, სააკაძის, ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით სამხედრო ხელოვნებამ თუმცა მაღალ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მის კლასიკურ სრულყოფას ხელს უშლიდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება, ეკონომიკის ჩამორჩენილობა, უგუნურ ფეოდალთა რეაქციური და ანტინაციონალური საქმიანობა, აგრეთვე თვით მეფეებისა და ქვეყნის მესვეურთა ცალკეული პოლიტიკური შეცდომები.

თიადისას, სტრატეგიული და ტაქტიკური დაზვერვა, ჯარის სახეობა, შეიარაღება, — ყველაფერი ეს ზოგიერთი გამონაკლისით, ან სხვა, აქ აღუნიშნავი მომენტები, სამხედრო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები, სამხედრო ტექნიკა და მთელი სამხედრო ხელოვნების ვითარება, რომელსაც ვხვდებით პოემის ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების სურათებში, ქართული სამხედრო ხელოვნების, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დადგენილი სამხედრო ტრადიციების მხატვრული უკუფენაა, ხოლო ზოგიერთი დეტალი ამ ომებისა შეიძლება გადახატული იყოს ახლო აღმოსავლეთის სინამდვილიდან.

მაგრამ მე-12 — 13 საუკ. ომების ყოველმხრივი შედარება პოემისეულ ომებთან დიდ ადგილს დაიჭერდა. ამიტომ შესაძლოა მხოლოდ მთავარ მომენტებზე მითითებებით დავკმაყოფილდეთ.

დავიწყოთ ინდო-ხატაელთა ომის მიმოხილვით.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „შარვანშა... დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო და საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა“[1], ადარბადაგანის მფლობელმა ამირ-ბუბქარმა დაამარცხა შარვანშა და მისი სიძე ამირ-მირმანი, წაართვა მათ სამფლობელოები და „თვით დარჩა განდიდებული და განლაღებული“ [2].

ხელყოფა ყმადნაფიცი მეფის სახელმწიფოს ტერიტორიისა და უარი ხარკზე, რომელსაც, ცხადია, იტყობდა გაძლიერებული ამირ-ბუბქარი, საქართველოს სამეფო კარსა და ადერბაიჯანის სახანოებს შორის ისტორიულად დადგენილი ურთიერთობის დარღვევას ნიშნავდა. ამასთანავე, ისეთი დიდი და გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობა ჩვენს მეზობლად, როგორიც ამირ-ბუბქარმა შექმნა (მან ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი ჩრდილოეთი სპარსეთი) თვით საქართველოს ძლიერებას საფრთხით ემუქრებოდა. ამიტომ, როცა გარდახვეწილთა დესპანებმა საქართველოს მეფეს დახმარება სთხოვეს, მან „უბრძანა იმედი შუელისა და ხელის-აპყრობისა“ მაძიებელთ [3]. სხვაგვარად ვერ წარმოვიდგენთ ამ

---

[1] „ქართველი ერის ისტორია“, II, გვ. 602.

[2] „ქართლის ცხოვრება“, II, 1959, გვ. 63.

[3] იქვე, გვ. 64.

„შუელისა და ხელისაპყრობის“, ანუ ამირ-ბუბქარისთვის ომის გამოცხადების მიზეზს. პოემაშიაც ვკითხულობთ:

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია (377).

ამის შემდეგ მეფემ „განსცა ბრძანება და წარავლინნა შიკრიკნი და მალემსრბოლნი წუევავად ლაშქრისა იმერეთით და ამერეთით“ [1]. პოემაშიც:

ეუბრძანე წეევა ლაშქართა, გაეგზავნე მარზაპანია (402).

მემატიანით, ამ ბრძანების შემდეგ მეფენი „დიდთა ლაშქართა შემყრელნი დადგეს დასითა, რომლისა სიმაგრითა და სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, კციის პირი და ქურდ-ვაჭრის პირი, ესე ოთხივე მდინარენი, ტფილისით ყარაღაჯამდის“ [2]. ტარიელი კი მოგვითხრობს: ბრძანების გაცემის შემდეგო,

ივი ვარსკელავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,
შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკენ მონასხპანია,
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია (402).

მატიანით, ლხინისა და ზეიმების შემდეგ, რომლებიც საქართველოში ჩამოსულ უცხო სტუმრებს — შარვანშას და ამირ-მირმანს გაუმართეს, მოხდა რაღაც ამბანაგური შეჯიბრი სტუმრების ამალასა და ქართველებს შორის, რომელშიაც გამარჯვებულნი ქართველები გამოსულან [3]. მაგრამ მემატიანე შენიშნავს: ამ გამარჯვებით გამოწვეულ „სიხარულსა და შუებასა შინა ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამასკუნელნი შუღლისანი-ო [4]. აქ უკვე სამხედრო ხასიათის სამზადისზეა ლაპარაკი, როგორც ჩანს, ასეთი შეჯიბრებანი, მანევრები, სამხედრო ხასიათის სამზადისი და აღლუმები წინ უძღოდა ყველა ლაშქრობას, თუ იგი ჩვეულებრივს პირობებში ტარდებოდა. ასეთი აღლუმის საუკეთესო, კლასიკურ სურათს და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას მემატიანე ქართველთა სპარსეთში გალაშქრების სამზადი-

---

1. ქართლის ცხოვრება, გვ. 64.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 67.
4. იქვე.

სის. აღწერისას გვაძლევს: „დაასკუნეს ლაშქრობა და იწყეს კაზმა... მოვიდეს თბილისს მეფის წინაშე. გაინახნა სპანი... და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოეწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა... და მოიღო დროშა სუიანად ხმარებული“ [1]. პოემაშიც სწორედ აღლუმის კლასიკური სურათია წარმოდგენილი. ტარიელი გადმოგვცემს, ხატაეთზე გალაშქრების წინო

აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა (403).
ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა (404)...

მატიანით, ამირ-ბუბქარი განძიდან შამქორს მოეგება ქართველებს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ამირ-ბუბქარი საომრად „სამე გამორჩეითა და გაზრახვითა მოსრულ იყვნეს ადგილსა. მას, შამქორის მახლობლად „პირველ იმედითა სიმრავლე — აურაცხელებისათა. მერმე ხევისა და სიმაგრისა შეუზღუდველობისა“ [2]. რამაზი ჩაგისაფრდაო აცნობა პოემაშიც ტარიელს ერთ-ერთმა მოციქულმა:

რომე ცუდადა არ მოჰღორღე, ისიაცნი გღალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპასნი ასჯერ ათასობენ,
კელა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ (434).

ახლოს დგანან ერთმანეთთან ბრძოლის შემდგომი სურათებიც. მემატიანე გვიამბობს: „წარემართეს და წარვიდეს სიახლესა შანქორისასა... და განყო რაზმი მიმახლებელმან ქალაქისამან“ მეფე დავითმაო [3]. პოემაშიც ტარიელი გადმოგვცემს:

მათ ლაშქართაგან სამასი კარგი მოყმენი, ქველანი,
თანა წამომყვეს, წაცავე, დავჰყარენ სპანი ყველანი (427).

ბრძოლა დაიწყო. „მაშინ აღიჭურა... მეფე და შეჯდა ზერდაგსა“. აქ მატიანისეული ტექსტი ძალზე დამახინჯებულია, და აღსადგენადაც ერთერთი ურთულესი ადგილი:

„განმხნობელნი ურთიერთისანი... მოიხსენებდეს ურთიერთისა სიმხნესა, მარჯუებულობასა პაპათა და მამათასა და სპასპეტნი სპათანი მე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, III, გვ. 104.
[2] იქვე, გვ. 68.
[3] იქვე, II, გვ. 70.

ტყუელნი თუ: „ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი და ტრფიალნი ისტორიის ქებისა შესხმათანი? აწ ჩუენცა ვუსწოროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა. დავაძუელნეთ და დავარცხუინეთ ხსენება ომთა მათთა... აჰა, ჩუენცა ხელნი ხრმლად და სულნი ღმრთისადა“ [1]. მემატიანე გადმოგვცემს: ლაშქარი ერთმანეთს ამხნევებდა და მოუწოდებდა სამშობლოსა და მეფისათვის თავდადებისაკენ, მსგავსად წინაპართა. სარდლებმაც მოწოდებით მიმართეს ლაშქარს: ისტორიაში საქებრად დავტოვოთ ჩვენი სახელი, გივსცეთ ხელი ხმალს და სული ღმერთსო.

პოემაშიც ტარიელი მოგვითხრობს: როცა დავინახე ხატაელნიო,

მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე (439).
ეთქვი თუ: „ძმანო, ისი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიდგებიან,
მკლავთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისმცა რად დალბიან!
ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.
აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რას გვაბიან“ (440).

ამის შემდეგ მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქართველებმა „ჰკრეს სპერმურთა... დააწყუეს რაზმი წესისაებრ“ [2] და მიუახლოვდნენ შამქორს. ტარიელიც გადმოგვცემს:

რაზმი დავაწყევ, მივემართე, წავე დიდითა სწრაფითა (441).

მთავარსარდალმა გადაწყვიტა, მცირერიცხოვანი რაზმით შემოევლო მტრის მთავარი ძალისათვის, რათა მისთვის მარჯვენა ფლანგით დაერტყა: „თვით მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯუენით შანქორისა, მოსწრაფე იქმნა განსვლად წყალსა, შანქორისა კერძოსა“ [3]. გაჩაღდა ბრძოლა თვით მტრის ზღუდეებთან: „უმცირესითა რაზმითა კართა ზედა და ხიდთა შეიქმნა ომი და სროლა“. ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო. მაშინ ბრძოლაში ჩაერია მხარგრძელების სარეზერვო ნაწილები: „ცნეს მხარგრძელთა... წარმომართეს, ვითარცა ვეფხთა ფრთოსანთა, და მოუსწრნეს კნინღა დაჭირებისაგან უკურიდებულთა“ [4]. ამასობაში მოვიდა მეფეც: „მომხედველთა იხილეს: მოახლებოდა მეფე

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 69—70.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 70.
[4] იქვე.

და მისი რაზმი". და სწორედ ამ მომენტამდე, „ვიდრე შეფისა მოსვლამდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისა. და რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხუა ღმრთისა უხილავი... აოტეს და გააქციეს, დაითვრნეს ისარნი სისხლითა... და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევსისა" [1].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი პარალელი.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორთან გადახდილ უდიდეს ბრძოლას, მის დასაწყისს უცხოელ მემატიანეთა მიხედვით ამგვარად გვიხატავს: „200 ყივჩაყი ჩამოვიდა თურმე და მაჰმადიანთ რაზმისაკენ გაემართა; მაჰმადიანთ ეგონათ, ყივჩაყნი ალბათ შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. მაგრამ ისინი უეცრად მაჰმადიანთა ჯარში შეიჭრენ და ხოცვა დაუწყეს" [2]. ძნელი არ არის შევნიშნოთ ნათესაობა ამ სამხედრო ხერხისა და ტარიელის მიერ ხატაეთში გადახდილი ბრძოლის დასაწყისისა. მაგრამ ასევე ადვილია შევნიშნოთ, რომ რუსთაველი ისტორიულ ფაქტებს არც აქ იმეორებს შიშველად, არამედ მხატვრულად ასახავს მოვლენებს.

პოემითაც ბრძოლას მოწინავე რაზმი იწყებს, მაგრამ მას თვით მთავარსარდალი მეთაურობს (446). მას პირდაპირი იერიში მიაქვს მთავარ ძალებზე, და არა საფლანგო, მარჯვენა, ან მარცხენა მხრიდან:

მუნ მიეპმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა. (446).

ამრიგად, ამ ორი ბრძოლის ტაქტიკური ხერხები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ პოემაშიც ბრძოლა მთავარსარდლის პირადმა უმაგალითო გმირობამ დაასრულა გამარჯვებით:

ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი (447).

და როგორც მემატიანე შენიშნავს: „რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღმრთისა უხილავი... აოტეს და გააქციეს... და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევსისა-ო", პოემაშიც ტარიელი გვეუბნება:

სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი (448).

ბასიანის ომში კი მთავარსარდალს, „მეფესა დავითს უნდოდა, რათა ზედამიჰმართა, სადა დაბანაკებულ იყო სულტანი, ბასიანისა ადგილსა,

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 71.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 203.

ბოლოკერტად წოდებულსა“ [1], ე. ი. სადაც დაბანაკებული იყო მტრის მთავარი ძალა.

როგორც ვნახეთ, შამქორის და ასევე ბასიანის ომებში მონაწილეობა მიიღეს მხარგრძელთა სარეზერვო ნაწილებმა. ტარიელმაც ადრევე შეამზადა და დროულად ჩააბა ბრძოლაში რეზერვი:

ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამოშეტანნეს მე არა,
რა ეცნა, წამოსულიყვნეს, ღამე წამორთვით ეარა...
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გაიზარა...
იგი ნახეს, გასაქცევლად გაეშართნეს, შეეკიელენით (450—51).

ტარიელმა დაატყვევა რამაზ მეფე:

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით (451),

მატიანით კი ათაბაგი „მხოლოდ განერა ერთითა მონითა“ [2], მაგრამ ბასიანის ომშიო, მოგვითხრობს ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე: „მოასხნეს სულტანნი და ამირანი ტუედ ერზინკელი, შამელი და ბივრიტელი“[3]. „ისტორიანი და აზმანი“ კი ამავე ბრძოლის ფინალის შესახებ მოგვითხრობს: „ვიდრე ღამემდე დევნა უყვეს და ჰხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“ მტერს ქართველებიო [4]. პოემაშიც ტარიელი გადმოგვცემს რამაზის შესახებ:

მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით...
უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა (451 — 52).

ბრძოლისა და მტრის რაზმების დევნის დამთავრების შემდეგ, მატიანით, „შემოიქცა მეფე... მაშინ მოვიდეს დიდებულნი... და სპასალარნი და სპასპეტნი, თვით შარვანშა და ამირ-მირმან პირითა მხიარულითა, გარდამოხდეს, თაყუანი სცეს, დალოცეს და ქება შეასხეს (მეფეს) ბუმბერაზთა მისთა“ [5]. პოემითაც, ბრძოლის შეწყვეტის შემდეგო, გადმოგვცემს ტარიელი:

მას ადგილსა ნაომარსა გარდავჰხედით მოსვენებად...

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 148.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 71.

4 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 268.

5 იქვე, II, გვ. 73.

ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებისაცა მოხსენებად (453).

მემატიანით, „ვითარცა გათენდა, მოვიდეს შანქორელნი და მოართვეს კლიტენი; და ამღებელმან ქალაქისამან და ყოველთა მისთა მიმდგომთა ქალაქთა და ციხეთამან, ითაყუანა ამირ-მირან“ [1]. ტარიელიც გადმოგვცემს: ბრძოლის შემდეგო

გაეგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე...
არ ვჰბრძოლე, ქარი ქალაქთა უომრად გავაღებინე (455).
მაშინღა შევე ხატაეთს, მოვლად და მოსათვალავად,
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართვნეს დაუმალავად. (459)...

მემატიანით, დავითმა შამქორში დარბაზობა და ზეიმი მოაწყო და გაემართა განძას, რომელიც უბრძოლველად დანებდა. აქაც მან გადაიხადა უდიდესი ზეიმი, რის შემდეგაც საქართველოში „წარმოგზავნეს მახარობლად... ჭიაბერი“ [2]. პოემაშიც:

წიგნი დაწერე: „მეფეო, სვემცა არს თქვენი სვიანად!..
ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად“ (463).

როდესაც ქართველი მხედრობა შამქორიდან დაბრუნდა, მეფემ დიდი პატივით მიიღო გამარჯვებულნი, დარბაზობა გამართა და „შეიწყალა“ ლაშქარი და ქვეშევრდომნი: „მივიდეს სრასა და მოვიდა მეფე და წინაშე ლაშქარნი, სავსენი... სახელითა მიუწდომელითა და სარგებლითა გამოუთქმელითა. მოიღეს ნიჭი, არმაღანი და განძი აურაცხელი: კაცი, — ხელმწიფე-აზნაურითგან მონამდის, — ათორმეტი ათასი, ავაზა ორმეოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შვიდიათასი, აქლემი ათხუთმეტი ათასი, დროშათა სხუათა სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინაიცა იქმნა ამარი“ [3].

პოემითაც ტარიელმა დიდძალი დავლა და ალაფი გაგზავნა ინდოეთს: „დავშვრები, თუ დავსთვალვიდეო“, და მოკლედ დაამთავრა:

ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, ყველაკაი წვიმ-მაგრობდა,
დატვირთული გაეუგზავნე (462)

მეფესო. ხოლო როდესაც ტარიელი ინდოეთში დაბრუნდა, მას მეფე დიდი პატივით მიეგება. მეორე დღეს კი

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ .72.

[2] იქვე, II, გვ. 73.

[3] იქვე.

მეფემან ბრძანა: „ლაშქარნი უხმენით, შემოჯარენით,
დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით“ (467).

განსაკუთრებული პატრიოტული აღფრენით და სიხარულით ბატავს მემატიანე იმ ზეიმს, რომელიც დავით სოსლანმა გადაიხადა განძას სულთანის სასახლეში: „მაშინდელი ზარი და ზეპიმი ვისნამცა ენამან გამოთქუა... შეიქმნა პურობა, ნადიმობა შესატყვისი ჟამთა და მის დღისა“ [1].

ასეთივეა ინდო-ხატაელთა ომის ფინალიც. გამარჯვებულთა ინდოეთში დაბრუნების შემდეგ:

შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა;
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა (483).

და უსაზღვროა მეფე-დედოფლის სიხარულიც. ასეთია ინდო-ხატაელთა და შამქორ-ბასიანის ომების ზოგიერთი შეხვედრის წერტილი, ან პარალელი.

გადავიდეთ ქაჯეთის ციხის და ქაჯეთის ბრძოლის საკითხზე, რომელიც დიდიხანია რუსთველოლოგთა გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა.

ქართველ-სპარსელთა 1210 წლის ომებში პირველი იერაში მიტანილ იქნა მარანდაზე, რომლის ტოპოგრაფიული თავისებურებისა და ადგილმდებარეობის რელიეფის შესახებ მემატიანეს ძვირფასი ცნობები მოეპოვება: „ქართველები „წარემართნეს სპარსეთედ... და აღვივდეს მარანდსა, ხოლო მარანდელნი, ამისნი მცნობელნი, შეივლტოდეს კლდეთა შინა“. ქართველთა 500 კაცისაგან შემდგარმა რაზმებმა „აღვლეს აღმართნი მარანდისანი, აღვივდეს ვაკესა, თავსა მარანდისასა და დადგეს მთასა მას ზედა... იხილეს მთით მარანდელთა, რომელნი შელტოლვილ იყვნეს ღირღალთა და კლდეთა მაღალთა, რომელ არს ზედა — კერძო თავსა მთისა, მარანდისასა, უმაღლეს სხუათა მთათა, სავსე ქვითა და კლდითა“... [2] „ვეფხისტყაოსანშიც“ თვალში გვეცემა ქაჯეთის „კლდე მაღალი და გრძელი“ ((1242). ქაჯები „მინდობიან კლდესა სალსა“ (1246). ნესტანი ქაჯეთიდან იწერებოდა: „ახლოს მახლვან დიდნი კლდენი-ო“ (1303). ფრიდონის მოწმობითაც ქაჯეთი

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 104.

და ავტორიც აღნიშნავს, რომ ჭაჯეთი „გარე კლდე იყო“ (1391).

მარანდაზე ვიწრო მისასვლელი გზა არსებობს, რომლითაც მიადგა მას ქართველთა ლაშქარი: „შეველეს ვიწრო იგი ხევი დარადუზისა და აღვიდეს მარანდსა“.„ვეფხისტყაოსანშიც“ ფატმანი უამბობს ავთანდილს:

ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი ასაძრომელი ხვრელია (1242).

აგრეთვე, „გზა გვირაბითა შემოვა-ო (1300), — წერდა ნესტანი ტარიელს, ხოლო რუსთაველი შენიშნავს:

გვირაბის კარსა ჰაბუკი ათიათასი მცველია (1392).

დასასრულ, ჭაჯეთის ციხეში ავთანდილს და ფრიდონს

გზანი დახვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა (1420).

ამგვარად, მარანდაზე „ვიწრო იგი ხევი დარადუზისა“, პოემაში „გვირაბი“...

ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ჭაჯეთის ციხის აღების ხერხი, რომელიც მე-12 საუკუნის პირველ ათეულში გადახდილი ომების და განსაკუთრებით — მარანდის დაკავების თითქმის ანალოგიურია.

არდაველის სულთანი ანისის ასაოხრებლად „წარმოვიდა... აღვლო რახსის პირი და უგრძნობლად მოვიდა ანისსა, გზა-გზა არავის ავნო“ [1], და ააოხრა ანისი. როდესაც ეს ამბავი გაიგეს მხარგრძელებმა, „ჰრქუეს მეფესა... მეფეო, ამცენ სპათა შენთა, მზა იყვნენ არდაველისა სულტანსა ზედა: წავიდეთ ანისს და, ვინ სადა ეპოვოთ სპარსთაგანი, მოვინადიროთ. ნუ დიდნი წარვალთ, რათა არა სცნან, გარნა მცირენი, რომელ თუ დიდნი წარვალთ, სცნობენ და სიმაგრეთა შევლენ“, ამიტომ „მცირითა ლაშქრითა შემეწიე-ო“ [2]. აგრეთვე, როდესაც ქართველი ჯარები მარანდაში მივიდნენ, „დაარჩიეს ხუთასი მხედარი და რჩეული აზნაურნი... და წარემართნეს“ მთად [3].

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100.

2 იქვე, გვ. 101.

3 იქვე, გვ. 104.

პოემაშიც ქაჯეთის აღების შესახებ ფრიდონმა ჯერ კიდევ მულღაზანზარს განაცხადა:

თუ იდუმალ არ შეეუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების,
მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვყვების (1388)...
დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანი,
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი (1387).

გმირებიც სწორედ ამ რჩეული რაზმით გაემართნენ, და როცა ქაჯეთს მიუახლოვდნენ, ფრიდონმა კვლავ შემოიტანა წინადადება:

ქათგან ღამით სლვა გვინდა, მით არას გამეღავნებულთა (1390).

რუსთაველიც შენიშნავს:

რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლად ვლიდიან (1391).

მარანდის მაღლობზე ზაქარია ამირსპასალარმა გაგზავნა 500 კაცი თაყაიდან თმოგველის მხედართმთავრობით, რომელსაც უბრძანა: „არავის ბრძოლოს... თუ დიდი ლაშქარი ნახონ, აცნობონ“ ზაქარიას და რაიცა მან „ჰრქუას, ყონ“ [1]. ამრიგად, ამ ოპერაციას დაზვერვითი ხასიათიც აქვს. პოემაში:

შას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები (1412).

ქალაქი ანისი არდაველის სულთანის მიერ აოხრებულ იქნა აღდგომა დილით: „ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარსი ქალაქისანი“ ანისელებმა, მაშინ არდაველის სულთანის ლაშქარი „მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი... შევიდეს ქალაქად, იწყეს ხოცად, კლვად და ტყუევნად“.

პოემაშიც ტარიელი მოითხოვს: შევუტიოთ, „რა ღამე ჩნდეს ნათენები-ო“, (1404), რაც განახორციელეს კიდეც (4112).

არდაველის სულთანის ლაშქარმა ანისზე ისე სწრაფი და მოულოდნელი იერიში მიიტანა, რომ ანისელებმა „ვერ მოასწრეს დახშუად კარნი [2], რის გამოც ქალაქი დაეცა. პოემაშიც ტარიელმა მოითხოვა:

ფიცხლად შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა (1405).

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100.

[2] იქვე.

არდაველია სულთანს განთიადისას „ყოველგნით ცხენი შემოუტიეს მხარგრძელთა“ და არდაველიც დაეცა. პოემაშიც ტარიელმა მოითხოვა: „სამთავე სამგნით მოეპმართოთ-ო“ (1404), ე. ი. ყველა მხრიდან შემოევერტყათო. ასეც მოიქცნენ:

სამთავე სამად გაიყვეს თვითოშან თვითო კარები (1412)...

მაგრამ კარდინალური მნიშვნელობა მაინც ქაჯეთის ციხის აღების ტაქტიკურ ხერხს უნდა მიეცეს.

ქართველმა 500 კაციანმა რაზმმა მარანდის მაღლობი დაიკავა უბრძოლველად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მარანდა აღებულია: მარანდელთა ცოცხალი ძალა ჯერ ხელუხლებელია. მართლაც, მარანდელებმა, რომლებიც „შელტოლვილ იყვნეს ღირღალთა და კლდეთა მაღალთა... იხილეს მცირე ლაშქარი, აღიჭურნეს, მოუხდეს ზარითა და ამბოხებითა მარანდელნი, რამეთუ საწუნელ უჩნდეს სიმცროსთვის“ ქართველნი [1]. ქართველთა ლაშქარი მარანდელებს მცირერიცხოვანობის გამო დაუწუნიათ. ამიტომ ისინი სიმაგრეებიდან გამოსულან და ბრძოლა გაუმართავთ. ტარიელმაც თათბირზე განაცხადა: ქაჯეთს განთიადისას ას-ასი კაცით შევუტიოთ სამივე მხრით, მაშინ

მოგვეგებიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ მძლე ნები-ო (1404).

ასეც მოხდა და ქაჯეთის ციხეც დაეცა.

ასეთია ქაჯეთის ეპოპეის შეხვედრის წერტილები არდაველის სულთანზე და მარანდაზე ლაშქრობის მატიანისეულ ინტერპრეტაციასთან, რაც დიდ განსხვავებათა მიუხედავად, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქაჯეთის ციხის ტოპოგრაფიული თვისებების, მისი აღების ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხების, საერთოდ — მთელი ეპოპეის შექმნისას პოეტმა შეესაძლოა ისარგებლა ჩამოთვლილ ლაშქრობათა და ბრძოლების, კერძოდ, მარანდის ბრძოლის ზოგადი სურათებით და საბრძოლო ხერხებით.

ზედმეტი არ იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნების შედარება „ილიადას“, „შაჰ-ნამეს“, „ნიბელუნგების“ და სხვა დიდ ეპოპეათა შესაბამ მონაცემებთან. ყველა მათგანში ომი და ბრძოლა წარმოდგენილია ან დიდი მასების პირდაპირ შეჯახებად, ან გმირთა და ჭაბუკების ინდივიდიალურ შეტაკებად. ეს დოკუმენტები არ იცნობენ ამ

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 105.

მოვლენის ისეთ მაღალ კლასს, როგორსაც „ვეფხისტყაოსანი“ და მათი სამხედრო საქმე არ ასულა ვეფხისტყაოსნეულის დონემდე. მაგრამ ჩვენი პოემის ამ მხრივ სრული შეფასება, ან იმის განსაზღვრა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში, პატარა წერილის ფარგლებს სცილდება და მონოგრაფიულ გამოკვლევას საჭიროებს. ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთი მომენტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

რუსთაველის სამხედრო ხელოვნება ისე, როგორც ქართული, მაღლა დგას საშ. საუკუნეთა და ფეოდალური ეპოქის სათანადო მონაცემებზე. მაგრამ საზღვაო ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობებისა გამო, არ იცის საქართველოს ისტორიამ. ამიტომ პოემაში შემოტანილი საზღვაო ბრძოლის ბრწყინვალე სურათი იმის მაჩვენებელია, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნება მოიცავს როგორც კლასიკურ, ისე საშუალო საუკუნეთა ყველა მიღწევას სამხედრო ხელოვნებაში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული სტრატეგიული და ტაქტიკური პრინციპები — სწრაფი გადასვლა, ფიცხელი შეტევა, ჩასაფრება, ტერიტორიული გარემოცვა, რეზერვის გამოყენება და სხვ. დღესაც ცოცხალია სამხედრო ხელოვნებაში.

ზედმეტად არ მიგვაჩნია ცალკე დასკვნებით დავამთავროთ წინამდებარე თავიც. ვფიქრობთ, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ

1. „ვეფხისტყაოსანში“ ბატალური სურათები შესულია, შეტანილია არა მარტო როგორც თვითმიზნური ეპიზოდები, სიუჟეტის გართულების საშუალება, ან მხატვრული სამკაული, არამედ როგორც მისი წარმომშობი ეპოქის სამხედრო ხელოვნება, მთელი ფეოდალური სამხედრო სინამდვილის მხატვრული ასახვა და გამოვლინება.

2. კერძოდ კი პოემაში ასახულია XI — XIII საუკუნეთა ქართული სამხედრო ხელოვნება და მთელი სამხედრო სინამდვილე. ამას ადასტურებს როგორც რუსთაველური ცალკეული ბატალური სურათების შედარება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა XI — XIII საუკუნეების ქართულ სინამდვილეში, ისე ლაშქრის ორგანიზაციის წესები, ბრძოლათა მასშტაბები, სტრატეგია, ტაქტიკა, საბრძოლო წყობა, ბრძოლის წარმოების ხერხები, შეიარაღება და რუსთაველური სამხედრო ხელოვნების სხვა მონაცემები, რომლებიც იგივეობაშია შესაბამ ქართულ მონაცემებთან.

3. ამავე დროს „ვეფხისტყაოსანში“ ასახვა უპოვია ახალი ქვეყნების და შუა საუკუნეთა სამხედრო ხელოვნებას საერთოდ, რასაც ადასტურებს პოემისეული საზღვაო ბრძოლების შესანიშნავი სურათები, საზღვაო ბრძოლებისა, რომელთაც არ იცნობს საქართველოს ისტორია, და შესანიშნავი სურათი მულღაზანზარის ბრძოლისა, — ქვეითი ჯარის შეტაკება ცხენოსან ლაშქართან, — რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში რუსთველის დროს მომხდარ ბრძოლაში პოულობს პარალელს.

4. ყველაფერი ეს უფლებას არ გვაძლევს პოემაში „ისტორიული ელემენტის“ ან ქართული სამეფო სასახლის თავგადასავლის ამოცნობა ვცადოთ; ასეთი ცდები არ შეიძლება მეცნიერულად ჩავთვალოთ, რადგან პოემა მხატვრული ფაქტია და არა საისტორიო ქრონიკა.

5. უდავოა მხოლოდ, რომ რუსთველი, როგორც ყველა ქვეყნისა და ეპოქის დიდი მხატვარი, თავის პოემაში გარემო სინამდვილიდან იხატავდა ფაქტებს, სახეებს, სურათებს, ეპოქის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ტენდენციებს, კლასების, წრეების, ხალხის მისწრაფებებს, აზუსტებდა მათ, აფერადებდა. წმენდდა მეორეხარისხოვანისა, შემთხვევითისა და უმნიშვნელოთაგან, და მოჰყავდა ეს მოვლენები თავისი სოციალური იდეოლოგიისა და მხატვრული კონცეფციის და ინტერესების შესაბამის ფორმაში.

6. რუსთველის სამხედრო სისტემა, ძირითადად ფეოდალური, ბევრად უსწრებს თავის ეპოქას და შეიცავს ახალი ეპოქის სამხედრო სისტემების მონაცემებს. ამ უკანასკნელ გარემოებას განაპირობებდა XI — XIII საუკ. ჩვენი ქვეყნის განვითარებული სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე და ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური შესაძლებლობანი.

1942 წ.

მედიცინა ვეფხისტყაოსანში

უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა ინტერესი ქართული მედიცინის ისტორიისადმი. ამას ადასტურებს, გარდა აწ განსვენებული ექ. ლ. კოტეტიშვილის ძვირფასი შრომებისა და გამოცემებისა [1], პროფ. მ. სააკაშვილისა და დოც. ა. გელაშვილის [2], აკად. ივ. ბერიტაშვილის [3], დოც. შენგელიას [4] და სხვ. ფუნდამენტური შრომები და ნარკვევები. მათთვის, ვინც ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, საისტორიო ქრონიკებსა, მატიანეებს, ეთნოგრაფიას და სახალხო მკურნალობას დაჰკვირვებია, მოულოდნელი აღარაა ის საამაყო სინამდვილე, რასაც აღნიშნულ ნაშრომებში ვეცნობით, მაგრამ მეცნიერებისათვის იგი დღემდე მაინც terra incognita-ს წარმოადგენდა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დასახელებულმა მკვლევარებმა მეცნიერების ახალი დარგი შექმნეს. მათ თავი მოუყარეს ჩვენი საისტორიო, მხატვრული თუ სპეციალური სამედიცინო ლიტერატურის, აგრეთვე სხვა ხასიათის პირველწყაროთა მონაცემებს, განაზოგადეს ისინი და სისტემაში მოიყვანეს, რაც ადვილი საქმე არ არის. სხვათა შორის, მათ ისიც აჩვენეს, თუ რა ძვირფას და ამოუწურავ მასალებს გვაწოდებს ამ საკითხზე ძველი ქართული მწერლობა და კერძოდ „ვეფხისტყაოსანი" [5].

ჩვენი შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის" სამედიცინო მონაცემებზე,

---

[1] წიგნი საექიმო. თბილისი, 1936; „უსწორო კარაბადინი", თბილისი, 1940 და სხვ.

[2] საქართველოს მედიცინის ისტორია. საქმედგამი, თბილისი, 1956 (ტ. III).

[3] მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, თბილისი, 1957.

[4] ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1957.

[5] მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, გვ. 147, 149, 174, 247, 269, 390 და სხვ.; ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. გვ. 197 — 242; ლ. კოტეტიშვილი, საექიმო იდეები ვეფხისტყაოსანში, ჟურ. საბჭოთა მედიცინა, თბილისი, 1937, № 11—12 და სხვ.

რომლებიც მის ძირითად ნაწილში ამ თორმეტიოდე წლის წინათ მოხსენდა ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრას (ფიქსირებულია ინსტ. სხდომათა ოქმებში), ხოლო აქ წარმოდგენილი სახით — 1957 წ. ოქტომბერში ქუთაისის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომას, დამყარებულია პოემის ტექსტის პრეცეზულ ანალიზზე: ჩვენ არ გამოგვითქვამს (არც გაგვიმეორებია) ერთი მოსაზრებაც კი, რომელიც დასაბუთებული არ არის პოემისეული სტროფებით, ტაეპებით თუ მონაცემებით.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია ღრმა მადლობა მოვახსენოთ დამსახურებულ ექიმებს ს. ჩიქოვანსა და აკ. გაბუნიას, და ასეთივე მადლობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ექიმი პლ. იოსელიანი, რომლებსაც ამ ნარკვევზე მუშაობისას არაერთგზის მივმართეთ კონსულტაციისა და რჩევისათვის.

ვ. ი. ლენინი წერილში „ლევ ტოლსტოი, როგორც სარკე რუსეთის რევოლუციისა“, წერს, რომ ტოლსტოი არის „გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც“; ვ. ი. ლენინი აღტაცებით აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის „უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა“ არის მისი შემოქმედების ძვირფასი, პროგრესული, ფასდაუდებელი მბარე, რომ „ტოლსტოიმ ასახა გულში დაგროვილი სიძულვილი, მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი“ [1] მისი ხალხისა.

ლენინის ეს შეხედულება ტოლსტოის შემოქმედებაზე მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობის ქვაკუთხედია. ამ განსაზღვრის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ლიტერატურული მოვლენა იმდენად იმსახურებს კლასიკურის სახელს, რამდენადაც უბადლოდ იძლევა ცხოვრების სურათებს, რამდენადაც ფხიზელი რეალიზმის ნიადაგზე დგას მხატვარი, რამდენადაც სრულყოფილად ასახავს იგი ხალხის მისწრაფებებს.

ტოლსტოი და რუსთაველი სხვადასხვა ეპოქათა და კულტურის შვი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, სახელგამი, 1950, გვ. 237, 238, 244; ხაზი ყველგან ჩვენია.

ლები არიან. მაგრამ რუსთაველიც, საყოველთაო აღიარებით, გარდასული ეპოქების იმ დიდ შემოქმედთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა ნაწერებიც, როგორც მარქსი ამბობს, „ახლაც ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით; ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“ [1].

ამის ერთ-ერთი მიზეზი, ცხადია, სწორედ ის გარემოებაა, რომ ეს შემოქმედნი ახერხებენ, — და მით უკეთ, რაც დიდია მათი შემოქმედებითი უნარი და დიაპაზონი, — ასახონ თავისი ხალხის „მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ“, მოგვცენ თავისი წარმომშობი ხალხის „ცხოვრების უბადლო სურათები“, მოიმარჯვონ „ფხიზელი რეალიზმი“.

„ვეფხისტყაოსანი“ მდიდარი და მაღალი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურის ყველაზე სრულყოფილი ძეგლია. მასში დიდმა მგოსანმა სწორედ რომ ა ს ა ხ ა თავისი წარმომშობი ხალხის მომწიფებული მისწრაფებანი უკეთესისაკენ, მოგვცა ცხოვრების უბადლო სურათები და ყველაფერი ეს—ფხიზელი რეალიზმის პოზიციებიდან, მასში სწორედ რომ ასახულია მთელი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული სინამდვილე მისი წარმომშობი ეპოქისა და ხალხისა.

თქმა არ უნდა, რომ ერთი უტყუარი მაჩვენებელთაგანი ერის, ხალხის ცივილიზებულობისა და კულტურულობის იყო, არის და იქნება მისი სამედიცინო განათლება, მისი წარმოდგენა ადამიანზე, როგორც ასეთ თუ ისეთ არსებაზე, ავადმყოფის მოვლა-პატრონობის ცოდნა-ჩვევები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რომელიც დამკვიდრებულია ერის ყოფა-ცხოვრებაში.

ისიროი ხასიათის ეპიკურ ნაწარმოებში, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, ცხადია, ასახვას იპოვიდა ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ეს მხარეც, მკურნალობის საქმე საქართველოში. მაგრამ რუსთაველს არ შეეძლო ზედმიწევნით სისრულით გადმოეცა მთელი ის ცოდნა, ან ჩვევები, რაც მისი ეპოქის ქართულ სინამდვილეს გააჩნდა მედიცინისა და მკურნალობის დარგში, რადგან იგი მხატვრულ ნაწარმოებს ქმნიდა და არა სამედიცინო ხასიათის თხზულებას. რუსთაველი ამ სინამდვილეზე საუბარშიც ინარჩუნებს შესანიშნავ მხატვრულ ალღოს. მხატვრული ზომიერების გრძნობას, ტაქტს. მას სამედიცინო სამყაროდან პოემაში შემოაქვს მხოლოდ ის მინიმუმი, რაც სჭირდება

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, სახელგამი, 1953, გვ. 297.

თავისი ჩანაფიქრის მხატვრული განსახიერებისა და მიზნის იდეური სრულყოფისათვის. ამიტომ მის პოემაში ჩვენ ვერ ვპოულობთ ავადმყოფობათა სტატისტიკურ აღრიცხვებს, გაჭიანურებულ აღწერებს, მკურნალობათა დაწვრილებით რეცეპტებს, წამლეულობათა სიებსა და სახელებს და სხვ. ხატავს რა ცხოვრების სურათებს, მას ბუნებრივად, თავთავის ადგილას შემოაქვს პოემაში ამა თუ იმ გმირის ავადმყოფობის, დაჭრა-დაკოდვის, ტრავმული ფსიქიკური მდგომარეობის, მკურნალობის და სხვ. სურათები, რამდენადაც ამგვარ მოვლენებს ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ხანდახან იგი საგანგებოდაც შეჩერდება განსაზღვრულ ავადმყოფობაზე და გვიჩვენებს მისი მკურნალობის მეთოდებს. ზოგჯერ სრულიად სხვა მოვლენებზე საუბრისას მეტაფორებში თუ შედარებებში მიუთითებს სამედიცინო თვალსაზრისით მეტად საყურადღებო წვრილმანებზე, აქა-იქ კი რომელიმე ბრძნულ აფორიზმში მომხიბლავი სისადავით ჩამოაყალიბებს უაღრესად მნიშვნელოვან ზოგად მოსაზრებას მედიცინისა და მკურნალობის საკითხებზე, ისეთებს, რომლებიც სამედიცინო მეცნიერებათა და საქმის განვითარების დღევანდელ საფეხურზეც კი დაურღვეველ ჭეშმარიტებად გვევლინება და საეჭვოა ოდესმე გადაიქცეს საპირისპირო ჭეშმარიტებად. ერთი სიტყვით, ამ უზარმაზარ მხატვრულ ტილოზე გაფანტულია რუსთაველის სამედიცინო შეხედულებანი, ცოდნა, წარმოდგენები. ერთად თავმოყრილი და გაანალიზებული, ეს შეხედულებანი გვევლინება მთლიანობად, რომელსაც გაბედულად შეიძლება რუსთაველის სამედიცინო სისტემა ვუწოდოთ.

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ჯეროვანი ცოდნა ადამიანის ანატომიისა და სასიცოცხლო პროცესებისა. მასში ბუნებრივად, მხატვრული სიმართლით არის გაბნეული ადამიანის ორგანიზმის თუ სხეულის სხვადასხვა ნაწილის, ორგანოების თუ ფიზიოლოგიური პროცესების, ინტელექტუალური თუ ფსიქიკური ყოფიერების აღმნიშვნელი ტერმინები და ცნებები. თვით ადამიანის წარმოშობის შესახებ პოემა ბიბლიურ შეხედულებას იცავს. მისი გაგებით, ადამიანი ა დ ა მ ი ს ტ ო მ ი ს (195), ა დ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი, ა დ ა მ ი ს შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი ა (183) და ორი საწყისისაგან, ხორცისა და სულისაგან, შედგება:

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო (789).

ვკითხულობთ ავთანდილის ანდერძში. ადამიანი იწოდება აგრეთვე ელიერად, კაცად, ხორციელად, სულდგმულად. სხვადასხვა სტროფში ვკითხულობთ: „კაცი ვარ, ადამიანი“ (233); „ხორციელი არვინა გყავს შენად სწორად“ (130). „აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს“ (196). „სულიერი კაცი არსად არ ენახა“ (194). „არვის ეუთხარ სულიერსა“ (114). „არვის გავენდევ სულდგმულსა“ (437) და სხვ.

ადამიანის სხეულის მთავარ ნაწილთაგან პოემაში ნახსენებია: თავი, ტანი, ხელი, ფეხი (ფერხი, ორი უკანასკნელი — ზედა და ქვედა კიდურების აზრით). ასე, ტარიელს

თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხისტყაოსა (204) *.

ავთანდილმა რომ ვაჭრები გადაარჩინა,

მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერხთა, ხელსა (1049).

თავის ნაწილებიდან გვხვდება სახე, პირი, თხემი, შემოსილი თმით; ტანისა ცალ-ცალკე იხსენიება: მკერდი, ზურგი, მუცელი, წელი, მხარი, თეძო, ნაცი; ხელი შედგება მკლავისა, მაჯისა, ნებისა და თითებისაგან; ფეხის ნაწილებია. მუხლი, წვივი, ტერფი, ქუსლი, სახეზე აღნიშნულია: თვალი, იგივე სახედავი (1023), წარბი, წამწამი, ყური, ბაგე, ღაწვი. ზოგიერთი სახე არის

ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა (40).

ზოგიერთი — „ულვაშ-აშლილი, წვერგამო“ (227), ხოლო ზოგიერთი „წვეროსან“ სახეზე წვერი ისე დგას, რომ მეფე როსტევანმა, მაგალითად, „წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭვრეტნი“ (821). პირის ღრუში მოძრაობს ენა, გვაქვს კბილები, ყელი (კისრის მნიშვნელობით) და სხვ.

მაგრამ პოემაში არა გვაქვს ადამიანის სხეულის ყველა გარეგანი ორგანოს, ისევე, როგორც ყველა შინაგანი ორგანოს, დასახელება, ეს გასაგებიცაა: რუსთაველი ანატომიის სახელმძღვანელოს კი არ ადგენს. შინაგანი ორგანოებიდან ყველაზე ხშირად დასახელებულია გული, ორ-

* მრავალი შესაძლებლობიდან ვიმოწმებთ მხოლოდ თითო-ოროლა სტროფს.

ჯერ—ნავღელი (363, 1293), მართალია, ორივე შემთხვევაში — მეტაფორულად. აღსანიშნავია, რომ, თუმცა პოემაში შინაგანი ორგანოები შედარებით ძუნწად გვხვდება, ტვინი მაინც იხსენიება.

სასიცოცხლო ფიზიოლოგიური და ფიზიკური პროცესებიდან პოემაში გვხვდება: სუნთქვა, გულის ფეთქვა, მაჯა (გულისცემის მნიშვნელობით), ძილი, ღვიძილი, დგომა, წოლა, ჯდომა, სიარული, რბოლა, ანუ რბენა, ჭამა, ცოხნა და სხვ. შეგრძნებათა და განწყობილების გამომხატველ ცნებათაგან გვხვდება: ჭვრეტა, ხედვა, ყნოსვა, სმენა, სიმძიმილი, სიხარული, სიამე, სიმწარე, დანაღლება, სიცილი, ტირილი და სხვ. სხვადასხვა ადგილას ვკითხულობთ:

ყმასა გულმან გაუფეთქხა (867).
ეყნოსა სული ალვისა (227).
რად შეცვალე სიხარული სიმძიმილად (561).
სიამისა სიმწარითა დანაღღება (99).
ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს მღერასა (235)

და სხვ.

ჯანმრთელობისა და ანატომიურის მხრივ ნორმალური ხომ პოემის ყველა გმირები არიან, მაგრამ თხზულებაში გვხვდება ხსენება (არ) საყართა (286) და საყრობისა (131), დავრდომილთა (829) და ბრმათა (983). ავთანდილმა კი ანდერძში თავისი ქონების ნაწილი გაითვალისწინა ხანაგათა ასაგებადაც (804).

პოემაში საუბარია ადამიანის შობაზე, ზრდაზე. სიყმაწვილეზე, მომწიფებაზე, ჰაპუკობაზე. ხანდაზმულობასა და სიბერეზე.

დედოფალმა „შობა ქალი“ (322) და

წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა (323).

თინათინი „რა გაიზარდა, გაივსო“ (34). „მუნ იზრდებოდეს ტანითა“ (331) ნესტანი, ხოლო ტარიელის შესახებ „მეფემ ბრძანა: შვილად გავზიდიო“ (318). „სიყმაწვილე გარდგვიელიაო“ (508), — განაცხადეს ინდოეთის მეფე-დედოფალმა და როსტევანმაც თქვა: „დავლიენ სიყმაწვილისა დღენიაო“ (62). „მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად“ მე (319), ხოლო იგი, ნესტანი, „ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლვა ომ-

საო“ (328), — აცხადებს ტარიელი; ჰაბუკი რაინდსაც ხიშნავს, მაგრამ, როცა რუსთაველი ლაპარაკობს სამი გმირის შესახებ:

იგი ჰაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითაო (1409),

ცხადია, აქ ლაპარაკია ახალგაზრდობის შუქზე, რომელსაც გამოსცემდნენ გმირები. სიბერე კი პოემაში გადაჭრით უპირისპირდება სიყმაწვილეს: როგორც როსტევანი, ისე ინდოეთის მეფე-დედოფალი ერთგვარად მწუხარებით აღნიშნავენ:

სიბერე მახლავს, დაელიენ სიყმაწვილისა დღენია (62).
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვეულია (508).

ჩვენ გაკვრით ვაჩვენეთ რუსთაველის ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ლექსიკა როგორც ერთგვარი აუცილებელი შესავალი ჩვენი თემისა. რაც შეეხება პოემაში წარმოდგენილ ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ სამყაროს, იგი ცალკე კვლევის საგანია.

მაგრამ აქ აუცილებელია, მოკლედ შევჩერდეთ რუსთაველის ძირითად ანატომიურ და ფიზიოლოგიურ შეხედულებებზე.

სიცოცხლე, რუსთაველის აზრით, არის სულდგმულობა. „სიცოცხლე და სულდგმულობა“ (1214), პოეტის გაგებით, სინონიმეებია. ამ სიცოცხლის, სულდგმულობის მქონე ადამიანის, კაცის, ხორციელის, სულიერის დამახასიათებელი არის არა მარტო მისი ხორციელობა, სულიერობა, სულდგმულობა, არამედ გონიერებაც, გონების, ჭკუის მფლობელობაც, ცნობიერობაც: ადამიანი არის არსი (1232) გონიერი, ცნობიერი, ანუ ცნობილი, ჭკუიანი: თინათინი და ნესტანი არიან „წყნარი და ცნობილი“ (48, 327), ავთანდილი არის „ცნობა-სრული“ (1311) და სხვ.

თვით სიცოცხლე, რუსთაველის აზრით, არის, წარმოადგენს მატერიალურის და სულიერის კავშირს, ჰარმონიას, შეერთებას, სულისა და სხეულის რაღაც ურთიერთობას, სიკვდილი კი ამ ურთიერთობის დაშლაა:

ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა (274), —

ამბობს ერთგან ტარიელი.

რომ სიკვდილი არის „გაყრა ხაორცთა და სულისა“, ამას რუსთაველი სხვაგანაც აღნიშნავს: ინდოეთში ხანის

თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო (528).

ემუქრება ნესტანი ტარიელს.

მაგრამ წარმოდგენა სიკვდილზე, როგორც სულის გაყრაზე ხორცისაგან, როგორც სულისაგან ხორცის უარყოფაზე, ხორცის დატოვებაზე, თუ სუბსტანციად სული იგულისხმება, რელიგიურ-დეისტური შეხედულებაა და უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. აქ აღსანიშნავია სხვა გარემოება.

რუსთაველის გაგებით, ხორცი სიცოცხლის მატერიალური საფუძველია; სიკვდილს იწვევს მატერიალურისა და სულიერის ურთიერთ კავშირის დაშლა. სული და სხეული ამ თვალსაზრისით ორი დამოუკიდებელი სუბსტანციაა. სიცოცხლეს პირველის მეორეში გადასვლა კი არ წარმოადგენს, არამედ მათი კავშირი:

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ სულთა სირასაო (884), —

ამბობს ერთგან ტარიელი. სიცოცხლის მატერიალურ საფუძველზე მსჯელობა კი რუსთაველის მხრივ დიდი გამბედაობა იყო მე-12 საუკ. საქართველოში, რომელშიც ქრისტიანობა ესოდენ წარმატებით ემსახურებოდა გაბატონებულ კლასებს და სრულად გამოხატავდა მათ იდეოლოგიას.

სიკვდილს იწვევს ფიზიოლოგიური, ტრავმული, ფსიქიკური პათოლოგიური მოვლენები. ასე, პოემიდან არა ჩანს, რით გარდაიცვალა ტარიელის მამა, მეფე სარიდანი, რადგან ლაპარაკი არ არის მის ავადმყოფობაზე. ტარიელი მხოლოდ მამის სიკვდილის ფაქტს აღნიშნავს:

მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისაო (334).

უნდა ვივარაუდოთ, რომ სარიდანი რაღაც შინაგანი სნეულებით, ან უეცარი დამბლით გარდაიცვალა. ყველაზე ხშირად სიკვდილს იწვევს ტრავმული დაზიანებანი, ომებში მიღებული სასიკვდილო ჭრილობანი. აღსანიშნავია, რომ პოემაში გვხვდება თვითმკვლელობის შემთხვევაც: თავი მოიკლა მეფე ფარსადანის დამ დავარმა:

ღანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა (582).

ტარიელი სიკვდილის მიზეზად (რაც, მართალია, არ შესრულებუ-

ლა), ასახელებს ფსიქიკურ-ემოციურ ტრავმებს. როსტევანი კიდევ თავისი მომავალი გარდაცვალების მიზეზად ასახელებს სიბერეს:

მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია.
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მჭნელიაო (36).

რუსთაველის აზრით, ადამიანი, კაცი არის სულიერი (172, 194, 1130. 1144, 1153, 1154), გონიერი (215, 539, 904, 928, 1191), ცნობიერი (894) ანუ იგივე ცნობილი (48, 327, 893, 919, 934), ჭკუიახი (861), ჭკუის მფლობელი (347) არსი (1, 92, 861, 1030, 1168). ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

რუსთაველის აზრით, ადამიანის მთავარი სასიცოცხლო ორგანო არის გული. თუ ადამიანის სიცოცხლეს საშიშროება მოელის, თუ ვისიმე სიცოცხლე უკიდურეს საფრთხეშია, ეს იგივეა, რომ მისი „გული ძეს საგნად ისრისა“ (708); თუ ეს ისარი გულს სწვდა, თუ ადამიანს „ჰკრეს ლახვარი გულსა შუა“ (848), ეს უეჭველი სასიკვდილო ჭრილობაა. ამის გამოა, რომ პოემის გმირები, რომლებიც სიცოცხლის ფიცქვეშ იძლევიან სიტყვას თუ პირობას, ან სიკვდილს ნატრობენ, დანას თუ მახვილს ყოველთვის გულს უმიზნებენ ხოლმე: თუ გიღალატო, „გულსა დანა ასაქმარი“ (133), ასაქმე, გულზე დანა დამეციო, უთხრა თინათინმა ავთანდილს, აგზავნიდა რა მას უცხო მოყმის საძებრად. ამ ძებნაში, გაჭირვებისა გამო, ავთანდილს

ზოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასაო (179), —

გვეუბნება რუსთაველი. თვით ავთანდილიც ერთგან გაიძახის: „ხამს თუ დანა გულსა ვიციო“ (746), ნესტანიც თავის მცველ ხადუმებს აფრთხილებს:

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასაო (1194).

დავარმა კი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, „დანა დაიცა“, რის შედეგადაც „მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

ასეთი ადგილების დამოწმება მრავლად შეიძლება. ნათელია, რომ რუსთაველი გულს, ქართული წყაროებით — „ხსოთა ხელმწიფეს“ [1], სასიცოცხლო ცენტრად თვლის.

---

[1] იადიგარ დაუდი, თბილისი, 1938, გვ. 12.

მაგრამ ამით ყველაფერი არ მთავრდება. რუსთაველს წარმოდგენა აქვს მეტად მნიშვნელოვან პროცესებზე და მოვლენებზე.

ერთი იმ ხატაელთაგანი, რომლებმაც ავთანდილს ტარიელი დაანახეს, „თავსა იყო დაკოდილი“ (197) იმ უცნობი ჰაბუკის მიერ, და არა, ვთქვათ, გულში. მაგრამ მისთვის „შეებინდა სისხლსა გული“ (197). ამრიგად, ხატაელი დაჭრილია თავში, ჭრილობა მდებარეობს თავზე. მაგრამ ამ ჭრილობიდან სისხლის დენა იწვევს გულის შებნედას და ზოგჯერ, ცხადია, სიკვდილსაც. ხატაელი მთავრები ხომ მეტად შეშფოთებული არიან ძმის მდგომარეობით. მათ უთხრეს ავთანდილს:

...დაგვიწუნარდი, გვიშველე რა, ცეცხლნი ავსენ,
ვერა გვარგო, მოგვიმტკივნე, ჭირნი ჭირთა ძოგვისავსენ,
სატირელნი მოგვიტირენ, ღაწვნი შენცა დაიმხავსერო (198).

ბრძოლებში დაჭრილთა დახოცვის ძირითადი მიზეზიც სწორედ სისხლის ღვარული დენაა: „დამიხოცა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული“ (111), ვიღაც მოყმემო, მწუხარებით აცხადებს როსტევანი. ავთანდილი კი ქაჯეთის კედლებთან ამაყად გაიძახის:

ღმერთმან ქნას, უხვად ვადინო შიგან სისხლისა რუებიო (1400).

ტარიელიც ამასვე იმეორებს:

ვან ერთმან შიგნით შიგანნი მოვსცნეთ სისხლისა ღვარებსაო (1405).

ამრიგად, დიდი სისხლისდენა, თუნდაც ჭრილობა ძალზე დაშორებული იყოს გულის მიდამოებსაც კი, იწვევს გულის შებნედას და სიკვდილს. რატომ? რუსთაველის აზრი ნათელია: გული ვერ იცოცხლებს სისხლის გარეშე, სისხლი მისი საკვებია, სისხლის მიმოქცევაში მონაწილეობა მისი მთავარი ფუნქციაა, ან ის, გული, არის ამ მიმოქცევის მთავარი ორგანო, რეგულატორი.

მაგრამ არის კი სისხლი მიმოქცევაში, ხდება მისი ცირკულაცია? უ ე ჭ ვ ე ლ ა დ. ამას გადაჭრით ადასტურებს ტარიელის განცხადება:

კვლა დაეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია (350).

დ ა თ ხ ე ვ ა თ ხ ე ვ ა, რომელიც პოემაში ერთხელ კიდევ გვხვდება. როგორც კომპოზიტის კომპონენტი (ცრემლ-დათხეული) (4), დ ა ღ ვ რ ა ს, დ ა ქ ც ე ვ ა ს ნიშნავს. სულხან ორბელიანიც თ ხ ე ვ ა ს განმარტავს, როგორც ნ ო ტ ი ო თ დ ა ქ ც ე ვ ა ს, ს ა თ ხ ე ვ ლ ი ს შეთხევას. ამ მომენტში ტარიელი არ არის დაჭრილი. ამის გამო იგი ვერ

იტყვის: გულიდან სისხლის დენამ, დაქცევამ, დათხევამ შემიღონა გულიო. პირიქით, არა გულიდან დაქცევამ, არამედ გულზე სისხლის გადათხევამ შემიღონა გულიო, ამბობს ტარიელი. ამრიგად, ტარიელის აზრით, გულმა არ მიიღო სისხლი, რის გამოც იგი, სისხლი, მას გულზე გ ა რ დ ე თ ხ ი ა. მაგრამ აქედან გამოდის, რომ საღ, ნორმალურ ვითარებაში გული კარს უღებს სისხლს, იგი მიიღებს მას, და ცხადია, გასცემს კიდეც. გულის შეღონებისას კი იგი უარს ამბობს სისხლის მიღებაზე. მართალია, გულის შეღონება ისეთი მოვლენა არ არის, როგორც იგი ტარიელს წარმოუდგენია, მაგრამ ეს სხვა საკითხია: საკვირველი სწორედ ის იქნებოდა, რომ რუსთაველსა და მის გმირებს ფიზიოლოგიური პროცესების და პათოლოგიურ მოვლენათა ყოველმხრივ ჩვენგვარი ახსნა გააჩნდეთ.

ამრიგად, რუსთაველის აზრით, სისხლი მიმოქცევაშია და ამ საქმეში თუ ამ საქმესთან გული მჭიდროდ არის დაკავშირებული.

მეორე მთავარ სასიცოცხლო ორგანოდ რუსთაველი ტ ვ ი ნ ს მიიჩნევს. მან იცის, რომ თავის (ე. ი. ტვინის) ზოგიერთი ტრავმული დაზიანება იწვევს სიკვდილს, თუმცა შეიძლება ამ დაზიანებას ერთი წვეთი სისხლიც არ მოჰყვეს. ასე, ავთანდილმა ჰაშნაგირის კარის მცველ ორ მონას

> თითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
> თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა (1114).

თუ აქ საქმე გვაქვს სიკვდილის რაღაც კომბინირებულ მიზეზებთან, ტარიელი ხვარამზელი სასიძოს შესახებ ძალიან მკაფიოდ ლაპარაკობს:

> უსისხლოდ მოკალ იგი ყმა, თუცა ხმდა სისხლისა დენითო (557),

და იქვე განმარტავს, თუ როგორ მოხდა ეს უ ს ი ს ხ ლ ო მკვლელობა:

> ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკეო (558).

ადამიანის სიკვდილი, პოემის მიხედვით, შეიძლება სხვა გარემოებებმაც გამოიწვიონ (დახრჩობა, დაკვლა, დაწვა და სხვ.), მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

რა ფუნქციები აქვს დაკისრებული ტვინს, ან აქვს თუ არა მას რაიმე ფუნქცია? რუსთაველი ამ კითხვაზეც გარკვეულ პასუხს გვაძლევს.

პოემაში უ ჭ კ უ ო, შ მ ა გ ი, რ ე ტ ი (1106, 1501) ერთი და იგივეა, ერთი და იგივეა, აგრეთვე უ ც ნ ო ბ ო და რ ე ტ ი (216), ისევე, როგორც ერთი და იგივეა შ მ ა გ ი, შ ლ ე გ ი (759).

რეტი (ანი), უცნობო, რუსთაველის გაგებით, ისეთი კაცია. რომლის ტვინიც გამოსულია ნორმალური ვითარებიდან, მდგომარეობიდან. საეჭვო არაა, რომ რუსთაველს არ გააჩნია თანამედროვე წარმოდგენა ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, დიდი ტვინის ქერქის როლზე და სხვ. მაგრამ ადამიანის ცნობიერების, საერთოდ ინტელექტური და ფსიქიკური ცხოვრების ორგანოდ რომ იგი ტვინს მიიჩნევს, ეს უეჭველია.

აქ საჭიროა ხაზი გაესვას რამდენიმე გარემოებას.

პოემაში გონება ორი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ „სიმფონიაში“ ეს მოვლენა ფიქსირებულია ბუნდოვნად. ძასში 1) გონება. ratio, разум, рассудок, გრამატიკულად — განყენებული სახელი და 2) გონება, (მო)გონება, გრამატიკულად—უპრუდო აპექტის მასდარი (საწყისი, სახელზმნა), არა ერთჯერადი ფაქტის, აქტის, არა სტატიკური ვითარების, დასრულებული მოვლენის, არამედ პროცესის, მდინარების აღმნიშვნელი ტერმინი, ანალოგიურ საწყისთა: ღონება, ღრეჯა, ყოვნება, კეთება, დევნა, ხვევნა და სხვ., დაჯგუფებულია ერთად, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს ორი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის მოვლენა გაგებულია ერთი კატეგორიისად. მაგრამ ამის უფლებას არ მოგვცემს ტექსტი. აქ ვკითხულობთ: „ენა, გონება, დათმობა“ (23) სჭირდება მიჯნურსო; აქ გონება მხოლოდ იგივეა, რაც рассудок. „უნახავ ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა“ (688) ტარიელმაო; ეს გონებაც შეიძლება იყოს მხოლოდ разум, рассудок, ratio.

მეორე მხრივ, პოემაში ვკითხულობთ ავთანდილის შესახებ: ტარიელთან

> ხვალ გაყრისა გონებამან სხვა უმატა ჭირსა, ჭირი (941).
> კვლა თინათინის გონება ავსებს უფროვე ჭირითა (953).
> არს თინათინის გონება მისად სალხენად გულისა (1025).

აქ სამივე გონება ნიშნავს: მოგონება, მოგონებანი.

ამ დაპირისპირებას ნათლად აჩვენებს აგრეთვე პოემის „გონებასა გავეშმაგე“ (567), რაც ნიშნავს: მოგონებას გავეშმაგებინე, გავეხელებინე და „გონებანი გამიშმაგნა“ (569), რაც ნიშნავს: გონება ამირია. ამრიგად, გონება და გონიერება, როგორც ადამიანის კუთვნილება და თვისება, პოემაში დადასტურებულია მრავალჯერ.

პოემაში გულიც, მსგავსად გონებისა, რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. პირველი მნიშვნელობით იგი ადამიანის შინაგანი, სისხლის

მიმოქცევის ანატომიური ორგანოა. აღნიშნული გარემოება, როგორც ვნახეთ, ბევრი ზემოთდამოწმებული ტაეპით დასტურდება. გული—ორგანო იგულისხმება, ცხადია, გამოთქმებში: „გული მი და მო მიარდა“ (380), „გული მი და მო კრთებოდა“ (512), „ხამს, თუ დანა გულსა ვიცი“ (746), „გულსა დავიცემ დანასა“ (1194), „ყმასა გულმან გაუფეთქნა“ (867) და სხვ.

გულის მეორე მნიშვნელობა არის მკერდი, გულის ფიცარი; პოემაში ვკითხულობთ: „მკერდსა წყალი დააპკურა“ (326) ასმათმა ტარიელს, ავთანდილი ადგა,

მან პოვა სისხლი ლომისა.. მკერდსა დაასხა (1345)

ტარიელსა და გონზე მოიყვანაო. მაგრამ ერთგან რუსთაველი ამბობს: .ასმათ ასხა გულსა წყალი“ (322) ტარიელსო. ცხადია, აქ გული მკერდის მნიშვნელობის მქონეა.

მესამე მნიშვნელობა გულისა არის: ხასიათი, განწყობილება, ხალისი, სურვილი, მისწრაფება, ლტოლვა, წყურვილი. ამ მესამე მნიშვნელობით პოემაში გული ბევრჯერ გვხვდება. დავიმოწმებთ მხოლოდ ისეთ ტაეპებს, რომლებშიც ეს მოვლენა მკაფიოდ გამოსჭვივის.

გული მისკე მიმიბრუნდა (609).
გულსა ჰქონდა ჭძუნვა დიდი (819).
ვითა სწადდა მისსა გულსა (1045) და სხვ.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პოემის: „ვჰდი უგულოთა გულითა“ (1211), „უგულო კაცი ვერ კაცობს (848)“,

იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებისა (847) და სხვ.

მხოლოდ ამ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას პოემის ცნობილი, ერთი შეხედვით ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველი ორი სტროფი. პოემაში ერთგან ავთანდილი თინათინის მისამართით ამბობს:

რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს (833).

მეორეგან კი, 14-ოდე სტროფის შემდეგ, იკითხება საკმარისად ცნობილი სტროფი:

გული, ცნობა და გონება, ერთმანეთზედა ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წაჰყვებიან და მისკე მიდიან,
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან (848).

მაგრამ შეუძლებელია დავუშვათ, რომ რუსთაველმა ჯერ გონება გამოაცხადა გულის მბრძანებლად და მერე, რაღაც 14-იოდე სტროფის შემდეგ, პირი გვიშალა, ან თავისი ნათქვამი დაივიწყა და გული გამოიყვანა გონების მბრძანებლად. რით ავსხნათ ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა?

გონება ორივე სტროფში უეჭველად ratio-ს, разум-ს ნიშნავს (ცნობა — ცნობიერებას, ე. ი. იმავე გონიერებას), გული კი ჩვენ მიერ აღნიშნული მესამე მნიშვნელობის მატარებელია. ცნობა და გონება აქ განყენებული საგნის აღმნიშვნელი ტერმინებია და ასეთსავე საგანს გულისხმობს მსჯელობის მეორე კომპონენტიც (გული). იგი აქ დასახელებულია არა როგორც რისიმე, კერძოდ, ფსიქიკური ცხოვრების ორგანო, არამედ როგორც გრძნობადობა, მნიშვნელობით — განწყობილება, ხალისი, მისწრაფება. გული აქ იმასვე უდრის, რასაც ექვსი საუკუნის შემდეგ ნ. ბარათაშვილის წერილში გრ. ორბელიანისადმი: რაც მამამ უნივერსიტეტში გაგზავნაზე უარი მითხრა, „ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით“. რუსთაველი 848-ე სტროფში გვესაუბრება ინტელექტისა და ფსიქიკის როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ინტელექტისა და ფსიქიკის გავლენის შესახებ ადამიანის ქცევაზე. ამის გამო ამ სტროფთა შორის არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. რუსთაველი უდიდესი მხატვარია და უდიდესი მცოდნეც ადამიანისა. მისი აზრით, ადამიანს აქვს ფსიქიკა და ინტელექტი, ადამიანი „სულიერი“ და გონიერი არსებაა. მაგრამ იგი თვლის, რომ თვით ადამიანი მთლიანია, ერთიანია და არა ფსიქიკური და ინტელექტუალური ნაწილებისაგან შემდგარი, არა გაყოფილი ფსიქიკურ და ინტელექტუალურ ნახევრებად: იგი თვლის, რომ ადამიანის ფსიქიკური და ინტელექტუალური ცხოვრება მთლიანი პროცესია, მაგრამ ამ მთლიანობაში ზოგჯერ ფსიქიკური დომინანტობს, ზოგჯერ—ინტელექტუალური. ეს დამოკიდებულია აღზრდაზე, ტიპზე, სიტუაციაზე და სხვ. განა შემთხვევითია, რომ თინათინის მისამართით ნათქვამი ფრაზით: „რადგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“ ავთანდილი თავის ხასიათს ხსნის, ხოლო ფრაზაში: „რა გული წავა, იგიცა (ცნობა და გონება) წავლენ და მისკენ მიდიან“ წარმოდგენილია ასმათის მსჯელობა ადამიანზე ტარიელის ხასიათის მიხედვით? არა თუ ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი, პოემაში შემთხვევითი ერთი შორისდებულიც არაა.

რომ რუსთაველი ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების ორგანოდ გონებას (ტვინს) მიიჩნევს, ამას ნათლად ადასტურებს რამდენიმე გარემოება.

უთხრა დიდმან ხელმწიფემან უკკუოსა, უსენს, მთვრალსა (1167),

სით მოიღებ ამ ძვირფასეულობასო, გვიამბობს ფატმანი. მთვრალს ახასიათებს კ ვ ე ხ ნ ა (1046), ის არის „ცქათი, უწრფელი, მსწრომელი“ (1165).

მაშასადამე, რუსთაველის გაგებით, გონიერება, ჭკუა, ცნობიერება იმდენად არის საღი, ნორმალური, უნაკლო, რამდენადაც ადამიანის თავი (ტვინი) არაა გაბრუებული ალკოჰოლით. მეორე მხრით, ამასვე ადასტურებს ისეთი ტაეპები, როგორიცაა:

სხვაგან ჰქრის მისი გონება (89).
ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა (310).
შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა (902).

და სხვ. აქა-იქ კი რუსთაველი ფსიქიკურს პირდაპირ გონებას მიაწერს:

ტკბილნი გონებანი ჩემთვის მეტად გაამყიფნა (207).
გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა (245).

სიწყნარე გონებისა (არ უნდა) მოიძულოს, მოიძაგოს (2151) ადამიანმაო და სხვ.

ამრიგად, ეჭვი არაა, რომ რუსთაველი ცნობიერების, გონიერების, ინტელექტუალური და ფსიქიკური ცხოვრების ორგანოდ თავს, ე. ი. ტვინს მიიჩნევს.

ამ მოსაზრებას, როგორც აკად. იე. ბერიტაშვილი აღნიშნავს, არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ რუსთაველი ფსიქიკურ და ინტელექტუალურ სინამდვილეს ზოგჯერ თითქოს გულიდან მომდინარე მოვლენად მიიჩნევს [1]. პოემაში აქა-იქ მართლაც ვკითხულობთ:

გული უც მისთვის მწყრომარე (91).
გულსა შინა დაეუზრახე (363).
გული სრულად გამიშმაგდა (649).
გული მისკე მიმიბრუნდა (609).
დაეზრახა გულსა შინა (1091) და სხვ.

---

1 მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. 202.

გამოდის, რომ ინტელექტუალური სინამდვილისა და ფსიქიკური პროცესების ამსახველ-გამომხატველი ზოგიერთი რუსთაველური ტერმინი ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ცნებასთან გ უ ლ ი. მაგრამ ეს ტერმინები შექმნილია არა რუსთაველის, არამედ ხალხის მიერ უხსოვარი დროიდან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ოდესღაც ხამდვილი რწმენისა და წარმოდგენების ამსახველი ტერმინოლოგიის გამოყენებასთან და არავითარ შემთხვევაში — შეხედულებათა, წარმოდგენების, რწმენის აღექვატურ გამოხატვასთან. ჩვენს მეტყველებაში დღესაც მტკიცედ არის შემონახული გამოთქმები: გულით გამხარებია, გული მომივიდა, გულში გავიფიქრე და სხვ., იმდენად მტკიცედ, რომ არც ერთი ნერვოპათოლოგი, ფსიქიატრი ან ფსიქოლოგი არ იტყვის: ტვინით გამხარებია, ტვინწრფელად მოგახსენებ, ტვინი მომივიდა, ტვინში გავიფიქრეო (მით უმეტეს, არავინ იტყვის — ტვინის ქერქით გამხარებიაო და სხვ.). მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ, ფსიქოლოგების აზრით, გულია ფსიქიკური ცხოვრების ორგანო? ვფიქრობთ, სფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ნევროპათოლოგები ერთხმად განაცხადებენ, რომ არა.

რუსთაველმა კარგად იცის, რომ ადამიანი, როგორც წესი, არის მრთელი (ჯანმრთელი, ჯანსაღი, კარგადმყოფი), სნეული კი (ავადმყოფი, დაავადებული), მრთელისაგან, მრთელობისაგან გადახრილია და ისე. რომ არაბუნებრივია, მრთელი სნეულივით კვნესოდეს:

ტყეთა მრთელთაცა არ აკლდა კვნესა, მართ ვითა სნეულთა (452), —

ვკითხულობთ ერთგან პოემაში.

მ რ თ ე ლ ი ს სინონიმია — ჯ ა ნ ი, რაც ნიშნავს: ჯანმაგარი, ჯანსაღი, ჯანმრთელი.

ასმათის მონა შემოდგა, მე ეჯე ლაღი და ჯანი სად, (517), —

ლაპარაკობს ერთგან ტარიელი.

სნეული ეწოდება მას, ვისაც სენი სჭირს, ვინც შეპყრობილია რაიმე სენით: „სენი მე მჭირს, რაცა ჭირად“ (127). ადამიანი რა „დასნეულდეს“, მას „სხვამ უამბოს, რაცა სჭირდეს სენი“ (662). აწ სახლად მმართებს სენები“ მოხუცებულსო (822), — ამბობს როსტევანი. ერთგანაც ნათქვამია, მე ამა და ამ „სენითა მთქვეს“ (349) შეპყრობილიო.

სენი სხვადასხვაგვარია. ავადმყოფი ტარიელის გვერდით პირდაპირ

ისმება კითხვა: „ესე სენი რა გვარიაო“ (352). ყველა ისინი პოემაში სამი ძირითადი ჯგუფისად მოჩანს.

უკვე დამოწმებული სტროფების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სნეულებათა ერთი სახე, ერთი გვარი შინაგანი სნეულებანია. „აწ სახლად მმართებს სენებიო“ (822), რომ მოსთქვამს მეფე როსტევანი, აქ ლაპარაკია იმ დაავადებათა და სენთა შესახებ, რომელთაც იწვევს ორგანიზმის მოხუცება და ამ ნიადაგზე მისი სხვადასხვა ორგანოს გადაგვარება.

ზოგჯერ ადამიანს „სჭირს წყლულობა“ (1473). მეტაფორულად — „გულისა წყლულობა“ (224), ანუ ზოგჯერ დაავადება, ავადმყოფობა, სნეულება გამოწვეულია წყლულებით, წყლულიანობაში მდგომარეობს: „მემატების წყლული წყლულსა“ (1306). რა შენგან სიშორეს ვიგონებო, წერდა ნესტანი ტარიელს ქაჯეთით და ტარიელიც აღნიშნავდა:

„ხელსა ხმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ ნაღებად“ (453)

ხმლის ზედმოქმედების შედეგიო.

ამგვარ დაავადებათა მიზეზი ხშირად არის გარედან მიღებული ფიზიკური ტრავმები: დაკოდვა, ანუ დაჭრა, მოტეხილობა და სხვ. ავთანდილს რომ ხატაელი მთავრები შეხვდნენ, ერთი მათგანი, უწვერული, „თავსა იყო დაკოდილი“ (197). „ვისცა არ დაჰკოდეს, ყმა მისი (როსანისა) ვერავის დაუკოდია“ (1221). „დაკოდილნი მკვდართა შინა იმალვიან“ (1044). „მოდი, მარიხო, დამჭერ ლახვარითაო“ (960), — ვკითხულობთ პოემაში. ერთგანაც ფრიდონის დიდებულები აცხადებენ: „წყლულსა, მისგან დაკოდილსა“ (1454) მისგანვე (ღვთისგანვე) მოელის ბედი თუ უბედობაო. მოტეხილობათა შესახებ კი პოემაში ვკითხულობთ: ტარიელმა „ზოგთა მხარ-თეძო დაჰლეწაო“ (994).

ამრიგად, დანაკოდი იწოდება წყლულად. მაგრამ წყლული ყოველთვის არ არის გამოწვეული გარედან მიყენებული ტრავმებით. ზოგჯერ მისი წარმოშობის, გაჩენის მიზეზები გაურკვეველია. ასეთი წყლულების შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ. უკვე ნათქვამის მიხედვით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ დაავადებათა მეორე ჯგუფს შეადგენს ქირურგიული სნეულებანი. საინტერესოა, როგორც აღვნიშნეთ, რომ დამოწმებული სტროფით მხარ-თეძოს მოტეხილობა, დალეწვაც კი, სასიკვდილო ტრავმად არ ითვლება.

ზოგიერთი ავადმყოფობა, კერძოდ, წყლულები, იწვევენ ტკივილის

შეგრძნებებს: „მას თურე წყლული სტკიოდა“ (593). „წყლულნი გტკივიანო“ (1397), --- ვკითხულობთ პოემაში.

ავადმყოფობათა, სნეულებათა მესამე გვარი, ჯგუფი, თუ სახე არის ფსიქო-ნერვული დაავადებანი თუ აშლილობანი. ამ დაავადებათ პოემაში ეწოდება ხ ე ლ ო ბ ა, შ ლ ე გ ო ბ ა, ს ი შ მ ა გ ე, ხოლო ამგვარი ავადმყოფობით შეპყრობილთ — ხ ე ლ ი, შ ლ ე გ ი, შ მ ა გ ი.

აქ საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე.

პოემაში არც ერთი ნამდვილი სულით ავადმყოფი გმირი არ გეხვედება. მართალია, თხზულების მთავარი გმირი აქა-იქ თავის თავს ხ ე ლ ს უწოდებს, მაგრამ ამით მას იმის თქმა სურს, რომ ტანჯვისაგან ის მისულია ხელობამდე, ქცეულია ხელად. ზოგჯერ კი მას ეჩვენება, რომ ის ხელია, სინამდვილეში კი მხოლოდ აგზნებულ ნერვულ მდგომარეობაშია, როგორც მაგალითად, ლომთან და ვეფხთან ბრძოლის შემდეგ ტარიელს ავთანდილი ეუბნება:

> ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ (876).
> არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან? (877).

ტარიელი კი უპასუხებს:

> ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა.
> ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა (886).

და ქვაბშიც განაგრძობს:

> რაცა ჰმართებს გონიერთა. ერთხელ ვიყავ მეცა მჭნელად,
> აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელადო (928).

მაგრამ ასეთი მსჯელობა ნამდვილი ხ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი არაა და თვით რუსთაველმაც ძალიან კარგად იცის, რომ ტარიელი სულით ავადმყოფი და ხელი არ არის: პირიქით. ის გვარწმუნებს, რომ ტარიელის შინაგანი სულიერი სამყარო მ რ თ ე ლ ი ა, ხელუხლებელია. ჯანსაღია, ძლიერია, შეულახავია, მდიდარია. იგი იშვიათი ემოციური ძალის მეტაფორით გამოხატავს ამ, თუ შეიძლება ითქვას, ტარიელის ხასიათის გასაღებს:

> ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული (284).

მისი ფსიქიკა არ იყო დაშლილი, დარღვეული, იგი მხოლოდ დეპრესირებული იყო იმედდაკარგულობისა გამო. ამით აიხსნება, რომ როცა მას ავთანდილი გაეცნო, ახალგაცნობილის ვინაობისადმი საღი ინტერესი გამოიჩინა,

> ყმასა უთხრა: მესწროფების, მითხარ შენი დაფარული,
> ვით ხარ, ახუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული (284).

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პოემის ავტორს წარმოდგენა არ აქვს სულით ავადმყოფობასა და მის სახეობებზე, ნერვიულ დაავადებებზე და სხვ.

ამრიგად, ავადმყოფობათა მესამე ჯგუფი ფსიქო-ნერვოლოგიური დაავადებანია.

პოემაში სნეულებათა სხვა სახეების, ვთქვათ, ბავშვთა, ქალთა, კანის და ა. შ. შესახებ ცნობები არ გვხვდება, მაგრამ ავტორს ამათ შესახებაც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა: იგი ლაპარაკობს, მაგალითად, ტარიელის ჯანსაღ ბავშვობაზე.

სხვათა შორის, პოემა განასხვავებს სნეულებათა ორგვარ მიმდინარეობას: ესენია მწვავე და ქრონიკული ხასიათი და მიმდინარეობანი სნეულებათა. ერთს ახასიათებს მაღალი სიცხიანობა, მწვავე და აუტანელი ტკივილები, ნერვული აღგზნებადობა და სხვ. სიმპტომები; მას ზოგჯერ თან ახლავს ცნობიერების დაკარგვა, უგრძნობადობა, გულის წასვლა; მეორეა ქრონიკული სნეულებანი, ან სნეულებათა ხანგრძლივი მიმდინარეობა ნელი ტკივილებით, დაბალი სიცხიანობით და სხვ. პოემაში თუმცა ყველაფერ ამაზე ლაპარაკი არ არის ისეთი სტილით, როგორც ამას ადგილი ექნებოდა „კარაბადინებში“, ან შინაგანი, ქირურგიული და სხვ. ხასიათის სნეულებათა სახელმძღვანელოებში, მაგრამ მთელი რიგი მეტაფორები, თუ პოეტური მეტყველების სხვა ხერხები, რომლებიც გადმოცემულია პოემის გმირთა მდგომარეობა-განწყობილებანი, ამას გადაჭრით მიუთითებენ. ასეთებია: „სიცხე გულისა ნიადავ მწვავეს“ (1026) „სენი, ცეცხლთა მომდებარი“ (662). „სიცხე სწვავს“ (1347), „ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან“ (351). „მომემატა ცეცხლთა სიცხე“ (629). „ედებოდა ცეცხლი ნელი“ (1435) და სხვა პოეტური მეტაფორები.

რუსთაველის აზრით, ზოგი ავადმყოფობა, სნეულება, განკურნებადია, წარმავალია, დროებითია. ზოგი — არა. შეწუხებული როსტევანი ერთგან უიმედოდ აცხადებს: ღმერთმა

სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნებ› (99)

ჩემიო. გულანშაროელი დიდებულები კი სხვა აზრის არიან:

წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალ-უც განკურნებაო (1454).

ერთგან ავთანდილიც აცხადებს:

ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისაო (929).

ამრიგად, თუმცა პოემაში ზოგჯერ ნათქვამია, რომ კონკრეტულად ამა და ამ ჭირის, სენის თუ წყლულის განკურნება შეუძლებელია, ან „არვის ძალ-უც“, საერთოდ სნეულებანი, წყლულები თუ სხვ. დაავადებანი განკურნებადი, წარმავალი მოვლენებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკურნალობას არავითარი აზრი აღარ ექნებოდა, მაშინ საჭირო იქნებოდა მხოლოდ მოვლა და ავადმყოფისათვის მდგომარეობის შემსუბუქება.

იმას, ვინც ავადმყოფს მკურნალობს, მოარჩენს, განკურნავს, ეწოდება მკურნალი, ექიმი და დასტაქარი. „მკურნალნი და დასტაქარნი“ (526) მკურნალობდნენ ტარიელს. „რა აქიმი დასნეულდეს“, „მან სხვა უხმოს მკურნალიო“ (662), — ვკითხულობთ პოემაში, ტარიელი კი აცხადებს: „ერთი მონა დასტაქარი მყვა“ (198) და მან დაჭრილ ფრიდონს მოუარაო. ამრიგად, მკურნალი ორი ძირითადი სპეციალობისაა: შინაგან სნეულებათა და ქირურგიულ დაავადებათა.

თვით ექიმის შრომა-საქმიანობას, პროცესებს, მანიპულაციებს, რეჟიმს, რომელთაც ატარებს და ნიშნავს ექიმი და რომელთა შესრულების შედეგადაც ავადმყოფი უნდა განიკურნოს, ეწოდება აქიმობა და მკურნალობა: ასმათმა არ გამიცინა, ატირდა,

ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმნდაო (519), —

ამბობს ტარიელი. მეორეგან ნათქვამია: „სამკურნალო არა სჭირს რაო“ (352).

პოემაში ხაზგასმულია სამედიცინო მორალის, ეთიკის, ტრადიციების

ღირებულება და მნიშვნელობა. გვხვდება უკვდავი, მარად ცოცხალი სამედიცინო ჰეშმარიტებანიც. რუსთაველი გვასწავლის:

> რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
> მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყეებარი,
> მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მამდებარი:
> სხვისა სხვამან უკეთ იცის, სასარგებლო საუბარი (662).

სტროფის მიხედვით ბევრი რამ ირკვევა.

ექიმი, რაზომ საქებარი არ უნდა იყოს, თავის თავს ვერ უმკურნალებს:

ზოგი ექიმი საქებარია, ზოგი, იგულისხმება, სხვაზე ნაკლებ მცოდნეა.

მკურნალისა წარმოებს ავადმყოფის ბინაში გამოძახება, მიწვევა.

დიაგნოზის დადგენაში გარკვეულ როლს ასრულებს მაჯისცემის ხასიათი, პულსაცია.

ზოგიერთი სენი მიმდინარეობს ტემპერატურით, „ცეცხლთა მომდებარია“. ექიმები, როგორც წესი, მკურნალობენ მარტონი, საკუთარი პასუხისმგებლობით და სხვ.

უველაფერი ეს დღესაც ცოცხალი და გარდუვალი ჰეშმარიტებანია.

პოემაში ნაჩვენებია კონსილიუმებიც, მკურნალთა ერთობლივი, შეთანხმებული დასკვნები და მოქმედება ავადმყოფის საწოლთან: „აქიმნიცა იკვირვებდეს“ (352) ჩემს ავადმყოფობას და „მკურნალთა დამიწყეს მოსლვა მრავალთა“, თუმცა „მათ ვერა მარგეს“, ოღონდ ესა და ეს, „დამწამეს“ (362), გვიამბობს ტარიელი.

მკურნალობაში ძირითადი მომენტია დიაგნოზი. რუსთაველის ექიმებიც ავადმყოფის საწოლთან, უპირველეს ყოვლისა, კითხვას აყენებენ: „ესე სენი რა გვარია“ (352)? ჯერ უნდა გაირკვეს, „რაცა სჭირდეს სენი“ (662) ავადმყოფს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება „მკურნალმა ჰკურნოს“ მას.

ავადმყოფობის გამოცნობის ორი გზაა ნაჩვენები: ავადმყოფის (ან მის მახლობელთა) ჩვენება, ე. წ. ანამნეზი და ობიექტური მონაცემები, რაც ვლინდება გასინჯვით.

> მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს (1083),

ვკითხულობთ პოემაში [1]. ჩვენ ეს-ეს არის, დავიმოწმეთ სტროფი, რომელშიც რუსთაველი აღნიშნავს, რომ საუკეთესო ექიმმაც კი, თუ დასნეულდა, „სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყუებარი“ (662). მაჯაზე დაკვირვებით იწყება, როგორც ჩანს, გასინჯვა. ეს უკანასკნელი, უნდა ვივარაუდოთ, მრავალი მომენტისაგან შედგება.

როგორ და რა საშუალებებით წარმოებს მკურნალობა? ეს საშუალებებია: რეჟიმი, წამლობა, დანა და შთაგონება. დავიწყოთ რეჟიმით.

მოვლა და რეჟიმის დაცვა დღესაც ავადმყოფის განკურნების ძირითად პირობად ითვლება. ეს ცოდნია რუსთაველსაც. ავადმყოფი ტარიელის მოვლისა მეფე-დედოფალმა მკაცრი რეჟიმი დააწესეს: ნება არ მისცეს მოჯობინებისთანავე ფეხზე დადგომისა და გავლისა (335). ავადმყოფის საწოლთან სიჩუმე, სიმშვიდე, სიწყნარე მეფობს (363) და სხვ. მაგრამ წოლა არ არის ერთადერთი გამოსავალი. ზოგჯერ საჭიროა სხვაგვარი რეჟიმი. ხანდახან ავადმყოფი თვითონ ეძებს გართობას. ავადმყოფი ტარიელი სთხოვს მეფეს:

> ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახნე წყალნი და ველია (356).

ტარიელის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. მოკეთებული ტარიელი შემდეგ გართობის მიზნით ამხანაგებსაც შეჰკრებს შინ და ნუფრას შეექცევა (369).

უკიდურესად დეპრესიულ ვითარებაში მყოფ ტარიელს ავთანდილმა მშვენიერი რეჟიმი დაუწესა:

> სადაცა გწადდეს, მენ იყავ მითვე წესითა მაგითა:
> გწადდეს გულითა ბრძენითა, გწადდეს ცნობითა შმაგითა,
> მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითაო (935).

ასეთ თავისუფლებას ავთანდილი „ანიჭებს“ ტარიელს იმის გამო, რომ შეზღუდვამ, მის მიერ ავთანდილისათვის არაბეთში გაბრუნებისას მიცემულმა პირობამ, ქვაბში დაგხვდებიო (667), უარყოფითი შედეგი გამოიღო. ტარიელმა პირდაპირ უთხრა ავთანდილს შემდეგ:

> შენ მოგელოდი, მიმპირდა მოლოდინითა შენითა,
> ქვაბს ველარ გავბელო (906).

ამრიგად, ჰაერზე ყოფნა, გასეირნებანი, გართობა ბუნების წიაღში

---

[1] შდ. მ. საყაშვილი. ა. გელაშვილი, III, გვ. 238.

დასვენება ზოგჯერ მაცოცხლებელ გავლენას ახდენს ავადმყოფ, დაღლილ თუ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე. პოემის გმირებს საერთოდ დიაღაც უყვართ ბუნება და აქვთ უნარი ღრმად განიცადონ მისი სილამაზე, დასტკბენ მისი სიმშვენიერით. როსტევანი და ავთანდილი ნადირობის დამთავრების შემდეგ

თამაშობდეს და უპვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასაო (83), —

გვეუბნება რუსთაველი.

ავადმყოფის მოვლა-პატრონობის რეჟიმს უნდა ექვემდებარებოდეს მისი კვებაც. ზოგჯერ აუცილებელია საკვების შერჩევა, დიეტა. ავადმყოფობისას „მახვრიტეს სახვრიტელიაო" (351), შენიშნავს ჯარიელი. სახვრეტელი ბულიონია, ან საზოგადოდ — სუპეული, მსუბუქი საჭმელი. მახვრიტეს სახვრეტელია ნიშნავს ბ უ ლ ი ო ნ ი მ ა ს ვ ე ს ო. სრულიადაც შემთხვევით არ არის რუსთაველის ეს შენიშვნა. ამის ნათელსაყოფად ის გარემოებაც კმარა, რომ მას პოემისეულ კულინარიაში უპირისპირდება: მ წ ვ ა დ ი (923); „ჭამა ხორცისა შემწვრისა. შ ე უ ქ ნ ე ლ ი ს ა" (268), მოუხარშავისა. აგრეთვე „ხორცისა ხმელობა" (1496), რომლითაც იკვებებოდა ასმათი ქვაბში ცხოვრების დროს, და რომლითაც ტარიელი აპირებს გაუმასპინძლდეს ძმადნაფიცებს იმავ ქვაბში, ისევე როგორც სნეული და უგუნებო ადამიანის მოკრძალებულ და უხმაურო თუ დიეტურ პურობას, ან გარდახვეწილთა „უპუროდ პურობას" (სიმფონია, გვ. 931, 932) უპირისპირდება პოემის მეფე-მთავართა სასახლეების სამეფო სუფრები, ბანკეტები და ნადიმები. ასეთი ნადიმები პოემაში ხშირად გვხვდება და მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იქ

ჯამი და ჭიქა—ყველაი ფეროზისა და ლალისა (483)

ტრიალებს, ხდება „მღერა მუტრიბთა" (485), „სმა და მღერა" (488). რომელიც ხანდახან დილამდე გრძელდება ხოლმე, „ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ყღერა" (იქვე). ისე რომ

სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა (483).

რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ერთის მხრივ ასეთი დიდი მასშტაბის ბანკეტების, მეორე მხრივ — განმარტოებით პურის ჭამისაგან განირჩევა ვიწრო მეგობრული წრისათვის გაშლილი

მცირე მასშტაბის სალხინო სუფრა, რომელსაც ვხვდებით ტარიელის სასახლეში (369) და ტკბილეულითა და ხილით დაფარული მაგიდა, რომლითაც ნესტანი უმასპინძლდება ტარიელს (418).

დავუბრუნდეთ ავადმყოფის მკურნალობის საკითხებს.

ჩვენი შენიშვნები რეჟიმის მნიშვნელობის რუსთაველური გაგების შესახებ ამომწურავი არ იქნებოდა, თუ უყურადღებოდ დავტოვებდით რუსთაველის დამოკიდებულებას სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებისადმი. რუსთაველს მათ შესახებ საგანგებო საუბარი არა აქვს. მისი საერთო ყურადღება კი ამ საკითხებისადმი ჩვენთვის საგულისხმო დასკვნას გვაძლევს.

რუსთაველის გმირები კოლექტიური ნადირობისას, როცა დიდძალ მხეცს მოინადირებენ ხოლმე, ბანაკს უსათუოდ მდინარის პირას დასცემენ. ეს ბუნებრივია: მოკლულ ნადირს ესაჭიროება დამუშავება, გარეცხვა, მონადირეებს — დაბანა, დასუფთავება.

როცა ნესტანთან პირველი შეხვედრის დროს შევწუხდი, გონს მოსულმა ვნახე, რომ

> შიგან ეწვევ დიდთა დარბაზთა, ტურფითა საგებელითაო (349),

გვიამბობს ტარიელი.

ავთანდილს, როცა მან ღამე გაათია ფატმანთან, დილას

> დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები,
> მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდები:

„რაცა გწადსო, ჩაიცვიო“ (1255).

ნესტანის ახლად აგებულ სასახლის აბანოში „მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა“ (341), ხოლო ფრიდონმა თავისი მეგობრები

> აბანოს, ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღნობითა (1385).

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ რუსთაველის გმირებს სანიტარიისა და ჰიგიენისადმი უყურადღებობას არ დავწამებთ არც ავადმყოფის საწოლთან.

მკურნალობის მეორე საშუალება არის წამლობა.

> მკურნალნი და დასტაჭარნი წამალსაყე მოგიტანდესო (526), —

უთხრა ნესტანმა ტარიელს.

წამალი არსებობს სხვადასხვა დაავადებისა და ორგანოებისათვის.

ნახსენებია „წამალი გულისა“ (153. 704), „წამალი ხელისა“ (257), წყლულისა“ (274). ზოგჯერ ეს წამლები არანივთიერი, სიმბოლიკურია, მაგრამ ასეთი ნამდვილი წამლები, ცხადია, არსებობენ: სწორედ მათ მაგივრობას უწევენ პოემის გმირები ერთიმეორეს.

წამლები დღესაც ორი (ძირითადი) სახისაა: შინაგანი და გარეგანი, ანუ დასალევი და არა დასალევი (ინექციური, დასაფარებელი, დასაზელი, წასასმელი). პოემაშიც „ავთანდილ დამდვა წამალიო“ (1521), — ამბობს ტარიელი. ეს გულისხმობს გარეგან სახმარი წამლის არსებობას. „წამალი გულისა“, „წამალი ხელისა“ კი ადასტურებენ, რომ ყოფილ. შინაგანი წამლებიც.

დასტაქარნი კი არა მარტო წამლებით მკურნალობენ.

პოემით დასტაქარნი მკურნალობენ დაკოდილობათ. სიმსივნეებს და ამათ გარდა, უნდა ვივარაუდოთ, ძვლების ტრავმებს: მოტეხილობათ, ამოვარდნილობებს და სხვ. ტარიელს რომ დასტაქარი მონა ჰყავდა, მან დაჭრილ ფრიდონს „ისრის პირნი ამოუხვნა“, ისრები ამოუღო ჭრილობებიდან ისე, რომ „დაკოდილნი არ ატკივნა“ (598).

დაჭრილთა მკურნალობის გარდა დასტაქარნი დანას, ეტყობა, თვითონაც მარჯვედ ატრიალებენ, და იმდენად მარჯვედ, რომ ხანდახან ისეთ წყლულებსაც გაჰკვეთენ, რომელთაც დანა დღესაც ვერ ამარცხებს. ასეთი ავთვისებიანი წყლულებისა და სიმსივნეების და მათი დანით მკურნალობის შესახებ ლაპარაკობს, ცხადია, რუსთაველი, როცა შენიშნავს:

წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებსო (956).

მაგრამ თვით გამოთქმა „წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს“ ადასტურებს, რომ ეს დანა მხოლოდ ზოგიერთ დაავადებას ჰკურნავს.

წყლულების, ჭრილობათა, მოტეხილობათა გაკვეთისა და დამუშავების შემდეგ, რასაც დასტაქრები ცდილობენ უმტკივნეულოდ ჩაატარონ (598), ხდება შეხვევა. ფრიდონს ხსენებულმა დოსტაქარმა „წყლულნი შეუხვივნა“ (598). ტარიელი, რომელიც გვიამბობს: ხატაელებთან ომში „ხელსა ხმლითა დავეკოდეო“ (459), საგანგებოდ აღნიშნავს:

ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია...
ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილიაო (465).

სხვათა შორის, ამით გამოხატა ინდოეთის მეფემ ნაამაგდარევ ტარიელისადმი უსაზღვრო მადლობა: მეფე პირადად მოემსახურა სამშობ-

ლოსა და ტახტის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში დაჭრილ ტარიელს.

თუ შესაძლოა, სხეულის ასეთი დაზიანებული ადგილისა ხდება იმობილიზაცია:

ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომებაი (48). —

შენიშნავს ერთგან ტარიელი [1].

ქირურგიულ დაავადებათა და ჭრილობათა მკურნალობაზე საუბრის დროს არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ პირველადახმარების, სწრაფი დახმარების ცნება, რომელსაც ვხვდებით პოემაში.

პოემის გმირებმა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იციან, რომ ბევრი სისხლის დაკარგვა იწვევს ავადმყოფის (დაჭრილის) დაღუპვას. პოემაში აღნიშნული სიკვდილის ყველა შემთხვევა, გარდა ერთისა, ვიმეორებთ, გამოწვეულია სწორედ სასიკვდილო ჭრილობებით და ტრავმებით.

რათა ასეთი გამოსავალი აცილებულ იქნას, საჭიროა ჭრილობიდან სისხლის დენის შეჩერება რაც შეიძლება სწრაფად. ეს მშვენივრად იციან არაბებმა: როცა ტარიელმა იმავე მათრახით დახოცა და დაასახიჩრა როსტევანის მონები, მეფე და ავთანდილი მას დაედევნენ, ხოლო

ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა (98).

ამრიგად, პოემაში საუბარია სასწრაფო დახმარებაზე, ჭრილობათაგან სისხლის დენის სასწრაფო შეჩერების, შეწყვეტის აუცილებლობაზე.

მაგრამ ხატაელი მთავრები მეტად უვიცად და გამოუცდელად იქცევიან. იმ პირობებში, რომლებშიც ისინი აღმოჩნდნენ, გარდა ჭრილობის შეხვევისა და ამ საშუალებით სისხლის შეყენებისა, ავადმყოფის გადარჩენის ერთადერთი გზა არის მისი მოსვენება, უმოძრაობა, სიმშვიდე. ხატაელმა მთავრებმა ეს არ იციან: მათ დაჭრილ ძმას არც ჭრილობა შეუხვიეს და არც მოსვენების საშუალება მისცეს (იგი სადღაც, გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ). ამის გამო ეუბნება მათ ავთანდილი:

ჩრდილსა გარდასვით, მაშვრალი მიეცით მოსვენებასო (213).

ეს ნიშნავს: მოასვენეთ დაჭრილი...

---

[1] საქართველოს მედიცინის ისტორია, III, გვ. 269.

მკურნალობის შემდგომ, არანაკლებ მნიშვნელოვან საშუალებად პოემაში მიჩნეულია შთაგონება.

თუ რუსთაველის თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა, როგორც ჩვენთ ვნახავთ, ეპოქისათვის ძალიან მდიდარი, დღევანდელთან დაპირისპირებით მაინც ღარიბად უნდა ჩავთვალოთ, ასე არ ითქმის შთაგონების რუსთაველურ გამოყენებასა და გაგებაზე. შთაგონება, ესაა ფსიქიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედება ერთისა მეორეზე. შთაგონების პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, ძლიერ პიროვნებას, ავტორიტეტს, მეორე მხრივ, აპათიურ, ფლეგმატურ, უიმედობით. სკეპსისით, შელანქოლიით შეპყრობილ პიროვნებას, აკვიატებული აზრების მქონეს, ერთი სიტყვით, რაიმე მიზეზით დეპრესირებულ, დაღდასმულ. სულიერად დაცემულ, რწმენადაკარგულ „მეს“, რომელიც საჭიროებს აღდგენას. შთაგონების უმთავრესი გზაა საუბარი, რომელიც მიზნად ისახავს და შეძლებს დარწმუნებას, დაჯერებას, რწმენის განახლების მეშვეობით პიროვნების აღდგენას.

შთამაგონებელი საუბრები, თანამედროვე ფსიქიატრიის თვალსაზრისით. არ საჭიროებს ლოგიკურობას, ფაქტების სიმტკიცეს, მეცნიერულობას. მაგრამ როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ტარიელი არ არის მართლა სულით ავადმყოფი, რომელსაც არ გააჩნია განსჯის, აწონგაზომვის, ანალიზის უნარი.

ტარიელის თავგადასავლის გაცნობამ, იმასთან ერთად, რაც უკვე იცოდა მის შესახებ, ავთანდილი მსწრაფლ დაარწმუნა, რომ სწორუპოვარი ვაჟკაცის გაგარეულების მიზეზი არის უიმედობა, რწმენის დაკარგვა. საჭიროა მისი აღდგენა. ამ მიზნით მან იმავე წუთიდან დაიწყო ტარიელის შეგნებული პიკირება. მისი პირველი პასუხი, რეაგირება ტარიელის თავგადასავლისადმი ვაჟკაცის საქციელის კრიტიკულ შეფასებას შეიცავს:

მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების:
შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების (661).

ამას მოსდევს ცნობილი „რა აქიმი დასნეულდეს“. მომდევნო სტროფში კი იგი უკვე უპოდიშოდ უწუნებს ტარიელს გულფიცხობას:

კარგად ვერას ვერ მოიღვენს კაცი ეგრე გულფიცხელიო (663),

ამბობს იგი და თავის მტკიცე მსჯელობას იმედით აგვირგვინებს:

ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ეგრე არ გატირო (665).

ავთანდილის სიტყვამ გასჭრა: ტარიელმა პირობა მისცა მას, რომ ქვაბში დაელოდება. ეს ნიშნავს, რომ მას გაეღვიძა ნესტანის აღმოჩენის იმედი.

სრულიად განსაკუთრებული და განსაცვიფრებელია ავთანდილის შთამაგონებელი საუბარი და მოქმედება ტარიელის მიერ ლომისა და ვეფხის დახოცვის ეპიზოდში. ავთანდილის შთამაგონებელი სიტყვის ძალა და შინაარსი აქ ყველა შესაძლებლობას, ყველაფერ მოსალოდნელს აჭარბებს... ავთანდილმა შემოაბრუნა, სიცოცხლისადმი ინტერესი განუახლა სიკვდილის პირად მდგარ, სიკვდილის მოლოდინში მყოფ ტარიელს. იგი დამორჩილდა ავთანდილს, ისინი გაემართნენ ქვაბისაკენ,

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (901).

უკეთესი განსაზღვრა შთამაგონებელი სიტყვის ძალისა შეუძლებელია. ეს ადგილი საერთოდ შთაგონების აპოთეოზია, მაგრამ ავთანდილი აქ წერტილს არ სვამს. მან იცის, რომ ტარიელი თვითმკვლელობის ზღვართან დგას; მან იცის, რომ კიდევ ერთი ასეთი ძლიერი ტრავმა ღა შეიძლება ყველაფერი კატასტროფით დამთავრდეს. ამიტომ ის ქვაბში აგრძელებს „სეანსს“ და სწორედ იქ სცემს მას განსაკუთრებული ძალის გამაფხიზებელ შოლტს:

რაცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო, უწვრთელი ვირია (931),
ესე კმარის სწავლა სწავლადო (932).

ამით ვამთავრებთ პოემისეული მკურნალობის მეთოდებზე საუბარს. ესენია, როგორც ვნახეთ, რეჟიმი, წამლობა, ქირურგიული მანიპულაციები, შთაგონება.

ახლა უნდა დავაყენოთ კითხვა: რა კონკრეტულ ავადმყოფობათ და პათოლოგიურ ვითარებებს ასახელებს რუსთაველი იმათ გარდა, რასაც გავეცანით?

ავადმყოფობათა, დაავადებათა თუ სხვა ხასიათის ტრავმებს შორის, რომელთაც იცნობს პოემა, უნდა დავასახელოთ: თავის ტკივილი, გულის ტკივილი, გულწასულობა, წყლულები, ჭრილობანი, მოტეხილობანი, დამწვრობა, დამდუღრულობა, მოშხამულობა (გველნაკბენობა), „თავისისა სისხლის ხვრეტა“, ფსიქო-ნერვიული დაავადებანი, ცხრო და თრთოლა და სხვ. ბევრი მათგანის რუსთაველისეულ გაგებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. საინტერესოა ზოგიერთი მათგანის შესახებ რუსთაველის წარმოდგენა.

„მას წამავალსა ვკითხევდი, დამწყარსა, ცეცხლ-მოდებულსა“ (851),

ავთანდილი რომ მობრუნდეს, როგორ მოიქცეს, დამიბარეო, — უთხრა ასმათმა ავთანდილს. აქედან ჩანს, რომ დამწვრობა ცეცხლის ზედმოქმედებით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობაა. პოემაში ბევრჯერ გვხვდება აგრეთვე კომპოზიტი, რომლის ერთი კომპონენტიც არის მდუღარე, რაც ადასტურებს, რომ დამწვრისაგან განასხვავებდნენ დამდუღრულს. არც ერთის მკურნალობის მეთოდებსა და საშუალებებზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ ასეთი მეთოდები და საშუალებანი, ცხადია, იცოდნენ, რადგან მათ შესახებ ლაპარაკია იმავე მეტაფორული სახეებით: ამგვარ ვითარებაში მყოფთა განკურნებას იწვევს პოემის გმირთა ურთიერთდახმარება, ზედმოქმედება და სხვ.

ბევრჯერ გვხვდება პოემაში საუბარი თავის ტკივილებზე. ავთანდილი ეუბნება ასმათს პირველი შეხვედრისას: მიჭირს და იმიტომ დავეძებ იმ „ტან-სარო, პირ-ბაკმიან“ (233) ჯაბუკს, ამიტომ ვარ გადმოხვეწილი, გადამაქვს ამდენი ტანჯვა და დამცირება.

ოვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისაო (257).

მრთელი ნიშნავს საღს, უტკივარს, დაუზიანებელს. ავთანდილი ამბობს: უტკივარ თავს ვინ შეიხვევსო. თავის არამრთელობა, ტკივილები შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ იგი დაჭრილია, გატეხილია, ან ავადაა შიგნით, ნერვიული ტკივილებით, სიმსივნეებით, სკლეროზული მოვლენებით, ან გრიპოზული და ანთებითი პროცესების შედეგად, და სხვ. ასეთ შინაგან ტკივილებს უნდა გულისხმობდეს ავთანდილი. ამას ადასტურებს იმავე ავთანდილის მიმართვაც ტარიელისადმი: „თავსა მრთელსა რად შეიკრავო“ (876). ერთი სიტყვით, თავის ტკივილი აღადმყოფობაა, ატკივებულ თავს იხვევენ ხოლმე, მაგრამ არა ჩანს, რით და როგორ მკურნალობენ.

დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველ-ნაკბენიაო (1261), —

ეუბნება ერთგან ავთანდილი ფატმანს. ერთგან კი რუსთაველი აფორისტულად შენიშნავს:

ჭკურნელმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა (1106).

დამოწმებული ტაეპი განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას მოითხოვს: ხომ არ შეიცავს იგი აზრს, რომ კაციჭამიობა განუკურნებელი სენია?

აქვე აღვნიშნავთ, რომ პოემაში ნაჩვენები არაა ყველა ზემოთდასახელებული ავადმყოფობის მკურნალობა, მაგრამ იცოდნენ, არსებობდა მათი მკურნალობის მეთოდები და საშუალებები, რასაც ადასტურებს ის გარემოება. რომ განკურნების შესახებ ლაპარაკია მეტაფორულად: მორჩენას იწვევს მეგობართა მიერ დადებული (დაფარებული) თუ მიწოდებული წამლები, დახმარება, ზემოქმედება და სხვ. ასეთ დაავადებათა თუ ტრავმების მკურნალობა პოემაში სურათებად გაშლილი არაა: სურათად გაშლილია ტარიელის პირველი ხანგრძლივი დაბნედის (ტრავმის) ამბავი და მკურნალობა. შევჩერდეთ მასზე ყურადღებით.

დავინახე რა ნესტანი, „დავეცი, დავბნდი“ (348). „სამ დღემდის ვიყავ უსულო“ (351),

სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარიო (353). —

გვიამბობს ტარიელი.

ტარიელის მდგომარეობა სერიოზულია. მას, როგორც ახლა იტყვიან, სასახლემ თავზე დაასია ექიმები. მთელი ინდოეთის (თუ მისი დედაქალაქის) სამედიცინო პერსონალი ფეხზე დადგა: „მკურნალთა დაჰწყეს მოსლვა მრავალთაო“ (361), და ცოტა საყვედურით შენიშნავს: „მათ ვერა მარგესო“, ბოლოს „სისხლი დამწამესო“. მეფემაც თურმე „პრძანა გახსნევა ხელისა“ (362). ტარიელი, თუმცა, მისი აზრით, ეს არასაარგებლო მანიპულაციაა, დათანხმდა: „გაუხსენ ფარვად პატიჟთა“ (362), ხელი გაუხსნეს, რათა ჩემი ტანჯვა (და ამ გზით — ჩემი სიკვდილი) დამეფარაო. ამას მოსდევს სტროფი, რომელშიც ნაჩვენებია „ხელგახსნილი, სევდიანი“ ტარიელი საწოლში მარტო, „თავის წინა“ (363). ამ უკანასკნელ სტროფში წარმოდგენილ განწყობილებას არა მარტო მედიცინის მუშაკები, არამედ კარგად იცნობს ყველა, ვისაც ერთხელაც არის საქმე ჰქონია ვენის გახსნასთან როგორც ავადმყოფს, თუ როგორც დამსწრეს.

აქ რუსთაველი ვენის გახსნის გზით სისხლის მაღალი წნევის მკურნალობის უაღრესად რეალისტურ სურათს გვიხატავს. ერთ სტროფში ეს ეპიზოდი გადმოცემულია სიტყვის მაქსიმალური ეკონომიით. ტარიელი გვიამბობს:

კაცი მოვიდა მეფისა: „სწადსო ამბისა სმინება“.
მოუკანა ვუთხარ, ებრძანა: „ქმნაცა სისხლისა დინება?“
მე ვჰკადრე: „ხელი გაუხსენ, დამიწყო მოჯობინება“ (366).

არაექიმ მკითხველისათვის იქნებ საინტერესო აღმოჩნდეს ის გარემოება, რომ გ. ლანგის ცნობილი შრომა Гипертоническая болезнь, რომელსაც პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ავტორის გარდაცვალების შემდეგ (მას იგი გამოუქვეყნებელი დარჩა), შემდეგი სიტყვებით იწყება: Понятие о кровяном давлении и представление о возможности его изменений при патологических состояниях стало известно врачам сравнительно недавно [1]. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სისხლის გაღება ზოგჯერ დღესაც ერთადერთი გზაა ჰიპერტონიის წინააღმდეგ.

რამდენად სწორი შეიძლება იყოს ექიმების დიაგნოზი? მათ ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზი ზედმიწევნით სწორად განსაზღვრეს:

სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრიაო (352), —

აცხადებენ ისინი. ამრიგად, ექიმებმა ტარიელის ავადმყოფობა როგორღაც არაპათოლოგიური, არაორგანული წარმოშობის, ემოციურ ნიადაგზე მიღებულ წნევად ჩათვალეს, რაც საერთოდ შესაძლებელი და დასაშვებია. მაგრამ ტარიელის ავადმყოფობა მაინც უფრო სხვა ხასიათის მოვლენაა. სანამ მის ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ მის შესახებ რუსთაველმცოდნეობაში უკვე გამოთქმულ მოსაზრებაზე.

ექიმი და მკვლევარი ლ. კოტეტიშვილი ფიქრობდა, რომ მკურნალებმა ტარიელის ავადმყოფობა ბნედად (ეპილეფსიად), მტერდაცემულობად ჩათვალეს და მკურნალობა ვენის გაბსნის მეშვეობით ჩაატარეს [2]. მაგრამ ეს სწორი არაა. ტარიელის ავადმყოფობა მტერდაცემულობად მიიჩნიეს არა ექიმებმა, არამედ, როგორც ვნახავთ, სულ სხვა კასტის ადამიანებმა. ექიმებმა ტარიელს ბნედა კი არ დასწამეს, არამედ ს ი ს ხ ლ ი, ს ი ს ხ ლ ი ს სიჭარბე: „სისხლი დამწამესო“, ამბობს ტარიელი. ეს პოემით, სულ სხვა ავადმყოფობაა. „იადიგარ დაუდშიც“ ეკითხულობთ: „კაცსა თუ სისხლი სჭარბობს... ეს კაცი სისხლისაგან არის ავად... უნდა მკლავი გაუხსნან და... კოტოში მოჰკიდონ“ (გვ. 101). დღევანდელი ტერმინოლოგიით ეს არის წნევა. ბნედას, რაც „იადიგარ დაუდით“ არის სარი, მკურნალობენ არა ხელის გახსნით და სისხლის გამოშვე-

[1] Г. Ф. Ланг, Гипертоническая болезнь, Медгиз, 1951, стр. 3.

[2] „საექიმო ღღეები „ვეფხისტყაოსანში“, საბჭოთა მედიცინა, 11 — 12, 1937 წ. გვ. 21.

ბით, არამედ სხვა მეთოდებით და საშუალებებით (იქვე, გვ. 270—271).

დავუბრუნდეთ ახლა ტარიელის ავადმყოფობის ხასიათის გარკვევას. მისი ისტორია და შედეგები ასეთია.

ტარიელმა მოულოდნელად მოჰკრა თვალი ნესტანს. მისმა სილამაზემ მოხიბლა ჭაბუკი. იგი გულშემოყრილი დაეცა: „დავეცი, დავბნდიო“, მოგვითხრობს, როგორც ვნახეთ, თვითონ. „სამ დღემდის ვიყავ უსუღლო“, „სამსა დღესა... ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკვდარი“, ვითა შმაგი, ვკრთოდი, ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრებოდი ხოლმე, „სიტყვა მცდარი წამერიაო“. მიღებულმა ზომებმა (სისხლის გამოშვება, გასეირნებანი და სხვ.), უფრო კი საკუთარ თავზე ძალდატანებამ და ხელოვნურმა გართობამ (367, 8, 9) ტარიელზე ასე თუ ისე დადებითად იმოქმედა, ხოლო ნესტანთან სანუგეშო მიწერ-მოწერამ და მასთან შეხვედრებმა ტარიელი სრულიად გამოაჯანსაღა.

მავრამ აი, დაიკარგა ნესტანი, ტარიელს ამაოდ ჩაუარა ხანგრძლივმა ძებნამ და გაჭრა ნესტანის პოვნის ყოველგვარი იმედი. მის შემდეგ თუ ყოველი გახსენება არა, ზოგიერთ ვითარებაში ნესტანის მოგონება, მისი სახელის დასახელება, მასთან განხეთქილების მოგონებაც კი იწვევს ტარიელის დაბნედას:

მოდი, მოჯე, თანა წყალი მომიტანე,
დაბნედილსა მაპკურებდი (307), —

გააფრთხილა მან ასმათი, სანამ თავისი თავგადასავლის თხრობას შეუდგებოდა. მართლაც:

ყმა დაბნდა, რა სახელისა ხსენებასა მიეწერა (326).

შემდეგ, გაიხსენა რა ნესტანისაგან სამკლავის გამოგზავნა, „პირსა დაიდვა, დაცაბნდა“ (497).

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ ღრმა გულწასულობაზე, რომელშიც იპოვა ავთანდილმა ტარიელი ლომისა და ვეფხის დახოცვის შემდეგ.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთხელ მიღებულმა ძლიერმა ფსიქიკურმა ტრავმამ დატოვა კვალი, შექმნა აღგზნებადი ცენტრები, რის გამოც ამის შემდეგ ტრავმის გამომწვევი მსგავსი ან გვერდითი გამღიზიანებლის აქტივობაც იწვევს იმავე მოვლენას. როცა გამღიზიანებლის ზემოქმედება აღკვეთილია, გულისწუხილი ქრება, მაგრამ საკმა-

რისია გამღიზიანებელთა აქტივობის აღდგენა და რეაქცია ცოცხლდება.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ აქ საქმე გვაქვს პირობით რეფლექსებთან. უვიცობა იქნება რუსთაველის შეხედულებათა მოდერნიზაცია მოვახდინოთ, ან მას მივაწეროთ პირობითი რეფლექსების მოძღვრების ავტორობა. რეფლექსოლოგიურ მოძღვრებას რუსთაველი, რასაკვირველია, არ იცნობდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის ღროს არ არსებობდა იმგვარი მოვლენები, რომელთაც მეცნიერული გაშუქება შემდგომში მიიღეს. რუსთაველმა, როგორც ადამიანის უდიდესმა მცოდნემ და მისმა უბადლო მხატვარმა, დახატა სურათი, რომელიც მთლიანად თავსდება პირობითი რეფლექსის ჩარჩოებში [1].

აღსანიშნავია, რომ ტარიელის სრული განკურნების საშუალებად თვითონ რუსთაველი სახავს არა მკურნალობას, არამედ სრულიად სხვა პირობას: უნდა მოიხსნას თვით გამღიზიანებელი. მართლაც, პირველი შეტევების შემდეგ, ნესტანისაგან საიმედო წერილისა და მასთან შეხვედრების ვითარებაში, ტარიელი სრულიად გაჯანსაღდა. მერე, როგორც ვიცით, მას აქვს გულშემოყრის შემთხვევები. მაგრამ ვაიგო თუ არა ნესტანის ადგილსამყოფელი, ე. ი. დაუბრუნდა თუ არა იმედი ნესტანთან შეერთებისა, მასში წარმოუდგენელი ძალის რწმენამ, ენერგიამ, პრძოლის უნარმა იფეთქა და იგი კვლავ მებრძოლი ტარიელი გახდა. ეს საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ „ტარიელის ვარდი იყო“ მართლაც „დათრთვილული, არ დაზრული“. ეს ვარდი რომ დაზრული ყოფილიყო, იგი საბრძოლველად კი არ მოემზადებოდა, დაიძახებდა: მომიყვანეთ ნესტანიო. იგი მხოლოდ ერთხელ შეწუხდა მოულოდნელი დიდი სიხარულის გამო,

მერმე ტარიელ ამბავსა ჰკითხავს, აღარა ბნდებოდა...
მართ ვითა ლალსა მზისაგან, მას ფერი ეზარდებოდა,
ეინ ღირს ა, თუცა წყალობით ცა მიწყივ მობრუნდებოდა (1352).

დაგვრჩენია რუსთაველის სამედიცინო სისტემის საერთო შეფასება, ოღონდ ჯერ აუცილებელია გავითვალისწინოთ რუსთაველის შეხედულება კულტის მსახურთა როლსა და მაგიურ საშუალებათა გამოყენებაზე მკურნალობაში.

---

1 ამის შესახებ ვრცლად იხ. აკად. ივ. ბერიტაშვილი, „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში“, გვ. 208 — 209.

რომ კულტის მსახურნი მათივე გაჩენის დღიდან ეჩრებიან მკურნალობის საქმეში და რომ ყველა ხალხი უსხოვარი დროიდან მიმართავდა ავადმყოფის განსაკურნავად მაგიურ საშუალებებს, მეცნიერებაში ეს კარგად არის ცნობილი. საყურადღებო მარტო ის კი არ არის, რომ პოემით ტარიელის საწოლთან კულტის მსახურნიც ჩანან, არამედ რუსთაველის დამოკიდებულება მათდამი.

ტარიელის ასეთი უეცარი და უცნაური ავადმყოფობის დასაძლევად სასახლემ კულტის მსახურთაც მიმართა. ისინი მუსაფით (ყურანით) ხელში შემოხვევიან ტარიელის საწოლს, კითხულობენ, ე. ი. ულოცავენ ტარიელს და ამ გზით ცდილობენ მის განკურნებას: „მუყრნი მოეხნეს“ (349),

> სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან,
> მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიანო (351). —

გვიამბობს ტარიელი.

როგორია მათი დიაგნოზი? „მტერ-დაცემული ეგონეო“ (351). ამბობს ტარიელი მათ შესახებ.

მტერდაცემული, მტერიანი, ძველი ქართულით ავზნიანს, ეპილეპტიკს ნიშნავს. მაგრამ ტერმინის ეტიმოლოგია ცხადყოფს, რომ ეს ავადმყოფობა ითვლებოდა არა ცენტრალური ნერვული სისტემის, ან ფიზიოლოგიური პროცესების აშლილობად, არამედ გარედან მიღებულ, მავნე სულების ზემოქმედებით გამოწვეულ დროებით მოვლენად, თვალნაკრაობის, გათვალულობის, გაღალვის შედეგად. ამას გადაჭრით აღასტურებს ის გარემოებაც, რომ პოემით მუყრნი და მოლები ტარიელის ავადმყოფობას პირდაპირ ბელზებელს უკავშირებენ: მათ „სენითა მთქვეს გამაბელზებელითაო“. (349), — აცხადებს ტარიელი, და მუსაფისა თუ ყურანის ძალითა და მეშვეობით ცდილობენ ავადმყოფის სხეულიდან გააძევონ ავი და ბოროტი სულები.

მაგრამ ტარიელი მათ „შრომა-საქმიანობას“ და მსჯელობას ზედმიწევნით სწორად აფასებს: „არ ვიცი, რას ჩმახვიდიანო“ (351), და რაც გადაჭრით გვიჩვენებს რუსთაველის დამოკიდებულებას კულტის მსახურთა და მაგიურ საშუალებათა ძალისა და როლისადმი მკურნალობაში.

ამით ვამთავრებთ. ოღონდ ზედმეტად არ მიგვაჩნია დავიმოწმოთ ერთი ერცელი ამონაწერი მწერალ ი. ა. ბუნინის ძეირფასი მოგონებე-

ბიდან, რომელიც მან დატოვა გამოჩენილი ა. პ. ჩეხოვის შესახებ. იგი წერს:

Меня поражает как он моложе тридцати лет мог написать „Скучную историю", „Княгиню", „На пути", „Холодную кровь", „Тину", „Хористку", „Тиф"... Кроме художественного таланта, изумляет во всех этих рассказах знание жизни, глубокое проникновение в человеческую душу в такие еще молодые годы. Конечно, работа врача ему очень много дала в этом отношении. Он всегда говорил мне и профессору Россолимо, что благодаря ей область его наблюдений расширилась и обогатила его знаниями, настоящую цену которых для него, как писателя, может понять только врач. „Знание медицины меня избавило от многих ошибок, которых не избег сам Толстой, например, в „Крейцеровой сонате"[1].

როგორც ვხედავთ, დიდი რუსი მწერალი ა. პ. ჩეხოვი, განათლებით და პროფესიით ექიმი, ცნობილი რუსი მწერლისა და მისი პირადი მეგობრის ი. ა. ბუნინის მოწმობით თურმე ხშირად აღნიშნავდა, რომ სამედიცინო განათლება მას დიდად დაეხმარა სინამდვილის სწორად ასახვაში; ხოლო ის გარემოება, რომ ლ. ნ. ტოლსტოი მოკლებული იყო ასეთ განათლებას, ა. პ. ჩეხოვის აზრით, უოფილა მიზეზი გენიალური მხატვრის ზოგიერთი შეცდომისა, რაც მან დაუშვა სინამდვილის ასახვისას, როგორც, მაგალითად, „კრეიცერის სონატაშიო", უთქვამს თვით ა. ჩეხოვს.

ლ. ტოლსტოის შემოქმედების ზოგიერთი მომენტის ან. ჩეხოვისეული შეფასება, რომელზეც აქ ლაპარაკობს ი. ბუნინი, მეტად საინტერესოა. დიდი მწერლის უარყოფითი, სკეპტიკური დამოკიდებულებისათვის მედიცინისადმი მეორე დიდ მწერალს შეცდომაც კი უწოდებია. სხვათაშორის, ეს „შეცდომა" აიხსნება დიდი ჰუმანისტის განუზომელი სიყვარულით ადამიანისადმი, რომელსაც კრიტიკულ მომენტში მედიცინა ყოველთვის ქმედით დახმარებას ვერ უწევს. ლ. ტოლსტოის მთელ შემოქმედებაში იგრძნობა ამით გამოწვეული გულისწყრომა მედიცინისადმი.

ჩვენთვის ი. ბუნინის მოწმობა საინტერესოა სხვა მხრივ. გამოდის,

[1] Бунин о Чехове, Литературная газета, 14 сент. 1957 г.

რომ თვით ან. ჩეხოვის აზრით რუსულ მხატვრულ ლიტერატურა ი-
სახა სამედიცინო სინამდვილე ორგვარად: ლ. ტოლსტოის თვალსაზრი-
სით და ან. ჩეხოვის თვალსაზრისით.

რომელი მათგანის მხარეზეა რუსთაველი? ეს ნათლად ჩანს ამ ნარ-
კვევის დასკვნიდანაც.

რუსთაველი ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანის ანატომიურ. ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ-ინტელექტუალურ სინამდვილეს და მეო-რის საფუძვლად პირველს აღიარებს. მისი აზრით, ადამიანი შედგება ჩონჩხისა, ხორცისა და სისხლისაგან და სულიერობა, სულდგმულობა მხოლოდ ხორციელ არსს შეუძლია. მან იცის ჩონჩხის შედგენილობა „ტერფით თხემამდი" (1360), შინაგანი ორგანოები, სისხლი, და არსად ლაპარაკობს, რომ სითხეებიდან უმთავრესი სასიცოცხლო ფუნქციის მა-ტარებელი ადამიანის ორგანიზმში სისხლთან ერთად არის ლორწო, ყვი-თელი ნაღველი და შავი ნაღველი, ანუ ბალღამი, ზაფრა და სევდა, რო-გორც ფიქრობდა მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე. რუსთაველი ადა-მიანის ორგანიზმში სითხეებიდან მხოლოდ სისხლს ცნობს სასიცოცხ-ლო ფუნქციის მქონედ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ რუსთაველი არ იცნობს, ან არ ცნობს ავტორიტეტებს. მისი შეხედულებანი ტვინისა და გულის ფუნქციებზე, მკურნალობაზე, რეჟიმზე, დიეტაზე და სხვა, ზოგადად ენათესავება ჰიპოკრატე-გალენის მონაცემებს, თუმცა არა-ფერს ისეთს არ შეიცავს, რომელიც მას არ შეეძლო თავისი ხალხის წია-ღიდან ამოეღო და ქართული მედიცინიდან შეეთვისებინა. რასაც ადას-ტურებს, მაგალითად, მის პოემაში ნაჩვენები წნევის მკურნალობა სისხ-ლის გამოშვების მეშვეობით.

მაგრამ ჩვენი აზრით, რუსთაველის სამედიცინო სისტემა და ანატო-მიურ-ფიზიოლოგიური შეხედულებანი მაინც განსხვავდება ჰიპოკრატე-გალენისეულისაგან. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გალენი აღიარებს არა სისხლის სრულ ცირკულაციას. არამედ, მისი აზრით, ღვიძლიდან მომ-დინარე უხეში სისხლი გაიელის გულში, გაიწმინდება და მიედინება არ-ტერიებით ორგანიზმში, სადაც მთლიანად იხარჯება. ეს შეხედულება ევროპაში მე-17 საუკუნემდე ბატონობდა, სანამ მისი სრული მცდარობა არ ნათელყო ინგლისელმა ანატომმა ჰარვეიმ, რომელმაც აჩვენა, რომ სისხლი ადამიანის ორგანიზმში კი არ იხარჯება, არამედ მიმოქცევაშია. განიცდის ცირკულაციას. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ რუსთაველის შეხედუ-ლებით ადამიანის ორგანიზმში ხდება სისხლის მიმოქცევა გულის მე-

შეეობით, გულში გავლის გზით, და არა მისი ხარჯვა. რუსთაველი არაფერს ლაპარაკობს სისხლის ხარჯვაზე, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა. რუსთაველის „სისხლი დამწამეს“ და „ხელი გავიხსენ“ აშკარად წხევასა და მისი ვენის გახსნის გზით მკურნალობაზე ლაპარაკობს. მედიცინის დასახელებულ მამამთავრებს ბევრი ავადმყოფობის აღწერა მოეპოვებათ, მაგრამ რეფლექსურ გულისშეღონებათა სურათი მათ შრობებში არ გვხვდება. რუსთაველის შემოქმედებაში ასახული ქართული სამედიცინო აზროვნება თავისუფლად უტოლდება თავისი ეპოქის სამედიცინო სისტემებს. იგი უფრო მატერიალისტურია, ვიდრე იდეალისტური, რეალისტურია და არა დეისტურ-დემონოლოგიური, მეცნიერულია და არა საკულტო-სატაძრო და მაგიური, რაციონალურია და არა მისტიკური. რუსთაველი მეცნიერული (რეალისტური) მედიცინის მხარეზეა.

1960 წ.

ნადირობა ვეფხისტყაოსანში

ფრ. ენგელსი თავის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ჰ. მორგანზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ნადირობა ადამიანმა დაიწყო პრეისტორიულ ხანაში, კერძოდ, მისი პირველი პერიოდის, ველურობის მესამე, ე. წ. ზედა საფეხურზე, მას შემდეგ, რაც მან მშვილდ-ისარი გამოიგონა, რის წყალობითაც ნანადირევი მუდმივ საკვებად იქცა [1].

აქედან მოკიდებული, რა თქმა უნდა, განსაზღვრულ ეპოქამდე, განუზომლად დიდი იყო ნადირობის მნიშვნელობა ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. ეჭვი არაა, ასეთივე იქნებოდა მისი მნიშვნელობა ქართველი ტომების ცხოვრებაშიც. ნადირობას აადვილებდა და ხელს უწყობდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, ფლორა და ფაუნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართველი ტომები მისი დღევანდელი ტერიტორიის სამხრეთით ცხოვრობდნენ. მაგრამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ნადირობისათვის შეიქმნა მომდევნო ისტორიულ ხანაში. როცა ქართველმა ტომებმა ჩრდილოეთით დაიხიეს და თავი ტყეებით დაფარულ კავკასიონის კალთებსა და ნაყოფიერ დაბლობებს შეაფარეს. სადაც აუარებელი ნადირი და ფრინველი ბინადრობდა.

დროთა ვითარებაში ნადირობას, გარდა ძირითადი, ეკონომიური მისიისა, ახალი ფუნქციები გაუჩნდა: სასპორტო-სანახაობითი და სამხედრო-აღმზრდელობითი. ნადირობა ახალგაზრდობისათვის პირისპირ მოქცევის მტერთან ბრძოლის სკოლა გახდა. ამრიგად, გაფართოვდა ნადირობის როლი და ფუნქციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იგი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა თვით საზოგადოებისათვის. თავი რომ დავანებოთ მატერიალური კულტურის ნაშთებს, ხელოვნების დოკუმენტებს, რელიგიურ შეხედულებებსა და გადმოცემებს, საკულტო

---

[1] ფრ. ენგელსი. „ოჯახის წარმოშობა“, თბილისი, 1932, გვ. 23.

ძეგლებს და სხვ., რომლებშიც აღბეჭდილია ხალხის განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება ნადირობისადმი, ამას მთელი სისრულით მიუთითებს ორი გარემოება: ძველ საქართველოში ნადირობა რეგლამენტირებული ყოფილა როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიის მიერ. თუ სახელმწიფოს მიერ ნადირობის ასეთი თუ ისეთი რეგლამენტაციის ფაქტი ცნობილი იყო „ხელმწიფის, კარის გარიგებით“ და „აზმანით“, რომელიც იხსენიებს ფილოპატებს [1] — ხელოვნურად გაშენებულ და დაცულ ტყეებს მეფეთა სანადიროდ, ერთგვარ ნაკრძალებს, ეკლესიის დამოკიდებულებას ამ საქმიანობისადმი ფარდას ხდის აკად. კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილი რიტუალი ნადირობისა, მე-12 საუკ. ძეგლი, მკვლევარის განცხადების თანახმად, უმაგალითო შემთხვევაა სხვა ქრისტიან ხალხთა საეკლესიო პრაქტიკასა და მწერლობაში [2]. რომელშიც წარმოდგენილია ნადირობის ლიტურგიკა.

ამის გამო მოულოდნელი აღარ არის ის ცხოველი დაინტერესება, რომელსაც ჩვენი მწერლობა იჩენს ნადირობისადმი: ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ დოკუმენტში, „შუშანიკის წამებაში“, უკვე ლაპარაკია ნადირობაზე: სცემა რა პირველად ვარსქენმა შუშანიკს, „ბრძანა... სენაკსა ერთსა შეყუანებად და კრძალულად დაცვად მისი... და თვით ნადირობად წარვიდა“ [3].

ნადირობის თემას ქართული საეკლესიო მწერლობა, კერძოდ, ჰაგიოგრაფია, ძალიან ხშირად ეხება ე. წ. სასწაულებთან დაკავშირებით. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, მაგალითად, ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა არა ერთხელ იხსნა მონადირეთაგან ლტოლვილი ირემი, გარეული თხები [4] და სხვ. ასეთსავე ამბავს გვაუწყებს აგრეთვე ცხოვრება დავით გარეჯელისა [5] და სხვ.

---

[1] „ეისმანცა... ენამან აღმოთქუნა ქებანი... კოშკთა და ფილოპატთანი“ (ისტ. აზმ. 1941, გვ. 102).

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, თბილისი III, 1955, გვ. 145.

[3] შუშანიკის წამება, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 20 — 21.

[4] ცხოვრება გრ. ხანძთელისა, ძვ. ქართ. ლიტერ. ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, I, გვ. 141 — 142; აღნიშნულ ადგილებს ჯ. ინგოროყვა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის დანართად მიიჩნევს. იხ. ცხოვ. გრ. ხანძთელისა, თბ., 1949.

[5] ძვ. ქარ. ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 165.

ნადირობას ფართო ყურადღებას უთმობს ჩვენი კლასიკური პერიოდის საერო მწერლობაც. ვის არ ახსოვს „ამირანდარეჯანიანის“ აბესალომ ინდოთ მეფე, რომელსაც „ედგა ასი ავაზა და ექუსასი ქორი თეთრი და მწყაზარი, ჰყვა სამი ათასი დიდებული“.... და ეს მუქთახორა „ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათს ნადირობდის“ ათას-ათასი დიდებულის თანხლებით, სამ დღეს ქეიფობდა, და მხოლოდ „კვირიაკესა... სამეფოსა საქმესა განაგებდის [1]. „ამირანდარეჯანიანის“ მეორე კარიც ნადირობის სურათით იწყება: „ნადირობასა ვიყვენით. ავაზასა ქურციკი შეეპყრა და ამირან დარეჯანის ძე ზედა მოდგომილიყო და ხედვიდაო“, — იწყებს ამბავს სავარსიმის ძე.

საეკლესიო-ჰაგიოგრაფიული დოკუმენტებისა და „ამირანდარეჯანიანის“ აქ დამოწმებულ სტრიქონების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მეტად ფანტასტიკურ და დაუჯერებელ ამბებს გადმოგვცემს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სინამდვილის ანარეკლიც გვხვდება. შეუძლებელი არ არის, რომ მონადირისაგან შეშინებულმა ნადირმა თავი შეაფაროს მისთვის ნაცნობ, უწყინარ ადამიანს, როცა დღესაც გვაქვს ამგვარი შემთხვევები, გამოწვეული სხვადასხვა გარემოებით (დიდი და გაუვალი თოვლი, დაღლილობა, იძულება და სხვ.). ავაზას რომ ქურციკი შეუპყრია, ეს კიდევ უფრო ჩვეულებრივი ამბავია. „ამირანდარეჯანიანის“ თვით ათას-ათასი დიდებულით სისტემატური ნადირობაც ყოველი კვირის მეორე ნახევარში თუმცა მყვირალა ჰიპერბოლაა, იგი ვუალირდება ამავე ნადირობათა დეტალებისა და მათი მოჭდევნო სურათების რეალისტური ფერების ზეგავლენით.

ქართული ნადირობის შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის აღორძინების მწერლობა. აქ ვხვდებით არა მარტო მშრალ მითითებებს ნადირობაზე. არამედ ნადირობის ვრცელ აღწერილობათ (არჩილი, ვახტანგ II, თეიმურაზ II); მე-19 საუკ. ქართული ნადირობის შესახებ საფუძველი ეყრება სამეცნიერო ლიტერატურას, ხოლო ჩვენს თვალწინ აღ-

---

[1] ძვ. ქართ. ლიტ-ის ქრესტომათია, II, 1949, გვ. 2.

ნიშნულ საკითხებზე მეტად საყურადღებო მონოგრაფიებიც იწერება [1].

მაგრამ იშვიათია ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც უფრო სრულად, დამაჯერებლად და მართლად, უფრო მხატვრულად იქნებოდა ასახული ნადირობა ძველ საქართველოში, მისი მნიშვნელობა, ხასიათი და სხვ., ვიდრე ყველაფერი ეს მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“. რუსთაველის მიერ შექმნილ ნადირობის სურათებში ადგილი არა აქვს ჰიპერბოლურობას, გამომგონებლობას, ფანტასტიკას; იგი დაკვირვებით, ღრმა ცოდნით, გაუზვიადებლად ქმნის ნადირობის ბუნებრივ სურათებს, გვიხატავს სინამდვილიდან აღებულ სიტუაციებს, დამაჯერებელ კოლიზიებს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის.

დიდი მხატვრის მიერ შექმნილი არც ერთი ნადირობის სურათი არ ატარებს ინტერმედიულ ხასიათს, არ არის მიკერებული ამა თუ იმ ეპიზოდზე უადგილოდ და თვითმიზნურად, არ არის ჩართული სიუჟეტის გასართულებლად: ყველა მათგანი მკაცრად მოტივირებულია.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ორი სურათი ნადირობისა.

ტარიელის საძებრად წასულმა ავთანდილმა.

> ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
> ასრე რომე ცაჲა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა.
> მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა,
> ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა (182).

რუსთაველი სწორუპოვარი რუსთაველური ტაქტით გვიხატავს ავთანდილის სულიერ განცდებს ამ მოგზაურობის დროს:

> მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა (179).

რუსთაველს არ ავიწყდება გვიჩვენოს, თუ როგორი „საგონებელი

---

1 ა. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძვ. საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I; კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი, 1941 და სხვ.

უფრო დაწვრილებით ნადირობის ასახვაზე ძვ. ქართულ მწერლობაში იხ. აკად. კ. კეკელიძის ზემოთ დასახელებული წერილი, თავი, I; იხ., აგრეთვე, ვ. ნოზაძე, ბუნებათმეტყველება ვეფხისტყაოსანში.

შეექმნა“ ავთანდილს (186), თუ როგორი ანალიზი გაუკეთა მან შექმნილ მდგომარეობას...

მაგრამ რუსთაველი არ ახვედრებს ავთანდილს ცხრა და ასთავიან დევებს, გველებს, ნიანგებს, მხეცებსა და ავსულებს. ავთანდილი არც გველეშაპს ჩაუყლაპავს და მას არც 100000-ანი ლაშქარი გაუჟლეტია. როგორც ეს ჩვეულებრივია იმ ეპოქის ძეგლებში. გვიხატავს რა ავთანდილის სამი წლის განმავლობაში ხეტიალის ყოველძხრივ ბუნებრივ სურათებს, პოეტი დასასრულ შენიშნავს:

თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოჯყვხით და კვნესით ა.
ეგრეცა ჰამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა;
ისრითა მოკლის ნადირი, რომტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა (195).
ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვადი შეიწოდეს (196)...

დამოწმებული სურათი და სიტუაცია არ არის დაკავშირებული პოემის სიუჟეტის განვითარებასთან; უკეთ რომ ვთქვათ, პოემის სიუჟეტის განვითარებაში მას არ უჭირავს აუცილებელი ადგილი. პოეტს შეეძლო სრულიად არაფერი ეთქვა ავთანდილის მიერ ნადირის მოკვლასა და მწვადის შეწვაზე. მას საშუალება ჰქონდა, გადმოებვეწილი რაინდი პირდაპირ, ნადირობის სცენის გარეშე შეეხვედრებინა ხატაელი ძმებისათვის. მაგრამ მაშინ ავთანდილის სამი წლის ხეტიალის და ცხოვრების ბრწყინვალე სურათი დაჰკარგავდა რეალისტურ სრულყოფილებას.

მეორე მხრივ, საჭირო იყო დასაბუთებულიყო ხატაელი ძმების უკაცრიელ ადგილებში ხეტიალი. ამიტომ ისინი აცხადებენ: „კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედითო“, და უამბობენ ავთანდილს ჩატარებული ნადირობის შესახებ, რასაც, თურმე, მოჰყვა ვიღაც კუშტ-პირ-გამქუშავ, მოყმესთან შეხვედრა.

ანაზდად მოყმე გამოჩნდა, კუშტი, პირ-გამქეშავია.
ზედან ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია;
თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავია.
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია (24).

მაგრამ ეს ხომ ყველა ნიშნებით სწორედ ის „უცხო მოყმეა“, რომელსაც აგერ სამი წელია უშედეგოდ ეძებს ავთანდილი...

ახლა განვიხილოთ ტარიელის მიერ ლომისა და ვეფხის დახოცვის შესანიშნავი სურათი. მისი ინტერპრეტაცია, რომელიც მოცემულია

დ. ბენაშვილის შრომაში [1], სამართლიანად იქნა გაკიცხული სალიტერატურო კრიტიკისაგან [2], და ჩვენ მის ხელახალ გარჩევას არ შევუდგებით. თუმცა თვით სურათის ანალიზს ისევ დავუბრუნდებით. აქ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი რუსთაველმა შექმნა ორი აუცილებლობით.

ჯერ ერთი, მას სურდა ეჩვენებინა, რა თავდადებითა და გატაცებით უყვარს ტარიელს ნესტანი. ტარიელი ვეფხს მოეხვია არა როგორც ნესტანს, როგორც ჰფიქრობს დ. ბენაშვილი, არამედ იმის გამო, რომ ვეფხმა მას მოაგონა გაჯავრებული, გამწყრალი ნესტანი, როცა მან ტარიელს პირუმტკიცობა წააყვედრა:

მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე (912), —

ამბობს თვით ტარიელი. ამ სურათით რუსთაველს სურდა ეჩვენებინა, რა გამბედაობამდე, რა გმირობამდე მიჰყავს ზოგჯერ გაჭრილი ტარიელი ნესტანის მხოლოდ მოგონებასაც კი. რაღა იქნება, თუ ტარიელი ნესტანს აღმოაჩენს?.. ეს სურათი ერთგვარი პრელუდიაა, ერთგვარი ვასაღებია ქაჯეთის ეპოპეისა.

მეორე მხრივ, ამით პოეტმა შექმნა ნიადაგი იმ ბრწყინვალე დიალოგისათვის, რომელიც ტარიელის მოსულიერების შემდეგ გაიმართა მასსა და ავთანდილს შორის. ამ დიალოგის მნიშვნელობა ტარიელისა და ავთანდილის სახეთა გახსნის საქმეში დღეს გარკვეულია და ჩვენ მას ვეღარაფერს დაეუმატებთ [3].

ასე დასაბუთებული და მოტივირებულია პოემაში შემოტანილი ყველა 16 შემთხვევა: კოლექტიური, ჯგუფური თუ ინდივიდუალური სადირობისა; არც ერთი მათგანი არ არის ინტერმედიული ხასიათისა, თვითმიზნური, განკერძოებული. ყველა მათგანი ორგანულ კავშირშია სიუჟეტის განვითარებასთან და მასში რაღაც როლს ასრულებს, ან დაკავშირებულია ამა თუ იმ სიტუაციასთან, ხასიათთან, სახის თუ ეპიზოდის მთლიანობასთან.

მაგრამ გარდა იმისა, რომ პოემის ნადირობის სურათები ორგანულ კავშირშია სიუჟეტის მაგისტრალური ხაზის განვითარებასთან, ან ცალკეული ეპიზოდების მთლიანობასთან, თვით ნადირობა პოემაში ასახულია რეალისტურად.

---

[1] სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1954, გვ. 119—120.

[2] გ. მარგველაშვილი, წიგნი ვეფხისტყაოსანზე. ჟურ. „მნათობი", 1955, № 9.

[3] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 195 — 196.

შევეცადოთ წარმოდგენილი მოსაზრების დასაბუთებას.

როცა თინათინის გამეფების საბაბით გამართულ ერთ-ერთ უდიდეს ნადიმზე, „ნადიმად მსხდომთა ლაშქართა“ თანდასწრებით,

> მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა (56),

თავისი საქციელის მიზეზი მან ასე ახსნა:

> კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
> რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია-ო (62).

მეფე სწუხს იმის გამო, რომ მას არავინ ჰგავს „მ შ ვ ი ლ დ ო ს ნ ა დ. ა ნ უ კ ვ ლ ა ბ უ რ თ ა ო ბ ი თ ა“ (63).

ავთანდილმა დიდი ყოყმანის შემდეგ მორიდებითა და მოკრძალებით ჰკადრა მეფეს:

> მოასპარეზედ ვინ მგავსო, ცუდნიღა უკუთქმანია,
> გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია-ო (67)

და მეფე შეჯიბრებაში გაიწვია.

გადაწყდა მოწყობა ნადირობისა. რატომ მაინცა და მაინც ნადირობისა? ცხადია, იმიტომ, რომ ს ა მ ა მ ა ც ო ნ ი ზ ნ ე ნ ი, ვაჟკაცობა, გმირობა, მშვილდოსნობა, მ ო ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა ყველაზე უკეთ გამოჩნდება ნადირობისას. ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რომ ნადირობა მხოლოდ ისრითა და ხმლით წარმოებს. ამის გამო ნადირობისას გამომჟღავნდება ვაჟკაცის ღირსებები: სიმამაცე, სისწრაფე, გამბედაობა და შემმართებლობა, მოხერხებულობა, ფიზიკური ძალ-ღონე, აქტანიანობა, თვალის სისწორე. ხელის სიმტკიცე და სიმარდე... ამის გამოა, რომ გმირულ სანახაობებში, რომლითაგანაც შედგება ასპარეზობა, ბურთაობა, ჯირითი, ჭიდაობა, ნიშანში სროლა და სხვ., ნადირობა ყველაზე საპატიოა, იმდენად საპატიო, რომ თავისი მნიშვნელობით იგი თითქმის გათანაბრებულია ლაშქრობასთან:

> ლაშქრობა და ნადირობა შუნი ჩემსა დაასახე-ო (157), —

უთხრა ავთანდილმა შერმადინს უცხო მოყმის საძებრად გამგზავრების წინ.

პოემაში თუმცა ნადირობა ზოგადად ძალიან ბევრჯერ არის ნახსენები, თვით ნადირობის ფაქტი ნაჩვენებია მხოლოდ თექვსმეტჯერ. აქედან ინდივიდუალური, ან ორი-სამი ამხანაგის ნადირობის შემთხვევები რუსთაველს პოემაში ფართო სურათებად არ გაუშლია. ასეთ შემთხვე-

ვებში იგი მოკლედ, ლაპიდარულად შენიშნავს ხოლმე. როგორც უკვე ვნახეთ ავთანდილის მაგალითზე (195), ან აქვე დამოწმებული ტაეპები მოგვითხრობენ:

ცხენსა შეჯდეს, მოიარეს, თითო მოკლეს ველს ნადირი (941).
თხა მოკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შექმნეს ზღვისა პირსა (948)

ტარიელმა და ავთანდილმაო.

როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური ნადირობის ფაქტებს რუსთაველი სურათებად არ შლის, ან თუ შლის, ძალიან შეზღუდულად (ცხენსა შეჯდეს, მოიარეს... მიითრიეს, ცეცხლი შექმნეს). ასეთ შემთხვევაში რუსთაველი არსებითად მხოლოდ ნადირობის ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება ხოლმე.

შედარებით სისადავითვე ხასიათდება ჯგუფური ნადირობის სურათებიც ფარსადან-ტარიელისა (340 — 342), ფრიდონისა, რომელსაც ჰოპყვა ბიძაშვილებთან კონფლიქტი (602) და სხვა, თუმცა ზოგიერთი მათგანი მეტად საყურადღებო ცნობებსაც შეიცავს.

რუსთაველის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს კოლექტიური ნადირობა. კოლექტიური ნადირობისა პოემაში რამდენიმე სურათია შემოტანილი. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ყველა მათგანი მოტივირებულია. ასეთი ნადირობისა პოემაში შვიდი შემთხვევა გვხვდება. ესენია: 1. როსტევანისა და ავთანდილისა პირველი (72—81); 2. ავთანდილისა და მის მოყმეთა ავთანდილის გამგზავრების წინ (170 — 173); 3. ხატაელი (ქურთი) ძმებისა (200 — 203); 4. უცნობი მეფე ვინმესი (270), 5. ფარსადანისა და ტარიელისა ხატაეთზე გამარჯვების შემდეგ (473 — 477); 6. როსტევანისა და ავთანდილისა მეორე (720 — 722) და 7. ფრიდონის მეორე დიდი ნადირობა (977 — 983).

კოლექტიური ნადირობის აქ ჩამოთვლილ სურათებს ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კიდეც. ამის გამო, თუ გვსურს წარმოდგენა ვიქონიოთ რუსთაველის კოლექტიურ ნადირობაზე ზოგადად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ამ სურათების ცალკეული მომენტებიც. დავიწყოთ აქედან.

პირველად შევჩერდეთ ნადირობის მასშტაბებსა და ხანგრძლიობაზე.

პოემაში მეტად დიდი მასშტაბის კოლექტიური ნადირობის სურათებს ვხვდებით.

როსტევანისა და ავთანდილის პირველი ნადირობის დიდ მასშტაბს თუნდაც ის გარემოებაც განსაზღვრავს, რომ მასში მონაწილე „სპანი ველთა დაჰფარვიდეს“ (73); ავთანდილის პირველი გამგზავრების დროსაც „ლაშქართა ინადირეს“ (173); ხატაელი ძმებიც უამბობენ ავთანდილს:

ნადირობას წამოვედით, გვყვეს ლაშქარნი უთვალავნი (200).

„დღეს ავყარენით ლაშქარნი“ (202) და წასვლა ვუბრძანეთო (203): „მეფე ვინმესაც“, რომელიც ტარიელს გარდეკიდა. „ჰყვეს ლაშქარნი უთვალავნი“ (270); ასევე, როცა ავთანდილი „მულღაზანზარს მიეახლა“, მინდორს „ნახა სპა ლაშქართა“ (977), რომელიც სანადიროდ გამოსულიყო, ხოლო „მათ ლაშქართა ყოლბსა შუა“ (980) ორბი აფრენილიყო.

მონადირეთა კოლექტივების განსაზღვრა ტერმინებით ლაშქარი და სპა, ან სპა-ლაშქართა, რაც პოემაში კიდევ ბევრჯერ დასტურდება, რა თქმა უნდა, ნადირობის უზარმაზარ მასშტაბებზე მიუთითებს. ამ მასშტაბებს ნათელყოფს სხვა გარემოებებიც. შევჩერდეთ სხვა მაჩვენებელზე.

როსტევანისა და ავთანდილის პირველი ნადირობისას

მოვიდა ჯოგი ნადირთა, ანკარიშმიუწვდომელი (73).

ხატაელი ძმებიც აღნიშნავენ: „ვხოცეთ მზეცი უსაზომო-ო“ (200).

მაინც შეუძლებელია ნადირობის მასშტაბებზე წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ არ გავითვალისწინეთ სწორედ ეს შედეგები: რა რაოდენობის ნადირი დაეცემა ხოლმე ასეთი ნადირობის დროს?

როსტევანმა და ავთანდილმა იმდენი ნადირი დახოცეს და ამოწყვიტეს, რომ „ცათა ღმერთი შეარისხეს-ო“ (77), გვიამბობს რუსთაველი. საინტერესოა, საბელდობრ — რამდენი.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა მკითხველს ახსოვს, რომ როსტევანს „მონათა პკადრეს“:

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია*,
მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია (81).

ეს რაღაც კოლასალური რაოდენობაა დახოცილი ნადირისა...

ნადირობის ასეთსავე გრანდიოზულ ხასიათზე მიუთითებს ხატაელი ძმების დაბეჯითებული განცხადებაც:

დავხოცე მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგეფრენია-ო (203).

---

* იყოს თუნდაც ათჯერ ოცი...

და ტარიელის ზოგადი შენიშვნაც:

მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან (333).

ნადირობის მასშტაბებს კარგად განსაზღვრავს მისი ხანგრძლიობაც. თუ როსტევანმა და ავთანდილმა ერთ დღეს 2000 სული ნადირი დახოცეს, ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგს მოგვცემდა ხატაელი ძმების კოლექტიური ნადირობა, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა და მონადირეთათვის მოსაწონარ ვითარებაში მიმდინარეობდა. აკი მათ განაცხადეს:

სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წაველით (200).

ხანგრძლივი ნადირობა გაუმართავს უცნობ მეფესაც, რასაც ადასტურებს, ის გარემოება, რომ მას „ბარგი მძიმედ აეკიდა" (270).

ახლა უნდა დაისვას კითხვა ასეთი მასშტაბების ნადირობათა მიზანდასახულობის შესახებ.

პოემაში ხშირად (და არა ყოველთვის) კოლექტიური ნადირობა სასპორტო-სანახაობით ხასიათს ატარებს, ასპარეზობის ერთ-ერთი კომპონენტია და საზეიმო ვითარებაში ტარდება. ასეთია ორივე ნადირობა როსტევანისა, ფარსადანისა და ტარიელისა ხატაეთზე გამარჯვების შემდეგ, ფრიდონის მეორე დიდი ნადირობა და სხვ. ასე, პირველი ნადირობის მსელელობისას რუსთაველი შენიშნავს: „ზეიმი და ზარი იყო-ო" (73) შემდეგ, როცა ნადირობა გაუგემურდა, როსტევანმა „არცაღა ჰკრა ასპარეზსა" (100) და ზეიმის მეორე ნახევარი ჩაშალა, რის გამოც მას ზოჭი კიდეც „უზრახვიდა". ასეთსავე საზეიმო ხასიათს ატარებდა ავთანდილის პირველი დაბრუნების შემდეგ არაბეთში გამართული ნადირობა: „მაშინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა-ო" (1217), გვეუბნება რუსთაველი. ერთი ასეთი ნადირობის შემდეგაც

აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა (477).

ამრიგად, ტარიელის ხატაეთიდან გამარჯვებით დაბრუნების გამო გამართული ნადირობის დროს წინასწარ შედგენილი გეგმა, რომელიც თურმე რამდენიმე თამაშობასაც ითვალისწინებდა, მთლად აღარ შესრულებულა. ამის მიხედვითაც აშკარაა, რომ პოემით ნადირობა ხშირად ატარებს საზეიმო ხასიათს და ეწყობა გასართობად.

ასეთი ხასიათის ნადირობა გარკვეული სოციალური შინაარსის ფაქტად გვეელინება, რამდენადაც იგი ყოველთვის დაკავშირებულია მეფეების, ან მსხვილ ფეოდალთა სახელებთან. კოლექტიური ნადირობის ორგანიზატორებად გვეელინებიან ან მეფეები: როსტევანი, ფარსადანი, ფრიდონი და მეფე ვინმე, ან მსხვილი ფეოდალები: ავთანდილი, შერმადინი და ხატაელი ძმები. ეს უკანასკნელნი თავიანთ სოციალურ და პოლიტიკურ პრივილეგიებზე საგანგებოდაც კი მიუთითებენ:

დია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა-ო (199).

აღსანიშნავია, რომ იმ კოლექტიურ ნადირობას, რომელიც რუსთაველს მხოლოდ ტარიელის ქვაბში მოულოდნელად ადრე დაბრუნების დასასაბუთებლად დასჭირდა, ვ ი ნ მ ე (ვიღაც), მაგრამ მაინც მ ე ფ ე ხელმძღვანელობს. ამრიგად, პოემით კოლექტიური ნადირობა მეფე-მთავართა მონოპოლიური უფლების შემცველ მოვლენადაც კი გამოიყურება...

მაგრამ ეს გარემოებანი, კოლექტიური ნადირობის საზეიმო თუ იურიდიული ხასიათი, არა თუ არ გამორიცხავენ ამ სახის ნადირობათა ეკონომიურ ეფექტსა და მნიშვნელობას, არამედ ამ მნიშვნელობის უდიდეს წონასა და მასშტაბებზე მიუთითებენ. როცა რუსთაველი ნადირობის ისეთ მრავალრიცხოვან მსხვერპლზე ლაპარაკობს, როგორსაც გავეცანით, ამით სწორედ მის ეკონომიურ ეფექტსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. მართლაცდა შეუძლებელია ეკონომიური დაინტერესების გარეშე უწყინარი ნადირის (ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი...) ასე უწყალოდ ჟლეტა. თუ რა ეკონომიური სარგებლობა მოაქვს ნადირობას, ამაზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხატაელი ძმები ეუბნებიან ავთანდილს:

დღეს ავყარენით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა (202)

და შინ გავისტუმრეთო.

ნადირობის ეკონომიურ მნიშვნელობასთან დაკავშირებულია ნადირობის ობიექტის საკითხი. გადავიდეთ ამ უკანასკნელის მიმოხილვაზე.

პოემაში ნადირობის ობიექტია „ნადირი“ და „გარეული“ ფრინველი. ნადირს ხშირად „მხეცი“ (128 და სხვ.) ეწოდება, ხანდახან კი — „მხეცი და ნადირი“ (333) იხსენიება ერთადაც.

დავხოცეთ მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგეფენია-ო (203),

ამბობენ ხატაელი ძმები. ფრინველთაგან პოემაში დასახელებულია, როგორც ნადირობის ობიექტი: დურაჯი (342, 347, 367), კაკაბი (231), გნოლი (447), იხვი (623) და სხვ., ნადირთაგან კი „ირემი, თხა და კანჯარი, ჭურციკი მაღლა მხტომელი“ (75), რომელიც მოვიდა „ანგარიშმიუწვდომელი“ როსტევანისა და ავთანდილის პირველ ნადირობისას. აღსანიშნავია, რომ თხა, როგორც ნადირობის ობიექტი, პოემაში, როგორც ვნახავთ, დასახელებულია რამდენიმეჯერ. ერთგან ავთანდილის შესახებ ნათქვამია:

მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დახვდის ქვიანი-ო (841).

მ ო კ ლ ი ს, დ ა ხ ვ დ ი ს მოქმედების მრავალგზისობაზე მიუთითებს: მოკლავდა ხოლმეო. ეს კი თავის მხრივ უნდა მიუთითებდეს, რომ თხაზე ნადირობა მეტად გავრცელებული ყოფილა, შეიძლება მისი სიმრავლისა გამოც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლომებისა და ვეფხვების დახოცვას, რასაც პოემით ტარიელი აწარმოებს, სხვა მხეცებსა და ნადირზე ნადირობის შესახებ პოემაში ლაპარაკი არ არის.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სხვა ნადირზე ნადირობა არ წარმოებს.

გაძრცელისა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი (123)

თინათინსო, — შენიშნავს ერთგან რუსთაველი. აქ ლაპარაკია რამდენიმე ყარყუმის ტყავისაგან შეკერილ უსაპირო მოსასხამზე. ყარყუმის ტყავი უძვირფასეს ბეწვეულად ითვლება დღესაც, და, ცხადია, მისი მოპოება მაშინ მხოლოდ ნადირობით შეიძლებოდა. უ ს ა პ ი რ ო კიდევ იმას ნიშნავს, რომ ბეწვი თვით იყო საპირე და არა სარჩული, როგორც ზოგჯერ იყენებენ ხოლმე ძვირფას თუ ნაკლებ ფასიან ბეწვეულს. ამასვე ნიშნავს „გარე-თმა ვეფხის ტყავისა“ (85), რომელიც ემოსა ტარიელს: ვეფხის ტყავი ბეწვით გარედან, და არა პირუკუ, როგორც ატარებენ ხოლმე ბეწვიანი ტყავის ქურქებს, ზოგჯერ, მაგალითად, დღესაც კი. ტარიელსაც ასშათმა ქვაბში „ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები; მას ზედა დაჯდა“ (267) ტარიელი. ნატი საგებ-საფენად დამუშავებული გარეული ცხოველის ტყავია. ამრიგად, ნადირობა წარმოებს არა მარტო სახორცე ნადირზე, არამედ მტაცებელ მხეცებსა და უსურმაგზეც, რომელთა მხოლოდ ტყავსა და ბეწვეულს იყენებენ.

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა, ვხოცდი ლომსა-ო (328), —

გვიამბობს ტარიელი.

მაგრამ რუსთაველი განსაკუთრებული ყურადღებით ჩერდება სახორცე ნადირის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში. ნადირობა პოემით ზოგჯერ ადამიანის არსებობის ერთადერთ წყაროდაც კი გვევლინება.

აღნიშნული გარემოება, რაც გამოწვეულია რუსთაველის გმირების ყოფაცხოვრების განსაკუთრებული პირობებით, პოემაში ხაზგასმულია მეტად მკვეთრად. ასე, მიემგზავრებოდა რა უცხო მოყმის საძებრად. ავთანდილმა თავის მოყმეთ დაუბარა:

> ცოტასა ხანსა ვარჩივე გაჰრა სმასა და მღერასა,
> პურად და საჰმლად მივენდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა-ო (166).

ეს ნიშნავს: ველად გაჰრილი თავს ნანადირევით დავირჩენო. მართლაც, როგორც უკვე ვნახეთ, როდესაც „ჰამა მოუნდის", „ისრითა მოკლის ნადირი" და მწვადის შეწვას „შეუდგის"; „მინდორს თხა მოკლის",

> შეწვის, ჰამის და წავიდის პირმზე, გულ-მარიხიანი (841)

ავთანდილიო, გვეუბნება მეორეგან რუსთაველი. აქ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ხაზგასმულია მოქმედების მრავალგზისობა.

ასევე ნანადირევით იკვებებიან ტარიელი და ასმათი ქვაბში:

> ვჰამ, გლახ, მარტო ნადირისა მისგან ხორცსა მონატანსა-ო, —

უთხრა ასმათმა ავთანდილს, გულისხმობდა რა ნაცვალსახელში მ ი ს გ ა ნ ტარიელს. ავთანდილიც ამასვე უამბობს ფრიდონს მათ შესახებ:

> ქალი მარტო ქვაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლ-ნაწთომი:
> ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ლომი,
> მიართმევს და იმით არჩენს... (999).

სხვათაშორის, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ დამოწმებული ტაეპების მიხედვით ქალი ნადირობაში არ მონაწილეობს, ისევე, როგორც გარდახვეწილ-გაჰრილნი მოპოებით მეურნეობას არ ეწევიან.

ნადირობენ და ნანადირევს შეექცევიან ტარიელი და ავთანდილი, როგორც უკვე ვნახეთ, ერთადაც (941, 948).

ყველა ასეთ შემთხვევაში ნანადირევი ერთადერთი საკვებია ადამია-

ნისა. რუსთაველი ერთგან ამას საგანგებოდაც კი შენიშნავს: ქვაბში „მუნ უპურობა პურობა, არ-სიდიადე ჯამისა-ო“ [1] (923).

აღსანიშნავია, რომ ნანადირევი პოემით მეტად გემრიელ, და ამის გამო საპატიო კერძად ითვლება, იმდენად საპატიოდ, რომ ფარსადანი, მიჰყავს რა ტარიელი თავისი ასულის სასახლეში, მას წინადადებას აძლევს ხელი ნანადირევით დაიმშვენონ:

> მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა,

„გამოვუხვენ (მხლებელთ დურაჯები) და წავედით-ო“ (342), — გვიამბობს ტარიელი. ასევე, ხატაეთიდან დაბრუნებულ ტარიელს თუმცა ჯერ დაჭრილი ხელი ისევ შეხვეული აქვს, მეფემ შეუთვალა:

> შენგან გაყრილვარ, მას აქეთ თვეო სამია,
> მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიჰამია,
> არ დამაშვრალხარ, წამოდი... (473)

და ვინადიროთო.

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ პოემის გმირთა სუფრაზე ნანადირევი ყველაზე ხშირად შემწვარი მოდის ხოლმე. გარდახდა რა ავთანდილი „შამბისა პირსა“, „ცეცხლი დააგზო კვესითა“ (195) და

> ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვადი შეიწოდეს (196).

ქვაბშიც ასმათმა

> ხელჰყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა,
> ეგონა ჰამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა (268).
> მწვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა, მსგავსი ჯამისა (923).

ქვაბშიო, — გვიამბობს რუსთაველი.

მაგრამ შეწვა არ არის ნანადირევის დამზადების ერთადერთი წესი. ერთგან ტარიელი, ეპატიჟება რა ძმადნაფიცებს ქვაბში, შენიშნავს:

> მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უც ხორცისა ხმელობა-ო (1496).

მართლაც,

> ა'სმათს უც ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვეთასა (1497).

აქედან ჩანს, რომ ხორცეულის, კერძოდ, ნანადირევის, გახმობაც სცოდნიათ, ოღონდ, არა ჩანს, რა წესით და რეცეპტით.

---

[1] აკ. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ რუსთაველი წვნიან კერძებსაც ასახელებს, მაგრამ მათ უფრო დიეტური დანიშნულება უჩანთ: ავადმყოფობის დროს „მახვრიტეს სახვრეტელიო“ (356), გვაცნობებს ტარიელი. სახვრეტელი აქ სუპეულის თუ ბულიონის აღმნიშვნელია. პოემაში პური, პურობა ხშირად იხსენიება საუზმის, სადილის თუ ნაყროვანი სუფრის აღსანიშნავად. მისი გმირები ღვინოსაც შეექცევიან (1077, 1259) და მათ სუფრაზე არც „ხილი რამე“ (418, 1160) არის უცხო და უცნობი. ყოფაცხოვრებითი სინამდვილისადმი ასეთი ყურადღებაც, რა თქმა უნდა, რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდის რეალისტურობის კიდევ ერთი საბუთია.

გადავიდეთ სანადირო იარაღებისა და ტექნიკის საკითხებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა მკითხველს ახსოვს ტარიელის მიერ ლომისა და ვეფხვის დახოცვის სურათი, აგრეთვე მისი შეხვედრა ნესტანის ადგილ-სამყოფელის აღმოჩენით გახარებულ ავთანდილთან. მაშინაც ხომ „ტარიელს ლომი მოეკლა“ (1334).

ამ გმირობას ტარიელი ზოგჯერ ხმლით ჩადის, ზოგჯერაც — შიშველი ხელებით. „ხრმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა სობასა, თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ“ ლომი, რომელსაც „დავუგმე ნაქმარი-ო“ (910), გვიამბობს გმირი. მეორედაც, როცა „ლომი მოეკლა, მით ხრმალსა სისხლი სცხებოდა“ (1334). ამრიგად, ეს ლომები ტარიელმა ხმლით დახოცა. ვეფხი კი მან სხვაგვარად მოკლა:

> ხრმალი გავტყორცე, გარდვიქერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა (911),

მაგრამ

> რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
> გავგულისდი, მოვიქნივე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე-ო (912), —

ამთავრებს ტარიელი.

სრულიად ძალდაუტანებლად ისმება კითხვა აღნიშნული ფაქტების დამაჯერებლობის შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, თუ რამდენად რეალისტურად ასახავენ ეს ფაქტები სინამდვილეს, ნადირობის საქმეს, ადამიანურ შესაძლებლობებს.

დღეს უკვე მიღებული აზრია და ჩვენც არა ერთხელ აღგვინიშნავს სხვაგანაც და წინამდებარე წერილშიც, რომ რუსთაველის პოემაში ადგილი არა აქვს უპასუხისმგებლო ფანტასტიკას. რუსთაველი მოვლენათა ასახვისას რეალისტურ თვალსაზრისზე დგას. აქ წერეთელს, უნდა

რა გვიჩვენოს პატარა კახის, 16 წლის ერეკლეს გმირობა, იგი ხმალდა-ხმალ მიჰყავს დაჭრილ დათვზე.

ეგრე მტერს რომ შემოჰკრათ,
ღვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირსო, —

ეუბნება მას გამზრდელი გივი. ხანჯლით მოჰკლა დაკოდილი დათვი ალ. ყაზბეგის მათიამაც, ხოლო ლერმონტოვის მწირი ხელდახელ მივიდა ვეფხზე და გაიმარჯვა.

ასეთი ფაქტების დასახელება ლიტერატურიდან კიდევ შეიძლება, ისევე, როგორც სინამდვილიდან. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა ამ ავტორებს და მონადირეებს პირი შეეკრავათ ჩვენს მოსატყუებლად. მაგრამ არ შეიძლება აღნიშნული ფაქტები ტიპიურ მოვლენებად ჩაკთვალოთ. ალბათ ამის გამოც არის, რომ რუსთაველი ასეთ გმირობას მხოლოდ ტარიელის სახელს უკავშირებს: მისი ღანარჩენი გმირები მხოლოდ მშვილდ-ისრით ნადირობენ.

მართლაც, ჩვენ ზემოთ რამდენიმე ტაეპი დავიმოწმეთ, რომლებშიც ლაპარაკია მშვილდ-ისრით ნადირობაზე (166, 195, 333, 473) და მათ აქ აღარ გავიმეორებთ, მით უმეტეს, ქვემოთ მრავალი ამგვარი ტაეპი შეგვხვდება. აქ მხოლოდ ერთ ტაეპს დავიმოწმებთ.

გამოვიდნენ რა სანადიროდ როსტევანი და ავთანდილი,

აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუცხრომელი-ო (75), —

შენიშნავს რუსთაველი.

პოემაში რომ ცეცხლმსროლელი იარაღი არა გვხვდება, ეს ყველა მის მკითხველს ეჭნება შემჩნეული. თოფის გამოგონებამდე კი მშვილდ-ისარი თითქმის ყველა ხალხებისათვის აუცილებელი სანადირო იარაღი იყო, მაგრამ არა ერთადერთი. სხვადასხვა ხალხები სხვადასხვაგვარ სანადირო იარაღებსაც ხმარობდნენ. ესენია: ქამანდი, გრძელი ოროლეები — შუბები, ხელით სატყორცნი მოღუნული ჯოხები (ბუმერანგები) და შუბები, ჰაერსატყორცნი იარაღები, სასროლი ბარჯები, ჭვილთები და სხვ.

პოემაში ეს სანადირო იარაღები ნახსენები არ არის. თუმცა ერთგან ტარიელი ლაპარაკობს: „ლომი მივეც ლახვართა სობასა-ო", არა ჩანს, საიდან გაჩნდა აქ ეს ლახვარი (შუბი), რომელსაც იგი ჩვეულებრივ არ ატარებს. ამის გამო უნდა დავასკვნათ, რომ ტარიელმა აქ ხმალი გა-

მოიყენა შუბის მაგივრად, შუბურად. მართლაც, როგორც ვნახეთ, იგი ლაპარაკობს: ლომს

> ხრმალ-გამოწვდილი მიეუხე, მივეც ლახვართა სობასა,
> თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ (910).

ნადირობის თავისებურ სახედ შეიძლება ჩავთვალოთ ნადირობა ვახეების მეშვეობით. პოემაში თუმცა მახეების დაგებასა და მათგან ფრინველის ან ნადირის გამოხსნაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ ნათქვამია: ავთანდილმა ასმათი „დაბა, ვითა კაკაბი მახესა-ო" (231). აქედან ჩანს, რომ მახეებით ნადირისა და ფრინველის დაჭერა რუსთაველისთვის უცნობი არ ყოფილა.

ამრიგად, ასეა თუ ისე, ძირითად სანადირო იარაღად პოემაში დასახელებულია მხოლოდ და მხოლოდ მშვილდ-ისარი.

სიტყვას მოჰყვა და შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსთაველი ახლოა იცნობს ცხოველთა და ფრინველთ სამყაროს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში" ვხვდებით შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველების ბევრ სახელს, არამედ ის ზუსტი ცოდნა ცხოველთა თუ ფრინველთა თვისებების, ურთიერთობის და სხვ., რომელსაც ამჟღავნებს მგოსანთ-მგოსანი. ცხოველთა სამყაროს ეს დაკვირვებული ცოდნა გამოსჭვივის იმ შესანიშნავ პოეტურ შედარებებში, რასაც ხშირად ვხვდებით პოემაში. ასე „ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მიდამო კრთებოდა" (232) ასმათი ავთანდილის ხელთო, ამბობს რუსთაველი, „შიგან ასრე გაეერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი-ო" (447), გვიამბობს ტარიელი მისი ბრძოლის შესახებ ხატაელებთან. „ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად" (700) ტარიელსო. უამბობს ავთანდილი თინათინს. „ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ, ინდონო, თქვენი თხანია" (421), იმდენად კეთილგანწყობით ვართ თქვენდამი სავსეო, აცნობეს ლაშქრად მიმავალ ტარიელს ხატაელებმა. „მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა-ო" (966), აღნიშნავს პოეტი მომღერალი ავთანდილის შესახებ. პოემაში კი ხშირად არის ლაპარაკი ბულბულის მომხიბლავ გალობაზე. ავთანდილის ხმასთან შედარებით ბულბულისა ჰოტის (ბუს) ხმას ჰგავდაო, ამბობს რუსთაველი.

ოდნავი დაკვირვებაც საკმარისია, რათა აქ დამოწმებული შედარებების ნიშანდობლიობა ვიცნოთ და მათი ესთეტიკური ზემოქმედება

განვიცადოთ. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ერთ შედარებას.

ქაჯი მონა ასე უამბობს ნესტანის შესახებ შემთხვევით შეხვედრილ მგზავრებს: იგი იყოო

ვითა ასპიტი, მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლალავი (1231).

აქ ნესტანის გამოხედვა შედარებულია ასპიტის გამოხედვასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, თვალით იმორჩილებს და აბამს მსხვერპლს, აქცევს რა მათ ჰიპნოზის ქვეშ.

რუსთაველისათვის უცნობი არ ყოფილა ბუნებაში გავრცელებული ჰიბრიდიზაციის (მეტისაციის) მოვლენები, რის შესახებაც იგი გვიამბობს ლომისა და ვეფხის ლაღობისა და წაკიდების სურათებით. აქა-იქ რუსთაველი მეტაფორებისათვის იყენებს ხალხურ რწმენას მზის დაბნელების მიზეზების შესახებ: „მზე ვეშაპსა დაებნელა-ო“ (1158), უამბობს ფატმანი ნესტანის შესახებ ავთანდილს. ან კიდევ:

ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა (1420)...

ახლა ისევ დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ნადირობის ტექნიკის და ორგანიზაციის საკითხებს.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ფართო მასშტაბის კოლექტიურ ნადირობაში იმდენი ხალხი მონაწილეობს, რომ მას რუსთაველი ლაშქარს უწოდებს, ან ამბობს: ავთანდილმა სანადიროდ გამოსულნი „მინდორს ნახა სპა ლაშქართა-ო“ (977). ამგვარ ნადირობაში ლაშქარს ზოგჯერ სამზოდ, დამსწრედ, მაყურებლადაც გაიწვევენ ხოლმე, როგორც, მაგალითად, როსტევანმა და ავთანდილმა პირველ ნადირობაშეჯიბრებაში, გარდა მონაწილეთა, „ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს“ (71). 977 სტროფს „სპა ლაშქართა“ კი „ნადირთა ჰგვანდეს მსყრელსა“.

ასეთი დიდი მასშტაბის ნადირობას წინ უძღვის დიდი წინასწარი სამზადისი. როსტევანისა და ავთანდილის პირველი ნადირობის წინ მეფემ,

მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“ (71).

ყურადღების ღირსია, რომ „ამირანდარეჯანიანშიც“ აბესალომ ინდოთ მეფემ „მნახავთა მადლი უბრძანა, ვითა: „კარგთა სანადიროთა ში-

გან მანადირეთო“. კვლავ უბრძანა: „აწ, ჩემსა მზესა, წადით და ახლოს ნადირი მომინახეთო“... „წავიდა მნახავი“ და სხვ. [1].

ამრიგად, კოლექტიურ ნადირობაში ერთი პირველი ამოცანათაგანი ნადირის მონახვა, შეგროვება, მორეკვა, დავალებული ჰქონია მონადირეთა გარკვეულ ჯგუფს. პოემაში მათ **მრეკელი, მარეკი** ეწოდება. ტარიელი უამბობს ასმათს:

მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა,
ჰყვეს ლაშქარი უთვალავი, ბარგი მძიმედ აეკიდა,
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი, და (270).

დაეფანჩა მარეკი ნიშნავს: გაეფანტა, გაეშალა ნადირის მომრეკავი. ფრიდონი კი უამბობს ტარიელს: იმის გამო, რომ ფრინველზე ნადირობა მსურდა, „მრეკელი არ ვახშირე-ო“ (602).

კოლექტიური ნადირობისას პოემაში, გარდა მრეკელ-მარეკებისა, გამოყოფილი არიან მ შ ვ ი ლ დ ო ს ა ნ ნ ი ანუ მ ე ს რ ო ლ ნ ი, მ ე ა ბ ჯ რ ე ნ ი, დ ა მ ნ ა ხ ა ვ ნ ი, დ ა მ თ ვ ლ ე ლ ნ ი და სხვ.

შევჩერდეთ მ ე ა ბ ჯ რ ე თ ა ინსტიტუტზე.

ხატაელი ძმები უამბობენ ავთანდილს: ვინადირეთ რა მთელ თვეს. დღეს

ვთქვით: გავაჩიხოთ მართალი, ეინ ვსჯობთ თავისა მკლავითა-ო (202).

ამრიგად მათ გადაუწყვეტიათ შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო

ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია,

დანარჩენები დავითხოვეთ და „ლაშქართა წასვლა ვუბრძანეთ-ო“ (203).

რა მოვალეობა აქვთ დაკისრებული მეაბჯრეებს, ამაზე მიგვითითებს როსტევანის სიტყვები:

მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად,
თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმეელად, მოსახმარებლად (70).

თვით ნადირობის წინაც მეფემ ამ თორმეტ მონას უბრძანა:

მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
ჴშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა (74).

ხოლო როცა ნადირობა დაიწყო,

---

1 ძე. ქართული ლიტ. ქრესტომათია, II, 1949, გვ. 2.

შეჯიბრებულთ. ეს მეაბჯრენი მსროლელთ ნადირობის დროს „უკანა ჰყვებოდეს“ (79). მათი მოვალეობაა, როგორც ვხედავთ, მესროლთ ანუ მშვილდოსანთ ნადირობის დროს მოშლილ-მოდუნებული მშვილდისა და გასროლილი ისრის ნაცვლად მიაწოდონ ფიცხელი მშვილდი და ახალი ისარი.

მეაბჯრეთა, ანუ ახალი ქართული სალიტერატურო ენით — საჭურველთმტვირთველთა მონაწილეობა ასეთ ნადირობაში სავსებით ბუნებრივია. თვით საუკეთესო მსროლელთაც კი მშვილდისა და ისრის მარაგი ხელს შეუშლის, რომ მიზანში მოახვედროს, რაც დიდ მოქნილობას, სისწრაფეს, წონასწორობას, ორიენტირებას და სხვა მამაცურ თვისებებს მოითხოვს. ზურგზე, ან ცხენის ტახტაზე ჩამოკიდებული მშვილდ-ისრის მარაგი კი, ცხადია, გარკვეულ დაბრკოლებას შეუქმნის მოისარს მიზანში სროლის დროს. ეს ხელისშემშლელი გარემოებანი მეაბჯრეთა მეშვეობით იხსნება.

კოლექტიურ ნადირობაში, როგორც ყოველგვარ ნადირობაში, ცენტრალური ფიგურა, ცხადია, არის თვით მსროლელი. თვით როსტევანი, როგორც ვნახეთ, მეაბჯრეთა და სხვათ ნადირობაში იწვევს მოსახმარებლად, დამხმარედ, ხელშემწყობად.

როსტევანისა და ავთანდილის პირველი ნადირობა, როგორც ვიცით, მოეწყო განსაკუთრებული მიზნით. ამის გამო თუმცა ლაშქარნი, სამზოდ მოსულნი, „ისროდეს და ერთგან სრვიდეს“ (73), მათ ამ ნადირობაში მცირე ყურადღება აქვთ დათმობილი. სამაგიეროდ ხატაელი ძმები, რომელთაც „ლაშქარნი უთვალავნი“ ახლდათ და დიდძალი ნადირი დახოცეს, აცხადებენ:

ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით-ო (201).

მესროლთა განსაკუთრებით დიდი ჯგუფი მონაწილეობს ფრიდონის მეორე კოლექტიურ ნადირობაში, ავთანდილთან შეხვედრისას.

როცა ავთანდილმა გაფრენილი ორბი ჩამოაგდო ისრით,

იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს-ო (981),

შენიშნავს რუსთაველი და განაგრძობს: თვით ფრიდონს „ღირსი მას

თანა სროლასა ორმოცი კაცი“ ახლდაო. ამ ნადირობაში მონაწილეობენ ხვა მესროლნიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

პოემით, მსროლელთ, მთავარ მონადირეებს, და შეიძლება, განსაკუთრებით — მაღალ პერსონათ თან ახლავთ არა მარტო მ ე ა ბ ჯ რ ე ნ ი, არამედ დ ა მ ნ ა ხ ა ვ ნ ი ც. ხატაელ ძმებს გადაუწყვეტიათ, რათა გავარკვიოთ, თუ რომელი ჩვენგანი უკეთესი მსროლელი-მონადირეა, შევეჯიბროთ მარტონი,

თავსა ვ ე ა ხ ლ ნ ე თ მ ა რ ტ ო ნ ი, დაედგეთ თავისა თაეთა,
თ ვ ი თ-დ ა ნ ა ხ უ ლ ს ა მოვჰკლევდით, ნუ ვესვრით დ ა მ ნ ა ხ ა ვ ი თ ა-ო (202)

და მხოლოდ მეაბჯრენი უახლებიათ. ამრიგად მეაბჯრეთა გამოყვანა ასეთი ნადირობიდან არც ხერხდება.

კოლექტიურ ნადირობისას, ალბათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ნადირობა მოწყობილია შეჯიბრების მიზნით, ნანადირევის დათვლა-აღრიცხვაც წარმოებს. ამ დათვლა-აღრიცხვას აწარმოებენ მეაბჯრეები, რომლებიც აწოდებენ რა მსროლელთ ისარს, უფრო ადვილად დაადგენენ, თუ ვისი ისრით, ე. ი. ვის მიერ არის მოკლული ნადირი. როსტევანმა ვისაც დაავალა, „მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა-ო“, მათვე უბრძანა:

ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა (74).

წინა დღესაც როსტევანმა ავთანდილს უთხრა: „მონა თორმეტი შევსხათ“ და ვიახლოთ, რომლებიც ისარს მოგვაწოდებენ, ისინივე

ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდნენ უტყუვრად, მიუმცდარებლად (70).

შეჯიბრების შედეგების გამოანგარიშება-დადგენა სწორედ ამ ნასროლ-ნაკრავის გამოთვლის საფუძველზე ხდება: ისარი შეიძლება ნასროლი იქნას, მაგრამ ნაკრავი არ აღმოჩნდეს, გაცუდდეს, დასცდეს. მონებმა სწორედ ამის მიხედვით გამოთვალეს შედეგები და მეფეს მოახსენეს: ავთანდილს

არ დასცდომია არც ერთი, რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოცია (81).

ამრიგად, ნ ა ს რ ო ლ ი და ნ ა კ რ ა ვ ი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პოემისეულ ნადირობაში მონაწილეობენ გაწვრთნილი სანადირო ძაღლები, ავაზები, ქორები და შავარდნები, მაგრამ არა ყოველთვის. ავთანდილს და ტარიელს გარდახვეწილობაში ძაღლები და განსაკუთრებით, ქორ-შავარდნები არც შეიძლება ჰყავდეთ. ზოგიერთ კოლექტიურ ნადირობაში კი ეს დამხმარე ძალა საჭირო არ არის.

სანამ ნადირობისას მათ გამოყენებაზე სიტყვას გავაგრძელებდეთ, ზედმეტი არ იქნება შევჩერდეთ თვით გაწვრთნის, დაგეშვის ფაქტსა და ხერხებზე. რუსთაველი ამათზე, ჩვეულებრივ, პირდაპირ არ ლაპარაკობს, მაგრამ ირიბლად საყურადღებო ცნობებს გვაწოდებს.

დაემშვიდობა რა ავთანდილი ხატაელ (ქურთ) ძმებს,

> ვითა გავაზი გაფრინდა, არ გაშვებული ხუზითაო (214).

შენიშნავს რუსთაველი. გავაზი შევარდენია, ან მიმინო, ხ ე ზ ი — ძაფი, რომელიც გამობმული აქვს შავარდენს ფეხზე საწვრთნელი გაფრენისას, და რომლითაც მას უკან მოზიდავენ დაჭერილი ფრინველის ჩამოსართმევად, რათა ამ გზით ნანადირევის მონადირისათვის ჩაბარება ასწავლონ. სხვა ცნობებს ფრინველთა და ცხოველთა დაგეშვის შესახებ ვერ ვპოვებით, მაგრამ ესეც საკმარისია, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ფაქტზე.

გაწვრთნილ და დაგეშილ ცხოველებსა და ფრინველებს პირველად ვხვდებით იმ ნადირობაში, რომელიც მოეწყო ტარიელის ხატაეთიდან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ. ტარიელი გვიამბობს: გამიწვია რა სანადიროდ მეფემ,

> დარბაზს მივე, დამხვდა ჯარი ავაზისა,
> შავარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა-ო (474).

ტარიელი განაგრძობს:

> მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა,
> იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ჭორისა (477).

ფრიდონი უამბობს ტარიელს:

> დღეს გამოვე ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე,
> ქორის დევნა მომწდომოდა-ო (602).

მეორედაც, „ზღვასა ზედა წაწურვილსა ქედსა“ იგივე ფრიდონი კვლავ უამბობს ტარიელს: ერთხელ, სანადიროდ გამოსული,

აჰა ვდეგ და თვალს ვუგებდი ჭორსა, იქით წანაფრენსა-ო (623).

ხოლო როცა ავთანდილი არაბეთში პირველად დაბრუნდა, როსტევანმა კვლავ ისეთი ნადირობა მოაწყო, რომ

მზესა ჭორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოდა (721).

ე. ი. მზეს ქორები ფარავდნენ, მორბენალი ძაღლები კი მიდამოს მოსდებოდნენო.

დამოწმებული სტრიქონების მიხედვით აშკარა ხდება გაშვრთნილი ცხოველებისა და ფრინველების გამოყენება ნადირობაში. რუსთაველი მისთვის ჩვეული ლაკონიურობითა და სისადავით, მაგრამ ნათლად და სრულად გვიხატავს ნადირობის უაღრესი დაძაბულობის მომენტებს. მეფე ფარსადანი

შეჯდა, ჭორნი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა-ო (367).

როგორც ვხედავთ, აქ დიდი პოეტი ორიოდე სიტყვით ახერხებს ნადირობის დაძაბული ატმოსფეროს სიტუაციის გადმოცემას, მაგრამ დამოწმებული სტრიქონებიდან მრავალი სხვა დასკვნაც გამომდინარეობს.

მონადირენი ხშირად ნადირობენ ცხენებით, რაც ზოგიერთი ხალხის სანადირო ტრადიციებისათვის უცხოა. მონადირე ძაღლები ღუმველად მეძებარნი არიან, მაგრამ შეიძლება ნადირობაში მწევარნიც მონაწილეობდნენ, რომელთაც ავაზებთან ერთად მიჰყვებიან ხოლმე გამოგდებულ ნადირს. აქ აღსანიშნავია, რომ თუ ძაღლებითა და ქორ-შევარდენით ნადირობა ჩვენში არაფერს მოჰლოდნელს არ წარმოადგენს, ეს არ ითქმის ავაზებით ნადირობაზე. ჩანს, საქართველოში ამგვარ ნადირობასაც იცნობდნენ.

დამოწმებული ტაეპების მიხედვით ნადირობა წარმოებს „ზღვასა ზედა ნაწურვილსა“ ქედებზე, საერთოდ, ზღვის პირებზე, მინდვრებზე, მთისა და გორების ძირებზე, ალბათ — კალთებზეც. საერთოდ — ტყე-ღრეებში. ხატაელი ძმები უამბობენ ავთანდილს:

მოვინადირეთ მინდორი, ბისი ტყენი და ღრენია-ო (203).

ნადირობა წარმოებს აგრეთვე „შამბისა პირსა“ (195), ანუ „შამბთა პირსა“ (866).

განსაკუთრებით ხშირად აღნიშნულია, რომ ნადირობას ადგილი აქვს

ველებსა და მინდვრებზე, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. აქ კი ორ გარემოებაზე მივუთითებთ.

ნადირობა წარმოებს საგანგებოდ შერჩეულ, ნადირით მდიდარ, ან ფრინველით განთქმულ ადგილებში. და შესაძლოა სეზონურადაც.

კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით...
სანადირო მოგვეწონა-ო (200), —

აღნიშნავენ ხატაელი ძმები, ხოლო როცა ფრიდონი ფრინველზე ნადირობს, ის უთუოდ ზღვის პირას ტრიალებს. ეს უკანასკნელი გარემოება გადაჭრით იმაზეც მიუთითებს, რომ ნადირობას სეზონური ხასიათი აქვს: ზღვაზე ნადირობა ხომ ხშირად დაკავშირებულია ფრინველის გადაფრენასთან.

ცალკე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ასეთი რაოდენობით დახოცილ ნადირს, ცხადია, დამუშავება სჭირდება, ხოლო მონადირეებს და სალახებს — დაბანა-დასუფთავება. ამის გამო სავარაუდოა, რომ მონადირეთა ბანაკები წყლისა და მდინარის პირებზე ეწყობოდა ხოლმე. მართლაც, პოემაში აღნიშნულია, რომ როსტევანმა და ავთანდილმა პირველი ნადირობის შემდეგ წყლის პირას დასცეს ბანაკი, „მინდორსა იქით“, საცა „წყალი დის“. სწორედ აქ, ამ ადგილას,

იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირთა ხეთასა,
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსი ბზეთასა...
თამაშობდეს და უპვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა (83).

სავარაუდოა, რომ როსტევანი და ავთანდილი დაბრუნდებოდნენ სასახლეში ადრე. ნანადირევის დამუშავება კი გაგრძელდებოდა. ასევე, ხატაელი ძმებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, სანადირო მოგვეწონა, ერთი თვეა ვნადირობთ, და ბანაკიც წყლის პირას გვჭონდა მოწყობილი, „წყლისა პირსა გარდავხედით-ო“ (200).

დაგვრჩენია, სანამ თვით ნადირობის სურათს მოვხაზავდეთ, ერთ საკითხსაც შევეხოთ. ეს არის საკითხი სანადირო ჩაცმულობის შესახებ.

როდესაც გადაწყდა, რომ როსტევანი და ავთანდილი შეეჯიბრებოდნენ ნადირობაში, და დღეც დაინიშნა,

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად, ბროლ-ბადახშოსანი;

პირ-ოქრო რიდე ეხვია, შეენოდა ქარქაშოსაბი,
მეფესა გაბლვად აწვევდა...
შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გაემეიდეს (72, 73).

ამრიგად, ავთანდილი ძოწეულითა მოსილი გამოცხადდა და პირ-ოქრო რიდე ეხვია მას, მეფე კი შეეკაზმა...

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილის ძვირფასი ჩაცმულობა შეიძლება არ მოგვეჩვენოს სპეციალურ სანადირო ჩაცმულობად, აქ უთუოდ სწორედ ამგვარ ჩაცმულობაზეა ლაპარაკი, ისევე, როგორც შეეკაზმა მეფე ამგვარსავე სპეციალურ სანადირო ტანსაცმლით მოკაზმვას გულისხმობს. ამას ნათელყოფს ამ სტროფების სხვა მომენტებთან დაპირისპირება. თინათინი, მაგალითად, მამამ გამეფების დღეს „შემოსა მეფეთა სამოსელითა“ (45). ხატაელებთან ბრძოლის დაწყების წინო, გვიამბობს ტარიელი —

ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა.
დაეეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა...
მიეეახლენით, შეგვატყვეს მათ ტახსა აბჯარ-ცმულობა-ო (441—442).

და სხვ. „მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულებრ, ხამითა“ (1217) იყვნენ მგზავრები, რომელთაგანაც ფატმანმა ნესტანის ადგილსამყოფელი გაიგო, ხოლო ხატაელთით დაბრუნებულ ტარიელს მეფე-დედოფალმა უთხრა:

თვით შეიკერე რაცა გწადს, ჩვენგან ნუღარა გრცხვენიან (486).

ამრიგად, პოემით ჩაცმულობა თუ სამოსელი სხვადასხვაგვარია: მეფეთა, სახელისუფლო, მონური, მგზავრული და სხვ. ამის გამო უთუოდ უნდა დავუშვათ, რომ „მეფე ქვე ჯდა შეკაზმული“ (474), აქ ნიშნავს: მეფე ელოდებოდა ტარიელს სანადიროდ ჩაცმული, ხოლო „მეფე მინდორს ეკაზმოდა“ (720) იგივეა, რაც მეფე სანადიროდ ეწყობოდა, ემზადებოდა.

ამასვე ადასტურებს სხვა გარემოებანიც.

როცა ნესტანის ხილვით ელდანაცემი ტარიელი გამობრუნდა, იმ მეფემ სანადიროდ წაიყვანა. ტარიელი აღნიშნავს:

დარბაზს მივე. მეფე ბრძანებს: „ამის მეტსა ნუ იქ აბა!“
ცხენსა შემსვა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა-ო (367).

აქ გადაჭრით აღნიშნულია, რომ ამ ნადირობაში ტარიელი მეფემ გაიწვია, როგორც მაყურებელი, გასართობად, რის გამოც წელთა

არა არ შეაბა მას, არ შეაიარაღა, არ მოჰკაზმა. სანადიროდ მიმავალი ტარიელი ერთგან კიდევ აღნიშნავს, „შევეკაზმე, დარბაზს მივე-ო“ (474), საიდანაც ისა და მეფე სანადიროდ მიდიან. ოღონდ ტარიელი ამ ნადირობაში ვერ მიიღებს უშუალო მონაწილეობას: ის ამჟამად დაჭრილია. აკი თვითვე აღნიშნავს:

ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება-ო (481).

ცალხელა კაცი, ცხადია, ვერ ინადირებს. სხვაგან ტარიელი საგანგებოდ აღნიშნავს:

ომგარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანნი კაბანი-ო (478).

ამრიგად, 474 სტრ. შევეკაზმე ნიშნავს მოვეწყე, გამოვეწყე. მართლაც, ტარიელი ამ ნადირობიდან უნდა გაემგზავროს სასახლეში, ნადიმზე, სადაც მას მოელის ნესტანთან პირისპირ შეხვედრა. ამის გამო იგი სანადიროდ გამოცხადდა სადარბაზოდ მოკაზმული, და არა სანადიროდ ჩაცმული. როგორი იყო ეს სანადირო ჩაცმულობა, სამწუხაროდ, პოემიდან არ ჩანს.

შეიძლებოდა ზოგიერთ მცირე და წვრილმან საკითხებზე კიდევ შევჩერებულიყავით. მაგრამ გადავდივართ თვით ნადირობის, მისი ჩატარების წესების საკითხებზე. მათ შესახებ ზოგიერთი რამ თუმცა უკვე ითქვა, ზოგიერთი კიდევ გარკვევას მოითხოვს.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ კოლექტიური ნადირობის დროს შრომა და მოვალეობანი დანაწილებულია. მრეკელთა ანუ მარეკთა პირველი, ძირითადი მოვალეობაა რაიმე საშუალებით მორეკონ, გამორეკონ ხოლმე ნადირი ერთი მიმართულებით, ან სანადირო ველზე. ეს საშუალებები უნდა იყოს ქოს-დაბდაბთა, დაბდაბ-ნობთა და, ალბათ, სხვა გრუხუნა, მყვირალა დოლებისა და საყვირების ხმაური, შეძახილები, კივილი, სტვენა და სხვ. ეს ხმაური შიშის ზარს დასცემს ნადირს და მას ერთი, მონადირეთათვის სასურველი მიმართულებით გამოდენის. როსტევანისა და ავთანდილის მეორე ნადირობის დროს „მოემზადა დაბდაბ-ნობი“ (720) და საჭიროებისას ისე ახმაურდა, რომ

ქოს-დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა (721).

ასევე, როცა ავთანდილი „მულღაზანზარს მიეახლა“, ნახა, რომ ვიღაცა დიდი ლაშქრის თანხლებით ნადრიობდა. ავთანდილმა ერთ-ერთ შემხვედრს,

უბრძანა: ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?
მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა

ნადირობს, „შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა-ო" (978).

ასეთი ზათქისა და ზარის მეშვეობით მოერეკებიან ნადირს მრეკველნი.

ახლა, როგორ ხდება ნადირის დახოცვა.

როდესაც სათანადოდ შეკაზმულ-შემზადებული როსტევანი და ავთანდილი სანადიროდ გამოვიდნენ, მათ ნახეს, რომ მრეკველთა თუ მარეკთა ლაშქარი,

მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყას გარე შემოჰკერიდეს (73).

მაშინ „დაიწყო მოსლვა ნადირმან" (74) და მალე „მოვიდა ჯოგი ნადირთა"...

მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჰვრეტადმცა სჯობდა რომელი (75).
ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიასხმიდეს (76).
ვგი მ ი ნ დ ო რ ი დ ა ლ ი ვ ე ს, მართ მ ა თ გ ა ნ გ ა ნ ა რ ბ ე ნ ი ა.
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია.
ნადირი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია,
იგი მაშვრალნი ორღივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია (78).

ნადირობაც დასრულდა.

უფრო ნათელი სურათის დახატვა შეუძლებელია. მრეკველებს, რომელთაც გარემოუცავთ სანადირო ადგილები, რკალის თანდათანი, ალბათ ხმაურითა და ზათქით, შევიწროების, შეკუმშვის შედეგად ნადირი ალყაში მოუმწყვდევიათ. ნადირობის დაწყებისას მათ თვითვე გაუხსნიათ ეს ალყა, ნადირისთვის გზა მიუციათ გაუვალი ტყისაკენ, რომელსაც მდინარე და კლდეები საზღვრავენ, და მხოლოდ ორი (თუ სამი) მხრით ნახევარწრედ, რკალისებურად შემორტყმიან მას. ლტოლვილ ნადირს კვალ-და-კვალ ჯლეტით დადევნებია სროლაში შეჯიბრებული ორი გააფთრებული მშვილდოსანი...

ასეთია კოლექტიური ნადირობისას ნადირის ჯლეტის ერთი მეთოდი, თუ ხერხი, სახე.

ნადირის დახოცვას სხვა სახით აწარმოებენ ფრიდონი და მისი მონადირენი.

როდესაც ავთანდილი მულღაზანზარს მიუახლოვდა, მან ნახა, რომ მონადირეთა ლაშქარს,

ყოველგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა (977).

როგორც ვნახეთ, მას კიდეც უთხრეს, ფრიდონ ხელმწიფეს „მეუქრავს ნაპირი ველ-შამბნარისა-ო".

ამ დროს ლაშქრის გარემოცვის შუაგულიდან, „ყოლბსა შუა" (980) ორბი გადმოფრინდა, რომელიც ავთანდილმა ისრით ჩამოაგდო. მონადირეთა გაოცება უსაზღვროა:

იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს (981).

ფრიდონს გაუკვირდა: „რა ქმნესო, მისთა სპათათვის წყრებოდა" (982).

ფრიდონ მონა გამოგზავნა: წა, ნახეო ისი სპანი,
რა ქმნეს, ალყა რად მოშალეს, სად წადიან, ვითა ბრძანი (983).

მხოლოდ ასე მკაცრად დაყენებული კითხვაც მოწმობს, როგორ ორგანიზებულად ტარდება კოლექტიური ნადირობა, რა მკაცრად იცავენ მონაწილენი ნადირობის წესებსა და დისციპლინას.

მაგრამ დავუბრუნდეთ თვით სურათის ანალიზს.

სად არის ამ დროს ფრიდონი?

მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;
ღირსი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ხლებოდა (982).

სურათი აქაც ნათელია: გარემოცულ, ალყაშემორტყმულ ნადირს ისარს ესვრიან როგორც მოალყე-მრეკველნი, ისე მინდვრის შუაგულს ამაღლებულ გორზე ჩასაფრებული ფრიდონი და მისი საუკეთესო მსროლელნი. ნადირის დახოცვა, ისრის სროლა დაწყებულა ნადირის შექუჩების, თუ შეიძლება ითქვას, შეგროვების, თავისმოყრის შემდეგ: ამ ნადირობისას მონადირენი არა გზადაგზა „მიჰხოცდეს და მიისროდეს" ნადირსა და ისარს ლტოლვილი ნადირის სრბოლის მიმართულებით, არამედ,

ისვრიან და იზახიან, მხეცთა სჭრიან, ვითა მჭელსა (977) —

ცხადია, როგორც გარემომცველები, ისე ჩასაფრებულნი.

ასეთია ნადირის დახოცვის მეორე წესი.

მხეცსა და ნადირზე ნადირობის წესებისაგან განსხვავდება ფრინველზე ნადირობის წესები.

თუ მხეცებზე ნადირობისას ვხვდებით მარეკებს, მოალუებს, მშვილდოსანთა და მსროლელთა და სხვ., ფრიხელზე ნადირობა უფრო ნაკლები რაოდენობის მხლებელთა და თანაზიარეთ მოითხოვს. როგორც უკვე ვნახეთ, ფრიდონმა უთხრა ტარიელს: რადგან დღეს „ქორის დევნა“ მოვისურვე, ამიტომ „მრეკველი არ ვახშირე“-ო,

Სჯათა ეუთხარ: „მომიცადე, მოვიდოდე მეცა ვირე“.
ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დაეიჭირე-ო (602).

ფარსადანმაც ერთხელ, როცა „ქორნი მიუტევნა“, რის შედეგადაც „დურაჯები დაინაბა“, მხოლოდ „მშვილდოსანნი გასაგანნა“ (367), მშვილდოსანნი განარიგა, მაგრამ არა ალყად, ან ფრინველთა გარემოცვად: აზრად არავის მოუვა გარეული ფრინველის სამყოფელი მიმართულებით გარეკვა, ან გარემოცვა და ალყაში მოქცევა. შეცდომა არ უნდა მოგვივიდეს იმის გამო, რომ ერთ ნადირობაში, რომელშიც ქორ-მეძებრებიც გამოიყვანეს, „ქოს-დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა“. ამავე სტროფის საფინალო ტაეპში ვკითხულობთ:

მას დღეს მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა-ო. (721).

დაკოდილი ფრინველის სისხლი, რა თქმა უნდა, ველს არ მოესხმებოდა (იმდენი არ იქნებოდა): ამ დღეს ნადირზეც უნადირნიათ. ამას გარდა, საეარაუდოა, რომ სანადირო ქორ-შევარდენი და ძაღლები გაწვრთნილი არიან სწორედ ქოს-დაბდაბთა ხმაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნადირობისას ფრინველს ქორებსაც მიუტევენ ხოლმე, მაგრამ მშვილდოსანნიც ესვრიან, და, ცხადია, მოინადირებენ კიდეც.

ასეთია პოემაში შემოტანილი სურათებისა და ცნობების მიხედვით ნადირობის ორგანიზაცია, ტექნიკა, ობიექტი, სანადირო ადგილების ბუნება და რელიეფი, ფლორა და ფაუნა, და ის ეკონომიური ეფექტი, რომელსაც იძლევა ნადირობა.

გადავიდეთ ამის შემდეგ ამ ნადირობის ზოგადი საკითხების მიმოხილვაზე.

როგორც მკითხველი თვით დარწმუნდებოდა, ჩვენი ანალიზი ეძყარება მხოლოდ პოემის ტექსტს: ჩვენ გავშიფრეთ მხოლოდ პოემისეული სურათები და ცნობები. ამ ანალიზის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ.

რომ პოემისეული ნადირობა ქართული ნადირობის მხატვრულ ასახვას და უკუფენას წარმოადგენს.

აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებენ უაღრესად საყურადღებო ფაქტები. პირველი მათგანია თვით რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი, რომლის მეობებითაც უდიდესმა მხატვარმა სწორუპოვარი ტაქტით და ზომიერებით ასახა მე-12 საუკ. საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, კულტურული სინამდვილის სხვადასხვა მხარეები და გამოვლინებები: პატრონ-ყმობა, სახელმწიფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული წყობილება და მართვა-გამგეობა, სამხედრო საქმის დაყენება, იდეოლოგია და ფილოსოფიური შეხედულებანი და თვით სასახლეების თუ დაბალი სოციალური ფენების ყოფა-ცხოვრებითი კულტურა და ეთნოგრაფიული სინამდვილეც კი.

აღნიშნული გარემოებანი რუსთაველმცოდნეობაში დღეს აღარავისთვის საეჭვო აღარ არის. მაგრამ თუ რუსთაველმა ინდოეთის, არაბეთის და სხვ. ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური, კულტურული გარემოებანი ქართული სინამდვილის მიხედვით დახატა, შეუძლებელია დავუშვათ, რომ მან დასახელებული ქვეყნების ეკონომიკის დასურათებას საფუძვლად უცხო მხარეების სინამდვილე დაუდო. მე-12 საუკ. საქართველოს ეკონომიკაში კი, გარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისა (საერთოდ, სოფლის მეურნეობისა), განსაკუთრებული ადგილი ჭირა 1. ხარკებს, რომელიც სახელმწიფოს შემოსდიოდა დაპყრობილი ქვეყნებიდან, 2. ვაჭრობას, რომელსაც ქვეყანა აწარმოებდა საშინაო თუ გარე ბაზრებზე, 3. ნადირობას, რომელიც შედარებით მცირე შრომით უზარმაზარ ეკონომიურ ეფექტს იძლეოდა, და 4. ხელოსნობას.

რუსთაველის სახელმწიფოების ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ სამ ეკონომიურ ფაქტორს: პოემის მკითხველს კარგად ახსოვს ინდოეთ-ხატაეთის ურთიერთობა, ვაჭრობის როლი გულანშაროს ცხოვრებაში და, დასასრულ, ჩვენ მიერ გაანალიზებული ნადირობის ეკონომიური ეფექტი. „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა. თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო". მოახსენეს ერთხელ თამარს. რა ახლოს დგას ამ განცხადებასთან ნესტანის პრეტენზიები ხატაეთის მიმართ:

ხატაეთს მყოფი ყველაი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია (377).

პოემაში გვხვდება მეტად საყურადღებო შენიშვნები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, მარცვლეული კულტურების თუ ხელოსნების შესახებ, მაგრამ მასში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება მათ ეკონომიურ მნიშვნელობასა და ეფექტზე. ეს არა იმიტომ, რომ მათ საქართველოს მეურნეობასა და ეკონომიკაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირათ, არამედ სხვა გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა ჩვენი ქვეყნისათვის არ წარმოადგენდა სპეციფიკურს: მეურნეობის ამ დარგებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაშიც. მეორე და მთავარი კი ის არის, რომ რუსთაველი ქალაქური ყოფის მხატვარია და არა სოფლის სინამდვილისა.

ამ თვალსაზრისით შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ერთ გარემოებასაც: პოემაში არა თუ თევზჭერისა და მეთევზეობის შესახებ არაფერია ნათქვამი, თევზის სახელიც კი არ გვხვდება. მართალია, ნადირობა, ძველი ქართულით, თევზაობას, თევზის ჭერასაც გულისხმობს, მაგრამ პოემაში ამ ტერმინით აღნიშნულია მხოლოდ და მხოლოდ ნადირობა და ფრინველზე ნადირობა. თვით ფრიდონიც კი, რომელიც ხშირად ნადირობს ზღვასა და ზღვის პირებზე, მხოლოდ და მხოლოდ ქორ-შევარდნებით ნადირობაზე ლაპარაკობს, რაც, ცხადია, გადაჭრით გამორიცხავს თევზჭერას. ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ თუ ჩვენი ხალხი მეთევზეობას მისდევდა, მას საქართველოს ეკონომიკაში მაინც არ ეჭირა სერიოზული ადგილი. ყოველ შემთხვევაში. ჩვენი საისტორიო წყაროები და მხატვრული ლიტერატურა მეთევზეობაზე და თევზჭერაზე საქართველოში ცოტას ლაპარაკობენ, მაშინ, როცა ნადირობაზე ვრცელი ცნობების მოწოდებას თითქოს თავის მოვალეობად თვლიან.

ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პოემაში ნადირობის სცენებისა და სურათების შემოტანის ძირითადი მოტივი ქართულია. და ქართული სინამდვილის ამსახველადვე უნდა ჩაითვალოს პოემისეული ნადირობის ეკონომიური ეფექტიც.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც პოემისეული ნადირობის ქართულობას ადასტურებს, არის მათი იდენტურობამდე ურთიერთ მსგავსება.

მართლაც, არ შეიძლება მნიშვნელობა არ მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ პოემისათვის უცხოა ყინულოვან ზღვებსა და ველებში, უდაბნოებ-

სა და ტროპიკებში, ან ტუნდრებსა და ტაიგებში ნადირობა თეთრ დათვებზე და სელაპებზე, მგლების ხროვასა და ტურების გუნდებზე, ნიანგებსა და ქვეწარმავლებზე, სპილოებსა და ბიზონებზე, მარტორქებსა და ბეჰემოთებზე, რასაც არ იცნობს ქართული სინამდვილე; პოემისათვის უცხოა ნადირობა ქამანდებით (ლასო), საბროლი ბარჯებით, ჰვილებით, სატყორცნი სწორი და რკალისებური შუბებით (ბუმერანგებით), საჰაერო სატყორცნებით, ან სხვა ისეთი საშუალებებით, რაც უცხოა როგორც ქართული სინამდვილისათვის, ისე ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ გავრცელებული იყო სხვა ხალხებში მათი ქვეყნების გეოგრაფიული პირობების, ფლორის, ფაუნის და ნადირობის სხვა ხელშემწყობ გარემოებათა შესაბამისად.

სამაგიეროდ პოემაში მისი გმირები ზოგჯერ ცხენდაცხენ ნადირობენ, რაც დადასტურებულია მხოლოდ ზოგიერთი ხალხის, მათ შორის. ქართველი ხალხის სანადირო პრაქტიკაში; პოემით, ნადირობენ ირმებსა, ქურციკებსა, კანჯარსა და თხაზე. განსაკუთრებით ხშირად აღინიშნება ნადირობა თხაზე, განთქმულ კავკასიის ჯიხვზე, რაც ამ ცხოველის სიმრავლესა და მასზე ნადირობის პროდუქტიულობაზე მიუთითებს; ეს გარემოება ქართული ყოფის პირდაპირი ანარეკლია. პოემაში ნადირობენ არა მარტო ქორ-შევარდნებითა და ძაღლებით, არამედ ავაზებით. ავაზებით ნადირობა კი ქართულ მოვლენად გამოიყურება, სხვა ხალხების ცხოვრებაში იგი ნაკლებად გვხვდება. ნადირობაში არ მონაწილეობს აგრეთვე ქალი, რაც სიმპტომატურ მოვლენად გამოიყურება.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ პოემისა და ქართული ნადირობის იდენტურობის სხვა მაჩვენებლებზე. როცა, მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვიამბობს: „სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე და სიტურფე და მოკაზმულობა არაოდეს ვისგან ქმნილა“ უკეთესი, ვიდრე გიორგი მესამის კარზეო, ან, „იყო ნადირობა მთათა და ბართა-ო“, უნებლიეთ გაგონდებათ ზემოთ მრავალჯერ დამოწმებული ტაეპები.

> მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა,
> იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა...

აქ მხოლოდ რუსთაველის სანადირო ლექსიკას ამოვწერთ. გარდა თვით ნადირობისა და მისგან წარმოებულთა (სანადირო, მონადირე და

სხვ.), ამ ზმნებით (ვინადირეთ, მოვინადირეთ, ნადირობს, ნადირობდა და სხვ.), პოემაში ნადირობასთან, ნანადირევთან დაკავშირებულია:

1. მშვილდი,
2. ისარი,
3. მშვილდოსანი,
4. მეროლი,
5. მეაბჯრე,
6. დამნახავი,
7. მარეკი, მრეკელი,
8. ალყა,
9. მოალყე,
10. ნაკრავი,
11. ნასროლი,
12. მხეცი,
13. ფრინველი,
14. ირემი,
15. თხა,
16. კანჯარი,
17. ქურციკი,
18. გავაზი,
19. ვეფხი,
20. ყარყუმი,
21. ჯოგი ნადირთა,
22. დურაჯი,
23. ვეფხის ტყავი,
24. ირმის ტყავი,
25. ქორი,
26. შავარდენი,
27. ძაღლი,
28. ავაზა,
29. მწვადი,
30. ხმელი ხორცი,
31. ტყე,
32. ველი,
33. მინდორი,
34. მთა,
35. ძირი მთისა,
36. გორი,
37. ნობი,
38. დაბდაბი,
39. ქორი მიუტევნა,
40. დურაჯები დაინაბა,
41. თვალის გდება განაფრენი ქორისადმი,
42. ქორი განაფრენი,
43. ძაღლთა რბოლა,
44. ხეზი,
45. გნოლი,
46. იხვი,
47. კაკაბი,
48. ორბი,
49. მერანი,
50. ტაიჭი,
51. ცხენი,
52. ყოლბი,
53. ქედი,
54. ზღვისპირი,
55. ტყორცნა (ისრისა),
56. ლაბეარათა სობა,
57. დაცთომა (არ დასცთომია) ისრისა,
58. მიწითა დასვრილი (ისარი),
59. დახოცვა და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად აღნიშნულია, რომ ნადირობის წესები და ტრადიციები ძალიან ნელა, ან სულაც არ იცვლებიან. კიდევ უფრო ნელა იცვლება ნადირობის ლექსიკონი. ყველა ქართველი მონადირე, განსაკუთრებით, რომელსაც მონაწილეობა მიუღია კოლექტიურ ნადირობაში, აქ თავის საქმიანობას და სანადირო გარემოს იცნობს, თუ მშვილდ-ისრის ნაცვლად თოფს ივარაუდებს, რადგან ამ უკანასკნელმა დიდი ხანია ხმარებიდან გააძევა მშვილდ-ისარი.

გადავიდეთ დასკვნებზე.

1. პოემაში დიდი ყურადღებით, სიმართლით და იშვიათი მხატვრული სრულყოფით არის ასახული მე-12 საუკ. ჩვენი ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სინამდვილე. ასეთივე ყურადღებით ჩერდება პოეტი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ფაქტორების ასახვაზე. ესენია: ბარკები, ვაჭრობა, ნადირობა.

2. პოემაში შემოტანილი ნადირობის 16 შემთხვევიდან არც ერთი არ არის თვითმიზნური, ინტერმედიული, განცალკევებული: ყველა მათგანი ორგანულ კავშირშია ან სიუჟეტის განვითარებასთან და მასში რაღაც ფუნქცია აქვს დაკისრებული, ან ამა თუ იმ სიტუაციასთან, ხასიათთან, სახის თუ ეპიზოდის მთლიანობასთან. ამავე დროს ნადირობის სურათებში ადგილი არა აქვს ფანტასტიკას, დაუჯერებელ კოლიზიებს: პოემაში წარმოდგენილია ნადირობის რეალისტური სურათები.

3. პოემაში ნადირობას ორგვარი მიზანი გააჩნია: წმინდა ეკონომიური, როცა ზოგჯერ ადამიანის თვით არსებობაც კი დამოკიდებულია მხოლოდ ნადირობაზე, და სასპორტო-სანახაობითი, როცა ნადირობა ასპარეზობისა და ზეიმების კომპონენტია. მაგრამ არც აქ არის უგულებელყოფილი მისი ეკონომიური ეფექტი და მნიშვნელობა. ასეთი ნადირობა გმირობისა და მშვილდოსნობის ერთგვარი სკოლა და ასპარეზია.

4. ნადირობა ორგვარად წარმოებს: ინდივიდუალურად, ან ორი-სამი ამხანაგისა ერთად, და კოლექტიური წესით. პოემაში ინდივიდუალური, ჯგუფური ნადირობის სურათები დიდ ტილოებად არ არის გაშლილი, კოლექტიური ნადირობა კი ავტორის უდიდესი ყურადღებით სარგებლობს.

5. კოლექტიური ნადირობის დროს, რომელიც უდიდესი მასშტაბებით ეწყობა, შრომა განაწილებულია მარეკათა, მოაბჯრეთა, ბაზიერთა, მსროლელ-მშვილდოსანთა, დამნახავთა და აგრეთვე კურძვალთა. მებარგულეთა და ნადირობის სხვა მონაწილეთა შორის, რომელთაგან უკანასკნელნი პოემაში არ იხსენიებიან, მაგრამ უთუოდ იგულისხმებიან.

6. პოემაში ხაზგასმულია ნადირობის უდიდესი ეკონომიური ეფექტი. როსტევანმა და ავთანდილმა ერთ დღეში 2000 ნადირი დახოცეს.

ხატაელი ძმები აცხადებენ: „ავყარენით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა“ და გავისტუმრეთ შინო.

7. ნადირობის ობიექტია როგორც მხეცი (უსურმაგი), ისე ნადირი და ფრინველი. ნანადირევისა ხორცის გარდა გამოყენებაშია ტყავი და ბეწვეული. ნადირთაგან, რომლის ხორციც იჭმება, დასახელებულია, როგორც ნადირობის ობიექტი, ირემი, თხა, ქურციკი. ამათ შორის მომწყვდეული კანჯრის ხორციც, სავარაუდოა, იხმარებოდა საკვებად. ფრინველთაგან ნადირობა წარმოებს დურაჯებზე. ჩანს, რუსთაველი იცნობს კაკბების ჭერას მახეებით და ველებზე ქორ-შევარდნებით ნადირობას. ორბისა გამოყენებაშია ფრთები.

8. ნადირობა ხდება გაწვრთნილი ძაღლების, ავაზების, ქორებისა და შევარდნების გამოყენებით.

9. სანადირო იარაღია მშვილდისარი, და ზოგჯერ ხმალი. სხვა სანადირო იარაღი პოემაში არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ავტორი იცნობს ფრინველთათვის მახეების დაგების საქმეს.

10. ნადირობა ხდება საგანგებოდ შერჩეულ ადგილებში, ტყეებსა და ველებში, მინდვრებზე, მთებისა და გორების კალთებზე, ზღვის პირას და სეზონურად; ნადირობა ზოგჯერ მთელი თვეობით გრძელდება; ნანადირევის დამუშავება ხდება მდინარის პირებზე, სადაც ეწყობა ხოლმე მონადირეთა ბანაკები.

11. ოთხფეხზე ნადირობისას ერთ შემთხვევაში მრეკელნი ერთი მიმართულებით გაირეკავენ ხოლმე ნადირს; უკან ცხენით მიდევნებული მესროლნი კი „მიჰხოცდეს და მიისროდეს“ ნადირსა და ისარს. ზოგ შემთხვევაში კი წარმოებს გამორეკილი ნადირის ალყაში მოქცევა, სადაც მას ესვრიან ალყის შუაგულში, ამაღლებულზე დაბანაკებული მესროლნი, და მოალყენი. ფრინველს, რომელზე ნადირობაც უფრო მცირე რაოდენობის მონაწილეს მოითხოვს, მიუტევენ ქორ-შევარდნებს, მაგრამ ესვრიან ისარსაც, და, ცხადია, მოინადირებენ ამ გზითაც: ფარსადანმა ერთხელ „ქორნი მიუტევნა“ და როცა „დურაჯები დაინაბა“. მან „მშვილდოსანნი გასაგანნა“.

12. პოემაში არაფერი გვხვდება ნადირობის რიტუალსა და წესჩვეულებებზე: პოემაში ლაპარაკი არ არის აგრეთვე თევზაობის და თევზჭერის შესახებ.

13. პოემისეული ნადირობის სურათებისა და მონაცემების შედარება და დაპირისპირება ქართულ და სხვა ხალხების ნადირობის მონაცემებთან უეჭველს ხდიან, რომ ამ სურათებში წარმოდგენილია ქართული ნადირობის მხატვრულ-რეალისტური ასახვა და ხაზგასმულია მისი უდიდესი სასპორტო-სანახაობითი და ეკონომიური მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში.

1956—61 წწ.

რუსთაველის ბიბლიოგრაფიისა და ტექსტის დადგენის საკითხები

ტუსენისეული მასალების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის

უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის მანძილზე ქართული ლიტერატურის ისტორია და კერძოდ, რუსთაველმცოდნეობა უმნიშვნელოვანესი მონაპოვრებით გამდიდრდა. ერთ-ერთი ამათთაგანია 1942 წ. უცხოეთში ფრ. ტუსენის მიერ გამოქვეყნებული „ნაწყვეტი“ რუსტუალ-ის „ვეფხის ტყავისა“ და სხვა ქართველ პოეტთა თხზულებები. თუმცა ხსენებული მასალები და მათ შესახებ მოპოვებული ცნობები ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მონაცემებით ღარიბია, მაგრამ არც იმდენად, რომ ამის გამო ამ მასალების მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა შეუძლებლად ან ნაადრევად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ თვით ტექსტები, როგორც ლიტერატურული ფაქტები, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას იძლევიან. ასეთ ვითარებაში ამ მასალების შესახებ ჩვენ მეტიც რომ ვერაფერი გავიგოთ, რაც ვიცით, მათი მნიშვნელობის საკითხი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და რუსთაველმცოდნეობისათვის მაინც უნდა გადაიჭრას.

ფრ. ტუსენის მიერ მოპოვებული მასალები ქართულ საზოგადოებრიობას 1949 წ. იანვარში გააცნო გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ (№ 246) ს. ფირცხალავას საინფორმაციო წერილით „რუსთაველის უცნობი ლექსი არაბულ ენაზე“. ავტორი გვატყობინებდა, რომ რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში, ქ. მარსელში, ფრანგულ ენაზე გამოვიდა ორიენტალისტ ფრანც ტუსენის მიერ არაბულიდან ნათარგმნი „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“, კრებული, რომელშიც შეტანილია ოთხი ქართველი პოეტის ლექსების პროზაული ტექსტები და სხვ. თუმცა ცნობა გვერდს უვლიდა და უპასუხოდ ტოვებდა მთელ რიგ უძირითადეს ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ საკითხებსა და კითხვებს,

მის ავტორს მაინც დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ ხსენებული უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობა რუსთაველის და მისი დღემდე უცნობი სტრიქონების შესახებ, სხვა საყურადღებო ცნობები, აგრეთვე ამ მასალების პირველი ქართული თარგმანი ქართულ პრესას პირველად მან მიაწოდა. ახლახან კი ჟურნალ „დროშაში“ (№ 11, 59 წ.) გამოქვეყნდა მ. მამულაშვილის წერილი თითქმის იმავე სათაურით: „რუსთაველის უცნობი ლექსი“, რომელიც საკითხის უფრო ღრმად შესწავლის საფუძველზეა დაწერილი. წერილში, გარდა თვით ფრანგული ტექსტის ანაბეჭდისა, გამოქვეყნებულია ხსენებულ ლექსთა იმავე ავტორის მიერ შესრულებული უფრო ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანები. ფრ. ტუსენის ტრანსკრიპციით და რიგით ეს ავტორებია: თავადი ზუმალი, შავტალი, რუსტუალ და ერთი ანონიმი, რომელთა ლექსები, შესაბამისად, დასათაურებულია: „ვარდი“, „დაბრკოლება“, „ვეფხის ტყავი“ (ნაწყვეტი), „ღამე“. აღნიშნული ლექსები შეტანილია განყოფილებაში „საქართველოს სიმღერები“, რაც კარგად ჩანს ხსენებული ანაბეჭდის მიხედვითაც.

მ. მამულაშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ენერგიული ღონისძიებებისა, რომლებიც მიღებულ იქნა ყველა საჭირო ცნობების შესაკრებად, ჯერჯერობით ტუსენის არაბული ორიგინალის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ თვით ფრ. ტუსენის ჩვენების თანახმად, მისი კრებულის ქართული მასალების (თუ მთელი კრებულის) არაბული დედანი, რომელიც ეკუთვნის აბულ-ფარაჯს, ინახება კაიროს უნივერსიტეტის წიგნთსაცავში. აბულ-ფარაჯი კი, მ. მამულაშვილის აზრით, არის მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის სირიელი მოღვაწე აბულ-ფარაჯ ბარ ჰებრეუსი, რომელიც არაბულადაც წერდა და ერთხანს მეზობელ სომხეთშიც მოღვაწეობდა, როგორც ეპისკოპოსი.

ჭაიროს ხელნაწერის წარმომავლობა (თვით აბულ-ფარაჯისეული ავტოგრაფია თუ მისგან მიმდინარე რომელიმე პირი), თარიღი, შედგენილობა (რამდენად ემთხვევა ტუსენის „სიმღერების“ შედგენილობას რაოდენობრივად და ცალკეული სიმღერების მოცულობით) და სხვა საკითხები ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველია. მაგრამ შესაძლოა ჭაიროს ხელნაწერი აღარც აღმოჩნდეს, ან მისი მიკვლევის შემთხვევაშიც ამაზე ბევრად მეტი ვერაფერი გვითხრას ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ. ამის გამო აქვე უნდა გადაიჭრას ამ მასალებისადმი

ნდობის, ამ მასალების მეცნიერული ღირებულების საკითხი, რაც ამჟამად ხელთ გვაქვს, რა სისრულისაც არ უნდა იყოს ისინი.

საბუთაროდ, აღმოჩენილან სერიოზული ადამიანები, რომელთაც ეს მასალები ეპყრის ქვეშ დაუყენებიათ.

ეპყრის შეტანა ცნობილი ორიენტალისტის ფრ. ტუსენის აღმოჩენის სიმართლეში დიდი უმადურობა იქნებოდა ჩვენის მხრივ ღვაწლმოსილი ფრანგი მეცნიერის მიმართ, საეჭვო კი ისაა, რომ ვისიმე საამებლად, ან გამოჯავრებით სერიოზულმა მეცნიერმა და მთარგმნელმა თავისთავს ცრუმეცნიერისა და ყალბისმქნელის სამარცხვინო რეპუტაცია მოუპოვოს. მისი კრებულის დედანი სრულებითაც რომ გაქრეს, ამით მისი აღმოჩენისა და მის მიერ მოპოვებული მასალების ფასი და მნიშვნელობა ოდნავადაც არ შემცირდება, ისევე, როგორც დღეს არავის საეჭვოდ არ მიაჩნია რეალურობა და მნიშვნელობა ისეთი ძეგლისა, როგორიცაა „სიმღერა იგორის ლაშქრობის შესახებ“. ცნობილია, რომ მისი ძველრუსული ხელნაწერი, დედნის ერთადერთი ცალი, მოპოვებული მუსინ-პუშკინის მიერ, 1812 წელს მოსკოვის ხანძარში ჩაიფერფლა. ამის გამო ზოგიერთმა ურწმუნო თომამ ხსენებული „სიმღერის“ არსებობა გამონაგონ ფაქტად მიიჩნია.

უკიდურეს სკეპტიკოსებს, ცხადია, შეუძლიათ სადავოდ აქციონ არა ფრ. ტუსენის მეცნიერული კეთილსინდისიერება, არამედ უნდობლობა გამოუცხადონ მის წყაროს, განაცხადონ, აბულ-ფარაჯმა შემოგვინახა არა რუსთაველის და სხვა ავტორთა ნამდვილი სტრიქონების თარგმანები, არამედ ჩაიდინა რაღაც სიყალბე, მოიგონა სახელები, მიაწერა მისთვის ცნობილ სახელებს თავისი, ან ვიღაცის სტრიქონები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ ორიგინალებთანო და სხვ.

მაგრამ შეუძლებელია დავუშვათ, რომ აბულ-ფარაჯმა მოიგონა ქართველი მწერლის რუსტველ-ის სახელი, მიაწერა მას „ვეფხის ტყავის“ „ნაწყვეტის“ ავტორობა, რაც გულისხმობს, რომ იგი „ვეფხისტყაოსანს“ დიდტანიან თხზულებად თვლის, და ყველაფერი ეს ზუსტად დაემთხვეს სინამდვილეს; შეუძლებელია დავუშვათ, რომ აბულ-ფარაჯმა მოიგონა სახელი შავტალი, რომელიც დადასტურებულია ჯერ ძველი ქართული წერილობითი წყაროებით, ვიდრე თვით რუსთაველისა; შეუძლებელია დავუშვათ, რომ აბულ-ფარაჯის მოგონილია სახელი პრინცი ზუმალი. იგი რომ გამომგონებლობის და სიყალბის გზას ადგეს,

ადვილად შეთვისდა „ღამის“ ავტორის სახელსაც. მიხ. მამულაშვილმა აღნიშნა, რომ ტუსენის კრებულის სხვა მასალები საერთოდ არავითარ მეცნიერულ დაეჭვებას არ იწვევენ. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ტუსენისეული მასალების მიმართ ნდობის საკითხის დაყენება მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ საფუძველს.

აღნიშნული გარემოებანი, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევენ გადავიდეთ ტუსენისეული მასალების, როგორც ყოველმხრივ სანდო წყაროს, მიმოხილვაზე.

რომ აბულ-ფარაჯის რუსტუალ და „ვეფხის ტყავი“, ნაწყვეტი“, რუსთაველს და მისი „ვეფხისტყაოსნის“ რომელიღაც ფრაგმენტს გულისხმობს, და შავტალი—შავთელს, როგორც აღვნიშნეთ, აქ ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ ვინღაა აბულ-ფარჯ-ტუსენის პრინცი ზუმალი, მ. მამულაშვილის თავადი ზუმელი?

ზუმალის ნაცვლად რომ ზუმელი უნდა წავიკითხოთ, ეს, როგორც მ. მამულაშვილმაც აღნიშნა, უეჭველია. აბულ-ფარაჯი წერს (თუ ტუსენი კითხულობს): რუსტუალ, შავტალი. ამრიგად, ქართული სადაურობის მაჩვენებელი ელ სუფიქსი უცხო წყაროში ორჯერ ალ სუფიქსად ქცეულა. ცხადია, მესამე ალ-იც იგივე სადაურობის მაჩვენებელი სუფიქსია და თუ მის ქართულ ფორმას აღვადგენთ, როგორც პირველ ორ შემთხვევაში, მივიღებთ ზუმელს.

მაგრამ ასეთი მწერალი ქართული წყაროებით ცნობილი არაა. ამის გამო ბუნებრივად ისმება კითხვა: ხომ არ არის ზუმალი გარდაქმნილ-გადამახინჯებული სახელი რომელიმე ქართველი მწერლისა? არაბულ დამწერლობაში ხმოვნები მეტად თავისებურად აღინიშნება, რის გამოც არაბულად დაწერილი უცხო (გაუგებარი) სიტყვის ამოკითხვისას ძალიან ადვილია ხმოვანთა დაკარგვა, გაჩენა, ან ერთი ხმოვნის ნაცვლად მეორის ამოკითხვა. თუ შეცდომა დაშვებული იქნა თანხმოვანთა ამოკითხვა-გადაწერის ნიადაგზეც, სიტყვა თავის პირველ სახეს ადვილად დაშორდება.

საკმარისია თვალი გადავავლოთ არაბულ ანბანს, რათა ცხადი გახდეს, თუ საიდან შეიძლებოდა წარმომდგარიყო არაბული ზმლ. არაბული მ და ლ ასოების მოხაზულობა არც ერთი სხვა არაბული ასოს მოხაზულობას არ ჰგავს, რის გამოც აქ ასოთა შენაცვლება გადაწერის დროს მოსალოდნელი არაა. რჩება ასო ზ.

არაბულში, რომელიც ძალზე მდიდარია სპირანტებით, ზ ოთხი ნიშ-

ნით ოწერება. ესენია მე-9, მე-11, მე-15, მე-17 ასოები (ზალ, ზა, ზად, ზაუ). ამათგან, თუ წინმავალ და მომდევნო ასოებთან გადაბმის კანონებსაც გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ პირველ ორს (ზალ, ზა) ძალიან ჰგავს მე-3 ასო თ (თ), რის გამოც ამ უკანასკნელის (ასო თ-ს) ოდნავი დაზიანების შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა ახალ ხელნაწერში იგი გადასულიყო, როგორც ზ, ე. ი. გადაწერისას თ ქცეულიყო რომელიმე ზ-დ.

იმავე დიდი მსგავსების ნიადაგზე და იმავე გადაბმის კანონების შედეგად ადვილად შეიძლებოდა მე-15 და მე-17 ზ (ზად და ზაუ) ახალ ხელნაწერში მე-16 ასო ტ-ს (ტაუს) ნაცვლად გაჩენილიყო. სიტყვას აღარ ვაგრძელებთ თ ტ-ს ფონეტიკურ ნიადაგზე ურთიერთ ადვილად შენაცვლების შესაძლებლობაზე, რაც შემდეგ ადვილად იჩენდა თავს დამწერლობაშიც.

ამრიგად, არაბულ ზმლ-ს ოთხი შესაძლო დაწერილობა ადვილად შეიძლებოდა წარმომდგარიყო ქართული თმლ დაწერილობიდან.

ამის გამო, თუმცა ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დაბეჯითებით ვიცოდეთ, რომელი ზ იკითხება არაბულ ზმლ-ში, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არაბული ზმლ შეიძლება მომდინარეობს ქართული თმლ-საგან, სულ ერთია, გადავიდა ქართული თმლ არაბულში ამავე, თუ ტმლ-ს სახით.

თ მ ლ კი მე-12 საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლის „დილარიანის“ ავტორსა და „ვისრამიანის“ მთარგმნელ თმოგველზე მიუთითებს. თმლ-ში გ (გან) არ გვხვდება, რადგან იგი არაბულ ანბანშიც არ გვხვდება, უ (უნი) კი არ აღინიშნება, ან დაიკარგა, როგორც ხმოვანი. ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, ფრ. ტუსენის წყაროში (და შეიძლება თვით ტუსენის კრებულშიც კი) ზუმალი მოხვდა მისი წინაპრის (დედნის) თუმალის თუ თუმელის ნაცვლად, რაც, თავის მხრივ, ქართული თმოგუელის ფონეტიკურ მოვლენათა და არაბული დამწერლობის ნიადაგზე წარმოშობილ არაბულ სახესხვაობას წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს, და მტკიცედაც, ერთი გარემოება.

ფრ. ტუსენის მასალებში გვხვდება სამი ქართველი ავტორის დასახელება. ორი მათგანი წარმოდგენილია ყოველგვარი ტიტულისა და წოდების გარეშე. ესენია რუსთაველი და შავთელი. და მხოლოდ ზუმელის შესახებ არის აღნიშნული, რომ ის არის პრინცი ანუ თავადი.

ჩვენ არ ვიცით, რა სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობის პირია რუსთაველი. მასზე, როგორც პოეტზე, მისი ეპოქის წყა-

როები საერთოდ სრულებით არაფერს ლაპარაკობენ. შავთელს კი მემატიანე მრავალგზის იხსენიებს და ყოველთვის დიდი გულისხმიერებით. იგი არის „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“, რელიგიური პიროვნება (მას ხშირად ახლავს ევლოგი და თვითონაც არის „ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწებათა შინა“); იგი მიღებულია სასახლის კარზე და ხშირად ახლავს თამარს შორეულ ექსპედიციებში, როგორც, მაგალითად, ოძრხეს რუქნადინზე გალაშქრებისას.

აღარ ვლაპარაკობთ შავთელის ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებზე, რომელთაც ვხვდებით მეცნიერებაში. აქ ბაზს გავუსვამთ ერთ გარემოებას. არც მემატიანეები, არც წყაროები არსად არ ლაპარაკობენ, რომ შავთელი დიდგვაროვანია, წარჩინებულია, მაღალი სოციალური წრის წევრია. ასეთ ფეოდალურ გვარსა და წოდებას არ იცნობენ ჩვენი საისტორიო წყაროები. რაც შეეხება ზემელს, რომლისთვისაც ფრ. ტუსენს, აბულ-ფარაჯის ცნობებზე დაყრდნობით, პრინცი უწოდებია, ის ყოველმხრივ აკმაყოფილებს თმოგველობის პირობას: როგორც ჩვენი საისტორიო წყაროებით ცნობილია, თმოგვი და თმოგველი თამარის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული, ძლიერი და ცნობილი ფეოდალური საგვარეულო და გვარია.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფრ. ტუსენისეული პრინცი ზუმალი ქართველი სარგის თმოგველია, ავტორი აწ დაკარგული „დილარიანისა“ და მთარგმნელი „ვისრამიანისა“. გამოდის, რომ უცნობი რჩება მარტო „ღამის“ ავტორის სახელი. ამის შესახებ ქვემოთ, აქ კი გადავიდეთ ტექსტებისა და მათ ორიგინალებთან ურთიერთობის საკითხზე. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ?

ფრ. ტუსენისეული ტექსტების პირველი მკვლევარის მ. მამულაშვილის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ტუსენისეული „ნაწყვეტი არ გვხვდება პოემის დღემდე ცნობილ არც ერთ ვარიანტში. მისი მსგავსი არაფერი გვაქვს პოემის არც გაგრძელებებსა და ჩანართებში“. მის მიერ დაყენებულ კითხვაზე „რას უნდა წარმოადგენდეს აბულ-ფარაჯის მიერ შეკრებილი ქართული სიმღერები, თარგმნილია ისინი ქართული ენიდან, თუ არაბულ ენაზეა შეთხზული“, — თვით ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ამ ლექსების არაბულ ენაზე შეთხზვა სრულებითაც არ არის გამორიცხული“ (მოსაზრება ბუნდოვანია). ამ მოვლენის შესაძლებლობას იგი იმით ასაბუთებს, რომ რადგან ქართულ პოეზიას, მისი

უმაღლესი განვითარების გამო, შორის გაუვარდა სახელი, ამ „პოეზიის ნიმუშები ადვილად შეიძლებოდა მოხვედრილიყო საქართველოს გარეთ არაბულ ენაზე შედგენილ და გადაწერილ სიმღერების კრებულში".

საკითხის გადასაჭრელად მივმართოთ თვით ტექსტს.

მ. მამულაშვილის დასკვნა, რომ ხსენებული ნაწყვეტი პოემის დღეს-დღეობით ცნობილ ხელნაწერებში არსად გვხვდება, საერთოდ სწორია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტუსენისეულ „ნაწყვეტს" პოემასთან არაფერი ანათესავებს.

რას წარმოადგენს ტუსენისეული ნაწყვეტი? ძნელია იმის მიხედვით აბულ-ფარაჯისეული ტექსტის ფორმაზე ვიმსჯელოთ. მაგრამ როგორ არის საქმე შინაარსისა და სხვა ძირითადი მოტივების მხრივ? ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ცნობილი ტექსტი წარმოადგენს გამიჯნურებული ქალწულის წერილს თუ პირად მიმართვას რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო დაშორებული (თუ გრძნობაშეცვლილი) სატრფოსადმი, რასაც გამოუწვევია ქალწულის სასოწარკვეთილება. „ნაწყვეტში" ვკითხულობთ:

„მე გეკუთვნი შენ! განა მე კვლავ უნდა ვიბრძოლო? გახსოვს დაპირება შენი? გახსოვს ის დღე, ოდეს შემომფიცე, რომ ბრმად დამემორჩილებოდი და იქნებოდი მონა ჩემი?.. რატომ ხარ ჩუმად? რატომ უჭერ ხელს შენი ხმლის ვადას? იქნებ ფიქრობ, დაათხიო სისხლი ძმათა ჩემთა. ვაიმე ბედშავს. მაინც ვლოცავ იმ დღეს, როცა შენ გაგიცან.

გახსოვს ის დილა გაზაფხულისა? რაოდენი ცრემლი დავღვარე მას შემდეგ, მაგრამ შენ სტირი"...

მიმართვის ფინალით ვაქმა უარჰყო „სასტიკი ზრახვანი" მიჯნურთან განშორებისა. არ ჩანს, რით დამთავრდა კონფლიქტი, მაგრამ, ცხადია, იგი დამთავრდება განშორებულთა შერიგებით.

დამოწმებული სტრიქონების მიხედვით საეჭვო არაა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ნესტანის თავგადასავლისა და პოემის ზოგიერთი სიტუაციის თუ მოტივის ბუნდოვან და აღრეულ გადმოცემასთან.

„ვეფხისტყაოსნის" მკითხველს კარგად ახსოვს, როგორ ანუგეშა პირველი წერილით ნესტანმა ტარიელი: „მე შენი ვარო" (376); როცა ნესტანს მოეჩვენა, რომ ტარიელმა ღალატი მიცემულ პირობასა და ფიცს, მკაცრად უსაყვედურა:

გახსოვს ოდეს „ჰაის" ზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს (526)?

ნესტანმა დაგმო ტარიელის საქციელი:

ხარ „გამწირავი და მუხთალი“, „გამტეხელი ფიცისა“ (523), „შენ ვასტეხე ფიცი ჩემიო“ (525). ეს შეხვედრა და კონფლიქტი მათი შერიგებით დამთავრდა. ნესტანი აფრთხილებს ტარიელს: „სისხლი კაცისა უბრალო“ (543) არ იტვირთოო, და ტარიელიც უთვლის მეფეს: „სხვა მეშველსა, გარეგანსა“ (566) მე არავის მივმართავ, ინდოეთში უცხო ძალის დახმარებით არ გავმეფდებიო, ე. ი. ძმათა სისხლით ხელს არ შევისვრიო. როცა ხატაელი სასიძო ტარიელმა ინდოეთის დედაქალაქის გარეუბანში დააბინავა და თვითონ უმოქმედობას მიეცა, ნესტანმა ისევ იხმო ტარიელი და მკაცრად მიმართა მას:

რასა სდგა? დღე გიჩანს წინ საომარე!
ასუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცდომარე-ო (555).

„მე მეწყინა, აღარა ვთქვიო“ (556), — განაგრძობს ტარიელი. ქაჯეთის ციხიდან კი ცრემლად დამდნარი ნესტანი წერდა ტარიელს: განუზომელია ჩემი ვაება,

ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნაღველსა ამონაწები (1293),

მაგრამ:

აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე,
ჩემი ყველა აქანამდის ჰირი ლხინსა შევაწონე (1296).

დასარულ, ბედნიერებით გვირგვინდება როგორც ნესტანის გმირული, ისე ტუსენისეული მიჯნური ქალწულის საბრძოლო ტირადა.

რასაკვირველია, ტუსენისეულ „ნაწყვეტებში“ ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ აქ დამოწმებული მოტივების და სიტუაციების გამოძახილი. შეიძლება ეს ვერ შევამჩნიოთ, მაგრამ ამის სერიოზული უარყოფა მხოლოდ წინასწარი და უკიდურესი ტენდენციური აზრით შეიძლება. სხვა მხრივ ეს უარყოფა აუხსნელი დარჩებოდა. მართალია, ლიტერატურის და კერძოდ, აღმოსავლური ლიტერატურის ყველა ცოტად თუ ბევრად მცოდნე შენიშვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტუსენისეული ტექსტის სიუჟეტურ-სიტუაციური თუ მოტივებით მონათესავე პარალელები სხვაც დაიძებნება (თუნდაც მარტო „ვისრამიანი“), მაგრამ ეს გარემოება ვერ გადაეღობება „ნაწყვეტის“ „ვეფხისტყაოსანთან“ გენეზისურ ნათესაობას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია შემთხვევითობას მივაწე-

როთ ის გარემოება, რომ აბულ-ფარაჯი „ვეფხისტყაოსანს“ რუსთაველის ქართულ პოემად ასახელებს, და რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და იმ ტექსტს შორის, რომელიც აბულ-ფარაჯს „ვეფხისტყაოსნის“ „ნაწყვეტის“ სახელით შემოუნახავს, მართლაც გვაქვს მოტივების, სიტუაციების, ფრაზეოლოგიური შეხვედრებიც კი. ეს გარემოება, ცხადია, იმით აიხსნება, რომ აბულ-ფარაჯს სიტყვასიტყვით კი არ უთარგმნია რუსთაველი, არამედ მოუცია მისი პიუჟეტის ძირითადი მომენტის თავისებური გადამღერება, როგორც ეს მიღებული იყო აღმოსავლეთში, სადაც საავტორო უფლების, ორიგინალის, თარგმანის და პლაგიატის შესახებ მეტად თავისებური, ჩვენეულისაგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები ბატონობდა.

ზუმალი-თმოგველის ორიგინალურ თხზულებას, როგორც ვიცით, ჩვენამდე არ მოუღწევია, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას მისი ტუსენისეული „ვარდი“ ორიგინალს შევადაროთ, შავთელის „დაბრკოლება“ კი მისი სახელით ცნობილი და ჩვენამდე მოღწეული ძეგლის არც ერთ სტროფთან არ ამჟღავნებს სიახლოვესა და ნათესაობას. ამის გამო გადავიდეთ საკითხზე ანონიმის „ღამის“ შესახებ.

ვისი უნდა იყოს ანონიმის „ღამე“?

გავეცნოთ მის სრულ ტექსტს მ. მამულაშვილის თარგმანით.

„ვით მათხოვარი გაცუდებული, ვსჭამ სიყვარულზე ჩემი მოგონების სადღეგრძელოს. ჩემი ბედნიერების ფერფლით შემიძლია ავაგო სრასასახლე? მაინც მოდი, ჩემო კარგო მიჯნურო! ჩემს წალკოტში მარად მეფობს სიმშვიდე, შენ რომ გიყვარდა. პალმები უმოძრაოდ დგანან. ციცინათელებმა შეწყვიტეს ნათება. ხედავ, აღარ ეტირი მე. ვიღიმები. მაგრამ ეს დიდი მოთქმაა... ეს ნიაღვარია, თუ შენი მწუხარება“.

არ შევუდგებით დამოწმებული ლექსის ანალიზს. მაგრამ ვსვამთ კითხვას: რატომ ეწოდება ლექსს „ღამე“? ლექსში არ გვხვდება არც სიტყვა „ღამე“ და ღამის არც ერთი ატრიბუტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფრაზას „ციცინათელებმა შესწყვიტეს ნათება“. მაგრამ ეს ხდება დილის წინ. აკი ლაპარაკობს აჩრდილი „ჰამლეტში“ დილის მოახლოებისას:

ახლა კი წავალ,

ციცინათელას მკრთალსა ნათელს ძალა აკლდება,

ეტყობა დილა მოახლოვდაო.

თან, ციცინათელები კონტექსტით, როგორც პალმათა უმოძრაობა.

უფრო ავტორის სულიერი განწყობილების, მის სულში ჩამჭრალი ხანძრის და ჩამდგარი ქარიშხლის სიმბოლიური გამოხატულებაა, ვიდრე სინამდვილის გამოხატვა.

ვინც „თამარიანს“ იცნობს, მას, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გაეპარებოდა, რომ მასში გატარებულია იდეა თამარის ზეადამიანობისა. იმ განუზომლად დიდი უნარის გვერდით, რაც თამარმა გამოიჩინა ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული ხაზით მართვა-გამგეობის საქმეში, ის ისეთი ფიზიკური, ხილული სილამაზის მფლობელია, რომ არა თუ ღამის მნათობთ — მთვარეს და ვარსკვლავებს — ეცილება სინათლეს, მზესაც აბნელებს თავისი სხივთა ელვარებით.

ამ თვისებებთან ერთად ის არის თავმდაბალი, მოწყალე, მშვიდი, ლმობიერი, წრფელი. მისი ხელის მძებნელნი სტირიან, მაგრამ არასოდეს არ საყვედურობენ, პირიქით, უხარიათ კიდეც, რომ თამარის ხილვა ეღირსათ. პოეტი მიმართავს თამარს:

უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა და ლმობიერსა.
თუ ვისაცა ვუქი შენი ხმა შუქი,
ელვ ანუ მზევად, ანუ მთვარევად.
არა გაქს ბნელი, ხარ საძებნელი
ხვეპით და ნდომით შენამართევად,
მესმა ათენით, თქვენ გაათენით,
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად
ზენით მნათობნი, ეტლთა მთიებნი
არ მათად სჭვრეტენ მართ ნამთევად.

იქნებ დაუჯერებელიც იყოს, მაგრამ „თამარიანში“ ისმის პიროვნული სამიჯნურო აქცენტიც. გამოჩენილი მკვლევარი პ. ინგოროყვა გამოკვლევაში: „ჩახრუხაძე, პოეტი, მოგზაური“ მხოლოდ „თამარიანის“ მონაცემების მიხედვით დაბეჯითებით ამტკიცებს, ჩახრუხაძე ამ უიმედო სიყვარულისა გამო საქართველოდან გარდაიხვეწა და აღარ დაბრუნებულაო (ჟურ. „კავკასიონი“, 1924, № 1—2, 3—4).

ასეა თუ ისე, „თამარიანში“ ვკითხულობთ:

მე გული შენი ჩემად ვიშენი:
რაღა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.
არდი მეტია — მომკალ მე დია. —
ჩემი სიცოცხე გაცუდებულად.

რომელმან ღამე დღე ყო, თქვა: „ღამე,
ჰფენს შუქსა მზეებრ განათებულად“.

მოგვყავს დამოწმებული სტროფი ახალ ქართულზე ი. ლოლაშვილის ინტერპრეტაციით: „მე შენი გული ჩემად მივიჩნიე, მაგრამ რაკი შენ ჩემი გრძნობების მოზიარე არ გახდი, მოწამლული გავხდი. ახლა ჩემი გაცდებული სიცოცხლე აღარაფრად მიღირს. დიაღ, მომკალ და მომასვენე. შემოქმედმა დღე და ღამე რომ დააწესა, მაშინვე თქვა, რომ თუ დღე ნათელია, სამაგიეროდ კაცობრიობას მოევლინება თამარი და მისი სილამაზით ღამეც განათდებაო“ და სხვ.

ტუსენისეული ანონიმის „ღამეც“ გაცუდებული სიყვარულის მოსაგონარი სადღეგრძელოა. საკუთარი ბედნიერების ფერფლით ჰპირდება პოეტი სატრფოს სრა-სასახლის აგებას, მაგრამ სატრფო არ თანაუგრძნობს გამიჯნურებულ პოეტს. მიუხედავად ამისა, აღარ ვტირიო, დასძენს ავტორი (გათენდა, ციცინათელებმა შეწყვიტეს ციმციმი), ვიღიმებიო, მაგრამ ეს დიდი მოთქმააო.

როგორც ვხედავთ, „ღამის“ ინდივიდუალური, პიროვნული მოტივები ენათესავება „თამარიანის“ ინდივიდუალურ-პიროვნულ, ინტიმურ აქცენტს.

თუ გავითვალისწინებთ მ. მამულაშვილისეული „ღამის“ მიერ განვლილ გზას (ქართული — არაბული — ფრანგული — ქართული), მაშინ მოტივების ეს ნათესაობა, რაც შეიმჩნევა „ღამესა“ და „თამარიანის“ ზოგიერთ სტროფს შორის, რა თქმა უნდა, სრულიად საკმარისი საბუთია, დავასკვნათ, რომ ხსენებული „ღამე“ „თამარიანის“ ზოგიერთი სტროფის პიროვნული აქცენტის ისეთივე გადამღერებაა, როგორიც „ვეფხის ტყავის“ „ნაწყვეტი“ — „ვეფხისტყაოსნისა“. აღსანიშნავია. რომ გაცუდებული სიცოცხლე ამდენი. მოგზაურობის შემდეგ ქართულ ტექსტში თითქმის იმავე სახით დაბრუნდა, რა საბითაც აქედან გაემგზავრა, და ეს—აღმოსავლეთის ისეთი თავისუფალი დამოკიდებულების პირობებში საავტორო უფლებასთან, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. სამწუხაროდ, ფრ. ტუსენის კრებულის დედნის (არაბული ორიგინალის) შესახებ ჩვენ ჯერ ცოტა ვიცით, მაგრამ აბულ-ფარაჯის თავისუფალი, ნებისმიერი დამოკიდებულება სათარგმნელი მასალისადმი იმის მიხედვითაც ადვილად დასტურდება, რომ ოთხი ქართველი ავტორის სტრაქონებიდან, რომლებიც მან შემოგვინახა და რომელთაგან ორის ქართულმა ორიგინალებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, რაც გვაძლევს ტექსტუა-

ლუოი შედარების საშუალებას, არც ერთი არ არის, არ ვიტყოდით. სიტყვასიტყვითი-თქო, მიახლოებით პირდაპირი თარგმანი.

მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც არ ამცირებს მათ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მნიშვნელობას. მხატვრულ-ლიტერატურული თვალსაზრისით მასალების ღირებულების საკითხს ჩვენ არ ვეხებით, რადგან ამ მხრივ ამ მასალებს არ შეუძლიათ რაიმე ახალი ცნობებით შეავსონ ჩვენი ცოდნა ქართული სინამდვილის შესახებ, მით უმეტეს, როდ ლექსიტუსენმა ფრანგულად პროზით თარგმნა: თვით არაბულადაც ეს ლექსები ქართულის მხოლოდ გადამღერებაა და არა პირდაპირი თარგმანი.

მაგრამ ამ მომენტიდან მაინც გამომდინარეობს ერთი საყურადღებო დასკვნა, რომელზეც ქვემოთ შევჩერდებით.

ახლა შეიძლება დაისვას საკითხი: რით არის ფრ. ტუსენისეული მასალები საყურადღებო, რა ხარვეზებს ავსებენ ისინი, რა სიახლე შეაქვთ ჩვენს ცოდნა-წარმოდგენაში მე-12—13 საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ტუსენისეული ყველა ქართველი ავტორის მოღვაწეობის ხანა გარკვეულია და არც ერთი მათგანი არ სცილდება მე-13 საუკუნის 30-იან წლებს, რაც არა მარტო ზრდის აბდულ-ფარაჯის მასალების ისტორიულ მნიშვნელობას, არამედ სრულიად განსაკუთრებული ღირებულების მოვლენად აქცევს ამ მასალებს.

კერძოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ქართველ მოღვაწეთა ჩამოთვლის ტუსენისეულ (ე. ი. აბულ-ფარაჯისეული) რიგი. ქართული მასალების მიხედვითაც მათ შორის ყველაზე ადრინდელი თმოგველია. შავთელის, რუსთაველის და ჩახრუხაძის უფროს-უმცროსობის რიგი კი ქართული მასალებით, სახელდობრ აკად. კ. კეკელიძის კონცეფციის თანახმად, ასე წარმოგვიდგება: „თამარიანი“ დამთავრებულია 1210 წლისათვის, აწ დაკარგული „აბდულმესიის“ ავტორ შავთელს თავისი ჩვენამდე მოღწეული „ქება“ 1210 — 1215 წლებს შორის დაუწერია, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველს 1227 წლის შემდეგ შეუქმნია. საჭიროდ, ჩვენი კლასიკური ეპოქის დიდი ძეგლების ზუსტად დათარიღების საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელია.

ივ. ლოლაშვილი სჭოლიოში ათვალწუნებით უწოდებს „უსაფუძვლოს“ ჩვენს მტკიცებას. რომ „თამარიანი“ იმ საბით, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ (და არა მისი ზოგიერთი ოდა, როგორც ივ. ლოლაშვილი აღ-

ნიშნავს), დასრულებულია თამარის გარდაცვალების შემდეგ[1]. თვით მას ოდების შექმნის ყველაზე აქეთა შესაძლო საზღვრად 1207 წელი მიაჩნია. ამავე დროს ის თავგამოდებით ამტკიცებს, და სამართლიანადაც, რომ „თამარიანში“ დასახელებულია „ამირანდარეჯანიანის“ გმირები, ბადრი იამანისძე და ნოსარ ნისრელი[2].

მაგრამ „ამირანდარეჯანიანში“ შემჩნეულია მონგოლიზმები, რომელთა იქედან „გაძევება“ არაფრით არ ხერხდება (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე); ამის გამო „ამირანდარეჯანიანის“ შექმნა 1230-ან წლების დასასრულზე ადრე არ ივარაუდება.

როგორ მოხდა, რომ 1230-ანი წლების დასარულს შექმნილი „ამირანდარეჯანიანის“ გმირები დასახელებული არიან 1207 წელს დაწერილ „თამარიანში“, გაუგებარია.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თარიღს, მასში მონგოლიზმების არავითარი კვალი არა გვაქვს, რაც ცხადყოფს, რომ ის დაწერილია „ამირანდარეჯანიანზე“ და „თამარიანზე“ ადრე. ტუსენისეული მასალები ამ თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებო მონაცემების შემცველია. მისი რიგი მწერალთა დალაგების მხრივ სინამდვილის ზუსტი ანარეკლია: ამ მწერალთა შორის უხუცესია თმოგველი. უკანასკნელი — ჩახრუხაძე, ხოლო მათ შორის დგანან შავთელ და რუსთაველი.

ჩვენამდე მოღწეულია მე-13 საუკ. დასაწყისის თხზულება, რომელიც ტრადიციულად „აბდულმესიის“ სახელით არის ცნობილი და მიეწერება იოანე შავთელს. აკად. კ. კეკელიძე თვით ძეგლის, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებისა და ძეგლების შესახებ დაგროვილი მეცნიერული ლიტერატურის კრიტიკულად შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ „აბდულმესიის“ სახელით ცნობილი თხზულება სინამდვილეში არის არა „აბდულმესია“, არამედ „ქება დავით აღმაშენებლის და თამარისა“ და ეკუთვნის იოანე შავთელს. „აბდულმესიის“ ტექსტს, რომელიც, მისი აზრით, ეკუთვნოდა იმავე იოანე შავთელს, ჩვენამდე არ მოუღწევია, იგი დაკარგულია.

ჩვენი დასკვნით, რომლის დასაბუთებასაც აქ ვერ შევუდგებით, ტუსენისეული შავტალის (შავთელის) „დაბრკოლება“ არაფრით, არც

---

[1] ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 175.

[2] იქვე, გვ. 101, 240, 244.

ერთი მოტივით, სიტუაციით, სახით, ფრაზით, არ უახლოვდება შავთელის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებას.

ბუნებრივად ისმება კითხვა: ხომ არ არის ტუსენისეული შავტალის „დაბრკოლება“ შავთელის აწ დაკარგული „აბდულმესიის“ ანარეკლი და გადამღერება?

ვფიქრობთ, რომ ასეა.

ჩვენში არსებობს გადმოცემაზე დამყარებული მტკიცე რწმენა, გაზიარებული მთელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიერ, რომ „უქია“, დაუწერია, შეუქმნია დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა, მაგრამ იგი, ეს თხზულება, „დილარიანი“, ჩვენამდე მოღწეული არაა.

ხომ არ არის ტუსენისეული ზუმალ-თმოგველის „ვარდი“ ქართული წყაროების „დილარიანის“ ანარეკლი და მისი სტროფების გადამღერება?

ვფიქრობთ, რომ ასეა.

მაგრამ ამ მონაცემების საფუძველზე უნდა დაზუსტდეს „დილარიანის“ ფორმის საკითხი.

რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე რომ პოეტები არიან, ე. ი, რომ მათი თხზულებები პოემები, ან ოდებია, ჩვენ ეს ვიცოდით. მაგრამ ასეთი კატეგორიულობით არ ხასიათდებოდა ჩვენი ცოდნა „დილარიანის“ ფორმის შესახებ. რადგან თმოგველის თხზულება აბულ-ფარაჯმა სიმღერის, ე. ი. ლექსის სახით შემოგვინახა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ქართული ორიგინალიც ფორმით ასეთივე თხზულება იქნებოდა.

ასეთია ის ცნობები და მასალები, რომლებიც შემოაქვს ქართული ლიტერატურის საგანძურში და ჩვენს ცოდნაში ჩვენი წარსულის შესახებ აბულ-ფარაჯ — ფრ. ტუსენისეულ „საქართველოს სიმღერებს“.

გადავედით ტუსენისეული მასალების მნიშვნელობაზე რუსთაველმცოდნეობისათვის.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ უსაზღვრო სიყვარული დაედო საფუძვლად მისი ავტორის პიროვნების შესახებ ცნობების დაჩრდილვას. ყველას ეგონა, რომ რუსთაველის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა. არც ერთი ავტორი, რომელიც რუსთაველს პირველად იხსენიებს, არ ლაპარაკობს: აღვადგინოთ, გამოვტაცოთ მივიწყებას რუსთაველი და ცნობები მის შესახებო. ყველა მათგანი რუსთაველზე მსჯელობს, როგორც საყოველთაოდ ცნობილ, უაღრესად პოპულარულ პიროვნებაზე. უმ-

თავრესად სწორედ ამით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ ქართული ლიტერატურა სრული სამი საუკუნის მანძილზე რუსთაველს გვერდს უვლის სრული დუმილით. მეცნიერებაში კარგად ცნობილი ეს უკანასკნელი მომენტი ფართო მკითხველისათვის დღეს შეიძლება იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი აღმოჩნდეს, რომ წინამდებარე წერილის ამ სტრიქონებს და მის ავტორს მან შეიძლება უნდობლადაც შეხედოს. ამიტომ დავიმოწმებთ აკად. კ. კეკელიძეს, რომელიც აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: „რა ვიცით... რუსთაველის შესახებ... ამ გენიოსი პოეტის ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვდიადს მოუცავს. აღორძინების დასაწყისამდე (ე. ი. მე-16 საუკ. დასაწყისამდე, მ. მ.) არსად, არც ერთ ძეგლში მისი ხსენება არაა, არც სადმეა დამოწმებული მისი პოემა“.

აკად. კეკელიძე ფაქტობრივი ვითარებიდან გამოდის, როდესაც აღნიშნავს, რომ ლიტერატურულ ძეგლებში და საერთოდ, წერილობით წყაროებში, თუ მხედველობაში არ გვექნება თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი, მის ავტორად პირველად „რუსთაველი... მოხსენებულია მე-16 საუკ. პირველ ნახევარში სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილის მიერ. შემდეგ „რუსთაველის“ სახელს ვხვდებით მე-17 საუკ. ცნობი ავტორის მიერ ნათარგმნ „იოსებ-ზილიხანიაში“... მე-17 საუკ. პირველ წლებში „რუსთაველი“ მოხსენებულია კახეთის მეფის დავითის (გარდ. 1602 წ.) მიერ... ამის შემდეგ რაც უფრო დრო გადის, უფრო ხშირია რუსთაველის ხსენება“.

ვიმეორებთ, ასეთია ვითარება წერილობით წყაროებში. ამის გამო ლოგიკური და ბოლომდე თანმიმდევრულია აკად. კ. კეკელიძის ძიერ დაყენებული კითხვა: „საიდან გაიგეს აღორძინების ხანის მწერლებმა. რომ პოემის ავტორი არის რუსთაველი“?

მის მიერ დაყენებულ კითხვაზე აკად. კ. კეკელიძე ასეთ პასუხს იძლევა: „ეს მათ გაიგეს, ეშვი არაა, იმ სტროფებიდან, რომლებიც დართული ჰქონდა, როგორც პროლოგი და ეპილოგი, მათ დროს პოემას“. მკვლევარს აქ მხედველობაში აქვს პროლოგისა და ეპილოგის ცნობილი სტროფები, რომლებშიც პოემის ავტორად დასახელებულია რუსთაველი.

მაგრამ შესავლისა და ბოლოსიტყვაობის სტროფები საერთოდ „მეცნიერულ ლიტერატურაში დიდ ეშვს იწვევენ. ეს სტროფები არ ეკუთვნის ერთსა და იმავე მწერლის კალამს, მით უმეტეს, პოემის ავ-

ტორს“. მათში, მკვლევარის აზრით, ბევრია ჩანართი. დანამდვილებით ასეთად მკვლევარს მიაჩნია მე-77, 1665-ე, 1669-ე სტროფები, ხოლო მე-8 სტროფს, მისი აზრით, არ გააჩნია ურყევი საბუთი რუსთაველისადმი კუთვნილებისა. მკვლევარი პირდაპირ აყენებს კითხვას: „რა გარანტიაა. რომ „რუსთაველობის“ შემცველი სტროფი ნამდვილია და არა შემდეგ ჩამატებული“ [1].

თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ პოემის მე-16 საუკუნეზე ადრინდელ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, და რომ უკიდურეს სკეპტიკურ თვალსაზრისს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს პლ. იოსელიანის ცნობას, რომ მე-19 საუკუნეში არსებობდა მე-14 საუკუნისა ეტრატისა და მე-15 საუკუნის ქაღალდზე დაწერილი ნუსხები პოემისა (სიმფონია, გვ. 016), გასაგები გახდება ის ფარული გულისტკივილი, რომელიც გამოსჭვივის აკად. კ. კეკელიძის ზემოდამოწმებული ვრცელი ამონაწერებიდან.

აკად. კ. კეკელიძე ზემოდამოწმებულ მის მიერ დაყენებულ კითხვაზე, „რა გარანტიაა“ და სხვ. ასეთ პასუხს გვაძლევს: „არავითარი, გარდა ერთი მოსაზრებისა“ (იქვე).

ეს „ერთი მოსაზრება“ იმაში მდგომარეობს, რომ თანახმად აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციისა, რომელსაც ასე თუ ისე ეხმაურებოდა ჩვენი სინამდვილე, „ვეფხისტყაოსანსაც“ აუცილებლად ექნებოდა შესავალი, რომელშიც, იმავე აღმოსავლური ტრადიციების მიხედვით, ლაპარაკი იქნებოდა თვით პოემის ავტორზეც. ეს მოსაზრება, უფრო ადრე წამოყენებული და მეცნიერულად დასაბუთებული პროფ. ალ. ბარამიძის მიერ, დიაღაც შეუვალი არგუმენტია „შესავლის“ ავტენტურობის სასარგებლოდ. მაგრამ მაინც რჩება შესაძლებლობა უნდობლობა გამოეცხადოს პოემის პროლოგს და ვინმე ურწმუნო თომა შეუდგეს „მტკიცებას“, რომ პოემის ნამდვილი, ავტორისეული შესავალი (თითქოს) დაკარგულია, ხოლო ჩვენამდე მოღწეული შეთხზულია ყალბისმქნელის მიერ, რომელმაც მიიტაცა მთელი პოემის ავტორის სახელი.

მაგრამ რუსთაველის ავტორობის საკითხი არც ისეთ გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული, როგორც ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ.

„პოემის ავტორად უნდა რუსთაველი მივიჩნიოთ. პროლოგს გარდა,

[1] ქართ. ლიტ. ისტ. გვ. 103.

ამას გვაიძულებს ღრმად ფესვებგამდგარი ტრადიცია... რომელიც შედარებით ძველად მოჩანსო", — წერს აკად. კ. კეკელიძე.

ტრადიცია და ხალხური გადმოცემა მართლაც ურყევი და შეუვალი არგუმენტია რუსთაველის ავტორობისა. „შესავალი" რომ მართლაც აღორძინების პროდუქტად ჩავთვალოთ და დავუშვათ, რომ რუსთაველის სახელის შესახებ მანამდე არავინ არაფერი იცოდა, მაშინ მხოლოდ ორი ვარაუდის დაშვება შეიძლება:

1. ან ხალხმა სრულებით არაფერი იცოდა იმაზე, თუ ვინ არის პოემის ავტორი,

2. ან იცოდა, რომ პოემის ავტორია ესა და ეს (ვიღაცა, არა რუსთაველი).

ასეთ პირობებში შეუძლებელია აღორძინების ეპოქის რომელიმე მოქალაქეს განეცხადებინა, „ვეფხისტყაოსანი" ჩემი, რუსთაველის ნაწარმოებიაო, ეს ცნობა იმავე წუთიდან გავრცელებულიყო საყოველთაოდ, როგორც რადიოცნობა, და ხალხის ურყევ რწმენად ქცეულიყო, ან მას გაეძევებინა და შეეცვალა პოემის ნამდვილი ავტორის ის სახელი, რომელსაც ხალხი იცნობდა.

ამას გარდა, — წერს მკვლევარი პ. ინგოროყვა, — ზედწოდება „რუსთაველი" (როგორც პოემის ავტორის აღმნიშვნელი, მ. მ.), დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანის" ხელნაწერების ზედაწერილებში. რუსთაველის სახელი, როგორც ირკვევა, მოჰყვება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს უძველესი დროიდან, და არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი პოემისა, რომელიც არ ეთანხმებოდეს რუსთაველის ავტორობის ტრადიციას".

რუსთაველის ავტორობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, და როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მხარს უჭერს პოემის პროლოგი და ეპილოგი. რუსთაველი რომ პლაგიატს სჩადიოდეს, ე. ი. სხვის ნაშრომს ითვისებდეს, მაშინ იგი თავისი სახელის უკვდავსაყოფად, რასაც მიზნად ისახავს პლაგიატი, უფრო მეტ ცნობებს დაგვიტოვებდა, ვიდრე შესავალში ვხვდებით. ყრუ და ბუნდოვანი საუბარი „ხელობაზა" და „ალამდარობაზე" თუ სხვ. არავის აღარაფერს არ ეუბნება რუსთაველის პიროვნების შესახებ.

დასასრულ, „ბოლოსიტყვაობის" ერთ სტროფში (1665) გამგრძელებელი ვინმე მესხი მელექსე, სრულიად არაორაზროვანად, მეტად აშკარად და მკაფიოდ ასახელებს რუსთაველს პოემის ავტორად: ვწერ ვინმე

მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისაო, — ეს კი ყველაზე შეუვალი არგუმენტია რუსთაველის ავტორობისა.

მაგრამ ტუსენისეულ მასალებს მაინც შეაქვს სიახლე და სიმტკიცე რუსთაველის ავტორობის საკითხში. და ეს — ჯვრისმონასტრისეული მასალების ხელახალი აღმოჩენის შემდეგაც კი. ამიერიდან ვერავინ წაგვაყენებს: წერილობითი წყაროები XIII საუკუნისა „ვეფხისტყაოსანს“ და რუსთაველს ერთიმეორის გვერდით არ ახსენებენ, რაც საეჭვოს ხდის როგორც მისი, რუსთაველის საუკუნეში მოღვაწეობას, ისე ავტორობასო. ეს ცნობა ავსებს სამსაუკუნოვან ხარვეზს რუსთველმცოდნეობაში, და ამითვე განისაზღვრება მისი როლი ამ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, არც ის გარემოებაა ინტერესს მოკლებული, რომ პოემის არაბული თარგმანი, კუპიურები თუ გამოძახილი რუსთაველს და მის პოემას სწორედ ქართულ მოვლენად თვლიან.

ასეთი უნდა იყოს ტუსენისეული მასალების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

1960 წ.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

პოემის ტექსტის სწორად გააზრება, რა თქმა უნდა, ძირითადად და არსებითად დამოკიდებულია მისი ლექსიკის უშეცდომო გაგებაზე. არა მარტო პოეტიკის თვალსაზრისით, არამედ სემანტიკურადაც. პოემაში თითქმის ყოველი სიტყვა ისეთივე მტკიცედ განსაზღვრული სიდიდეა, როგორც ზოგიერთ მათემატიკურ ფორმულაში მისი თითოეული წევრი, რის გამოც აუცილებელია ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობის ზედმიწევნითი მიახლოებით, ადექვატურად იმავე შინაარსით გათვალისწინება, რომლითაც მგოსანთმგოსანს იგი ტექსტში შემოაქვს. სიტყვის რუსთაველური გაგებისაგან ოდნავ გადახრით გააზრებას შეუძლია მოგვცეს სავალალო გაუგებრობა, ხოლო ზოგჯერ — კიდევ უარესი შედეგი.

ავიღოთ ერთი ტაეპი, რომელიც ნესტანის საქორწილო ზეიმის სამზადისთან დაკავშირებით გადმოგვცემს:

დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა (552).

საკმარისია ტაეპის მეორე ნახევარში თ ე მ-თ ე მ ა დ რაიმე მიზეზით დაზიანებულიყო, და ჩვენ ვეღარ მივიღებდით წარმოდგენას პოემის ქვეყნების ფეოდალურ ლაშქართა ორგანიზაციული წყობის შესახებ (თემობრივ-ტერიტორიული პრინციპი), რომელიც ეპოქის ქართული სამხედრო სინამდვილის ზედმიწევნითს ასახავს, წარმოადგენს, რადგან პოემაში ამის შესახებ მეორეგან არსად არავითარი ცნობა არ გვხვდება, მაშინ როცა ამ ლაშქრის ტაქტიკური წყობის შესახებ, რაზედაც მიუთითებს ტაეპის ფინალი (დას-დასები). რუსთაველი სხვა სტროფებშიც (444, 445, 447 და სხვ.) გვაწოდებს ცნობებს.

ეს ნათელი მაჩვენებელია იმისა, თუ რა სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვეს პოემის ტექსტის მცდარ წაკითხვას, მაგრამ ზოგჯერ ხელნაწერებსა და გამოცემებში ყველაფერი რიგზეა, ლექსიკონებში კი არასწორი განმარტებანი გვაქვს. ამ წერილში მიზნად ვისახავთ დავა-

ზუსტოთ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ბუნდოვანი ან სადავო ტერმინის, თუ სიტყვის მნიშვნელობა.

გაძრცვილი, რომელიც პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება და რომლის განმარტებაც ვახტანგს არ მოეპოვება, პოემის მომდევნო გამოცემებში ახსნილია სხვადასხვანაირად: გადაღეღილი, გაშიშვლებული, გამხდარი და სხვ. პროფ. იუსტ. აბულაძეს, რომლის ლექსიკონებსაც ყველაზე ფართო გავრცელება ხვდა 1909 და 1914 წლების ლექსიკონებში, მისი განმარტება არ წარმოუდგენია, ხოლო 1926 წლის გამოცემაში მას დიდი ლექსიკოლოგის საბას და სხვათა მიხედვით აღნიშნული სიტყვის განმარტებად ტანგახდილი, შიშველი აურჩევია. აქ იგი ეკამათება კიდეც აკ. შანიძეს ტერმინის განმარტებაში. 1937 წლისა და მომდევნო გამოცემებში კი მან განმარტებას პოლემიკური ნაწილი მოხსნა და ასეთი რედაქციით დააკანონა: ტანგადახდილი (!), შიშველი.

რამდენად სწორია ეს განმარტება?

დავიწყოთ თავიდან, ე. ი. მივმართოთ საბას. მას არ მოეპოვება გაძრცვილი, სამაგიეროდ აქვს: განძრცვა (2 ეზრა. 4, 23) გაშიშვლებაო. როგორღა ესმის ლექსიკოგრაფს გაშიშვლება? ეს ტერმინი მას განმარტებული არა აქვს. სამაგიეროდ მოეპოება შიშველი: „წერილთა შინა ორ რიგად ითქმის შიშველი: ითქმის ხორცთა ზედა არა რა ემოსოს; მეორედ ნიფხავკვართი (კუართი... ჯუბა, გინა პერანგი, იქვე) ოდენ ემოსოს; და ზედა სამოსელი არა; ხოლო ძონძ მოსილსა, რომელსა ხორცი სადმე უჩნდეს, ტიტველი ეწოდების; და დიდთა ფრინველთა, ნაკრტენ დაცვივნულთა, ღიღველი, ხოლო მართვეთა მათთა უნაკრტენოთა ღვლიაპი“. საბას ცალკე აქვს განმარტებული ტიტველი: სრულებით შიშველიაო.

მაგრამ გაძრცვილის და მასთან დაკავშირებული სიტყვების ზემოდამოწმებული განმარტებანი პოემას არ ეგუება. მართლაც, პოემით. თინათინმა დაიბარა ავთანდილი, რათა მას სამუდამო სიყვარული შეჰფიცოს და უცხო მოყმის საძებრად გაისტუმროს. ავთანდილი ადგა. „ქაბა ჩაიცვა მჯობი ყოვლისა ჭრელისა“ (121) და სასახლისაკენ გაემართა. იქ

> გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
> ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი (123)

თინათინს და ისე დაუხვდა იგი ავთანდილს.

მაგრამ რა დასაჯერებელია, რომ მაღალზნეობის უფაქიზესი თინათინი მის მიერ საგანგებოდ მოწვეულ და პირისპირ შეხვედრილ ავთანდილს შიშველ-ტიტველი, ტანგადაბდილი (?!) დაუხვდა და სხეულს მხოლოდ ყარყუმის ბეწვით იფარავდა. შეიძლება ასე ესმოდა გაძრცვილი ვახტანგსაც და ამის გამო აარიდა თავი მის განმარტებას. იგი ხომ თავგამოდებით ამტკიცებდა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ბოზობას კი არ გვასწავლის, ცოლქმრულ სიყვარულს ჰღაღადებსო.

თინათინს მკითხველი პირველად ხვდება მისი ტახტზე ასვლის, გამეფების დღეებში, რაც მეფემ სახალხო ზეიმად გამოაცხადა. როცა არაბეთის დედაქალაქში „მოვიდეს სრულნი არაბნით“, როცა სასახლის კარზე „ჯარი განმრავლდა ხასისა“, როცა დიდებულთა, გენერალიტეტის, წარჩინებულთა, დიდგვაროვანთა თანდასწრებით მუსიკის, ქებისა და ხოტბის ჰანგებ-ქვეშ საჯაროდ და საქვეყნოდ,

> თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
> დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა.
> მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა (15).

მაგრამ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თუ არ საზეიმო ვითარებაში, ან ოფიციალური დარბაზობის დროს, სამეფო ტანსაცმელს, გვირგვინსა და სკიპტრას შინ, საკუთარ, პიროვნულ ყოფა-ცხოვრებაში მეფეები არაფრად საჭიროებენ და არც ატარებენ. ამ ნიშნებს მეფეები ზოგჯერ საზეიმო ვითარებაშიც არ გამოაფენენ ხოლმე, როცა უნდათ ხალხთან სიახლოვე აღნიშნონ. საბერძნეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ჯარს სამშობლომ ზეიმი და დიდება შეაგება. მისაგებებლად გამოსულია მეფეც, მაგრამ:

> სითვალთმაქცოდ არა ბრწყინავს
> ერისა და ღეთის რჩეული,
> თან არა აქვს მას გვირგვინი,
> და სამეფო სამკაული, —

ვკითხულობთ „თორნიკე ერისთავში“.

რუსთაველი იცნობს, და სხვაზე უკეთ, ცხადია, საპასახლის ტრადიციებს, ეტიკეტს. მან იცის, რომ მეფეებს, გარდა პოლიტიკური ცხოვრებისა, აქვთ საკუთარი პიროვნული ცხოვრება. თინათინისა და ავთანდილის ამ შეხვედრის მიზანი, ხასიათი და შინაარსი განსაზღვრავდა ამ შეხვედრის ფორმას. იგი არის არაოფიციალური. მის მიერ მიწვეულ

მღვდელმთავრებს „მიეგებოდა... თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე... დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“,— ვკითხულობთ ერთგან „ქართლის ცხოვრებაში“ (II, გვ. 118).

ძველ ქართულ მწერლობაში **ძრც** ძირიდან მიღებული განძარცვა („აბოს წამება“, „ბალავარიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სხვ.). მართალია, ზოგჯერ **გაშიშვლდას** ნიშნავს, მაგრამ არა უველგან. ეს ნიშნავს **გაიხადა. ტანსაცმელი გაიხადა** კი არ ნიშნავს უთუოდ გაშიშვლდა-ს, გატიტვლდა-ს. ამას მშვენივრად აჩვენებს ამ სიტყვის ცოცხალი მნიშვნელობაც. მრავალი მაგალითიდან დავიმოწმებთ ერთს. ესაა ცნობილი გადმოცემა „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“, ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრი, ჩაწერილი სიკო კანდელაკისაგან, რომელიც ლიტერატურას დიდმა აკაკიმ შემოუნახა. აქ ვკითხულობთ: როდესაც სოლომონ პირველმა მის მიერ კათოლიკოსის მეშვეობით მოწვეულ-მოპატიჟებულ რაჭის ერისთავს როსტომს და მის შვილებს თვალები დასთხარა, მოტყუებულმა პატრიარქმა, რომელმაც მეფის დავალებით და მისივე სახელით უვნებლობის ფიცი და პირობა მისცა ერისთავს, თავი ეკლესიის მეთაურობის ღირსად აღარ სცნო და გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში წირვის დადგომამდე შეიმოსა არასახალხოდ, წირვის დროს კი არქიდიაკონის ღაღადისის ქვეშ „არა ღირს არს“ „საჯაროდ მოიხადა გვირგვინი“ (მიტრა, მ. მ.) და ამგვარად (რიგრიგად და თანმიყოლით) „განიძარცვა ყოველივე სამღვდელმთავრო შესამოსელი“, კათედრა დატოვა და ტაძრიდან გავიდა. ცხადია, ეს „განიძარცვა“ არ ნიშნავს იმას, რომ კათალიკოსი წირვაზე გაშიშვლდა, გატიტვლდა; ცხადია, მას სამღვდელმთავრო შესამოსელს შიგნით ეცვა კაბა, შარვალი, თეთრეული.

ამრიგად დასკვნა ნათელია: რუსთაველი ამბობს, ავთანდილთან შეხვედრისას სადად, შინაურულ, არასამეფო ტანსაცმელით მორთულ თინათინს ტანზე ყარყუმის ბეწვი ეხურა, ხოლო გვირგვინის ნაცვლად თავზე ძვირფასი რიდე ჰქონდა მოშლით მობურულიო, და არა-შიშველ, გაშიშვლებულ ტანზე ყარყუმის ბეწვი ეხურაო. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყარყუმის ბეწვი მეფური უზენაესობისა და სისპეტაკის სიმბოლოდ ითვლებოდა რენესანსულ იტალიაშიც. რიგით მკითხველს სწორი ორიენტირება შეიძლება ვერც პოემის უკანასკნელი ლექსიკონის განმარტებამ მისცეს: „გაძრცვილი 123, 1 გახდილი“ (ვეფხ. ტყ-, 1957). მასობრივი მკითხველისათვის საჭიროა ამ სიტყვის არა სინონი-

მით განმარტება, არამედ მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრა კონტექსტთან შეფარდებით.

2. ხატაეთზე გაძარჯვების შემდეგ ინდოეთში დიდძალი დავლა და ალაფი გამოეგზავნე, იმდენი, რომ

ვერ მოეუყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე (464), —

ამბობს ტარიელი.

ლექსიკოგრაფებს საჭიროდ დაუნახავთ ახსნან აზავერი. იუსტ. აბულაძის ყველაზე გავრცელებულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „აზავერი (აზავირი)... საკიდარი ხარი (საბა), გახედნილი მოზვერი ტვირთის საზიდავად“. დაახლოებით ასეთივე განმარტებაა წარმოდგენილი აზავერსა იუსტ. აბულაძის 1926 წელს გამოცემულ ლექსიკონშიც.

აზავერის ამგვარი განმარტების სათავე, როგორც იუსტ. აბულაძემ მიუთითა, არის საბა. მას აღნიშნული აქვს: „საკიდარს ხარს აზავერი“ ეწოდებაო.

მაგრამ აზავერის ამგვარი განმარტება ბუნდოვანი გამხდარა თვით საბას თანამედროვეთათვისაც, ამას ადასტურებს აზავერის ვახტანგისეული განმარტება: „აზავერი ასაკიდებელი ხარი არის“. როგორც ვხედავთ, ვახტანგს საკიდარი აკიდებისათვის დაუკავშირებია და აზავერი ამის მიხედვით განუსაზღვრავს. აღარ ვლაპარაკობთ სხვა ლექსიკონებზე, მაგრამ გვერდი არ აეცილება „ქართულ განმარტებით ლექსიკონს“, რომელშიც ვკითხულობთ: „აზავერი — ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებენ ხოლმე“.

მაგრამ ვერ დავეთანხმებით პოემის ლექსიკოგრაფებს. საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ისევ საბას მივმართოთ. მას მოეპოვება ვრცელი განმარტება ზროხისა „ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა-ო“ ე. ი. ზროხა მას ესმის, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზოგადი სახელი, და განაგრძობს: „ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი და დედალსა ფური“. ამის შემდეგ საბას განმარტებული აქვს: ხბო, ზუარაკი, ჟოჟორაკი, ბოჩოლა, მოცედი, მოზუერი, დიაკეული, ბოიკი, უსხი, აზავერი, კურო, კურაკი, ზუარა.

მაგრამ ზროხის საბასეული განმარტება არც ყოველმხრივ სრულია და არც მკაფიო. აქ არ არის განმარტებული, მაგ., ბ უ ღ ა. რომ სიტყვა ბ უ ღ ა საბამ იცოდა, ამას ადასტურებს მისივე ბ უ ღ ა — ძირიდან წარმოებული ახალი სახელი ბუღრაობა: „რა ხარი რქით მიწას

ბრდღვნიდესო". არ შეიძლებოდა საბას არ სცოდნოდა აგრეთვე ხალხური „სადილად ბუღა-კამეჩი" არ ეყოფა ამირანსო, და სხვ. ამრიგად, ზ რ ო ხ ი ს საბასეული განმარტება ყოველმხრივ სრული არაა.

მაგრამ უფრო მთავარი ისაა, რომ სიტყვას ხ ა რ ი ქართულში მეორე მნიშვნელობაც აქვს. ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში ამ სახელით აღნიშნულია მუშახარი, მუშასაქონელი, გამწევი ძალა, სამეურნეო პირუტყვი, ის, რომელსაც ქართველმა ხალხმა ერთი თავისი ფოლკლორული შედევრი უძღვნა სათაურით „ხარი":

ორშაბათობით აშენდა ციხე ქალაქი კლდეზედა...
ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა,
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასპირდა მეტად ძალზედ.
ხარმა სთქვა პირმა-ნათელმა: მე დავიწერავ ქედზედა...

რომ ხარი საბას დროს ასეთ მუშაპირუტყვსაც აღნიშნავდა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ეს პოეტური შედევრი უძღვნა, ამას ცხადყოფს საბასეული ზროხის განმარტება. იქ ვკითხულობთ: „ს ა ხ ა რ ე ს ა წლამდის ბოჭოლა... წელიწადზე მეტსა ს ა ხ ა რ ე ს ა მოზუერი" ეწოდებაო. რას ნიშნავს ს ა ხ ა რ ე ბოჭოლა, ს ა ხ ა რ ე მოზვერი? ესენი ცოცხალი ხალხური გამოთქმებია და ეწოდება ისეთ მსხვილფეხა რქოსან მოზარდს, რომელიც მომავალში ხარი გახდება, მუშაპირუტყვი, სამეურნეო გამწევი ძალა დადგება. უ ღ ე ლ ი ც, საბას გაგებით, არის „ხ ა რ თ ქ ე დ თ ს ა დ ე ბ ი ხე შესაბმელად" და სხვ. რაღა იქნება, ამის მიხედვით, ხარი? იგი სწორედ ამ უღელში შებმული და მისი გამწევია. მაგრამ გვაქვს თუ არა საბას ლექსიკონში ასეთი ხარის განმარტება? ლექსიკონში ა მ ხ ა რ ი ს, ასეთი მუშასაქონლის სახელი, ერთი შეხედვით, შეტანილი არაა.

ამავე დროს აბსოლუტურად შეუძლებელია დავუშვათ, რომ საბას თავის ლექსიკონში ზროხის განმარტებისას ჩამოთვალა მისი 12 თუ 13 სახეობა და სახელი და მუშახარი დაივიწყა.

ეს გარემოებანი გვაიძულებენ, უფრო ჩავუღრმავდეთ აზავერის საბასეულ გაგებას. იგი საბას სხვაგან, როგორც აღვნიშნეთ, განმარტებული არა აქვს. დარჩა ვეძებოთ ს ა კ ი დ ა რ ი.

სამწუხაროდ, მის „სიტყვა-კონაში" ცალკე ბუდეში ს ა კ ი დ ა რ ი არაა შეტანილი. უღელთან კი ვკითხულობთ: უღელი არის „ხართ ქეთ სადები ხე შესაბმელად. გინა ს ა ს წ ო რ ი ს ს ა კ ი დ ა რ ი".

როგორც ვხედავთ, საბას მოწმობით ს ა ს წ ო რ ი ს ს ა კ ი დ ა რ ი იგივეა, რაც ს ა ს წ ო რ ი ს უ ღ ე ლ ი. ამრიგად, უღელი ომონიმური ტერმინია და იმ ხესაც ეწოდება, რომელშიც აქეთ-იქით წყვილი ხარი შეიბმის პარალელურად, შუაზე კი გასაზიდი საგანი გამოებმება, და იმასაც, რასაც წყვილი ჯამი ჰკიდია აქეთ-იქეთ, შუაზე კი მიბმული აქვს ხელმოსაკიდი მანუვალ-საბელური. აქედან კი გამოდის დასკვნა, რომ ს ა კ ი დ ა რ ი ხ ა რ ი არის უ ღ ე ლ ი (ს) ხარი, უ ღ ლ ი ს ხ ა რ ი. ასეთია ერთი დასკვნა. ამას გარდა, საკიდარი წარმოშობით ნაზმნარი სახელია და მომდინარეობს ჰკიდიასაგან. ჩვენს ხალხში დღესაც მტკიცედ არის დამკვიდრებული ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ხარი უღელს ჰკიდია, მთელი დღე კავს ვკიდივარ და სხვ. ამ გარემოებათა მიხედვით უყოყმანოდ უნდა დავასკვნათ, რომ ს ა ბ ა ს ხ ა რ ი ს ა კ ი დ ა რ ი არის საერთოდ მუშასაქონელი, უღლის, უღელს მოსაკიდებელი, საუღლე ხარი, გ ა მ წ ე ვ ი და არა ტ ვ ი რ თ მ ზ ი დ ა ვ ი პირუტყვი.

აღსანიშნავია რომ დ. ჩუბინიშვილის 1860 წლის გამოცემაში, 460 სტრ. კომენტარებში ვკითხულობთ: „აქლემები არ მეყოო, ამისათვის აზავრები, ე. ი. ხარები დავტვირთეო". ხარები დავტვირთე სრულებით არ ნიშნავს, რომ „ხარებს ზურგზე ტვირთი დავაწყეო". ხარები დავტვირთე, ხარებს ტვირთი დავუდე, ეს იმავე მნიშვნელობის გამოთქმაა, როგორიც ურემი დავტვირთე, ურემს ტვირთი დავუდე...

ამით აზავერის მნიშვნელობა ბოლომდე, უკანასკნელ საზღვრამდე გაშუქებული მაინც არ არის. ხალხურ მეტყველებაში აზავერად იწოდება არა ყველა და ყოველგვარი ხარი, არამედ დიდტანიანი, ქართული ჯიშის ხარი, და არა „ქართული განმარტებითი ლექსიკონის" „ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებენ ხოლმე", Peophagus grunniens (რუსული Як), რომელსაც ქართული მაღალი ჯიშის ხარებისაგან განსხვავებული თვისებები ახასიათებს. აზავერი ხარი უპირისპირდება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გავრცელებულ პატარა ტანის ხარებს, რომლებიც შესახედავად მოზვრებს გვაგონებს, 75 წლის მოხუცმა სამსონ აბესაძემ აზავერი სიტყვასიტყვით ასე განმიმარტა: „უზარმაზარი, დიდი; უშველებელი ხარიო. უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი ც ხომ სწორედ ა ზ ა ვ ე რ ი დ ა ნ წარმოშობილი კომპოზიტია ფუძის გაორკეცების, უ-ს შენაცვლებისა და ვე-ს რედუქციის შედეგად. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში აზავერის შესახებ სრულიად არაფერი იციან, ზოგან (ზემო რაჭა, სოფ. ღები) ასეთ ხარს ა ზ ა ვ ა ხ ა რ ს უწოდებენ, ხოლო ზო-

გან ის ადამიანის შერქმეული საჩელია ა ზ ა ვ ე რ ა ს ფორმით, როგორც მისი არაჩვეულებრივი სიმაღლისა და მრარბეჭიანობის გამომხატველი.

ასეთი უნდა იყოს ა ზ ა ვ ე რ ი ს მნიშვნელობა საერთოდ და ასევითვე გაგებით უნდა გვხვდებოდეს იგი პოემაში. მისი შინაარსის სწორად გააზრება აუცილებელია, რათა სწორად ამოვიცნოთ პოემაში ასახული, მაგრამ დღემდე ნაკლებად გაშუქებული სამეურნეო-ეკონომიური მოვლენები.

3. გადავდივართ რუსთაველის ერთი მნიშვნელოვანი ტერმინის განხილვაზე. მის სწორად გაგებაზე დამოკიდებულია ერთი ეპიზოდის სწორად გაშიფვრა. საკითხი ეხება ტერმინს გ ა ვ ა ნ ა ტ ე ნ ი თ და მთელ ტაეპს:

ქვითა დაჰლეწეთ წვიეები ჩვენ იგი გავანატენით (618).

ხსენებული ტერმინი რუსთაველმცოდნეობაში პოლემიკის საგანი გახდა. პროფ. ალ. ბარამიძემ არ გაიზიარა მკვლევარის ვ. ინგოროყვას ახალი წაკითხვა გავაანტენით [1], ნაცვლად დღემდე მიღებული წაკითხვისა გ ა ვ ა ნ ა ტ ე ნ ი თ, და დაასაბუთა ამ უკანასკნელის სისწორე.

მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ შევჩერდეთ ხსენებულ ტერმინზე. გავანატენით ნასახელარი ზმნაა. პოემაში ვკითხულობთ:

მან ქალმან ქვეშა დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები.
მაზედან დაჯდა იგი ყმა (267).

ნ ა ტ ი, როგორც ვხედავთ, აქ ნიშნავს საგებ-სახურავად დამუშავებულ ცხოველის (დათვის, ვეფხვის, ჯიხვის, ცხვრის და სხვ.) ტყავს. საბაც მას ასევე განმარტავს: „ნატა — თალათინი, მოქნილი ტყავი". თალათინთან კი აღნიშნულია: „სხვათა ენაა, ქართულად ნატა ჰქვიანო". სინამდვილეში ნატიც არ არის ქართული (არაბული) წარმოშობისაა და იმავე მნიშვნელობით არის გადმოსული ქართულში. ამ მნიშვნელობით იგი მრავალჯერ არის დამოწმებული ძველ ქართულ ძეგლებშიც.

მაგრამ რაღაა გავანატენით? ცხადია, ის ნიშნავს: ნატად ვაქციეთ, ნატად გავხადეთ, მთელი ტაეპი ამ აზრის შემცველია: ქვით დავლეწეთ

---

[1] ვეფხისტყაოსანი 1953, შენ. გვ. 412.

წვიები, ჩვენ ისინი ნატებად ვაქციეთ, ქვეშსაგებ ტყავს დავამსგავსეთო, ამას გვიამბობს ტარიელი ფრიდონის ბიძაშვილების ცხენოსანი ლაშქრის შესახებ: როცა მოწინააღმდეგე ზღვაზე დავამარცხეთ,

ზღვა გავიარეთ, გავედით. შემოგვიტიეს ცხენია...

და გავიმარჯვეთო.

ასეთია ღრმა მნიშვნელობა ტერმინისა გავანატენით, მაგრამ ამით ეპიზოდი ნათელი მაინც არ არის: ვისი წვიები დალეწეს ქვით ტარიელის მებრძოლებმა: მოწინააღმდეგე მხარის მოლაშქრეთა?

ასე ესმით მთარგმნელებს.

მაგრამ ტარიელი და ფრიდონი, ტყვეებს, და ისიც თავისი ეროვნების ადამიანებს, უზნეოდ არ მოეპყრობა.

ეს დიდი გაუგებრობაა. მას საფუძვლად ედევს, როგორც ფეოდალიზმის ბუნების, ისე მისივე სამხედრო ხელოვნების, სამხედრო მორალის, ისტორიული ფაქტების, დასასრულ, თვით პოემის მთელი რიგი მონაცემების უგულებელყოფა. არ შეიძლება ამ ტაეპის იმათგან იზოლირებულად გაშიფრვა და განხილვა, რომლებშიც რუსთაველი ეპოქის სამხედრო სინამდვილეზე გვესაუბრება. არც მთარგმნელები, როგორც პოეტები და, სამწუხაროდ, ზოგჯერ არც მკვლევარები, როგორც ფილოლოგები, არ უწევენ ანგარიშს პოემაში ეპოქის სამხედრო სინამდვილის, სამხედრო ხელოვნების გამოვლინების, ასახვის ფაქტს, როგორც ეს საჯაროდ დაადასტურა აწ. განსვენებულმა კ. ჭიჭინაძემ: „ვეფხისტყაოსანი იულუს კეისრის წიგნი ხომ არ არის, შიგ სამხედრო ხელოვნება რომ ვეძებოთ“-ო (გაზ. „ლიტ. და ხელ“. 1949. 18(8).

შეიძლებოდა თუ არა ფრიდონის ჯარისკაცებს მოწინააღმდეგე მხარის ტყვედ ჩავარდნილ მეომართა წვიები ქვით დაელეწათ? არავითარ შემთხვევაში. ფრიდონი ბრძოლას აწარმოებს ერთი ხალხის ორ მოძმე ნახევართა შორის, სამშობლოს აერთიანებს და მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიის შემოერთებისათვის იბრძვის, რასაც უნდა მოჰყვეს მისი გამეფება ქვეყნის შემოერთებულ ნაწილშიც. ასეთი მიზნის მქონე ფრიდონს განსაკუთრებული სიფრთხილე და მორიდება ჰმართებს მომავალ ქვეშევრდომთადმი. იგი ასე უწყალოდ ვერ მოექცევა იმათ, ვისაც ხვალ მეფედ უნდა მოევლინოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ

ბრძოლაში **არ დაცემულა არც ერთი მებრძოლი** არც ერთი მხარიდან. თუ არ ჩაძირულ ხომალდთა მეზღვაურები. მოწინააღმდეგის უმიზნო მასობრივ რეპრესირებას და ტერორიზირებას ტარიელი ხატაეთშიც კი არ მიმართავს: მტრის, თვით მოღალატე რამაზის

> სპანი უველაკანი დაეიპყრენით, არ მოვკვლენით (451).
> უკანანიცა ლაშქარნი მოეწრნეს მათ, გაქცეულითა,
> დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა (452), —

გადმოგვცემს ტარიელი. მართლაც ამ ბრძოლას ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა:

> ერთობ სრულად ამოწყვიდე წინა კერძო რაზმი ორიო (447), —

გვიამბობს ტარიელი; ქაჯეთშიც

> მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა (1425).

მაგრამ ამ ბრძოლებს სულ სხვადასხვა მიზნები და ამოცანები განაპირობებს და მათ არაფერი აქვთ საერთო შინაფეოდალურ ბრძოლებთან და მათ ამოცანებთან. საკმარისია თვალი გადავავლოთ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხებზე, ან ცოტად თუ ბევრად სერიოზულ საისტორიო ნაშრომებს, რათა დავრწმუნდეთ ზემოაღნიშნული მოვლენების და მოსაზრების სისწორეში.

მაშინ თავისთავად ისმება კითხვა: მაშ ვისი წვივები დალეწეს ქვით ფრიდონის მეომრებმა?

ცხადია, მოწინააღმდეგეთა ცხენებისა: ესაა მათი უპირატესობა მოცემულ შემთხვევაში, რადგან ტარიელის სადესანტო ნაწილი, რაზმები უსათუოდ ქვეითია: ზღვა გავიარეთ, გავედითო, — გვიამბობს ტარიელი. იგი არსად ლაპარაკობს, რომ მან მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ცხენოსანი რაზმი გადასხა; ამის განხორციელება მას, ცხადია, არც შეეძლო ერთი ნავი-კატარღის მეშვეობით.

რომ აქ რუსთაველი მართლაც ცხენების წვივებზე ლაპარაკობს და არა მებრძოლთა წვივებზე, ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: რუსთაველმა კარგად იცის, რომ წვივი უველაზე საბიფათო, ადვილად დასაზიანებელი, ადვილმსხვრევადი ორგანოა ცხენისა და ასეთი ტრავმის შემდეგ სამეურნეო თუ სამხედრო მნიშვნელობის ცხოველი აღარაფრად ვარგა. ამის გამოა, რომ იგი ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება მათ

წვივმაგრობას (462) და შორეულ მგზავრობაში საიმედოდ მხოლოდ წვივმაგარი პირუტყვი (1020) მიაჩნია.

ამრიგად, ეჭვი არაა, რომ „ქვითა დავჰლეწე წვივები“ ნიშნავს: „ქვით დავლეწე ცხენთა წვივები“.

სამწუხაროა, რომ დამოწმებული ტაეპები ყველაზე მცდარად სწორედ უშუალოდ ქართულიდან ნათარგმნ რუსულ გამოცემებში იკითხება, იმ გამოცემებში, რომლებიც უცხო თარგმანებისათვის ერთგვარი ეტალონის როლს ასრულებს. ამით უცხო თარგმანებში ფეხს იკიდებს რუსთაველის მიერ ასახული ქართული სამხედრო სინამდვილე. ფეოდალური ეპოქის ქართული სამხედრო მორალი, ტრადიციები, ტაქტიკა და სხვ. იმ სახით, რა სახითაც რუსთაველს არ აუსახავს და არც შეეძლო აესახა. ამას ადასტურებს, მაგალითად, ჰუგო ჰუპერტის გერმანული თარგმანის შედარებაც ორიგინალთან (სტრ. 616, 618).

4. გადავდივართ სიტყვა რიალის მნიშვნელობაზე. ზოგიერთი ლექსიკონი მას დუმილით უვლის გვერდს, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ლექსიკოგრაფებს არ გაუზიარებიათ მისი ის გაგება, რაც სხვა ლექსიკონებში ამოიკითხეს, თვით კი მისი მნიშვნელობა ვერ დაუდგენიათ. მაგრამ მისი ახსნაც ბევრს მოეპოვება. საბას აზრით, რიალი არის ბოროტი მთქმელობა, დ. ჩუბინაშვილის შეხედულებით მარცხი. საბა, ეტყობა, რიალის მნიშვნელობის „ამირანდარეჯანიანისეულ“ ნიუანსს ითვალისწინებს, დ. ჩუბინაშვილი კი სიტყვის „როსტომიანისეულ“ გააზრებას იზიარებს. „ამირანდარეჯანიანით“ დიდომ უთხრა უსიბს: „ყოველი რიალი შენ ქმენ უსიბ და შეაპყრობინენ იგი ლომნი და აწ ესე მიგყავსო“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. II, 1949, გვ. 18). „როსტომიანში“ კი გამლექსავი გვაუწყებს: მანუჩარს გამარჯვებოდა, ინდოთთვის ექნა რიალი („შაჰ-ნამე“, I, 1016, სტრ. 984, ვარიანტით — „ინდოეთს ექნა რიალი“).

„ამირანდარეჯანიანის“ რიალი ავსიტყვაობას, მაბეზღარობას, ენის მიტანის მეშვეობით შუღლის გაღვივებას ნიშნავს, „როსტომიანის“ — აოხრებას, განადგურებას, აკლებას. მომდევნო ლექსიკოგრაფები, კერძოდ, იუსტ. აბულაძე და დ. კარიჭაშვილი აერთებენ ორივე ამ გაგებას. იუსტ. აბულაძე პირველად წერდა: „რიალი მარცხი, ფათერაკი, ბოროტი სიტყვა, გინა საქმე“ (ვეფხისტყ. 1914 წ.); დ. კარიჭაშვილი კი წერს: „რიალი (მარცხი (ჩ) ბოროტი მთქმელობა (ო) თავდასხმა, დაცემა“ (ვეფხისტყ. 1920 წ.). ამ უკანასკნელ განმარტებაში, როგორც

ვხედავთ, საბასა და დ. ჩუბინაშვილის განმარტებების გვერდით, შემოტანილია ახალი კომპონენტები: თავდასხმა, დაცემა, იუსტ. აბულაძემ შემდეგში გაიზიარა ეს გაგება. ის წერს: „რ ი ა ლ ი — მარცხი, საფათერაკო საქმე, ბოროტი მთქმელობა, თავდასხმა, თავზე დაცემა“ (ვეფხისტყაოსანი 1926, 1937 წწ.). პროფ. ს. კაკაბაძემ საკითხის გადასაჭრელად აღმოსავლეთის ენათა ლექსიკონებს მიმართა: რ ი ა ლ ი, მისი აზრით სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: თრთოლა, კანკალი[1] (ვეფხისტყაოსანი, 1926).

წარმოდგენილ მასალებზეა დაყრდნობილი რიალის ახსნა, რომლებიც მოეპოვებათ ალ. ნეიმანს, ივ. ჭავთარაძეს, ქართულ განმარტებით ლექსიკონს და სხვ.

რ ი ა ლ ი გვხვდება ქაჯეთის ეპოპეაში:

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი (1414).

რიალის მნიშვნელობის სწორად გასათვალისწინებლად საჭიროა წარმოვადგინოთ სტროფის შინაარსი გაშლილი სახით.

(გმირებმა) მოულოდნელად გაქუსლეს ცხენები, მათრახმა შექმნა წრიალი (I). რა (ეს ამბავი) ნახეს (ქაჯებმა, მათ) კარნი გაახვნეს და ქალაქიდან გაისმა ზრიალი (2).

სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი (3). იკრეს (ქაჯებმა) ნობსა და დაბდაბს, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი (4). ზემოაღნიშნულ ახსნათა მიხედვით ნათელია, რომ რუსთაველმცოდნეთა აზრით, მესამე ტაეპში ნათქვამია: გმირებმა „სამთავე (მ) სამგნით მიჰმართეს“ ქაჯეთის სამ კარს და „თავსა მით უყვეს რიალი“.

მაგრამ სტროფის ასეთ გაგებას ეღობება რამდენიმე გარემოება. სტროფის პირველ ტაეპში მსჯელობის ობიექტი, ყოველ ეჭვს გარეშე, სამი გმირია: „ანაცდად ცხენი გაქუსლეს“ სწორედ მათ; მეორე ტაეპში

---

1 მისი ახალი გაგება კი წარმოადგინა აკად. აკ. შანიძემ: „რიალი — დაერიენენ“ (ვეფხისტყაოსანი, 1957).

მსჯელობის ობიექტი იცვლება: „რა ნახეს, კარნი გააბენეს“, ცხადია, ქაჯებმა. მშორედ მათი „ქალაქით გაბდა ზრიალი“ მეოთხე ტაეპშიც, ყოველ ეჰვს გარეშე, ლაპარაკია იმავე ქაჯებზე:

დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიანო (1300), —

იწერებოდა ქაჯეთიდან მათ შესახებ ნესტანი;

იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი,

ასტეხეს (საარაკო) განგაში, ცხადია, ქაჯებმაო, გვაცნობებს საკვლევ სტროფშიც რუსთაველი. ეს ორი ტაეპი, როგორც ვხედავთ, ერთმანეთის არგუმენტია.

ასეთ ვითარებაში, თუ მივიღებთ, რომ მესამე, რ ი ა ლ ი ს შემცველ ტაეპში, ლაპარაკია თავდამსხმელ გმირებზე, გამოდის, რომ სტროფის პირველ ტაეპში ლაპარაკია გმირებზე, მეორეში — ქაჯებზე, მესამეში ისევ გმირებზე და მეოთხეში კვლავ ქაჯებზე და ოთხივეჯერ მსჯელობის ობიექტის დაუსახელებლად. ეს კი რუსთაველის ნათელი და მკაფიო სტილისათვის დამახასიათებელი არაა. ამის გამო ბუნებრივად, თავისთავად ისმება კითხვა: სწორად არის თუ არა გაგებული მესამე ტაეპი? აქ ბუნდოვანი და მრავალგვარი განმარტების პატრონია რ ი ა ლ ი. მისი მნიშვნელობა მრავალმხრივ იქნა შემოწმებული. მაგრამ ზედმეტი არაა შევამოწმოთ ეს მნიშვნელობა ფოლკლორსა და ცოცხალ მეტყველებაში

ერთ თუშურ ლექსში ვკითხულობთ:

ნაპირ ვინ ჩამოგვიარა,
თუშეთს ვინ იყო ხმლიანი?
ქოსა იქნებოდ, მეშველი,
ბევრჯერ უქნია რიალი [1].

იქვე; ლექსიკონში, სიტყვა ახსნილია. როგორც დაცემა, დასხმა. დ. კარიჭაშვილის 1920 წ. ლექსიკონში შეტანილი რიალის მნიშვნელობად შემოთავაზებული თავდასხმა, დაცემა, როგორც ვხედავთ, გადატანილია ივ. ბუქურაულის ხსენებული მასალებიდან. მაგრამ რადგან რ ი ა ლ ი ს ნამდვილი მნიშვნელობა მისი საკუთარი ნიუანსით ვერც ბუ-

---

1 თუშური ლექსები, შეკრებილი ი. ბუქურაულის მიერ. ძვ. საქართველო; ტ. II, 1913. განყ. მეხუთე, გვ. 23.

ქურაულმა გახსნა, არც დ. კარიჭაშვილის განმარტება შეეგუა პოემას. რიალი გვხვდება ვაჟასთანაც:

საით მოსდიხრ, ფშავლებო,
ცხენ-ხეთქით, რიალითაო? —

ეკითხებიან „ბაბტრიონში“ გამარჯვებით დაბრუნებულ ლაშქარს. აქ რიალი ნიშნავს ხმაურს, გამარჯვებით გამოწვეული მხიარული განწყობილების გამომხატველ უწესრიგობას: „მორბენალი ხალხის ან ცხენების ხმაურობა“, — ვკითხულობთ ლექსიკონში [ტ. III, 1940].

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ რიალს მაინც ცოტა სხვა ნიუანსი დაჰკრავს. იქ მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ამ სიტყვას გააჩნია დღევანდელ ხალხურ მეტყველებაში. ჩვენს მეტყველებაში ყოველდღიურად ისმის რიალ ძირიდან წარმოშობილი მარტივი გარიაღება. კომპოზიტი რია-რია, წარმოშობილი ლ-ს რედუქციის თუ მოკვეცის გზით რიალ-რიალისაგან, ზმნები გაარიალა, გამარიალა და სხვ., რაც ნიშნავს დაქცევას, დანგრევას, დამხობას, განადგურებას, ნანგრევებად ქცევას და გადატანით — გალანძღვას, გათათხვას. რიალის პირდაპირ მნიშვნელობასთან პოემისათვის ახლოა დ. ჩუბინაშვილის მარცხი. მაგრამ საბას ბოროტ მთქმელობას, აგრეთვე სხვა განმარტებებს (თავზე დაცემა, თავდასხმა და სხვ.), არაფერი აქვთ საერთო პოემის რიალთან: რა ბოროტი მთქმელობა უყვეს გმირებმა ვინმეს, ან როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ გმირები თავს დაესხნენ თავის თავს („თავსა მით უყვეს რიალი“), ან რა მარცხი უყვეს გმირებმა თავის თავს? „გმირებმა თავს უყვეს ქაჯებს თავდასხმა ან მარცხი“ კი ქართული არაა. მაგრამ დავუშვათ, რომ სტროფის ეს მეორეგვარი გაგება აზრობრივად ჩამოყალიბებულია. სწორედ ეს ჩამოყალიბებული აზრი ეწინააღმდეგება ლოგიკურ მსჯელობას.

სტროფის ასეთი გაგების მიხედვით გამოდის, რომ ქაჯებმა, რომელთა ძლიერება, სამხედრო ტექნიკა, გმირობა, მოხერხება, ბრძოლის უნარი, საერთოდ სამხედრო შესაძლებლობანი თავზარს სცემდა ყველას, რის გამოც მათთან ბრძოლა შეუძლებელადაც კი ითვლებოდა, გააღეს რა ქალაქის გალავნის სამივე კარი, ყოველგვარ წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს, მტერს უბრძოლველად დანებდნენ და გმირებმაც მეტად იოლი

გზით მიაღწიეს გამარჯვებას. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ერთ ჰომდევნო სტროფში საგანგებოდაც კია აღნიშნული, რომ „რა ქალაქს შეხდეს“ გმირები, „შეიქმნა სიხარკე, ციხეს სწრაფისა“ (1416), გმირები სწრაფად მიეტანენ დედაციხეს, რომელშიც ნესტანი ეგულებოდათო, ქაჯების თავდაცვით ბრძოლაზე კი სხვაგან არსად არ არის ლაპარაკი, ზემოწარმოდგენილი დასკვნა კიდევ უფრო მტკიცე და დამაჯერებელი გახდება.

სინამდვილეში შეუძლებელია ვივარაუდოთ და დავუშვათ, რომ ქაჯები ასე უბრძოლველად დანებდნენ გმირებს. გარდა იმისა, რომ ეს გარემოება ამცირებს გამარჯვების ღირებულებას, დაუსაბუთებელი აღმოჩნდება ბრძოლის შედეგებიც; როგორც ვიცით:

სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა (1425).

გმირებს ციხეში.

„თავსა მით უყვეს რიალი „ნიშნავს თავის თავს ამით აუტეხეს უბედურება, თავისი ქვეყანა ამით დააქციეს, თავისი თავი ამით დაიღუპეს“. ვინ? ცხადია ქაჯებმა. რით მ ი თ? იმით, რომ მოტყუვდნენ, მოიქცნენ ისე, როგორც გმირებმა ივარაუდეს: თავდამსხმელები ღმნიშვნელო, მცირერიცხოვან ძალად ჩათვალეს, „კარნი გაახვნეს“, სამთავე (კარებს) სამგნით მიჰმართეს“ და თავდამსხმელებს ბრძოლა გაუმართეს დარწმუნებულებმა უეჭველ გამარჯვებაში, დაჯერებულებმა, რომ უკუაქცევდნენ ასეთ უმნიშვნელო ძალებს.

ამრიგად, არა ისე, როგორც დღეს ადვილად ვიტყვით: გმირებმა „სამთავემ სამგნით მიჰმართეს ქაჯეთსო“, არამედ, როგორც იმავე ქართულით ვიტყოდით: ქაჯებმა თავიანთი გალავნის სამთავე კარებს.

სამთაეეს სამგნით მიჰმართესო.

ეს იგივეა, რაც მხოლობითში „სამსავე (სამივეს) სამგნით მიჰმართეს“. თანიან ვე ნაწილაკ-დართულ მიცემითში მეორე ბრუნვის ნიშანს რუსთაველი, ცხადია, როგორც უმართებულოს, არ ხმარობს.

დასასრულ, თუ ჩვენს მსჯელობას სინტაქსური ანალიზის ფორმას მივცემდით, გამოვიდოდა, რომ წინადადებაში:

სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი —

სიტყვა სამთავე არის არა ქვემდებარე, როგორც ვარაუდობდნენ პოე-

მის ლექსიკოგრაფები და კომენტატორები, არამედ ირიბი, ხოლო რიცალი — პირდაპირი დამატება.

5. აბჯარი 1860, 1926, 1927, 1937, 1957, 1960 წლის ლექსიკონებით არის ტანზე ჩასაცმელი ან ტანით სატარებელი საომარი იარაღი, ზოგიერთი ლექსიკონით — ცხენისაც. ეს განსაზღვრა ვახტანგიდან მოდის: „რაც ჩასაცმელი თუ შემოსაკრავი იარაღი არის, ყველას ჰქვიანო"; საბა კი გვასწავლის: „აბჯარი ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა, უფროსად საცვამთა ჯაჭვთაო".

რომელი ამ განსაზღვრათაგანია მართალი?

პოემის სამხედრო ხელოვნებაზე, სამხედრო ტერმინებზე ზოგიერთი საყურადღებო რამ უკვე ითქვა (ლ. გარსიაშვილი, ი. გედევანიშვილი და სხვ.), მაგრამ აქ მათ აღარ დავუბრუნდებით. დავიმოწმებთ მხოლოდ პოემის მონაცემებს ამ საკითხზე.

საომარი იარაღი, სამხედრო მეცნიერებაში მიღებული ტერმინოლოგიით, შოთას დროსაც ორი სახისა იყო: საბრძოლო (შეტევა-თავდასხმისა) და თავდაცვის (ამდენად, მიუღებელია ტანზე ჩასაცმელი, ტანით სატარებელი). თავდაცვის იარაღთაგან პოემაში მოხსენებულია: ჯაჭვი, ჯავშანი, ქაფი, მუზარადი, ზარადი, ჩაბალახი, საბარკული, ფარი; თავდასხმის იარაღებია: ხრმალი, დარაკა, ისარი, კაპარში, სამალი, ლახვარი, შუბი (ლახტს პოემის გმირები არ ხმარობენ. კეტსა და მათრახს კი კერძოობითი გამოყენება აქვს).

აღარ ვჩერდებით სინონიმების, ან საერთოდ იარაღის თითოეული ამ სახეობის განსაზღვრაზე, რადგან აბჯრის რაობის გარკვევისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს. აბჯარი კი ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: „ჩაიცვა ტანსა აბჯარი" (1041), „ჩაიცმენ აბჯარსა" (435), „ჩავიცვამ აბჯარსა" (1400) და სხვ., თითქოს მხოლოდ თავდასაცავი იარაღის სახელია. მაგრამ ასეთ დასკვნას აბათილებს როსტევანის ბრძანება მონებისადმი: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე" (91). ან „ხელთა აქვს მათ აბჯარია" (1461) და სხვ. ამათ მიხედვით ხომ აბჯარი ხელში დასაჭერი, და მაშასადამე, არა ჩასაცმელი იარაღია. ასეთ შემთხვევაში ვაბ ერთის ფუნქციაღა რჩება, შეტევის, რადგან ხელში დასაჭერი თავდაცვითი იარაღი სამხედრო ხელოვნების ისტორიამ მხოლოდ ერთი იცის: ფარი.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემოდამოწმებულ ტაეპებში აბჯარით, როგორც სახეობითი ცნების გამომხატველი ტერმინით, აღნიშნულია

გვარეობითი ცნება, რომ აქ რუსთაველი ნაწილის სახელით მთელს გამოხატავს, ისეთ პოეტურ ხერხს მიმართავს, რომელიც ცნობილია სინეკდოქეს სახელით. მაგრამ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ასე არაა.

აღნიშნული წინააღმდეგობანი მოიხსნება აბჯრის საბასეული გაგების ნიადაგზე: „აბჯარი ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა“. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი პოემაში. ამას ნათლად დაადასტურებს პოემის იმ სტროფების ანალიზი, რომლებშიც საგანგებო საუბარია იარაღებზე.

ქაჯეთში გალაშქრების წინ, ქვაბში გმირებმა —

პოეტს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი.
მუნ აბჯარი ყოელი-ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი...

დამოწმებული ადგილის მიხედვით ნათელია, რომ აბჯარი საომარი იარაღის ზოგადი სახელია: „ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი“, ცხადია, იარაღის საწყობია, ცეხჰაუზი, და არა მხოლოდ ჯაჭვის პერანგთა და მუზარადთა; მეაბჯრე, ლექსიკონით — „მოყმის აბჯრის მზიდველი“, ახალი ქართულით საჭურველთმტვირთელია, და არა რაინდი — სუზერენის მხოლოდ თავდაცვითი იარაღის მზიდველი; ფრიდონს ძმადნაფიცებმა საომარი იარაღის მთელი კომპლექტი (პოემით—ტანი) უძღვნეს (1383) და არა მხოლოდ თავდაცვითი იარაღი. ამასვე ადასტურებს აბჯარი ყოელი-ფერი, რაც ნიშნავს: ყოველგვარი შეჭურვილობა.

მაგრამ აბჯრის რუსთაველურ შინაარსს განსაკუთრებული სიცხადით გვითვალისწინებს კიდობნის წარწერა და მასში აღმოჩენილი იარაღის ჩამოთვლა. წარწერაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ კიდობანში ინახება „აბჯარი საკვირველი“ და ჩამოთვლილია, რა იგულისხმება ამ აბჯარში. კიდობანშიც აღმოჩნდა

აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათნი გვანი...

ამაზე ნათელი განმარტება შეუძლებელია.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ აბჯრის საბასეულ განმარტებას სრულიად სამართლიანად მხარს უჭერდა თავის ლექსიკონებში დ. კარიჭაშვილი. აბჯრის ცალმხრივი განსაზღვრა ბუნდოვანს და გაუგებარს ხდის მთელ რიგ ადგილებს და ყალბ წარმოდგენას მოგვცემს რუსთაველის სამხედრო მონაცემებზე, რაც სასურველი არ არის.

6. როსტევანისაგან შეფიცხებული სოგრატი, ბრუნდება რა შინ, ავთანდილს ეუბნება:

მადლი რა გკადრო, არ ვიცი, გაუხარდი მე მაშა ვითა.
ვა, კარგი თავი უებრო დაეკარგე, დავაშავითა.

დამოწმებული ტაეპების დ ა ვ ა შ ა ვ ი თ ა ტექსტში ერთ სიტყვად გვხვდება. ლექსიკონებში იგი ხანდახან ორ სიტყვად იკითხება, ზოგჯერ — ერთად, მაგრამ ყველგან გაგებულია დავა შავითა-ს, დადის შავად ჩაცმულის, მგლოვიარის მნიშვნელობით.

სანამ ამ გაგების მართებულებაზე შევჩერდებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ მნიშვნელობა წინმავალ ტაეპში სიტყვისა მაშა. ლექსიკონთა დიდ უმრავლესობაში ის შეტანილი არაა, არ მოეპოვება ის, კერძოდ, არც ვახტანგს და საბას. დ. ჩუბინაშვილმა კი იგი განსაზღვრა, როგორც შორისდებული („განმარტება", 751); ლექსიკოგრაფები მას გვერდს უვლიან, ალბათ, როგორც ადვილად გასაგებ შორისდებულს. ასეთივე მნიშვნელობითაა იგი შეტანილი „სიმფონიაშიც" (1956).

დამოწმებულ ტაეპში მაშა არ არის შორისდებული. ამას ნათელყოფს, უპირველეს ყოვლისა, თვით ტაეპის გრამატიკული და სტილისტიკური კონსტრუქცია, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ. ის არის „თამარიანის" ცნობილი ორი „მაშა მეხელის" ერთ-ერთი მაშა, რომელიც აკად. ნ. მარის შემდეგ მკვლევართა მიერ, გარდა ივ. ლოლაშვილისა, გაგებულია მარისებურად: მოხეტიალე გლახად, პილიგრიმად, მწირად, ყარიბად, ბოგანოდ; ივ. ლოლაშვილმა კი თავის საერთოდ შესანიშნავ შრომაში, რომელიც, სამწუხაროდ, თავისუფალი არაა მნიშვნელოვანი შეცდომებისაგან, წარმოადგინა მისი ახალი, მაგრამ არადამაჯერებელი გაგება.

მეფისაგან „დაჯილდოებული" ეპითეტებით — „ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი" (759), თავის მოკვეთის ბრძანებას სულ ერთ ბეწვზე გადარჩენილი (759) „მოახლე მეფისა დასთა დასისა" (44), უსტასარა (737) ანუ საისტორიო წყაროების „ვაზირთა ყოველთა უპირველესი" (პრემიერი) და გულისგული (814) მეფისა, მისგან უკადრისად გამოძევებული, „გამოძრწა და გამომელდა" (761) დარბაზიდან. „შეის ხასობს, გაის ქუშობს" (761), შესვლისას ხასობის მწვერვალზე მდგომი, სახელოვანი, პატივმოპოვებული, გავლენიანი, ამაყი და ბედნიერი მეგობარი მეფისა გამოსვლისას პატივახდილი, ვაებამოხვეჭილი, გათრეული

(814), ვიშობდა და ჭუშობდა პირველი ვეზირი. როგორ ბუნებრივია და ფსიქოლოგიურად ყოველმხრივ დასაბუთებული, თუ ასე დამცირებული, შეურაცხყოფილი და თითქმის ნაცემი (760) ვეზირი, რომელსაც მეფემ ისიც კი აკადრა: აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ არცა სხვად რადო, რომელიც თვითონაც ამასვე ლაპარაკობს: ამის შემდეგ „მე თვით კაცად აღარ ვარგ ვარო“ (765), ავთანდილს, ამ თავისი გათრევის ნამდვილ მიზეზს, მწარე ხუმრობით საყვედურობს: არ ვიცი, რა მადლი გკადრო (იმის გამო, რომ შენი მეოხებით) მე, მაშა (მოხეტიალე გლახაკი) ასე გავხასდი (გავდიდებულდიო). ამ მწარე სარკაზმს საკუთარი მისამართით გლახაკის გადიდებულების შესახებ, რომელიც დიდი გამომხატველობითი ძალის ანტონიმებით აგებული შესანიშნავი პოეტური ანტითეზისია, საფინალო ტაეპში სოგრატი თავისი საქციელის პირდაპირი შეფასებით ხსნის: ვა, კარგი თავი, უებრო, დავკარგე (მე), (ჩვენ) დავაშავეთ (შეცდომა ჩავიდინეთო). დავაშავითა არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც დავა შავითა, რადგან შავითა, როგორც საღირსო სიტყვა, პოეტს ნახმარი აქვს უკვე პირველ ტაეპში და მას იგი არ გაიმეორებს.

ასეთი უნდა იყოს მნიშვნელობა სიტყვებისა მაშა და დავაშავითა 763 სტროფში.

დასასრულ, თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, დამოწმებული ორი ტაეპი პოემაში შემდეგი სახით უნდა იკითხებოდეს:

მადლი რა გკადრო, არ ვიცი, გავხასდი მე, მაშა, ვითა!
ეა, კარგი თავი, უებრო, დავკარგე, დავაშავითა.

7. 1957 წლის ლექსიკონში ჯალაბი და ჯალაბობა ახსნილია თითქმის ყველა ტაეპისათვის, რომლებშიც ეს სიტყვები იკითხება: „ჯალაბი 101,2; 348,4; 732,1 წვეულება. მოწვეული ხალხი; ჯალაბობა 731,4; 1011,1 წვეული ხალხი“, 1960 წლის ლექსიკონი იმეორებს იმავე განმარტებას.

მაგრამ საბას მიხედვით ჯალაბი არის დედა-წული, ჯალაბობა — დედა-წულიანობა. დ. ჩუბინაშვილის შეხედულებითაც ჯალაბი არის დედაწულნი, სახლეულნი; იუსტ. აბულაძის ლექსიკონით (1926) ჯალაბი არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს: ოჯახობა, სახლეული; ს. კაკაბაძის აზრითაც ჯალაბი გენეზისურად არაბულ-სპარსულია და ნიშნავს: ერთი

სახლის შვილნი, ოჯახი. ამგვარივე გაგება აქვს წარმოდგენილი ჯალაბისა დ. კარიჭაშვილსაც. არ შეიძლება არ გავიხსენოთ მომდევნო ხანის ძეგლები და ავტორები (თეიმურაზ I, რუსუდანიანი, სიბრძნე სიცრუისა, დიდმოურავიანი, თეიმურაზ II და სხვ.), რომლებიც ჯალაბისა და ჯალაბობის ამგვარსავე გაგებას ადასტურებენ. არანაკლები მნიშვნელობის მქონეა მე-19 საუკ. კლასიკოსები (ილია, ალ. ყაზბეგი, ვაჟა და სხვ.), რომლებიც ჯალაბს ამავე მნიშვნელობით იყენებენ, აგრეთვე ხალხის ჩემი ჯალაბი და საჯალაბო სახლი, რომელთაგან პირველი, ჩემ ოჯახს ნიშნავს, მეორე — სამყოფ-საოჯახო სახლს, რაც სასტუმრო სახლს, გურულ ოდას უპირისპირდება. ამასვე ადასტურებს ბატონყმობის დროინდელი მოჯალაბე გლეხი, რაც ეწოდებოდა გლეხებს, რომელთაც ბატონის ოჯახში სამსახური ეკისრებოდათ.

რომელი ამ გაგებით გვხვდება ჯალაბი „ვეფხისტყაოსანში“? გვერდს ვუვლით სპარსულ-არაბულ ლექსიკონებს და კონტექსტის ანალიზს მივმართავთ.

პირველად ჯალაბი გვხვდება 101-ე სტროფში.

როგორც ვიცით, უცხო მოყმის სასწაულებრივმა გამოჩენამ და გაქრობამ მეფე როსტევანი ძალზე დააღონა, რის გამოც ნადირობა გაუგემურდა:

> ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ ეხეცთა სრვიდა. (100).

ამალამ მეფე, ალბათ, სასახლემდე მიაცილა, მაგრამ იქ, სასახლეში,

> მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
> მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს, ვითა შვილი;
> ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩაჰს არ-დაჯრილი.
> გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი. (101).

ფსიქოლოგიური სიტუაციის უფრო ნათელი და მკაფიო სურათი შეუძლებელია: დანაღვლიანებულმა მეფემ საწოლს მიაშურა, მას მხოლოდ ავთანდილი ახლავს, როგორც შვილივით მახლობელი; ყველაკაი (მხლებელთაგან) გაიყარა და ჯალაბი(ც), საბნეული, დაბნეული და შეშინებული მეფის უგუნებობით, არ შემოკრებილა: ან ყველა ერიდება ზედმეტი მზრუნველობით მეფეს თავი არ მოაბეზროს, ან ყველას ეშინია გაჯავრებულ მეფეს უნებურად არ აწყენინოს და თავს რისხვა არ დაიტეხოს.

და მხოლოდ თინათინმა გაბედა ჰკითხოს სათაყვანო მამას სევდის მიზეზი იგი „ადგა და კარს მივიდა“. მაგრამ გამობრუნდა, რადგან მას მოახსენეს: მეფეს ავთანდილი ახლავსო. როცა როსტევანმა თინათინი იხმო და მას ტკბილად უსაყვედურა:

მახლავ რად არა, რად მელი ჴოყუანებასაო (106), —

თინათინმა უპასუხა:

ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,

მეფეო, ვინც კი თქვენს უგუნებობას გაიგებს,

ვინმცა გნახა ჯადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს (107),

ვინ გაკადნიერდეს თქვენს ნახვას, ვინ გაბედოს თქვენი მყუდროების დარღვევა, რაზომ გინდა ამაყობდესო. ეს სიტყვები ხათელს ხდიან, თუ რატომ არის, რომ მეფის უგუნებობის პირობებში „ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი“, მეფის სახლეული არ შემოკრებილა. ეს უკანასკნელი სიტუაცია კი, თავის მხრივ, ნათლად აჩვენებს სასახლის, მეფის ოჯახის დამოკიდებულებას სათაყვანო მოხუცი მეფისადმი.

მეორეგან ჯალაბნი გვხვდება ტარიელისა და ნესტანის პირველი შეხვედრის მომდევნო ეპიზოდში:

გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა (348).
შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა (349).

როდესაც ნესტანის ხილვით ელდადაცემული ტარიელი გონს მოსულა, დაუნახავს, რომ ის წევს დიდ დარბაზში და მას გარშემორტყმია ატირებულ-აჟივლებული ჯალაბნი; იქვე ტრიალებენ მეფე-დედოფალი და ტირიან. მოუწვევიათ აგრეთვე მუყრნი (კულტის მსახურნი), რომლებიც ტარიელს მუსაფით ხელში „ულოცავენ“.

მაგრამ თუ ეს ატირებული ჯალაბი მოწვეული ხალხია, მაშინ ტარიელისათვის ისეთ კრიტიკულ დღეებში მის მახლობლად მისი სახლობა. დედა, ოჯახის წევრები და მახლობელნი აღარ ჩანან. ეს კი შეუძლებელია. არც არის მოსალოდნელი ცოცხალ-მკვდარ ტარიელთან სამჭიროების გარეშე დაუშვან უცხო და მოწვეული ხალხი, გარდა მკურნალთა და იმავე მოლებისა. მათ შესახებ კი ლაპარაკია საგანგებოდ, რის გამოც ისინი ჯალაბში აღარ იგულისხმებიან: რჩება ერთადერთი, რომ ჯალაბში სახლობა, ოჯახი, შინაურები იგულისხმება.

შემდეგ ჯალაბი გვხვდება 732, ჯალაბობა — 731 სტროფებში.

ავთანდილს გადაწყვეტილი აქვს, წავიდეს ნესტანის აღმოსაჩენად. თინათინი თანახმაა, ჰაგრამ ავთანდილი გრძნობს, რომ როსტევანი მას არ გაუშვებს. მოციქულად მან აირჩია ვაზირი სოგრატი და აი, ესტუმრა კიდეც მას მოულოდნელად. თქმა არ უნდა, ვაზირი გახარებულია. პირველი სიხარულისა და მოკითხვის შემდეგ:

> გაყრა ბრძანეს, გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს (731).
> რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ვაზირსა ეუბნების (732) —

თავის სათხოვარსა და გულისტკივილს.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჯალაბი მოწვეული სალხია, მაშინ სადღაა სოგრატის ოჯახი, სახლობა, შინაურები? „გაყრა ბრძანეს“, ვკითხულობთ ჯალაბის შესახებ და ამ ბრძანებაზე „ჯალაბი გაიყარა“ კიდეც. ჰაგრამ ასე (ქართველი) მასპინძელი ვერ მოექცევა მოწვეულ სტუმრებს, მით უმეტეს — დაუპატიჟებელი სტუმარი დამხვდურ სტუმრებს, და მით უფრო — ავთანდილი.

სოგრატის სახლობას კი ავთანდილი ადვილად ეტყოდა, მაპატიეთ, ცოტა ხანს ვაზირთან მაქვს სათხოვარიო. რჩება ივივე დასკვნა: ჯალაბი და ჯალაბობა სახლობაა, ოჯახია.

ჯალაბის მნიშვნელობა, როგორც დედა-წულის, ქალებისა და ბავშვების, მთელი სახლობის, მეტად მკაფიოდ გამოსჭვივის სტროფში, რომელიც გადმოგვცემს გამარჯვებული გმირების მულღაზანზარში შემოსვლის ამბავს. მათ სანახავად „მოატყდეს მოქალაქენიო“ (1460), — გვიამბობს რუსთაველი, და განაგრძობს:

> შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია,
> შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია.
> მოიჯრებოდეს, ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია,
> მათად საჭვრეტლად მიშვება მუნ მათგან ნააჯარია (1461).

დამოწმებული სტროფი ერთი უშესანიშნავესთაგანია პოემაში. აქ რუსთაველი იჩენს მასების თუ ცალკეული სოციალური კასტების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას და ერთი კალმის მოსმით გვიხატავს ამ ფსიქოლოგიას. დიდი პოეტი ჯერ ზოგადად აღნიშნავს, მთელი მულღაზანზარი გამოეფინა გმირების სანახავად, „ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარიაო“, და განაგრძობს: (იმდენად დიდი იყო დაბრუნებულისადმი ინტერესი, რომ ძუნწი და ფულის მოყვარული ვაჭრებიც კი) „შუკათა

მოდგეს“ და „მოიჯარებოდეს ჯალაბნი“, ანუ დიასახლისი ქალები დიდიან-პატარიანადო. ეს უკანასკნელნი არ ემორჩილებიან აბჯარ-ასხმულ სარანგებს (რომლებიც გამოსულან, რათა წესრიგი დაიცვან და თავიდანააცილონ ხალხს მოსალოდნელი ექსცესები), რადგან იციან, რომ ისინი იარაღს ტყუილა, ხალხის შესაშინებლად აღარუნებენ. ამრიგად, ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა ხელშია დამნაშავეთა დასჯა, ქალებთან „ბრძოლაში“ რჩებიან დამარცხებულნი, და მაშასადამე, დასჯილნი...

რჩება კიდევ ერთი ჯალაბობა, რომელიც გვხვდება 1011 სტროფში. სადაც იგი სამეფო ბალს, ბანკეტს, დიდ წვეულებას ნიშნავს.

შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი.

აქ ჯალაბობა დაახლოებით იმ მნიშვნელობის მატარებელია, რომლითაც აღწერილია იგი რუსთაველის ეპოქის ზოგიერთ ძეგლში (მაგ.. ..ვისრამიანში“): დიდი სამეფო ან საოჯახო ნადიმი.

ამრიგად, სიტყვა ჯ ა ლ ა ბ ი გენეზისურად მართლაც აღმოსავლური, პოემაში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება. ესენია: 1) დედაწული, სახლობა, ცოლ-შვილი; 2) სამეფო ან მაღალფეოდალური ოჯახი დიდგვარიან მსახურთა შტატით, ანუ სასახლე ფართო მნიშვნელობით. ასეთივე ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება პოემაში ჯ ა ლ ა ბ ო ბ ა ც. მომდინარე ჯალაბისაგან: 1) ოჯახი, სახლობა, 2) დიდი წვეულება სასახლეში.

8. კიდევ უფრო ბუნდოვანია მოლარის განმარტება მთელ რიგ ლექსიკონებში: განძეულობის გამგე. მაგრამ ასეთი მნიშვნელობით იგი პოემაში არც ერთხელ არ გვხვდება. მოლარე იქ მუდამ დიდი პერსონის საწოლის მომვლელ-გამრიგებია. პოემაში ხშირად არის ლაპარაკი მეფეთა საწოლზე, როგორც საწოლ აპარტამენტზე, ტერფა საგებლებზე, საწოლის მოკაზმვაზე და სხვ. სამეფო და მაღალ-ფეოდალურ არისტოკრატიულ ოჯახთა წევრებეს საწოლები არ შეიძლება მოსამსახურეთა შტატის გარეშე დანიშნულებისამებრ გამოიყურებოდეს.

საწოლის გამგენი, ღვიძლი მსახურნი პოემაში იწოდებიან მოლარეებად, „მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრაო“ (370), — გვიამბობს ერთგან ტარიელი, მეორეგან კი პირდაპირ ლაპარაკობს:

საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან (358)

და იქ რაღაცაზე მოითათბირესო. მოლარემ მეკარე ტარიელთან არ დაუშვა, ტარიელმა კიდევ მასთან ლაპარაკიც არ ისურვა: მას მოლარეს მოახსენა მეკარის გადძონაცემი; ასმათის მონა მოსულაო. ტარიელმა არც მისი ნახვა ისურვა: რა იცის, ჰკითხეო, — უბრძანა მან მოლარეს ასამათია მონის მისამართით, მაგრამ ეს უკანასკნელი მეტად ფრთხილი გამოდგა: მან მოახერხა ტარიელისათვის პირადად ხელში გადაეცა ასმათის წერილი.

ეს გარემოებანი, რა თქმა უნდა, ადასტურებს, რომ მოლარე პოემაში მეფის დიდი პერსონის საწოლის გამგე — გარმკარგულებელის აღმნიშვნელი სახელია, აქ იგი დადასტურებულია მხოლოდ ამ მნიშვნელობით.

ზედმეტი არ არის აღინიშნოს, რომ 1957 წლის ლექსიკონში ამ სიტყვისა წარმოდგენილია ზოგადი მნიშვნელობა და ნაჩვენებია იგი ერთ ან ორ ტაეპში (ე. ი. არა ყველა ტაეპში, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება). სხვაგვარად საჭიროც არაა, მაგრამ ამის გამო, როგორც ვნახეთ, ზოგიერთი ომონიმის ინტერესები ძალზე დაზიანებულა, რასაც უნდა ვერიდოთ. 1960 წლის ლექსიკონს ტაეპობრივი მაჩვენებლები სრულიად აღარ ახლავს, რაც ომონიმების გაგებას მასობრივ მკითხველს კიდევ უფრო გაუძნელებს.

ორიოდე მაგალითი.

ქვეყანა პოემაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება.

პირველი მნიშვნელობა მისი ასეთია: სახელმწიფო, სამეფო, სამშობლო. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას გამოთქმებში: „ქვეყანა ჩვენი არ აწყდეს“ (423), „მეფეა ამა ქვეყნისა“ (971) და სხვ.

მეორე მნიშვნელობა მისი იქნება — მთელი დედამიწა. ასეთი მნიშვნელობისაა ეს სიტყვა გამოთქმებში: „ყოველი პირი ქვეყანისა“ (182), „არ არის ქვეყანად წამალი“ (274), „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა“ (ღმერთმაო). „ჩალად უჩნს ყოველი ქვეყანა“ (1027) და სხვ.

მესამე მნიშვნელობა სიტყვისა ქ ვ ე ყ ა ნ ა არის მ ი წ ა ვიწრო გაგებით, ისეთით, როგორიც მას გააჩნია ფრაზებსა და გამოთქმებში: „მიწა ხარ და მიწად იქეცი“, „ერთი მუჭა მიწა“, „საძოსახლო მიწა“, „ნაყოფიერი მიწები“. პოემაში: „უჩნდის ქვეყანა ტახტად“ (181). „ქვეყნით ამოსლვა მწვანისა (1328) და სხვ.

ლექსიკონებში კი შეტანილია ქ ვ ე ყ ნ ი ს მხოლოდ ერთი განმარტება: მ ი წ ა.

ახალ ლექსიკონში ასეთსავე მდგომარეობაშია სიტყვები: შესმენა,

წითელი, წიგნი და სხვ. 1957 წლის ლექსიკონში — ახლად, სოფელი, სახედავი და სხვა, მაგრამ მათზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

9. დავამარცხე რა რამაზ მეფე და ძვიჭირე დედაქალაქი,

ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: იყვენით თქვენ უკრძალავად,
მზეშან არ დაგწვან, იცოდით, დაგყარენ დაუგკალავად (459), —

გადმოგვცემს ტარიელი. ლექსიკონი კი განმარტავს, რომ „ქვეყანა ჩავსხი“ ნიშნავს: გახიზნული მოსახლეობა დავაბინავე.

პოემაში არსად აღნიშნული არ არის, რომ რამაზმა ხატაეთის, ან თავისი დედაქალაქის მოსახლეობა დახიზნა. იგი ასეთ ღონისძიებას არც ჩაატარებდა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული უეჭველ გამარჯვებაში. მოსახლეობა არც თვითონ დაიხიზნებოდა, რადგან ტარიელი ქვეყნის შუაგულში მიიწვევდა შედარებით მცირერიცხოვანი რაზმით, მისი მთავარი ძალები კი გამანადგურებელ თარეშს არ ეწეოდნენ. „ქვეყანა ჩავსხი“ და სხვ., როგორც მომდევნო სიტყვებიდანაც ჩანს, ნიშნავს: მოსახლეობა დავამშვიდე, მოსახლეობას უშიშროებისა და ხსაფრთხოების გარანტიები მივეცი, ქვეყანა საომარი მდგომარეობიდან სამშვიდობოზე გადავიყვანე, ვუბრძანე, იცხოვრონ უშიშრად, გამოვუცხადე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არ იქნება მიღებული არავითარი რეპრესიები და სხვ. ამგვარად ესმის ეს სიტყვა დ. კარიჭაშვილს.

10. კატარღა პოემაში არ ნიშნავს ხომალდს, რომელზეც მენიჩბეებად მონები, ან სამღშაოზე იძულებით გამოყვანილი ხალხია. კატარღა შეიარაღებული სამხედრო ხომალდია, რომელზე გამართული დანადგარების მეშვეობითაც ტარიელმა მოწინააღმდეგის ხომალდები გატარნა. ააყირავა და ჩასძირა. ტარიელის დ ა ვ კ ა ზ მ ე თ სწორედ ამგვარ დანადგართა გამართვას გულისხმობს. შეიარაღებულ ხომალდად ესმით კატარღა ს. ორბელიანს, დ. კარიჭაშვილს, იუსტ. აბულაძეს და სხვ.

11. შეშთობა, ლექსიკონში ახსნილია როგორც დახრჩობა, მაგრამ შეუძლებელია ამ განმარტების შეთანხმება კონტექსტთან; იქ ვკითხულობთ: როსტევანი ისე გაუჯავრდა ავთანდილის თხოვნის მოხსენებაზა გამო ვაზირს, რომ მეფე „შემხედველთა შეაშთობდაო“ (756). ვერავითარი ფანტაზია ვერ წარმოადგენს ისე გაჯავრებულ ადამიანს, რომლის მხოლოდ შეხედვაც ვისიმე დახრჩობას გამოიწვევს. მით უმეტეს, შეუძლებელია ასეთი ტირანის თვისება მიაწეროს რუსთაველმა როსტე-

ვანა. „შემხედველთა შეაშთობდა“ ნიშნავს „შემხედველთ შეაშინებდა, შეაკრთობდა“ (ქარ., აბ., კაკ.).

12. როდესაც ასმათმა ავთანდილი ქვაბის სიღრმეში დამალა, თვითონ კი ტარიელს მიეგება და მოუარა,

ავთანდილ სარკმლით უჰვრეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები (267) —

ამ ამბავსო, ვკითხულობთ პოემაში. საკანი ლექსიკონში ახსნილია, როგორც „ბნელი და ნესტიანი საპყრობილე (ჩვეულებრივ ციხის ქვეშ), „ტყვე საკნით ნააზატები“ კი გაგებულია, როგორც „ტყვე, საპყრობილიდან განთავისუფლებული“.

ვფიქრობთ მთელი ეს განმარტებაც საჭიროებს კორექტივს.

საკანი, მართალია, არის ბნელი და ნესტიანი სარდაფი, რომელშიც პატიმარს ჩაკეტავენ ხოლმე, მაგრამ არა საპყრობილე. ამის გამო „ტყვე, საკნით ნააზატები“ არ შეიძლება იყოს იგივე, რაც „ტყვე, საპყრობილიდან განთავისუფლებული“. მაგრამ დავუშვათ, რომ საკანი და საპყრობილე ერთი და იგივეა. რუსთაველი აქ ვერ იტყვის: ავთანდილი საპყრობილიდან განთავისუფლებული ტყვე არისო, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ავთანდილი სწორედ ამ წუთში ფიზიკურად „პატიმარია“: ის საკანში ზის, გამოსვლა აკრძალული აქვს და იქიდან ადევნებს თვალყურს მოვლენათა მსვლელობას.

ფრაზაში „ტყვე საკნით ნააზატები“ ჩვენ გვაქვს რუსთაველური პარადოქსი, „თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია-ს“ (38) მსგავსი; „ტყვე საკნით ნააზატები“ ნიშნავს: გადარჩენილი დიდ სირცხვილს არა ხმლის მეოხებით და ბრძოლის გზით, არამედ ნებაყოფლობით საკანში ჯდომის მეშვეობით, განთავისუფლებული საკნით, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანს თავისუფლებას კი არ ანიჭებს, არამედ ართმევს. ამრიგად, „ტყვე, საკნით ნააზატები“ იგივეა, რაც ტყვე საკნით, საკნის მეშვეობით განთავისუფლებული, მიზანმიღწეული, ხელფეხგახსნილი.

13. სჯობს, რომე გვენახნე, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით (388),

დაასრულა ტარიელმა რამაზისათვის გაგზავნილი „წიგნი“ — ულტიმატური ხასიათის ნოტა.

1957 წლის ლექსიკონში ნუ ეზიარებით გაგებულია, როგორც უკუ-

თქმითი ბრძანებითი, მომდინარე სიტყვიდან ზ ი ა რ ე ბ ა. ზიარება კი ქრისტიანული რელიგიის ე. წ. ერთი შვიდსაიდუმლოთაგანია. ნუ ე ზ ი ა რ ე ბ ი თ თითქოს ნიშნავს: ნუ მიიღებ ზიარებას. ასეთი ინტერპრეტაცია ხსენებული ადგილისა წარმოდგენილია აკად. კ. კეკელიძის შრომებში.

დიდი მგოსნის რელიგიური მრწამსის შესახებ რუსთაველმცოდნეობაში აუარებელი რამ დაწერილა. მგონი, არ დარჩენილა არც ერთი რელიგია, რომლის აღმასრულებლობაც მკვლევარებმა რუსთაველს არ მიაწერეს; იყო ცდები რუსთაველი გამოეცხადებინათ ავტორად რაღაც ახალი (საკუთარი) რელიგიისა, რომელიც, თითქოს, ყველა ცნობილ რელიგიათა შენაკადს შეიცავს. აკად კ. კეკელიძემ და ვ. ნოზაძემ საბოლოოდ გაფანტეს ეს გაუგებრობა. მათ მტკიცედ დაასაბუთეს, რომ „ვეფხისტყაოსანის" ავტორი ქრისტიანია. ეს არც მოულოდნელი, არც სამწუხარო არაა: საქართველო, სადაც წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი", იყო ქრისტიანიზმის ფორპოსტი და ციტადელი ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ქრისტიანიზმი — ისტორიულად ყველაზე პროგრესული რელიგიათა შორის.

მაგრამ მოსალოდნელი არაა, რუსთაველის მიერ მაჰმადიანად სახელდებულმა გმირმა მეორე ასევე არაქრისტიან გმირს ქრისტიანული მაზიარებლობა დასწამოს (ისიც მართალი და ისიც საკუთარი სიახლით) და მისგან ამ საქციელზე ხელის აღება მოითხოვოს. ასეთი რამ ანალოგიური იქნებოდა „შაჰ-ნამეს" ქართველი მთარგმნელის გულუბრყვილობისა, რომელიც ლეგენდარულად ქრისტიანობამდელი აფთიონის შესახებ წერს:

> აღაპი უყვეს აფთიონს ხელმწიფურითა წესითა,
> ეპისკოპოსი აწვიეს ქრისტიანობის წესითა-ო.

მაგრამ აქ ყველა მკითხველის გულწრფელ ღიმილს იწვევს გულუბრყვილობა მთარგმნელისა, რომელსაც არ შეიძლება რუსთაველი გავუტოლოთ. ამ მოსაზრებას ვერ გადაეღობება აკად. კ. კეკელიძის მიერ პოემაში სწორად აღდგენილი „დღე, ჰგვანდა. არს აღვსებისა" (552). ყოველგვარ რელიგიის აღმსარებელ თუ ურელიგიო პიროვნებას შეუძლია თქვას: ესა და ეს ზეიმი, წითელი ატლასებით გაფორმებული, (ქრისტიანების) აღდგომას ჰგავდაო.

ფრაზით „თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით“. როგორც აღვნიშნეთ, იხურება ტარიელის მიერ რამაზისათვის გაგზავნილი „წიგნი“. „წიგნის“ შინაარსი კი ასეთია: „ძლიერია ინდოეთის მეფე; მისი ერთგული ყოველი მშიერი გაძღება, ურჩი კი იქნება თავისა არ მადლიერი (ამიტომ ხელი აიღეთ ურჩობაზე და) ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით. თუ თქვენ არ მოხვალთ (ამით გვაიძულებთ და) ჩვენ მოვალთ (მაგრამ ჩვენ) ზედა არ მოგეპარებით (ჩვენ მოვალთ ომით. მაშინ კი თქვენ სისხლის ღვრას ვეღარ აცდებით. ამიტომ გაფრთხილებთ, ნუ ჩაიდენთ ამ უგუნურობას), თავისა სისხლთა (ღვრას) ნუ ეზიარებით (ნუ დაიდებთ თქვენსავე სისხლს, ნუ გახდებით თქვენივე ხოცვა-ჟლეტის მონაწილენი, ხელშემწყობნი, მოზიარენი).

აღსანიშნავია, რომ „ნუ ეზიარებით“ ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა განმარტა სწორად („განმ“. 385). ზოგიერთ ახალ ლექსიკონში კი წარმოდგენილია მისი უცნაური განმარტება (1926, 1937).

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პოემისთვის უცხოა ქრისტიანული იდეები, რომ პოემის გენიალური ავტორი ქრისტიანი არაა. ეს გარემოება 388 სტროფის გარეშეც სრულიად ნათელია.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არაა. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ პოემის უკანასკნელ ლექსიკონში, რომელიც აკად. აკ. შანიძეს ეკუთვნის, ზოგიერთ სიტყვას თუ განმარტებას კითხვის ნიშანი ეზის ეს, რა თქმა უნდა, დიდი მკვლევარის მეცნიერული კეთილსინდისიერების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ასეთი ვითარება გვავალებს განვაგრძოთ პოემის ლექსიკის დაზუსტება. ჩვენი წერილები ნავარაუდევია, როგორც მხოლოდ მასალები ამ სამუშაოსი. მომდევნო წერილებშიც ასეთივე პრეტენზიით შევჩერდებით ზოგიერთ ბუნდოვან, ან სადავო საკითხზე.

1960 წ.

შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი დაზიანებული და დამახინჯებული ადგილის შესახებ

როგორც ამ ბოლო დროს აღიარებულ იქნა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, საიუბილეო თუ აკადემიის ინსტიტუტის გამოცემებისა, ხარვეზებისა და დანართების შემცველია და შემდგომ გაწმენდა-გასუფთავებას საჭიროებს. ამ საპატიო ამოცანის გადასაჭრელად დიდი წინასწარი სამუშაოებიც ტარდება. წინამდებარე წერილში ლაპარაკია მხოლოდ ცალკეული დაზიანებული თუ დამახინჯებული ადგილების აღდგენა-გასუფთავებაზე. ეჭვერენ ამ შესწორებათ და კონიექტურებს მხარს ხელნაწერები თუ არა, ამას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

დღეს პოემის ასორმოცდაათამდე ხელნაწერი მოგვეპოვება, მაგრამ არც ერთი მათგანი არა თუ რუსთაველის დედანი არ არის, არამედ მე-17 საუკ. არ სცილდება. ამის გამო ყველაზე უძველესიც კი შეიძლება დედნის მე-7, ან, უკეთეს შემთხვევაში, მე-6 პირად მივიღოთ მხოლოდ, და არა უშუალოდ რუსთაველის ავტოგრაფიდან მომდინარედ. მაგრამ უშუალოდ რუსთაველის ხელნაწერიდან მომდინარე პირიც რომ ხელთ გვქონდეს, ვერავინ მოგვცემდა გარანტიას, რომ იგი ადვექვატურად უცვლელი პირია მისი დედნისა, რადგან შეუძლებელია გადამწერს. სხვას რომ თავი დავანებოთ, კალმის შეცდომები არ გაჰპარვოდა [1]. ამოცანად უნდა დაისახოს არა პოემის ავთოტიპური, არამედ აკადემიური ტექსტის დადგენა. პოემის ავთოტიპური ტექსტის დადგენის არავითარი

[1] გადაწერისას ნებითი თუ უნებლიე ცვლილებების შეტანა საეკლესიო ძეგლების კანონიკურ ტექსტებში, თვით სახარებაშიც კი იმდენად გარდაუვალი იყო, რომ გიორგი მთაწმინდელს საგანგებო თხოვნა დასჭირდა მომავალი თაობებისათვის: ჩემი სახარების ტექსტს გადაწერისას ნუ შეცვლით, უცვლელად გადაწერეთ, თუ ჩემი არ მოგწონთ, ძველად ნათარგმნი სახარებები გადაიწერეთო.

შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან არავინ იცის, როგორ წერდა თვით რუსთაველი: გულ მდუღარი, გულ-მდუღარი, გულმდუღარი, თუ როგორც შეხვდებოდა. ეს ერთი მაგალითიც კმარა იმის ნათელსაყოფად, რომ ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, აღვადგინოთ ავტოგრაფის პირი: თუ არ ხერხდება დავადგინოთ ისეთი მარტივი მომენტი, როგორიცაა კომპოზიტების რუსთაველური ორთოგრაფია, რა შესაძლებლობა გვაქვს დავადგინოთ რუსთაველური მართლწერა ზმნის პირის ნიშნებისა, ზმნისწინებისა, ზმნისზედებისა, ზოგიერთი სახელისა, თანდებულებისა, ან რა შესაძლებლობა მოგვეპოვება ზუსტად აღვადგინოთ რუსთაველის სინტაქსი მთელი მოსალოდნელი ლაფსუსებით და ანომალიებით?

ეფრო მეტის თქმაც შეიძლება.

ჩვენ კიდეც რომ ხელთ გვეჭიროს პოემის არა ავტოგრაფიდან მომდინარე ნუსხა, არამედ თვით ავტოგრაფი, თვით პოემის ავტორის ხელიდან გამოსული დედანი, ფეტიშად ვერც მას ვაქცევდით: დ. გურამიშვილის ავტოგრაფისეული „ჭკუავაზედ", „მიჯნორს", „უნდოდოდათ", „ბნნელ", „მაცხოვნებებელი" და ბევრი სხვა ლაფსუსი აკადემიური გამოცემის ტექსტში გასწორებულია [1].

და სად არის გარანტია, რომ რუსთაველის დედანი თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებისაგან? არსად[2]. მაშასადამე, გკრჩება ერთადერთი შესაძლებლობა (და საჭიროება): დადვინდეს არა ხელნაწერებისადმი მონურად დაქვემდებარებული ტექსტი, არამედ მათი ავკარგიანობის საზომი, ე. ი. ისეთი, რომელსაც შეიძლება ნამდვილი აკადემიური (და არა ავთოტიპური) ტექსტი ვუწოდოთ. თუ ოცდაათი წლის წინათ ამაზე ფიქრიც კი გამბედაობა იქნებოდა, დღეს მისი განხორციელება სიძნელეს აღარ უნდა წარმოადგენდეს. ხელნაწერთადმი მონური მორჩილება, ხელნაწერთა გაფეტიშება, როგორც ყოველგვარი ფეტიშიზმი, ამ საქმეში მხოლოდ შეცდომებამდე მიგვიყვანა, რის გამოც იგი ყველაზე სახიფათო ბილიკად უნდა ჩაითვალოს ტექსტის დადგენისაკენ მიმართულ გზაზე. მართლაც, შეცდომა იქნებო-

---

[1] დავით გურამიშვილი, დავითიანი საქ. სსრ მეცნ. აკად., თბილისი, 1955.

[2] ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ვიღაც ოზანის ლიტერატურული მოღვაწეობა, „საქმე საშინელი", რომელმაც, როგორც ჩანს, „შეასწორა", ფაქტიურად — წარყვნა ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი სახარებისა და სხვა ძეგლების თვით ექვთიმისეული ავტოგრაფები.

და უარგვეყო თავთუხის მარცელებში შემჩნეული ღვარძლის ასეთგვარობა იმ მოტივით, რომ ასეთივე ღვარძლი გვხვდება სავსე ბეღლის ყველა ფენაში, კერძოდ, თუნდაც ფსკერზე.

1. 153. ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა,

მითხრა თინათინმაო, ეუბნება ავთანდილი შერმადინს.

მაგრამ რას ნიშნავს „ქმარი... ხისაცა რგულისა“? რუსთაველმცოდნეობას ეს მეტაფორა ესმის სამოთხის, თუ ბაღნარის ალვად (იხ. თარგმანები).

თინათინმა კი უთხრა ავთანდილს:

ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი (133).

არ გვგონია, რომ ავთანდილმა თინათინის ნათქვამი შერმადინამდე სწორად ვერ მიიტანა. ამის გამო უნდა გვქონდეს არა „მომხვდეს ხისაცა რგულისა“, არამედ ე. ი. „მომხვდეს ცისაცა მრგულისა“ [1].

არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ რუსთაველის „ღმერთმან სიმრგვალე ცისა, ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა“ (569), აგრეთვე „ბორბალი და სიმრგვალე ცისა“, რომელიც „რისხვით გარდუბრუნდა“ თურმე ქაჯებს (1415).

აღნიშნული დაზიანება, კერძოდ, ხ ი ს ა ც ა ნაცვლად სიტყვაც ი ს ა ც ა ხ-ანისა და ც-ანის ნუსხა-ხუცური მოხაზულობის დიდი მსგავსების გამო, შეიძლება მომდინარეობდეს ნუსხური დედნიდან. ეს უაზრობა შეუმჩნევიათ შემდეგში და უცდიათ კიდეც მისი გასწორება: პოემის № 205 ხელნაწერში ქუთაისის მუზეუმისა გვაქვს „მზისა რგულისა“, რაც კიდევ უარესი გაუგებრობაა, ხოლო ერთგან იკითხება: „რომ მამხვდეს სახე გულისა“ (№ 261), რაც ასეთივე უაზრობაა.

2. ინდო-ხატაელთა ბრძოლის წინ ტარიელი უამბობს ავთან-

---

[1] ულ მაწარმოებელი სუფიქსია, რომლის უ-საც მრგუალის ფუძისეული უმარცვლო უ გაუძეებია, როგორც, მაგალითად, სიტყვებში: რიცხუი — აღრიცხვა-აღრიცხუა-აღრიცხ-უ-ი-ლ-ი, რისხვა შერისხუა-შერისხ-ულ-ი, გუალუა-დაგუალული და სხვ. ეს პროცესი კარგად ჩანს ახალი ქართული ორთოგრაფიის მიხედვით: რიცხვი-აღრიცხვა-აღრიცხ(ვ)-ული, შერისხვა-შერისხ(ვ)-ულ-ი და სხვ.

დილს: განვაგრძე რა გზა, ერთი ქედიდან მინდორს მტვერი დავინახე, მივხვდი, რომ ეს იყო რამაზის მოახლოების მაუწყებელი, რის გამოც „ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა“, დავეკაზმენით, „რაზმი დავაწყევ, წავე დიდითა სწრაფითა“, მაგრამ რამაზმა კაცი შემომაგება. მაცნობებდა: აბჯრითა გხედავ, ამად შეგვქმნია გულნაკლულობაო. შემდეგ განაგრძობს:

შევსთვალე თუ: მეცა ვიცი, რაცა ჩემთვის გაგიგია;
თქვენ რასაცა სათაბირობდით, არ იქმნების, არ, იგია!
ბრძანეთ, მოდით, შეგვებენით, ვითა წესი და რიგია,
მეცა თქვენად დასახოცლად ხელი ხრმალსა დამიგია (443).

დამოწმებული სტროფი ამ სახით არის შეტანილი კრიტიკული გამოცემების აბსოლუტურ უმრავლესობაში. აღარ ვლაპარაკობთ ასევენ ნიშნებზე, რომელთა სხვადასხვაობაც აზრს არ აბნელებს. გამოვყოფთ მხოლოდ მე-3 ტაეპს: რა ბრძანოს რამაზმა? „მოდით, შეგვებენით, ვითა წესი და რიგიაო“? ასე უნდა ესმოდეს ტაეპი საიუბილეო (1937 წ.) გამოცემის რედაქციას. იქ ვკითხულობთ: „ბრძანეთ: მოდით, შეგვებენით“ და სხვ

მაგრამ ტარიელს არ დაურღვევია ბრძოლის წესი და რიგი. თან, არაბუნებრივია, იგი ურჩევდეს რამაზს: ჩემგან წესიერი ბრძოლის წარმოება მოითხოვე, წესრიგისაკენ მომიწოდეო და თუ მთელი „ბრძანეთ, მოდით“ და სხვ. ტარიელს ეკუთვნის, რაღა ბრძანოს რამაზმა? წინააღმდეგობათაგან გამოსვლა უცდია დ. კარიჭაშვილს, რის გამოც მის 1920 წ. გამოცემაში ვკითხულობთ: „აწ მოდით და შეგვებენით“ და სხვ. ასეთი წაკითხვა თითქოს გამართლებულია; ტარიელი უთვლის რამაზს, მოდი და პატიოსნად შემებიო. მაგრამ მართალი უნდა იყოს გადამწერ-გამომცემელთა უმრავლესობა.

საქმე ის არის, რომ რამაზი ფეხქვეშ თელავს ფეოდალური ეპოქის სამხედრო მორალს, ეთიკას, წესებს, ტრადიციებს. მას განზრახვა აქვს, ღალატით დაღუპოს ტარიელი. ეს უკანასკნელი კი წესრიგისაკენ მოუწოდებს ვერაგ მტერს: ვიცი, რაც განგიზრახავს (ჩვენი შეტყუება და გაჟლეტა), მაგრამ ეს არ მოხდება (უკუაგდეთ ეს უკადრისი აზრი, გამოდით სამალავებიდან და საქვეყნოდ). „ბრძანეთ“ „მოდით!“ (ეს იქნება ვაჟკაცური საქციელი). შეგვებენით, ვითა წესი და რიგია“ (და არა მზაკვრულად, ლაჩრულად, მუხანათური ხერხებით). „მეცა თქვენად დასახოცლად“, ე. ი. თქვენთან პატიოსანი ბრძოლისათვის „ხელი ხრმალსა დამიგიაო“.

ამრიგად, დამოწმებული სტროფის მესამე ტაეპი უნდა იკითხებოდეს ასე:

ბრძანეთ: „მოდით“! შეგეებენით, ვითა წესი და რიგია!

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ ტაეპის „ბრძანეთ: „მოდით“, უნდა გაგებულ იქნას არა როგორც შერწყმული წინადადების ერთეგვაროვანი წევრები, არამედ რთულ წინადადებაში შემავალ მარტივთა შემასჰენელები.

3. თითქოს ტარიელს შეუთვლია ფარსადანისათვის:

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შუილი, გიზის ერთაი-ქალია,
სვარაზმში დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
ხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?! (565).
შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე...

გაუგებრობა იწვევს „აწ ეგე არ-მართალია“ და შემდეგ ორი წერტილი. გამოდის, რომ ყველაფერი მომდევნო, ტარიელის აზრით, ტყუილია. ამ ძომდევნოში ტარიელი საკუთარ პოზიციას აყალიბებს და მის სამართლიანობას ასაბუთებს (ამიტომ უნდა იყოს არა ეგე, არამედ ესე). მაგრამ რა არ არის ტარიელის პოზიციაში მართალი და სამართლიანი? ერთადერთი: შენი ქალი არად მინდაო. ეს კი ტაქტიკური ჟესტია და ტარიელი ამის შესახებ ვერ იტყოდა, ტყუილიაო: ფარსადანს ხომ ვერ შეუთვლიდა: ყასიდად ვამბობ შენს ქალზე უარს, თორემ იმასაც ძე ვეპატრონებიო. ამის გამო უ. ი. „აწ ეს ეგე არს მართალია“. „ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ესე არს მართალია“ ნიშნავს: ვერ ჩავიდენ პირმოთნეობას, ვერ ვიქნები მლიქვნელი, ვერ გაამებ, ვფიცავ თქვენს კეთილყოფას, ეს არის მართალი: ინდოეთი ჩემია, თქვენი ქალი კი, ვისაც გინდა, იძას მიეციო.

4. კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე მისგან განაწირსა (589).

უნდა იყოს: „ასრე თავისგან განაწირსა“; ნიშნავს: ასე, როგორც მე გამწირა ღმერთმა, ის არ გასწირავს თავმობეზრებულ ადამიანსაც.

5. სმა გარდახდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა,
დიდებულნი არ გაუშვნეს, ყმა დაისვეს ახლოს წინა... (687).

გამოდის, რომ სამეფო ნადიმზე მოწვეული ყოფილან პროფესიონალი მსმელები არადიდებულთა წრიდან. ნადიმის დასასრულს ისინი გაუშვიათ, დიდებულნი კი დაუტოვებიათ.

მაგრამ ვინ არიან ეს მსმელები, რომლებიც მეფის სუფრაზე სხედან.

თუ არ იგივე დიდებულები? „დიდებულნი არ გაუშვნეს“, რაც მომდევნო ტექსტით მართდება, რადგან.

მთელი მომდევნო საუბარი მიმდინარეობს მხოლოდ როსტევანსა, თინათინსა და ავთანდილს შორის და მას არ ესწრება არც ერთი სხვა პირი. რუსთაველის განზრახვა ნათელია. მას სურს აღნიშნოს, რომ ოფიციალური ნადიმის შემდეგ როსტევანი, თინათინი და ავთანდილი ერთმანეთს შეხვდნენ ინტიმურს ვითარებაში:

დიდებულნი რა გაუშვეს, ყმა დაისვეს ახლოს წინა;
მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ჰკრი დაეთმინა.
შერმე შისი, უცნობოსა, რა ენახა, რა ესმინა...

ამრიგად, უნდა იყოს არა „დიდებულნი არ გაუშვნეს“, არამედ — „დიდებულნი რა გაუშვეს“. მაგრამ დიდებულთა ნაცვლად, ეტყობა, შეურაცხყოფელი დარჩა პირველივე გადამწერი, რის გამოც **რა** შეცვალა სიტყვით **არ**.

ბ. მძულს რა კაცსა საგუო საქმე არა არ შესწონდეს (785).

უ. ი. **არად** არ შესწონდეს.

7. პოემის ერთი უშესანიშნავესი თავი, „ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“ 1934 წლის და მომდევნო გამოცემებით სამართლიანად იწყება სტროფით:

აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავჰყვე წამავალსა.
არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტანს გულგამწყრალსა:
რა გათენდა, ჭუში ადგა, ჰგავს თუ ადენს პირით ალსა,
ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.
რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული და სხვ. 813.

მაგრამ სტროფის პირველი ტაეპი, როგორც ვხედავთ, წინააღმდეგობაშია როგორც დანარჩენი სამი ტაეპის, ისე მთელი თავის შინაარსთან: აქ მოთხრობილია არა წამავალი ყმის ამბავი, არამედ ის, რაც მოხდა სასახლეში სოგრატის მოციქულობის მეორე დღეს. წინამავალ თავებში კი ავტორმა სწორედ ავთანდილის გაპარვის შესახებ გვიამბო: ავთანდილმა შერმადინს დაუტოვა ანდერძი როსტევანისათვის გადასაცემად, თვითონ კი ილოცაო. ბოლოს, „რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალე‍ვით კარნი გაიარნა“ და „შერმადინცა დააბრუნაო“ (812). ამრიგად, თუ პოეტი წამავალ ყმას წაჰყვებოდა, იგი 813-ე სტროფით დაწყებულ თავში უკან, სასახლეში კი არ უნდა დაბრუნებულიყო, არამედ ქვაბში მიჰყოლოდა ავთანდილს.

მიუღებელია ზოგიერთი ძველი გამოცემის, აგრეთვე პ. ინგოროყვას „ყმასა წავჰყევ წარმავალსა“, რაც ნიშნავს: ახლა სხვა ამბავი გიამბო, ყმას უკვე წავჰყევი წარმავალსო, რადგან ამით შექმნილია ახალი წინააღმდეგობა: სინამდვილეში პოეტი ჯერ წამავალ ყმას არ წაჰყოლია, იგი მან ამხანად მხოლოდ გზაზე დააყენა და გაუშვა.

ეს წინააღმდეგობანი იხსნება, თუ დამოწმებული სტროფის პირველ ტაეპს ასე წავიკითხავთ:

აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმას არ წავჰყევ წამავალსა...

ახლა სხვა ამბავი გიამბოთ, სასახლისა, წამავალი ყმა დროებით მივატოვოო, გვაუწყებს აქ პოეტი. ეს შენიშვნა ბუნებრივად ხურავს ავთანდილის გაპარვაზე საუბარს. ავთანდილის თავგადასავალს გაპარვის შემდეგ კი იგი გვიამბობს მომდევნო თავში და ამის შესახებ იქვე საგანგებოდაც შენიშნავს:

აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასაო (831).

8. თითქოს ავთანდილმა შეუთვალა ფრიდონს:

ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მჭისისად (985).

მჭისი პოემაში რამდენჯერმე გვხვდება და ყველგან უარყოფითის. ცუდის მნიშვნელობით. არსაიდან არ ჩანს, რომ ავთანდილი ჯერ უნახავ ფრიდონს ასე შეეხმარებოდა. პ. ინგოროყვა, ალბათ, ამავე მოსაზრებით, ასწორებს: „ფრიდონის ძმისისად“.

მაგრამ ასეთი შესწორება ეწინააღმდეგება სტილსაც (ორი ძმა ერთ ტაეპში) და შინაარსსაც, რადგან პ. ინგოროყვა შესწორებულ სიტყვას მძიმით არ გამოჰყოფს, რის გამოც გამოდის. რომ ავთანდილი ფრიდონის რომელიღაც ძმის სანახავად მოსულა.

ყველაფერი გასწორდება, თუ დავუშვებთ, რომ ტექსტში უნდა იკითხებოდეს: „შეყრად ფრიდონის, მტკიცისად“.

9. გადავდივართ ერთი მეტად სერიოზული დამახინჯების გასწორებაზე. პოემის, უკეთ მისი აკადემიის გამოცემის ტექსტში, რომელიც სტროფული შედგენილობით საიუბილეო გამოცემის განმეორებაა, ლახტი გვხვდება ორ სტროფში, სახელდობრ, 655 და 1109 სტროფებში. პირველი მათგანი, რომელიც ქართველიშვილის 1888 წ. გამოცემის რედაქციამ ვახტანგის გამოცემაში შეპარულ ჩანართად მიიჩნია და ტექსტში არ შეიტანა, ასეთადვე იცნო საიუბილეო გამოცემის

ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რის გამოც იგი ტექსტში არც მან შეიტანა, მაგრამ კ. ჭიჭინაძის დაჟინების წყალობით ხსენებული სტროფი ამ გამოცემაში მაინც მოექცა [1].

ეი, ეს სტროფი წინამავალი და მომდევნო სტროფებით. ტარიელი უამბობს ავთანდილს თავგადასავალს და ამთავრებს:

ესე ჭაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს,
შემოვები, ამოწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს,
მათ მონანი დამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად მოქაფნეს.
საწურთამან დამაღრიჯა ცქაფნი ძრისნი კვლა მეცქაფნეს (654).
დევთა ყვირილი, ზახილი, ზეცამდის აიწეოდა;
მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა;
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა,
ასი ერთ კერძოდ მომიხდეს, დავფრიწე დაიხეოდა (655).
აჰა, ჭმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები;
ხელი მინდორს გავიპრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები,
ესე ჭალი არ დამაგდებს, — არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები, —
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები (656).
რომე ვეფხი შევნიერი (657)...

აქ სიტყვას იღებს რუსთაველი: „პირსა იცა გაიხეთქა ღაწვი“ ტარიელმაო (659) და სხვ.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დამოწმებულ კონტექსტში ყალბი სტროფი ვიცნოთ.

მაგრამ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლახტი არის არა „გრძელი უტარო მათრახი, მაგარი თასმისაგან, ანუ ღვედისაგან“, როგორც მას ვ-ტ-ის ლექსიკონში განმარტავს იუსტ. აბულაძე, ის არის „უმკვეთლო საცემი იარაღი“, როგორც განმარტავს ბაბა, ან კეტი (ოღონდ მსხვილთავიანი), როგორც „შაჰ-ნამეს“ ლექსიკონში ხსნის იგივე იუსტ. აბულაძე, და რომელსაც რუსულად ეწოდება булава. აქ იგი განიმარტება, როგორც ударное тупое оружие, набалдашник, палица с шаром или утолщением на конце. მას წარმოშობისა და გამოყენების ვრცელი ისტორია მოეპოვება და აქვს სახესხვაობანი ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ დანართი 655 და 1109 სტროფების ლახტი სწორედ ასეთ იარაღს გულისხმობს. ამას

[1] ს. ორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 88 — 89.

ეჭვმიუტანელად ადასტურებს ის გარემოება, რომ ტყავის თასმისაგან ჯაჭვთებულ საცემ იარაღს, თუნდაც იგი იყოს „უმსხოსი მკლავისა“ (85), რუსთაველი მათრახს უწოდებს. ამაზე უმსხოსი კი არავითარი ტყავის ლახტი არ შეიძლება იყოს. ამ მათრახს პოემაში მხოლოდ ტარიელი ხმარობს, მაგრამ არა როგორც საომარ იარაღს, — იგი მას არც ერთ სერიოზულ ბრძოლაში არ გამოუყენებია, — არამედ აბეზარი ადამიანების ჭკუის სასწავლებლად, რომელთათვისაც ხმლის მოქნევას არ კადრულობს. კერძო შემთხვევაში ავთანდილი იყენებს რკინის კეტს, მაგრამ არა ხალხის დასახოცად, არამედ ხომალდის დასალეწად (1042).

ამთავრებს რა ტარიელი საკუთარ თავგადასავალს, რომელიც ესოდენ დრამატიზმით არის სავსე, ბუნებრივია, რომ მას არ შეუძლია და არ შეჰფერის იგი დაასრულოს ოპტიმიზმის, გმირობის გამომხატველი ომახიანი ფინალით. ტარიელის თხრობის ხასიათი აქ მაროლაც უაღრესად მინორულია. წამოველი რა ფრიდონისაგან იმედგადაწყვეტილი, ვიპოვე ეს ღრაცური ქვაბი, რომელიც დევებს შეეკაფა, შევები მათ, ამოვწყვიტე, თუმცა მათაც დამიხოცეს შემორჩენილი მონები; საწუთრომ დამაღონა, მომატყუა, ხელიდან გამისხლტა ბედნიერება (1654). „აჰ, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები“. მხოლოდ ასმათი არ მტოვებს, მე კი სიკვდილის მეტს აღარას ვცდილობო (656).

ამ ორ სტროფს შორის ჩაჩეხილი „დევთა ყვირილი, ზახილი“ (655) არღვევს მთელი ეპიზოდის ღაღრესად მინორულ, მელანქოლიურ, დრამატიზმით სავსე, უკიდურეს პესიმისტურ განწყობილებას, რომლითაც იხურება და უნდა დაიხუროს კიდეც ტარიელის ვრცელი ტირადა. ასეთი მყვირალა, ბრიალა, რიხიანი, ოპტიმისტური სტროფი, რომელსაც არავითარი სიახლე არ შეაქვს მოვლენათა მსვლელობაში, ან ხასიათების განვითარებასა და განსაზღვრაში, და მხოლოდ ბუკივით გაჰყვირის ტარიელის ჩვენთვის კარგად ცნობილი ვაჟკაცობისა და გმირობის შესახებ, სრულიად არ შეეფერება ამ ადგილის თხრობის სტილს, არღვევს მის ბუნებრიობას და აქარწყლებს შთაბეჭდილებას.

ამ ასე თუ ისე მაინც ჰიპოთეტურ მოსაზრებას მხარს უჭერენ მტკიცე ფაქტებიც. ასე, ტარიელი გადმოგვცემს, დევებსო

შემოვები, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მიხაფნეს...

მომდევნო სტროფი კი გვაუწყებს, თითქოს ტარიელმა ამას დაუმატა:

განა დასაჯერებელია, რომ თვით რუსთაველი ასეთ წინააღმდეგობას დაუშვებდა? „ალვის შტო შეირხეოდა“ დევებთან ბრძოლაშიო, უთქვამს ტარიელს. „ალვის შტო“ მეტად როყიო თავის ქნებაა, რაც ტარიელს არ ახასიათებს. ეს არაფერი. თურმე ნუ იტყვით, ეს „ალვის შტო“, ხატაეთის, მულღაზანზარის ქაჯეთის გმირი, დევებთან ბრძოლაში შერხეულა. განსხვავებულია რუსთაველის დევების ხასიათიც. ეს დევები ზღაპრული არსებანი კი არ არიან, რომელთაც იცნობს ფოლკლორი, „ამირანდარეჯანიანი“, „შაჰ-ნამე“, მისი მიბაძვანი და აღმოსავლური ტიპის სხვა სადევგმირო თუ სარაინდო ძეგლები. ამ დევებს ზოგს სამი თავი აქვს, ზოგს — ცხრა. ზოგსაც — ასი, თვალი — ცალი, ან სამი, ხახა უზარმაზარი, და ძალა — ქვეყნის შემარყეველი. იმათ ჯადოქრული უნარი გააჩნიათ, ზოგჯერ ადამიანებს მტრობენ, ზოგჯერ— არა, ემსახურებიან კიდეც და სხვ. რუსთაველის მოკრძალებული დევები გამოქვაბულში ცხოვრობენ და არც არავის აწუხებენ. მათ არც ცხრა თავი აქვთ, არც ასი. ისინი ველურებს — უკეთ — ბარბაროსებს უფრო მოგვაგონებენ, რაც ზედმიწევნით შეეფერება რუსთაველის შემოქმედების რეალისტურ მანერას, — ვიდრე ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებათ.

ამრიგად, ყველა ზემონათქვამის შემდეგ აშკარაა, რომ 655 სტროფი შინაარსობრივად პოემისათვის ხორცმეტია.

სამაგიეროდ შინაარსის თუ ფორმის ძხრივ იგი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების („როსტომიანის“) პირმშოა. მხოლოდ ერთ თავში, „აქა პირველი ომი როსტომისა და გამარჯვება“, რომელიც 37 სტროფისაგან შედგება, 7-ჯერ გვხვდება ლ ა ხ ტ ი, მაგრამ მათ წინმავალ 2054 სტროფშიც ვკითხულობთ:

> როსტომ ჩაიცვა ბაბრაბი, რაშს ბარგისტანი შეაბა,
> პაპის ლახტი აიღო [1],

და საომრად წავიდაო.

პოეტურის მხრივ კი დევებთან ბრძოლა, ლახტის ცემა ქვეყნის შემარყეველი და გამანადგურებელი ძალით, ცამდე მისაწვევი ღრიალი ან შეტაკებათა დროს, მზის, ცის, სინათლის დაბნელება ბრძოლაში ავარდ-

[1] შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, თბილისი, 1916.

ნილი მტერისაგან და სხვ. ხომ სწორედ როსტომიანის პოეტური აქსესუარის საგანძურიდანაა.

და განა შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ პოემის ვახტანგისეულ რედაქციაში ამგვარი შინაარსისა და პოეტური აქსესუარის სტროფი მხოლოდ ერთი გვხვდება?

ამრიგად, დავას არ იწვევს ის აზრი, რომ 655 სტრ. „ვეფხისტყაოსნისა“ ჩანართია. მაგრამ ამის მიხედვით გამოდის, რომ პოემაში ლახტი მხოლოდ ერთხელ გვხვდება: 1109 სტროფში.

უკვე ეს გარემოება აყენებს მას ეჭვს ქვეშ. მაგრამ განვიხილოთ თვით სტროფიც. იგი ასეთ კონტექსტში გვხვდება.

ჭაშნაგირისაგან შეშინებული ფატმანი მიმართავს ავთანდილს: მოკალი ის კაცი, და ამით მე და ჩემი ოჯახი გვიხსენი დაბოცვისაგან, შემდეგ მე გიამბობ ჩემი ცრემლთა დენის მიზეზს (1107),

> თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
> ღააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი, რითა.
> ეეპვ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჭირითა,
> თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაპმევს კბილითა (1106).

რუსთაველი თითქოს განაგრძობს:

> რა ესმა ესე ავთანდილს ლაღსა, ბუნება ზიარსა,
> აღგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა.
> ამა საქმისა ვერ-ცნობა, — თქვა, — ჩემი სიძუნწე არსა.
> ნუ ეჭვ სულ-დგმულსა ქვეყანად, თუ ვინმე მისებრი არსა (1109).
>
> ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლელად წინამძღვარად“ (1110)

და წავალო.

1109 სტროფის ავთენტურობას აკად. აკ. შანიძე [1] ეჭვის ქვეშ აყენებს. მაგრამ თუ სტროფის მიმართ ასეთი უნდობლობისაგან თავს შევიკავებდით, ლახტის უფლებამოსილება მასში უსათუოდ საეჭვოა.

მართლაცდა საიდან გაუჩნდა იგი ავთანდილს? ის ხომ „ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა“ (1080), და გულმოდგინედ მალავს თავის ჭაბუკობას. ამის გამო და ასეთ პირობებში მას არ შეუძლია ესოდენ მყვირალა საბრძოლო იარაღი ატაროს, როგორიც არის ლახტი. ვთქვათ, იგი მას ფატმანმა უშოვა. ავთანდილი მას ვერ დაიჭერს

[1] აკ. შანიძე, სიმფონია.

ხელში იმავე მიზეზით: იგი მეტად დემონსტრაციული იარაღია. ავთანდილი კი ჭაშნაგირის მოკვლას პირებს ჩუმად, საიდუმლო პირობებში: მისი წინამძღოლი მას „ხმა-მდაბლად ჰკადრებს: ისია სრა მისიო" (1113); ჭაშნაგირის კარის მცველ მონებსაც ავთანდილი „გაეპარა" (1114) კაცი, რომელიც მკვლელობის ჩადენას აპირებს საიდუმლო პირობებში, შეიარაღებული ასე აშკარად, თუ არ ავანტურისტი, ქალაქის ქუჩებს ვერ გადაჭრის და მსხვერპლს თავს ვერ დაესხმის. ავთანდილი კი, ვიცით, რარიგ ფრთხილია.

დავუშვათ, რომ ესეც მოხერხდა, მკვლელობა მაინც უნდა ლახტით შესრულდეს.

მაგრამ პოემით, როცა ავთანდილი დანიშნულ ადგილას მივიდა,

კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევეს მას, გლახ, ყმასა.
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ეირე ხმასა,
თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
თავი თავს შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა (1114).

ლახტი, როგორც ვხედავთ, აქ არაფერ შუაშია. მოსალოდნელია ავთანდილი ამ ყბადაღებულ ლახტს ერთხელაც არის გამოიყენებს და მით ჭაშნაგირს მაინც მოკლავს. ალბათ, ამისთვის შემოინახა მან იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღად წაათრია ამოდენა გზაზე სამკაულად?

ამგვარ სამკაულებს ახლა იგი არ ატარებს. ჭაშნაგირის საწოლში კი მოვლენები ასე განვითარდა:

იგი ყძა საწოლს მარტო წვა გულითა ჭავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჭანითა;
ვერღა აესწრა, იდუმალ მოკლა, თუ ვერცა კცანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა (1115).

როგორც ვხედავთ, ავთანდილმა ჭაშნაგირი „დაკლა დანითა" და არა „მოკლა ლახტითა". სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ლახტი ისევე, როგორც კეტი, გურზი, ხმალი, მხოლოდ გაშლილ ველზე იხმარება. ოთახში იგი გამოუყენებელია: მოქნეული შეიძლება მოხვდეს კედელს, ჭერს და ყველაფერი მისი მფლობელის საზიანოდ დატრიალდეს. ამასთანავე, ლახტის ცემა რომ ქვეყნის შემარყეველ ხმას გამოსცემს, ამაში ერთნაირად გვარწმუნებენ როგორც „შაჰ-ნამე" და მთელი აღმოსავლური ლიტერატურა, ისე ჩვენი პოემის ჩვენართი 655 სტროფი. ავთანდილს კი არ შეეძლო ასეთი აურზაური აეტეხა ჭაშნაგირის ბინაზე.

მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა განზრახვა ჰქონდა. მას სურდა, მკვლელობა საიდუმლოდ მოეხდინა, კვალი დაეფარა, რათა, ალბათ, სახელი არ გაეტეხა (და პასუხისმგებლობაც აეცდინა, ცხადია). ის ასეც მოიქცა: „იდუმალ მოკლა, თუ ვერცა ვცანითაო“, შენიშნავს რუსთაველი. მან დახოცილები ზღვაში გადაყარა და მიზანსაც მიაღწია, კვალი დაფარა:

ხმა მათისა დახოცასა არ გაისმა არსით არა...
ესე მიკვირს, სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა-ო (1117), —

გაკვირვებას გამოთქვამს რუსთაველი.

ამრიგად, აშკარაა, რომ ლახტი არც 1109 სტროფში უნდა იკითხებოდეს. ავტორს, თუ იგი რუსთაველია, ცხადია, ექნებოდა; „ადგა და დანა აიღო“. მაგრამ პირველმავე გადამწერმა ვერ გაიგო რუსთაველის ჩანაფიქრი. მას არ მოეწონა ავთანდილის ხელში დანა. ეს რა ვაჟკაცის საქმეაო, გაიფიქრა მან და ავთანდილს ხელში დანის ნაცვლად ლახტი ჩასჩარა. აღნიშნულ 1109 სტროფში მან ადვილად შეცვალა დანა ლახტით: არ ირღვეოდა მეტრი, რიტმი, რითმა... თითქმის ყველაფერი თავის ადგილზე რჩებოდა, სხვაგან კი აღარ მოხერხდა ოპერაციის ასევე უმტკივნეულოდ ჩატარება. ყალბის მქნელი ვეღარ იტყოდა: მიწასა დაასკვნა, დაკლა ლახტითაო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ირღვეოდა რითმა.

ამრიგად, ვფიქრობთ, ნათელია, რომ პოემაში ლახტი არ გვხვდება.

მაგრამ ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ ეს 1109 სტროფის ლახტი თავის ადგილზეა, და ამას გარდა, თვით იარაღი, საგანი, ნივთი, რომელსაც აღნიშნავს ტერმინი ლახტი, პოემაში გვხვდება მისი თურქული სახელით კოტა [1].

კოტაც პოემის მხოლოდ ორ სტროფში გვხვდება. ესენია: 611 და 1387.

ტარიელი უამბობს ავთანდილს: როცა ბიძაშვილებთან ბრძოლაში დაჭრილი ფრიდონი გავიცანი და მულღაზანზარს გავყევი:

მივედით მისსა ქალაქსა, ტურფასა, მაგრა ცოტასა,
გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა;
პირსა იხოკდეს, გაჰყრიდეს ნახოკსა, ვით ნაფოტასა,
ეხვეოდიან, ჰკოცნიდეს ხრმალსა და სალტე-კოტასა (611).

---

[1] ვეფხისტყაოსანი, 1927, ლექსიკონი.

მეორეგან კი ფრიდონი ქაჯეთზე ლაშქრობის წინ ეუბნება ძმადნაფიცებს:

ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დაეაგნეთ ხრმალთა კოტანი (1387).

ჯერ პირველი კოტას შესახებ.

დავუშვათ, რომ კოტა აქ მართლა ლახტს გულისხმობს, მაგრამ ვიკითხოთ: საიდან გაუჩნდა იგი აქ ფრიდონს? ის არ იყო, რომ ტარიელს შესჩივლა: „ხრმალსა მივენდევ, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს". (606), უიარაღო დავრჩი, ამის გამო „ნავით ცხენი გარდვიხლტუნვე. ზღვა-ზღვა ცურვით წამოუვე, ჩემი მჭვრეტი გავაცბუნვეო" (607). ფრიდონს რომ აქ ლახტი ჰქონოდა, დიახაც გამოიყენებდა მას ამ უთანასწორო ბრძოლაში. ცხადია, ფრიდონს ამ ბრძოლაში ლახტი არ ჰქონია და არც ლაშქარს შეეძლო დაეკოცნა მისთვის არქონებული იარაღი.

ასევე ნათლად გადაწყდება კოტას რაობა და შინაარსი სტროფში „ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი". გამოდის, თითქოს ფრიდონმა თქვა: ჩვენ ხმალს ლახტი დავაგოთო. მაგრამ რატომ იტყოდა ასეთ სისულელეს ფრიდონი, ეს პატივცემულ მკვლევარს არ დაუსაბუთებია.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოემაში ლახტი არც ამ სახელით გვხვდება, არც მისი თურქული სინონიმით. გასაკვირი, მოულოდნელი, შეუძლებელი ან საწყენი აქ არაფერია, რადგან ლახტი ქართული იარაღი არ არის: არც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", არც „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი", არც ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე მას ქართულ იარაღად არ თვლიან. მართალია, ლიტერატურულ ძეგლებში ლახტი გვხვდება და აქ განსაკუთრებით ანვარიშგასაწევია „ამირანდარეჯანიანი", მაგრამ მის სამხედრო გარემოს არაფერი აქვს საერთო რუსთაველურთან. აი ერთი ადგილი ამ ძეგლიდან: „გამოვიდა სეფედავლე თეთრსა ტაიჭსა ზედა ჯდა. პოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისთვისცა და თუითცა. ჩაბალახნი გარდაეკიდნეს. აგრეთვე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდთა. და, სამნი ხრმალნი დაეკიდნეს: ერთი ალმედად (შხარიღლივ, მ. მ.), ერთი წელთა შემოერტყა და მესამე ტახტაჯსა ჩამოეკიდნა"... იმავე ეპიზოდში ვკითხულობთ: ერთ დღეს „შეიკაზმეს ოცოცი ტაიჭი. გავიდეს და შეიბნეს.. მას დღესა ოცივე ცხენი მოუკლა სეფედავლემ ამირანდარეჯანისძესა და თხუთმეტი ცხენი დარეჯანისძემან მოუკლა სეფედავლესა" [1]...

[1] ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. II, თბილისი, 1949 გვ. 77.

„ამირანდარეჯანიანის“ სამხედრო გარემო დიდად არის დავალებული „შაჰნამესაგან“. მეორე მხრივ, მთელი მისი რაინდული სინამდვილე წინამორბედია იმ დასავლური რომანისა, რომელმაც თავის დროზე უკვდავ სერვანტესს ბიძგი მისცა უკვდავი „დონ-კიხოტის“ შესაქმნელად. მაგრამ ეს სხვა საკვლევი საკითხია და მას აქ აღარ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ლახტი არც შეიძლება იხსენებოდეს და 1109-ე სტროფი, თუ იგი პოემაში დარჩა, უნდა იკითხებოდეს: ავთანდილი „ადგა და დანა აიღო“.

10. „სხვასა რას მნუკეცთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია“ 1193,

უთქვამს ნესტანს ხადუმებისათვის. მაგრამ საბრალო ნესტანს მელიქსურხავის სასახლეში ვინ რასა სთხოვს, რომ ვინმე მას რაიმეს შეეხვეწოს? მას პირდაპირ განუცხადეს, რომ იგი მეფის სასძლოა და მორთეს კიდეც სადედოფლოდ მისი ყოველგვარი თანხმობის გარეშე. ამის გამო აქ უნდა გვქონდეს „გნუკეცთ“. ეს სხვაა: მე გეხვეწებით სხვა რაღაცას (და არა დედოფლობას): გამაპარეთ, გამიშვითო, უთხრა მან ხადემებს.

11. როშაქ ბრძანა: მო-მცა-ვინ-მკლას[1] მე ტირილსა არ დავჰხვდები.
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები;
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა მოვესწრები,
მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცა-ვჰყვები 1223.

აქ ერთმანეთს არ ეგუება „ტირილისა არ დავჰხვდები“ და „წაცავჰყვები“. წინააღმდეგობა, ვფიქრობთ, აშკარაა. აკად. აკ. შანიძე ფიქრობს, რომ „არ დავჰხვდები“ ნიშნავს არ დავეღოდები, ან ანგარიშს არ გავუწევ. არც ერთი გაგება სტროფს არ ეგუება: არსაიდან არ ჩანს, რომ დულარდუხტი, როსანი და როდია ქაჯეთში არ არიან, რომ ლაპარაკი იყოს მათი დაბრუნების დროს სასახლეში მოსალოდნელ ტირილზე, მას არ დაველოდებიო, როშაქი ვერ იტყოდა. აგრეთვე, მეფეთა ცრემლს, როცა დის გარდაცვალებას გაიგებენ, მე ანგარიშს არ გავუწევო, ისევე, როგორც პოემის არც ერთი გმირი საერთოდ არ იტყვის, მეფისა და სასახლის მგლოვიარობას მე ანგარიშს არ გავუწევო. ამის გამო 1223,1 უნდა გვქონდეს „არ დაჰსცდები“. ახლა ყველაფერი გასაგებია. როშაქს უთქვამს: მე კიდეც რომ მომკლას ვინმემ, ტირილს არ დავსჰცდები, ოღონდ ჯერ წავალ, ვიმეკობრებ, ალაფით ავივსები, ადრე

[1] აკ. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია.

დავბრუნდები და შემდეგ „მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცავჰყვებიო“.

აღნიშნული დაზიანებაც, „დავჰსცდების“ ნაცვლად „დავჰხვდები“, ნუსხურის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს.

12. 1437 სტროფში ვკითხულობთ:

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცეეთდეს, ვითა ხიდსა, —

ქაჯეთიდან გამარჯვებით მომავალი გმირები ზღვათა მეფის მიერ ტარიელისთვის გადახდილ ქორწილშიო.

ჯერ კიდევ პოემის პირველ მკვლევარს და გამომცემელს ვახტანგს განუზრახავს, განემარტა სიტყვა პერპერა. იგი წერს: „რაც რამ მოსაკაზმავს გარდა სხვა კიდეე რამ კარგი მიეღმატოს“ (იგულისხმება — ადამიანმა თავის ჩაცმა-მორთულობას: ბეჭდები, სამაჯურები, გულის-ქინძისთავები, საერთოდ, ძვირფასეული), იმას ეწოდებაო. ეს განმარტება სულხანიდანაა. მის „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ: „პერპერა, რომელ არს ფუდულობა. ყოველივე, რაიცა არა არს სახმარად, არამედ საშუენებლად მოიგების, პერპერაი აქვს შესმენა“ (sic). ფუდულობა კი, სულხანით, „ბერძულია. ესე არს სახმართ ნამეტნაობა, რომელ არს ქართულად პერპერა“. სახმარი კი „ჩასაცმელი, შესასხმელი და... შესაწევნელი“ ყოფილა. შესასხმელი საბას განმარტებული არა აქვს, შესხმა კი „ქება, შემკობა, გინა სამკაულთ შებმა, გინა ნოტიო რამე შეთხიო“ არისო, გვაუწყებს ლექსიკოგრაფი.

ამრიგად, პერპერა ს. ორბელიანის განმარტებით, ქართული სიტყვაა და ეწოდება სამკაულებს, ძვირფას ნივთებს, რომელთაც ადამიანები აისხამენ ხოლმე, ან ატარებენ დასამშვენებლად. ის როგორღაც კავშირშია ჩასაცმელთანაც: პერპერა — ფუდულობა — სახმარი — ჩასაცმელი...

თუმცა ს. ორბელიანს პერპერა ქართულ სიტყვად მიაჩნია, მისი განმარტება ცხადყოფს, რომ იგი მას გამოჰყავს ლათინური სიტყვიდან purpura, purpureus, რაც ევროპულ ენებშიც დამკვიდრდა და ძვირფას, მდიდრულ მორთულ-მოკაზმულობას ნიშნავს (გენეზისურად შეიძლება მასთან კავშირში იმყოფებოდეს ქართული ფუფუნება).

ახალი დროის ლექსიკოგრაფებსა და რუსთაველმცოდნეებს პერპერა ოქროს ფულის სახელად მიაჩნიათ. „პერპერა... ბერძნული წარმოშობისაა და აღნიშნავს ბიზანტიურ ოქროს ფულს... იხსენიება მე-11 —

12 საუკუნეების წერილობით ძეგლებში: ათონის აღაპებში, დავით აღმაშენებლის ანდერძში და „ვეფხისტყაოსანში“, — წერს მკვლევარი ნუმიზმატი თ. ლომოური [1]; ასევე ესმის პერპერა თანამედროვე რუსთაველმცოდნეთა აბსოლუტური უმრავლესობას, მხოლოდ ს. კაკაბაძეს მიაჩნია იგი სპარსული ოქროს ფულის სახელად, და საეგებიოდ — ბერძნულიდან მომდინარედ, მაგრამ მაინც ოქროს ფულის სახელად [2].

მივუყენოთ ახლა ჩვენ საკვლევ სტროფს პერპერას ორივე განმარტება. აღმოჩნდება, რომ ორივე შემთხვევაში იგი უაზრობაა. მართლაც, როგორც წინმავალ, ისე მომდევნო სტროფებში (1433, 1438, 1439. 1440) ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მეფე მელიქ-სურხავმა გულუხვად დაასაჩუქრა სტუმრები, ერთი განმარტებით — ძვირფასი სამკაულებით, თუ ტანსაცმლით, მეორე განმარტებით — ოქროს ფულით, საერთოდ კი — პერპერათი, და დასაჩუქრებულნიც სწორედ აი ამ

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს, ვითა ხიდსა....

მაგრამ რას ნიშნავს „პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს ვითა ხიდისა?“ თუ ეს პოეტური შედარება გვაღწყებს, რომ გმირები ისე სცვეთენ მიწოდებულ საჩუქარს ფეხით, როგორც ხიდს — სიარულით. ეს ძღვენის თავზე გადაბერტყებაზე უარესია, რაც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ეთიკას და ამას სტუმრები, ისიც ისეთი რანგისა, ცხადია, არ ჩაიდენენ.

ისიც აღსანიშნავია, რომ ხიდი (და არა, ვთქვათ, ბოგირი), არცთუ ისე ადვილად ცვდება სიარულისაგან: რუსთაველის ეპოქის ხიდებმა საქართველოში თითქმის ჩვენ დრომდეც მოაღწიეს და პირნათლადაც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. თუ ეს შედარება გვეუბნება, რომ სტუმრები ამ საჩუქარს ისე სცვეთდენ, როგორც ხიდზე სცვეთენ პერპერას, ეს კიდევ უფრო უაზრობაა. ხიდზე არც ძვირფასი სამკაულების, არც ფულის ცვეთას არავინ არ აწარმოებს. ამის გამო ცხადი ხდება, რომ შედარებას „პერპერასა... ზედა სცვეთდეს ვითა ხიდსა“ გამართლება არ აქვს.

შედარება გაშინაარსიანდება, თუ მასში ნაცვლად ზმნა-შემასმენელისა „სცვეთდეს“ ჩავსვამთ ზმნა-შემასმენელს „ჰხვეტდეს“ და სიტყ-

---

[1] ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 286.

[2] ვეფხისტყაოსანი, 1927, ლექსიკონი.

ვას „ხიდსა" მივიჩნევთ არა პირდაპირ დამატებად, არამედ უთანდებულო გარემოებად მიცემითის ფორმით (რაც პოემაში ხშირად გვხვდება):

პერპერასა დაფანტულსა ზედა ჰხვეტდეს ვითა ხიდსა.

ეს ნიშნავს: ქაჯეთში გამარჯვებული ფრიდონის მეომრები, გულუხვად დასაჩუქრებულნი მელიქ-სურხავისაგან, მათთვის გადაყრილ პერპერას ისე ჰხვეტდნენ, როგორც ხიდზე ჰხვეტენ ხოლმე პერპერასო. ხიდზე სამკაულების ან ოქროს ფულის ცვეთას, ვიმეორებთ, არავითარი დასაბუთება, საფუძველი არა აქვს. ამის გამო იგი არც შედარების საფუძვლად გამოდგება. ხიდზე ფულს კრეფენ (ჰიპერბოლურად — ჰხვეტენ) საბაჟოები (ან მათხოვრები) და ფეოდალზიმის პირობებში (აგრეთვე შემდეგაც) იგი დიდი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა. რუსთაველი ამით გვაცნობებს, რომ მელიქ-სურხავმა მდიდრულად დაასაჩუქრა არა მარტო მისი მაღალი სტუმრები, არამედ მათი მეომრებიც, რომელთა დახმარებითაც გმირებმა აიღეს ქაჯეთი, ამიერიდან — ზღვათა მეფის სამფლობელო:

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ჭორწილსა მეტად დიდსა,
ქაჯეთიცა დაუმადლა, არ გაუშვებს დღესა შვიდსა,
უხვად გასცემს საბოძვარსა, საჯურჭლესა ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედა ჰხვეტდეს ვითა ხიდსა.

აღნიშნული დაზიანებაც ნუსხურის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს.

13. ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა:
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რად დამეთვალოდა:
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა;
აწ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა 380.

დამოწმებული სტროფი არ იკითხება ქართველიშვილის გამოცემაში. იგი ყალბად იქნა მიჩნეული საიუბილეო (1937 წ.) გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერაც. პოემაში მაინც შეიტანეს, როგორც ტარიელის სიტყვები, წარმოთქმული ნესტანისგან მიღებული პირველი წერილის საფუძველზე.

მაგრამ ტარიელმა ბევრად მეტი განიცადა ნესტანის სიყვარულისა გამო, ვიდრე ეს გადმოცემულია აღნიშნულ სტროფში. აქ კი ლაპარაკია ასმათის, როგორც დამხმარისა და შუამავლის, განცდებზე. ამას პირდაპირ მიუთითებს პირველი ტაეპი: რას ეუბნებოდა ასმათი ტა-

რიელს? სწორედ მომდევნო ტაეპებს: „ჩემი რა გითხრაო“ და სხვ. ამის გამო სტროფში პირველი ტაეპი უნდა დამთავრდეს ორი წერტილით მომდევნო სამი ტაეპი კი უნდა ჩაისვას დამოუკიდებელ ბრჭყალებში:

ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა:
„ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ“ და სხვ.

სტროფის აზრი ასეთია: ასმათი მეუბნებოდა: დიდ შიშსა და მღელვარებას განვიცდიდი, სანამ თქვენს საქმეს კეთილად დავაბოლოვებდი. ახლა კი მხიარული ვარო. აქ რუსთაველი გვიხატავს ასმათის, როგორც მეგობარ-შუამავლის, ფსიქოლოგიას: იგი უდიდეს სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი მეგობრები ბედნიერნი არიან და რომ ამის მოპოვებაში გარკვეული წვლილი მასაც უძევს.

სასურველი იქნება ზოგიერთ ტაეპში ჩასწორდეს სასვენი ნიშნები ქვემონაჩვენები სახით:

14. ვთქვით, თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით, ცად, ენით“ 205,2.
15. არ ამოეკრეფდი გამყოფთა, ვთქვი: „ჩემთა რად დავჰრიდო, და 603,3.
16. აბჯრითა გავლა არად მიჩნს, ჰირად — გატანა ფარისა 1396,1.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სამი სერიოზული დაზიანებაა ტექსტში:

1. „მომხვდეს ხისაცა რგულისა“ ნაცვლად იმისა, რომ იკითხებოდეს: „ცისაცა მრგულისა“ (153).

2. „მე ტირილსა არ დავჰხვდები“, ნაცვლად იმისა, რომ იკითხებოდეს: „არ დავჰცდები“ (1223).

3. „პერპერასა... ზედა ჰცვეთდეს, ვითა ხიდსა“, ნაცვლად იმისა, რომ გვქონდეს „ჰხვეტდეს, ვითა ხიდსა“ (1437), უნდა აიხსნებოდეს ნუსხურის ნიადაგზე: აღრევა უნდა მომხდარიყოს ან ნუსხურიდან ნუსხურად, ან ნუსხურიდან მხედრულად გადაწერის ვითარებაში (ნუსხური ც-სა და ხ-ს დიდი მსგავსების გამო).

ამ სტროფების სათვალავი კი (153, 1223, 1437) მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე მიუთითებს: ნუსხურიდან მომდინარეობის კვალი ჰპოლოდ ძირითად ტექსტში გვხვდება. ჩვენ გულდასმით ვეძებეთ იგი გაგრძელება-დამატებებში, მაგრამ მას ჯერჯერობით ვერსად წავაწყდით. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, არც მოულოდნელი, არც შემთხვევითი არ არის: თუ მე-12 — 13 საუკ. მიჯნაზე ნუსხურის ხმარება ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, აღორძინების ეპოქის საერო წრეებში, რომელშიც შეიქმნა გაგრძელებ-დამატებანი, იგი სრულიად აღარ იხმარებოდა.

1959 წ.

ერთი ჩანართად მიჩნეული სტროფის შესახებ

როგორც უკვე ცნობილია, რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად. საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) ტექსტი, რომელსაც ემყარება ყველა შემდეგი გამოცემა, საგრძნობლად არის დახერგილი ყალბი სტროფებით. განსვენებული კ. ჭიჭინაძის გაუმართლებელი საქციელის შედეგად პოემაში მოქცეულია თითქმის საყოველთაო აღიარებით სამი ყალბი თავი და შიგადაშიგ — რამდენიმე ასეთივე სტროფი, ხოლო რამდენიმე გამოჩენილი მკვლევარი და მეცნიერი კი ფიქრობს, რომ პოემაში ბოლოდან მეოთხე თავიც ყალბია. ამავე დროს ძირითადი ტექსტის გარეთ დატოვებული სტროფებიც მოითხოვენ საგანგებო ყურადღებას. პოემის ყოველი რუსთაველისად სავარაუდო სტროფი ღირსია ღრმად შესწავლის. პოემაში წარმოდგენილია ადამიანი და სამყარო იმდენი განზომილებით და ისეთი მრავალმხრივობით, რომ მარტოოდენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევანი, როგორი მასშტაბისა და მოცულობისაც არ უნდა იყოს იგი, უძლური აღმოჩნდება მის ყოველმხრივ ასათვისებლად. ამის გამო, ჩვენი აზრით, პოემის აკადემიური ტექსტის დადგენის საქმე უნდა გადაიქცეს ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობის, ქართული მწერლობის, ქართველი ხალხის საქმედ. პოემის ტექსტი, რომელიც აკადემიურის სახელით დაიბეჭდება, მომავალში ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის ეროვნული ინტერესებისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთი საზომი გახდება.

ასეთ ვითარებაში ყურადღებას შევაჩერებთ პოემის გარეთ დატოვებულ ერთ სტროფზე. ხელნაწერებსა და ზოგიერთ გამოცემაში იგი იკითხება საიუბილეო გამოცემის 276 და 277 სტროფებს შორის.

პირველი ფიცხი შეტაკების შემდეგ ასმათი შეურიგდა ავთანდილს

და დაჰპირდა, რომ გააცნობდა ტარიელს. მოულოდნელად დაბრუნებულ ტარიელსა და ასმათს შორის იმართება საუბარი. ადრე დაბრუნების მიზეზად ტარიელმა დაასახელა სურვილი — აცილებდა სანადიროდ დიდი ამალით გამოსულ ვინმე მეფესთან შეხვედრას. ასმათს საყვედურის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა: მარტო დაეხეტები მხეცებში, არავისა ჰკარობ, ერთი კაცი როგორ ვერ მონახე, მარტო არ ხეტიალობდეო. ტარიელმა უპასუხა: ვინ მოიძებნება, შენს გარდა, ჩემ ბედს თავის სურვილით გაიზიარებდესო.

მეშინია არ გამიწყრე, — ეუბნება მას ასმათი, — მაგრამ რადგან ღმერთმა შენი ვაზირობა მე მარგუნა, ვერ დავმალავ უკეთესს, რაც ვიცი: ზედმეტი არაფერი ვარგა, თავი ზომსა გარდგიხდიაო (276). შემდეგ ხელნაწერებში ვკითხულობთ: როგორც ასმათის სიტყვებს.

მისი მძებნელი იყომცა ჰკუვითა მეტისმეტითა,
შენ კაცთა ნაცელად ნადირთა ახლავ გულითა რეტითა,
სჯობს ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისის ჰვრეტითა,
ვით იადონი, არ მოკვდე ... თესლთა კვნეტითა.

ამას მოსდევს ტარიელის სიტყვები რუსთაველის რემარკით:

ყმამან უთხრა: რას მენუკვე, არა ვიცი, გააცხადე,

უღმრთოდ ჩემ სამსახურად კაცი როგორ წარმოვიდგინოო (277). ასმათმა ჩამოართვა ტარიელს პირობა, რომ იგი არ აწყენინებს მის დასახმარებლად „თავისა ნებითა“ მოსულ კაცს, და გააცნო მას ავთანდილი. სტროფი, რომელზეც საუბარი გვაქვს, არ მოიპოვება ვახტანგის გამოცემაში. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ იგი არ იქნა შეტანილი არც ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემაში, რომლის ტექსტის დადგენაზეც თავისი დროისათვის მეტად კომპეტენტური კომისია მუშაობდა. ხელნაწერებსა და გამოცემებში კი, რომლებშიც იგი მოიპოვება, იკითხება ვარიანტული სხვაობით. არ ვეხებით წვრილმან განსხვავებებს და გადავდივართ მთავარზე.

პუნქტირის ნაცვლად ს. კაკაბაძის 1927 წლის გამოცემაში, აგრეთვე ზოგიერთ ხელნაწერში, ვკითხულობთ, ბ უ ლ ბ უ ლ ი ს:

ვით იადონი, არ მოკვდე ბულბულის თესლთა კვნეტითა (257).

მაგრამ თუ აქ ბულბულს ცნობილ მგალობელ ფრინველად გავიგებთ,— სხვა უფლება არ გვაქვს, — ტაეპი უაზრობაა, ისევე, როგორც ერთი ხელნაწერის (s 3077) „ბულბულოს... კვნეტითა“. კ. ჭიჭინაძე ერთადერთი ხელნაწერის (s 2829) მიხედვით ბეჭდავს (აგრეთვე ს. კაკაბაძე თავის 1913 წლის გამოცემაში და ს. იორდანიშვილი — დანართებში): „ბუმბულოს თესლთა კვნეტითა“ (303, 253, 276). თან ლექსიკონში განმარტავს: „ბუმბული ერთგვარი ბალახია“, რაც მას უპელაციოდ კადაუტანია დიდი ლექსიკოგრაფის საბას „სიტყვის კონიდან“, სადაც ამ სიტყვას ბალახის ნიშანი უზის. მაგრამ „ქართულ განმარტებით“, საგნობრივ-თემატიკურ, ცალკე ავტორთა, დიალექტოლოგიურ და ა. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონებში, აგრეთვე ბოტანიკურ ლიტერატურასა და ცნობარებში, მათ შორის რვატომიან „საქართველოს ფლორაში“, იგი არსად ჩანს და მხოლოდ რ. ერისთავს შეუტანია იგი თავის „ბოტანიკურ ლექსიკონში“, მაგრამ მისთვის ვერავითარი განმარტება ვერ მიუცია, გარდა იმისა, რომ ფრჩხილებში აჩვენებს: „l`pуз.“, რაც ადასტურებს, რომ ლექსიკოგრაფს იგი საბას „სიტყვის კონიდან“ გადაუტანია, მისი განმარტებით არ დაკმაყოფილებულა, ვეღარ დაუზუსტებია და უფიქრია, რომ ეს რომელიღაც მისთვის უცნობი ქართული მცენარეა. ამრიგად, ერთადერთი ხელნაწერის „ბუმბულოს თესლთა კვნეტითა“, რასაც მხარს უჭერს კ. ჭიჭინაძე, სრული უაზრობაა, რადგან ასეთი სახელწოდების მცენარეს (ბუმბულოს) არ იცნობს ბოტანიკური სამყარო, ის არ არსებობს. რაც შეეხება საბას, მას თავის შრომაში ბუმბულო ამ ხელნაწერიდან უნდა ჰქონდეს გადატანილი და კონტექსტის მიხედვით განმარტებული (ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საბას ხელთ ეპირა ეს ხელნაწერი; იგი გადაწერილია 1688 წ.) [1].

ხელნაწერებში გვაქვს საძიებელი სიტყვის სხვა წაკითხვაც. ერთ მათგანში იკითხება: „ბუნბულოს თესლთა“. აქ მ-ს ნ შენაცვლებია, რაც ქართულში ხშირად დადასტურებული ფონეტიკური მოვლენაა (ამბავი — ანბავი, უმცროსი—უნცროსი). მაგრამ შესაძლოა აქ გვქონდეს არა მ-ს ნ-სთან შენაცვლების შემთხვევა, არამედ რ-ს ნაცვლად გვქონდეს ნ. ქართულში დასტურდება ასეთი ფონეტიკური მოვლენებიც (ბურტყ-

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. „ეეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, თბ., 1937, გვ. 393, „მეშვიდე გამოტოვებული შაირი“.

ლი-ბუნტყული, ბერბეცი-ბენბეცი, ბურჭყველა-ბუნჭყველა). მაშინ, თით-ქოს უნდა გვქონდეს: ბ უ რ ბ უ ლ ო ს.

დამაფიქრებელია ეს უკანასკნელი. ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ბუნბუროს თესლთა". არც ერთი ამათგანი ზემოდასახელებულ ლიტერატურაში არ ჩანს. თუ ვივარაუდებთ, რომ ორივე ამ ფორმაში შემორჩენილია სწორი დაწერილობის კვალი, კერძოდ, პირველში საძიებელი სიტყვის პირველი ნახევრის, მეორეში — მეორე ნახევრისა, გამოვიდოდა, რომ ტექსტში თავდაპირველად გვქონდა: „ბურბუროს თესლთა". მაგრამ არც ბურბურო ბოტანიკური და სხვა წყაროებით ცნობილი არ უნდა იყოს.

ქართული განმარტებით ლექსიკონში შეტანილია ბურბურა. აქ ვკითხულობთ: „ბურბურა... საერთო სახელწოდება რამდენიმე მცენარისა (ქარქვეტასი, წინწკარასი და სხვ), რომელთაც ახასიათებთ თესლის გავრცელების თავისებური ხერხი". სპეციალურს ლიტერატურაში კი იგი იწოდება დეკორაციულ ყვავილად, რომელიც „ადვილად მრავლდება გაყოფით და თესლით" (ირ. ხმალაძე, „დეკორატიული მეყვავილეობა", თბილისი, 1947 წ.).

თითქოს ხელს აღარაფერი უშლის, რომ საძიებელი სიტყვის სწორ კონიექტურად მიგვეღო ბ უ რ ბ უ რ ა. მაგრამ ხელნაწერთა უმრავლესობა მხარს უჭერს საძიებელი სიტყვის ბულბულ-იდან მომდინარეობას. იქ დასტურდება: ბულბულო (S 3077), ბულბულოს (S 5006), ბულბულის (H 3061, K 383, H 412). უფრო ამათვე უჭერენ მხარს ხელნაწერები, რომლებშიც ვკითხულობთ: ბუმბულოს (S 2829), ბუნბულოს (ოქსფ. ბოდ. მუზ. 27); გადამწერლებს, ეტყობა, არ დაუჯერებიათ, რომ ტექსტში იქნებოდა ბულბულის თესლზე საუბარი და ის თვითნებურად შეუცვლიათ საკუთარი ვარაუდით. მათ ბუმბულო თუ ბუნბულო, ეტყობა, რაღაც მცენარე ჰგონიათ. სწორედ ამ მცდარ ვარაუდს იზიარებდნენ, როგორც აღვნიშნეთ, საბა, რ. ერისთავი, კ. ჭიჭინაძე და ერთხანს ს. კაკაბაძე.

თუ ხელნაწერებს ანგარიშს მხოლოდ ნაწილობრივ გავუწევდით და საძიებელი სიტყვის კონიექტურას ბგერითი და შინაარსობრივი მიახლოების მიხედვით წარმოვადგენდით, შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა ს უ მ ბ უ ლ ი ს, ან ბ უ მ ბ უ ლ ა ს ან ბ უ ლ უ ლ ა ს თ ე ს ლ თ ა კ ვ ნ ე ტ ი თ ა. ფონეტიკურ და გრაფიკულ ნიადაგზე ასეთი აღრევა გამორიცხული არაა. ამათ-

გან სუმბული დადასტურებულია შოთას ეპოქის ძეგლებში („ვისრამიანი"), ორი უკანასკნელი კი, ა. მაყაშვილის ლექსიკონით, წითელი გვირილის სინონიმებია. მაგრამ ანგარიშგაწევას მოითხოვს თესლის საკითხი. საერთოდ, ასეთი ვარაუდი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება შევამოწმოთ, თუ დაიხურება შესაძლებლობა საძიებელი სიტყვის ხელნაწერებისეულ ბულბულ-თან დაკავშირებისა. მაგრამ, მგონი, ასეთი შესაძლებლობა აღკვეთილი არაა.

ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერ-მუშაკის, ეპისკოპოზ კირიონის „სალექსიკონო მასალებში („ძველი საქართველო", ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. მე-2, 1913 წ.) ვკითხულობთ: „ბულბულა ყვავილია, მთაში იცის".

კირიონ საძაგლიშვილი განათლებული პიროვნება იყო. მიუხედავად ამისა, ძნელია დავუშვათ, რომ მან ეს სიტყვა თავის „მასალაში" პოემის იმ ხელნაწერებიდან გადაიტანა, რომლებშიც ვკითხულობთ ბულბულო (S 3077) ბულბულოს (S 5006), ბულბულის (H 3061, K 383, H 412), ფორმობლივად აზრის მიხედვით შეასწორა და მის მიხედვითვე განმარტა. არც ის არის სარწმუნო, რომ მან იგი პოემის 1913 წლის გამოცემიდან აიღო: მისი „მასალაც" იმავე წელს დაიბეჭდა. თან ეს „მასალა" ჯშუალოდ ხალხის წიაღიდან, ხალხური ცოდნიდან ამოდის. ამას ადასტურებს საგანგებო შენიშვნაც, რომლითაც იგი გამოქვეყნდა: „შეკრებილი ეპისკოპოზ კირიონის მიერ". გვხვდება მასში ფაქტები ბიბლიიდან, „ქართლის ცხოვრებიდან", „სიტყვის კონიდან", მაგრამ პირველ ორ შემთხვევაში მითითებულია წყარო, სიტყვისკონისეულთათვის კი ნაჩვენებია ომონიმური მნიშვნელობა. ყურადღებას იქცევს ეს უკანასკნელი გარემოება: კირიონ საძაგლიშვილს თავისი „მასალა" გააზრებული აქვს, როგორც ერთგვარი შევსება-შესწორება „სიტყვის კონისა". ასეა თუ ისე, კირიონს ბ უ ლ ბ უ ლ ა 1913 წლის გამოცემიდანაც რომ ჰქონდეს აღებულ-შესწორებული, მას მისი ახალი განმარტება მოუცია. ამ განმარტებაში კი ნიშანდობლივია შენიშვნა: „მთაში იცის". ლექსიკოგრაფი მიუთითებს მცენარის გეოგრაფიაზე. ზონალურობაზე, ასეთის გამოგონებას კი იგი არ დაუშვებდა.

მაგრამ ბ უ ლ ბ უ ლ ა ფონეტიკურად ძალზე ახლოა ბურბურა-თან. ქართულში ხშირია რ-ლ-ს ურთიერთ მონაცვლეობა ასიმილაციის და დისიმილაციის ნიადაგზე. ჩანს, პირველი მეორის სინონიმია. ეტყობა, ბ უ ლ ბ უ ლ ა დავიწყებას მიეცა და შემოგვრჩა მისი მეო-

რე სახელი, ბურბურა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ დღეს ბოტანიკურ ლიტერატურაში ბულბულა აღარ ჩანს. ისიც შესაძლებელია. როშ ბულბულა ბურბურას ერთი რომელიმე სახესხვაობის სახელი იყოს.

რაღაა იადონი? თითქოს ზედმეტია ამ კითხვის დაყენება, მაგრამ იგი საჭირო გახდა. დიდი საბა წერს: „იადონი აედონი—ბერძნულად ბულბულს უწოდენ და იმერელნი იადონსა ბულბულსვე უწოდენ. ჩვენთა წერილთა შინა მინახავს: იადონი ზამთარ-ზაფხულ დაუცადებლად მოჰხვინეაო. ბულბული სამ თვე ოდენ სტვენს და დადუმდების.

ფრანცას ერთი რიგი ჩიტი ვნახე, ბულბულის ტოლი და თეთრ-მოყვითალო, ზამთარ და ზაფხულ მოუთმენლად ტკბილად მჭრინავი. მე ის მგონია.

ქართველს მოლექსეთაც ბულბული და იადონი სხუა და სხუად უთქვამთ, თქვენ გაარჩიეთ".

ბევრი აღარაფერია გასარჩევი, რადგან საბას ცნობები ძირითადად სწორია: ბულბული სხვაა, იადონი — სხვა, თუმცა ორივე ბეღურასებრთა რიგისაა.

რომელ მათგანს გულისხმობს სადავო სტროფი? ამას, ერთის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორივე მათგანი, იადონიც და ბულბულიც, პოემაში ნახსენებია რამდენჯერმე, რაც გამორიცხავს როგორც იადონის შემთხვევითობას ჩვენს სტროფში, ისე სტროფისას— პოემაში. მეორეს მხრივ, მნიშვნელობას არაა მოკლებული სპეციალურს ლიტერატურაში აღნიშნული გარემოება. ძალზე ცოტა სახეობანია ბეღურასნაირთა შორის მხოლოდ ერთი სახის საკვებზე მინდობილი. ბულბული კი, კერძოდ, უმთავრესად მწერებით იკვებება, იადონი — თესლეულით.

თითქოს ხელს აღარაფერი გვიშლის, ტაეპის პირველსახედ მივიღოთ:

ვით იადონი, არ მოკვდე ბულბულას თესლთა კვნეტითა,

და სტროფი რუსთაველისად ვცნოთ.

კონიექტურისა და თვით ტაეპის ყოფნა-არყოფნის ბედს პოემაში. ვფიქრობთ, მაინც ერთი საკითხის გარკვევა გადაწყვეტს: ემუქრება თუ არა ბეღურასნაირთა, კერძოდ იადონის სიცოცხლეს საფრთხით ბულბულას თესლთა კვნეტა? თუ არა, სტროფის ბედი გადაწყვეტილია: მგოსანთმგოსანი ასეთ ტყუილს არ იტყოდა.

ბურბურას, როგორც აღვნიშნეთ, — „განმარტებითი ლექსიკონი“ თვლის განსაკუთრებული თვისების მცენარეთა საერთო სახელად. ესენია: ქარქვეტა, წინწკალა და სხვ. (ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონით“ წინწკარა, чипсолюбка). ის არის რუსული качим, gipsohila. ამ უკანასკნელისას Флора СССР, რომელშიც იგი შეტანილია 493 №-ით, 67 ძირითად სახეობას ითვლის. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში კი აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში იგი 68 სახესხვაობისა გვხვდება, преимущественно в горах Кавказа и Средней Азии.

ბევრი მათგანის ძირები დიდი რაოდენობით შეიცავს საპონინს, რისგანაც ამზადებენ ცხენებისათვის ძლიერ მოქმედ საღებანებელს, ვკითხულობთ დასახელებულ განმარტებაში, ხოლო ცნობილი И. А. Буши-ი თავის შრომაში „Курс систематики высших растений“ (1944 წ.), აღნიშნავს, რომ მიხაკისნაირთა ოჯახი, რომელსაც განეკუთვნება качим, ძალზე მდიდარია სახეებით. ზოგიერთი მათგანის შესახებ ხსენებული მეცნიერი ამბობს: Вредное сорное растение посевов, обладающее ядовитыми семенами (стр. 391).

იგუებს თუ არა, ან საჭიროებს თუ არა სტროფს ეპიზოდი შინაარსობრივად? ამ თვალსაზრისით სტროფი თავის ადგილზეა. 276 სტროფში ასმათი, მართალია, ამბობს, ვერ დავმალავ უკეთესსა, რაცა საქმე გამიცდია, ვერ დავმალავ, რაც უკეთესი ვიცი, მაგრამ სტროფს ასეთი აფორიზმით ამთავრებს:

არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდია.

გამოდის, რომ ის ვერ მალავს არა პერსონალურად ვისიმე, ასეთი პიროვნების რეალურად არსებობის ფაქტს, არამედ სასარგებლო აზრს, რომ ზედმეტი არაფერი ვარგა, რომ კერძოდ, ტარიელის ასეთი ხანგრძლივი მარტოობა ზედმეტია და უსარგებლო. ამის გამო ტარიელს არ აქვს საფუძველი მას უპასუხოს: არ ვიცი რას მთხოვ, მითხარი (რის თქმაც გსურს), კაცი ჩემ სამსახურად უღმრთოდ არ გამოჩნდებოდაო. ასეთი პასუხი ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად გამართლებულია სწორედ ამ სადავო სტროფის შემდეგ, რომელშიც უკვე პირდაპირაა ნათქვამი: სჯობს ერთი კაცი იახლოო.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ასმათის მსჯელობის ფორ-

მაზე. ამ თვალსაზრისითაც სტროფი ერთი უბრწყინვალესთაგანია რუსთაველის შემოქმედებაში. ასმათი ეუბნება ტარიელს: მისი (ნესტანის) მძებნელი უნდა იქცეოდე მეტისმეტად გონივრულად. შენ (ცი) კაცთა (მეგობრისა და მრჩეველის) ნაცვლად (რომელიც ტანჯვას შეგიმსუბუქებდა), ნადირთ ახლავ (ასეთ უაზრო ხეტიალს და ურვას, რომელიც შენ შინაგან სიამეს, კმაყოფილებას განიცდებს, მაგრამ არაეითარ დადებით შედეგს, გარდა ზიანისა, არ გაძლევს), სჯობს ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისის ჭვრეტითა, (სჯობს) არ დაიღუპო მარტოობაში, ვით იადონი იღუპება ბულბულას თესლთა კვნეტით მოჩვენებით სიამეშიო.

სტროფი უდიდეს მეცნიერულ ინტერესს იწვევს, როგორც ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენის კონსტატაცია. აქ ასმათი ფარდას ხდის ტარიელის ტანჯვისადმი დაქვემდებარების, ლტოლვის, მისწრაფების, ტანჯვასთან შეგუების ფსიქოლოგიურ საფუძველს, გვაძლევს მისი ხანგრძლივი მარტოობის, ხეტიალის, გამუდმებული ტირილისა და ვაების ფსიქოლოგიურ დასაბუთებას. ის აღნიშნავს, რომ ტარიელში შინაგან მყუდროებას, სიმშვიდეს, შეუცნობელ სიამეს იწვევს ტანჯვა. რუსთაველი აქ ადამიანის სულიერი ცხოვრების უღრმეს ხვეულებში გვახედებს. ტარიელის გრძნობათა ამბივალენტურობაზე, ერთდროულად ორგვარ ურთიერთ საწინააღმდეგო რეაქციაზე მიუთითებს, რასაც ხშირად იწვევს ადამიანში ერთი და იგივე მიზეზი და გამღიზიანებელი. ასეთ ორმაგ გრძნობას იწვევს გადატანილი სახიფათო მდგომარეობის მოგონება, გადატანილი მწუხარების გახსენება და სხვ. მგლოვიარობა, მაგალითად, მგლოვიარის სულიერ კმაყოფილებას იწვევს. მეცნიერებაში აღნიშნული მოვლენა შემჩნეულ იქნა XX საუკუნეში.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სტროფი რუსთაველის შემოქმედების ახალ, არსებითად დღემდე შეუმჩნეველ მხარეს გვითვალისწინებს. რუსთაველი პირველია ქართულ პოეზიაში, რომელმაც გვაზიარა ბუნებას, როგორც ესთეტიკურ მოვლენას, ესთეტიკური განცდის საგანს. მის სათაყვანო კალამს პოემის დასაწყისშივე მოსწყდა სტრიქონები: ნადირობის შემდეგ დაღლილი როსტევანი და ავთანდილი

გარდახდეს ძირსა ხეთასა,
თამაშობდეს და უპვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა. (33),

დაღლილნი ბუნების მშვენიერებით ტკბობას მიეცნენო. რუსთაველმა დიდების ჰიმნი უგალობა ზაფხულს:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი...

ახლა ვარდ-ყვავილებით დაიფარება სამყარო და ავთანდილის სულთაღტაცების დროც დადგება:

სულთქნა, რა ნახა ყვავილნი მან, უნახავმან ხანისა (1328).

იგი ჰკოცნის და ეალერსება ვარდებს, როგორც სატრფოს (ტარიელი — ვეფხს, რა კონტრასტია!), რადგან მხოლოდ ისინი ანიჭებენ მას თინათინთან შეხვედრის ტოლფარდ სიხარულს:

ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა,
უბრძანა: „გიჭერეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა (1329).

მაგრამ სტროფი რუსთაველის მიერ ბუნების ღრმა ცოდნაზეც მიუთითებს. ამიტომ მისი ბედი, ვფიქრობთ, იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რას იტყვიან მის შესახებ ქართველი ბუნებისმეტყველები.

1961 წ.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით

რუსთველოლოგიაში პოემის ტექსტის დადგენა დღესაც ძირითად პრობლემად ითვლება. საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) ტექსტს, რომელშიც მოექცა ვახტანგის მიერ პოემაში შეტანილი, მაგრამ მკვლევართაგან ჩანართად მიჩნეული 16 სტროფი და ინდო-ხატაელთა ამბავი (ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და გამეფება), რუსთველოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს არ უჭერს [1]. პირიქით, დღეს „რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების, მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს არა მარტო გარკვევა პოეტის ვინაობისა, მისი მსოფლმხედველობისა და იმ პირობებისა, რომელთაც ის წარმოშვეს, არამედ ამასთან ერთად პოემის ტექსტის გაცხრილვა და მისი კრიტიკული აღდგენა", — წერს აკად კ. კეკელიძე [2].

მკვლევარის აზრით, „ეს მიზანი ჯერ, რასაკვირველია, ოდნავადაც მიღწეული არაა" [3]. თვით 1937 წ. საიუბილეო გამოცემაც დიდად არის დაშორებული პოემის თავდაპირველ სახეს განსაკუთრებით სტროფული შედგენილობის მხრივ. „ეს საკითხი ამ გამოცემის შემდეგაც კიდევ სადავო და საკამათო იქნება, სანამ არ აღმოჩნდება უძველესი ხელნაწერი პოემისა, რის იმედი დაკარგული არ უნდა იყოს", — აცხადებს მკვლევარი [4].

ასეთ სიბრტყეზე დგას საერთოდ პოემის ტექსტის საკითხი დღეს. კერძოდ ინდო-ხატაელთა ამბის (ტარიელის ინდოეთში დაბრუნების და გამეფების) შესახებ კი აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ მართალია, პოემა ტარიელის ინდოეთში დაბრუნებით მთავრდება, მაგრამ არა ისე,

---

1 ს. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსანის აკადემიური გამოცემისათვის, ლიტ. საქ., 1937, №№ 21, 22,

2 ქართ, ლიტ. ისტ., ტ. II, 1941, გვ. 101.

3 იქვე, გვ. 102.

4 იქვე, გვ. 108.

როგორც წარმოდგენილია ხელნაწერებში: მათში შევსებულია თინათინ-ავთანდილის ქორწილიც კი. კერძოდ, „ვიღაც მელექსეს აღძერია სურვილი შეეთხზა ამბავი იმის შესახებ, რა პირობებში გამეფდა ტარიელი, ცოცხალი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი". ამ მიზნით მას შეუთხზავს თავები: „ტარიელისგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება" და ზოგიერთი დეტალი „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში", სხვაგვარად — ინდო-ხატაელთა გაგრძელება [1].

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენა რუსთველოლოგიაში მრავალი განზომილებით იქნა წარმოებული. საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კომისია კი, მისი მდივნის, სოლ. იორდანიშვილის დამოწმებით, ტექსტის კრიტიკული დადგენისას „ხელმძღვანელობდა შემდეგი პრინციპებით:

ა) განსახილველი ადგილების კონტექსტით — მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებასთან დაკავშირებით,

ბ) კლასიკური პერიოდის სტილით,

გ) ერობრივი მოვლენებით,

დ) პოეტიკით და

ე) ხელნაწერთა ტრადიციით" [2].

მაგრამ პოემის ტექსტის დადგენისას არ უნდა იქნას უგულებელყოფილი, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური მხარე. შემდეგ, არც პოემის (და დამატება-ჩანართთა) ისტორიული და სხვა ხასიათის რეალიები, არც ხელნაწერთა მინაწერები (და არა მარტო ტრადიცია), არც ლიტერატურული მოწმობანი და გადმოცემანი, და არც რაიმე ცოტად თუ ბევრად საყურადღებო პრინციპი — თვალსაზრისი, რომელიც დაგვეხმარება საკითხის გადაწყვეტაში.

ასე, ავიღოთ, მაგალითად, სადავო თავების ტარიელის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი და შევადაროთ უდავო ტექსტისას.

იყო დრო, როცა სრულიად უარყოფდნენ საზოგადოებრივი იდეა-

---

[1] ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 321, აგრეთვე რუსთველოლოგიის საკითხები, თბ. სახ. უნივერ. შრ., № 10, 1939, გვ. 110—115.

[2] ლიტ. საქართვ., 1937, № 22.

ლების არსებობას პოემაში [1]. მთელი რიგი წლების მანძილზე მკვლევარები პოემის ლეიტმოტივად სიყვარულს და მეგობრობას მიიჩნევდნენ. დღეს ეს შეხედულება უსათუოდ მოითხოვს გადასინჯვას [2].

პოემის გმირთა საზოგადოებრივი იდეალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათი ეროვნული მისწრაფებანი. სარიდანმა ხელი აიღო მეფობაზე, კეისრობაზე (316), და ინდოეთი გააერთიანა; მას კარგად ესმის მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: „სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“ (314) შთამომავლობის წინაშეო, განაცხადა მან. სარიდანის ეროვნული პროგრამის და მისწრაფებათა გამგრძელებლად კი პოემაში ტარიელი გვევლინება [3].

მაგრამ ეს დიდი ეროვნული მისწრაფებანი დანართში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტენდენციით შეიცვალა:

> აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,
> ზედან დაგსვამ, შენი იყოს (1649), —

ეუბნება მადლიერი ტარიელი ნამსახურ ასმათს. მართლაც.

> მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია,
> ასმათ მისცეს...
> იგი კაცი გაადიდეს, აქვს მეფობის სახელია (1653).

თან, ტარიელი ეუბნება ასმათს: გირჩევხია „გყვენ სპანი ჩრმალმახულები-ო“ (1652). ამგვარად, ინდოეთი ისევ ორად იქნა გაყოფილი. მეფე ტარიელი კი პირადი მადლობის გრძნობას ინდოეთის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ვერ დააყენებდა. რისთვისღა გაერთიანდა ინდოეთი? იმისათვის, რომ იგი, ბოლოს, ისევ დაქუცმაცდეს და დაიყოს?

დანართის ავტორი ვერ გარკვეულა ლეგიტიმიზმის და დინასტიზმის პრინციპებში, რომელთაც გარკვეული პოლიტიკური და ეროვნული მო-

---

1 Н. Д. (ივანე ჯაბადარი), Письма о Грузии, журн. „Северный вестник“ 1899 №№. ამას მოჰყვა ცნობილი კამათი ქართულ და რუსულ პრესაში. იხ. ალ. ბარამიძე, ტარიელი, რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 97, გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 66 და ა. შ.

2 მაგ., პროფ. ალ. ბარამიძე, ტარიელი, რუსთაველის კრებული, სახელგამი, 1938, მისივე — ნესტანი, ნარკვევები, I, 1945.

3 იხ. ვრცლად — მ. მახათაძე, პატრიოტული მოტივები ვეფხისტყაოსანში, ქუთაისის პედაგოგ. ინსტიტუტ. შრომები, ტ. II, 1941, გვ. 314 — 316.

საზრებებით იცავს რუსთაველი [1]. როგორ შეიძლება რუსთაველმა არასამეფო წარმოშობის ასმათის ქმარი, ვიღაც „კარგი მოყმე“, რომლის შესახებაც საჭიროა საგანგებო მტკიცება, რომ ის „ხელი“, გიჟი არ არის, გაამეფოს თუნდაც ინდოეთის ერთ მეშვიდედზე! ვინ მიიღებდა მას მეფედ?

ამრიგად, პოემის გმირთა ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალები სხვაა, ინდო-ხატაელთა ამბისა — სხვა. აღნიშნულის უგულებელყოფა კი ინდო-ხატაელთა ამბის ავტენტურობის საკითხის გაბსაზღვრისას, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება.

*

* *

1942 წ. ჩვენ ვწერდით, რომ პოემის სამხედრო ხელოვნების შესწავლა „შესაძლებლობას ხსნის რუსთველოლოგიის ძირითადი პრობლემები გადაჭრილ იქნას ახალი თვალსაზრისით“ [2]. მაგრამ ჩვენზე ადრე, 1929 წ. წერილში „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის“ პროფ. ალ. ბარამიძე ინდო-ხვარაზმელთა ამბის (გაგრძელების) და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტუალური შედარების შედეგად მივიდა სავსებით სწორ დასკვნამდე, რომ „ინდო-ხვარაზმელთა ბრძოლის აღწერილობა (კაკ. 1685 — 1688) „შაჰ-ნამეს“ დაუსრულებელ ანალოგიურ სურათებს გიშლით თვალ წინ“ [3]. ამიტომ პროფ. ალ. ბარამიძე მართებულად დასძენს, რომ „აქა ტარიელის დასნეულება და ხუარაზმშა მეფისგან სისხლის ძებნად მისვლა ინდოეთს“ არ შეიძლებოდა შექმნილიყო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბებამდე. ამრიგად, აქ წარმოდგენილია ცდა ინდო-ხვარაზმელთა ამბის დათარიღებისას სხვა მონაცემთა შორის გათვალისწინებულ იქნას დამატებისა და „შაჰ-ნამეს“ ბატალური სურათებიც. მიღებულმა დასკვნამ ინდო-ხვარაზმელთა ამბის ავტენტურობის საკითხიც განსაზღვრა.

ამჯერად რ.გში დგას ინდო-ხატაელთა ამბის (ტარიელის ინდოეთში დაბრუნების და გამეფების) ავთენტურობის საკითხი პოემისეული სამხედრო ხელოვნების მონაცემთა თვალსაზრისით.

---

1 პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ნაწ. I, 1932, გვ. 138, 144; 1945, გვ. 161 — 164.

2 სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942, გვ. 171.

3 ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, № 9, 1929, გვ. 128.

წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, რომ სამივე ეს თავი ერთი ავტორის ნაწარმოებია, სულ ერთია, არის იგი რუსთაველი, თუ ყალბისმქნელი. ამას ადასტურებს მჭიდრო შინაგანი კავშირი და სიუჟეტური რკალი, რომლითაც გაერთიანებულია ეს თავები. ამ საკითხის შესახებ რუსთველოლოგიაში სხვაგვარი აზრი არ არსებობს. მაგრამ, რადგან ასეა, თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ამ თავთაგან არ ეკუთვნის პოემის ძირითადი ტექსტის ავტორს, უნდა ვაღიაროთ, რომ მას არ ეკუთვნის ამ „ამბის“ არც დანარჩენი თავები. პირველად გადაწყვეტილ უნდა იქნეს ერთი თავის — „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლის და ხატაელთა დამორჩილების“ შედგენილობის საკითხი, ე. ი. დადგენილ იქნეს ინდო-ხატაელთა ამბის შინაგანი მოცულობა.

როგორც კ. ჭიჭინაძის, ისევე საიუბილეო გამოცემაში „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება შეტანილია არა იმ მოცულობით, როგორც გამოვიდა მისი ავტორის ხელიდან, არამედ შემოკლებული, რედაქციული სახით. სამწუხაროდ, კ. ჭიჭინაძეს არასწორად აქვს გააზრებული ეს ბატალური ეპიზოდი. ამას ცხადყოფს ერთი ადგილი მისი უკანასკნელი შრომისა. კ. ჭიჭინაძე წერს: როცა ეგვიპტელი ვაჭრებისგან ფარსადანის გარდაცვალების და ინდოეთის ხატაელთა მიერ ოკუპაციის შესახებ გაიგეს, გმირები სწრაფად აიყარნენ და სამშობლოსაკენ გაეშურნენ; აქ „ტარიელი ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხებს ხატაელებს-ო“ [1].

ამის მსგავსი არა წერია რა არც თვით კ. ჭიჭინაძის რედაქტორობით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში“, არც საიუბილეო გამოცემაში, რომელშიც შეტანილია ინდო-ხატაელთა გაგრძელება, და არც ხელნაწერებში. სადავო ტექსტით, როცა გმირები ინდოეთში შევიდნენ, მათ შემოხვდათ რამაზის გუშაგები, რომლებიც არაბეთის ლაშქრის გამოჩენისთანავე გაიქცნენ (კ. ჭიჭინაძით — 1677, საიუბილეო გამოცემით— 1601, (ს. ყუბანეიშვილით — 1805). ეს გუშაგები დაიჭირეს ტარიელის მეომრებმა და მოჰგვარეს სარდალს. როდესაც მან მათი ვინაობა გაიგო,

უბრძანა: „წადით რეგვენნო, თქვენ ჩვენგან გაფიცხებულნი,
აცნობეთ თქვენსა პატრონსა: „მოვლენ გულითა ქებულნი“, (1678, 1602, 1806).

შემდეგ, ემუქრება რა რამაზს, დასძენს:

[1] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. 15.

აწ დაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან,
შემები, რაზმი დააწყე, პირველვე გამიცხადიან (1681, 1605, 1809).

მართლაც,

დარაჯნი წავიდეს და ერთმანეთსა მიუსწრებდეს,
რამაზს ჰკადრეს ყეელაკაი, დამალვასა ვერა სთმობდეს (1682, 1606, 1810).

ამგვარად, რამაზი საჭვებით მომზადებული შეხვდა ტარიელის გამოჩენას და არავითარ მოულოდნელ, მით უმეტეს, ზურგიდან თავდასხმას აქ ადგილი არა აქვს.

უფრო მეტიც. კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებით აქ ადგილი არა აქვს არავითარ ბრძოლას: რამაზმა უბრძოლველად გამოაცხადა კაპიტულაცია, ტარიელმაც აპატია დანაშაული (ხელნაწერებით კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოულოდნელად თავდასხმის განზრახვა აქვს ტარიელის მიმართ სწორედ რამაზს). მართლაც, როცა ტარიელისა და ავთანდილის ლაშქარი ინდოეთში შევიდა, რის შესახებაც რამაზს ტარიელმა ხატაელი გუშაგების მეშვეობით აცნობა, შემდეგ კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებში ვკითხულობთ:

ცოტაი წავლეს, გამოჩნდა ხუთასი ცხენოსანანი,
შეტევებასა ჰლამობდეს ყმანი არაბთა თანანი;
ტარიელ ეტყვის: „ნუ იქმთო", მისცა სიტყვისა ნანანი,
მოვიდეს, აჩნდა უაბჯროდ, არცა თუ ჰქონდა დანანი

(ჭიჭინ. 1684, საიუბ. 1608, ყუბ. 1812).

ცხენის ფერხთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა;
მოახსენა: „შემიბრალე, მისსა ძალსა, ვინცა გხვეწა!
ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი, მე, წა!
გული თქვენი სასაკუთრო ბედმან ასრე დამილეწა"

(ჭიჭინ. 1685, საიუბ. 1609, ყუბ. 1813).

დავუბრუნდეთ ახლა „ტარიელის მიერ ხატაელთა დამორჩილების" შედგენილობის საკითხს.

როგორც ვხედავთ, ამ (არც ორ მომდევნო) სტროფიდან არ ჩანს, ვინ მოეგება ტარიელს, ვინ ჩნდა უაბჯაროდ, ვინ მოეხვია და ვისი ცხენის ფეხს, ან რატომ, ან ვინ ვის მოახსენა — შემიბრალეო, და სხვ. მხოლოდ მომდევნო მესამე და შემდგომი სტროფიდან ჩანს, რომ რამაზი მოჰგებებია ტარიელს „ხუთასი ვაზირით", ჩავარდნია მას ცხენის ფერხ-

ქვეშ და მისთვის პატიება უთხოვნია. თან, ოღონდ ტარიელმა რამაზის სპა ხელუხლებელი დატოვოს, და იგი, რამაზი, თანახმაა, სთხოვს კიდეც ტარიელს, ამ უკანასკნელმა სამაგიეროდ, ერთგვარად საკომპენსაციოდ, თავები დასჭრას რამაზის ხუთასსავე ვაზირს.

თუმცა ასეთი დემოკრატიზმი რუსთაველის ერთგვარი მოდერნიზაციაა (ამის შესახებ—ქვემოთ), აღსანიშნავი აქ სხვა რამეა. კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებით გამოდის, რომ 80.000 კაციანი არაბეთის არმია ინდოეთის კარიბჭეს ტყუილა მიადგა: თურმე საკმარისი ყოფილა ტარიელის გამოჩენა ინდოეთში, რათა რამაზი მას ფეხქვეშ ჩავარდნოდა, თავი დამარცხებულად ეცნო და მისთვის პატიება და ინდოეთიდან წასვლის ნებართვა ეთხოვა.

მაშ, „რისთვის გაიყოლა ტარიელმა თან ოთხმოცი ათასი კაცისგან შემდგარი ლაშქარი — საცეკვაოდ, სარიკაოდ თუ მაყრულის სამღერლად"? [1]. ვიმეორებთ ჩვენ კ. ჭიჭინაძის მიერ დასმულ კითხვას, და მისივე სიტყვებით ვუპასუხებთ:

„რა თქმა უნდა, მხოლოდ იმისათვის, რომ შებრძოლებოდა თავის მტერს, ხატაელებს, და გამოეხსნა ინდოეთი განსაცდელისაგან, რაც ნამდვილად აწერილია... გაგრძელების მეორე თავში"[2]. კეთილი! მაგრამ დაბეჭდილი სადღაა? არც კ. ჭიჭინაძემ, არც საიუბილეო გამოცემამ ამ გაგრძელების მეორე თავში არ შეიტანეს სწორედ ეს „შებრძოლება". რამაც გაგრძელება გააბუნდოვნა და დაუკარგა მას ავტორისეული ვიზანდასახულობა.

მართლაც, რამაზის ასეთი ნაბიჯი — „ცხენის ფერხთა მოეხვია" და სხვ.. გარდა იმისა, რომ კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო გამოცემათა მიხედვით გაუგებარია, შეუწყნარებელია ფსიქოლოგიურად და გაუმართლებელი — ლოგიკურად. თუ მთელი ინდოეთი ხატაელთაგან ოკუპირებულია და რამაზს მართლა ისეთი რაოდენობის სპა და ლაშქარი ახლავს, როგორც აღნიშნულია „გაგრძელებაში", მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ტარიელისათვის. საპირისპირო შემთხვევაში, თუ რამაზს ამის უნარი აღარ ჰქონდა, შეეძლო სასწრაფოდ აყრილიყო, ტარიელს გასცლოდა და ინდოეთი დაეტოვებინა. თუ არ მოიქცა ასე, თუ ტარიელს არ გაერიდა, ცხადია, განზარხვა ჰქონია მტერს შებრძოლე-

---

[1] „რუსთაველის გარშემო", 1928, გვ. 120.

[2] იქვე.

ბოდა. ამიტომ რუსთაველმა გააყოლა ტარიელს ინდოეთში 80.000 კაციანი ლაშქარი, თუ გამგრძელებლებმა, სულ ერთია: ამ ლაშქარმა იქ, ინდოეთში, ბრძოლა უნდა გადაიხადოს. ამ ეპიზოდის ერთადერთი მიზანია გვიჩვენოს, რომ ტარიელმა ინდოეთის ტახტიც ბრძოლით მოიპოვა და დაიპყრო.

ამრიგად, 1608 სტროფის შემდეგ 1609 სტროფი ისე, თუ მათ შორის არ ვიგულისხმებთ რაღაც გარდამავალს, შეუძლებელია.

მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერში (მაგ. № 4499 ყოფ. წ/კ. საზოგადოების სამეცნიერო ფონდისა, რომლის შესახებაც კ. ჭიჭინაძე ლაპარაკობს: „ამ ხელნაწერის მნიშვნელობა მეტად დიდია საერთოდ-ო“ [1], № 205 ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა), ამ სტროფებს შორის ვკითხულობთ:

უბრძანა: ერთხელ კულავც ვნახე რამაზის სიმუხთალია;
იმათი ისრე მოდენა ჩუენზედა არ მართალია;
ფიცი არა სწამს დღე-კრულსა, არცა მაჰმადის რჯულია,
ღალატს ეცდების უცილოდ, ეს მათგან გაზრახულია

(ს. კაკაბაძის 1914 წ. გამ. 1560[1], ს. ყუბ. 1956 წ. გამ. 1812):

აწ შეუტიოთ, ნუ ვარჩევთ, მათ გაუცუდოთ ფლიდობა.
ავთანდილ ბრძანა: ვაცალოთ, ქნან ჩუენკენ მონაზიდობა:
ჩუენცა ცოტანი ვეჩუენნეთ, ვსცნათ მათი ხმალთა დიდობა
გამოაცხადებს უცილოდ, სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა (1560[2]).

რამაზ ბრძანა: შევეხუეწნეთ, შევეტყუვნეთ საქმით ჩუენით;
ვერას უზამთ გოლიათთა, თუ არ ხერხით, თუალთა ჩენით;
შეგვანანებს აქ მოსვლასა, ამოგუაგდებს ლაშქრით ჩუენით,
შევეხუეწნეთ, ნუ დაგუხოცო, მიუვიდეთ ნებით ჩუენით (1560[3]).

აღარ აცალეს მათ გმირთა მათ ხერხთა გამამრჩევლობა;
შეძახეს: ნახეთ, აწ რამაზ ამ ჩუენთა ხრმალთა მკუეთლობა;
ცოტა წინარე წამოდეგ, არას გიშველის დედლობა,
ფრიდონის სიკისკასობა, შენს ლაშქარზედა ქუელობა (1560[4]).

მართ ამაზედა შეიქნა შეტევებ-შემოტევება,
ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექნა გამომეღვნება;

---

[1] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. 29, შენიშვნა.

ლაშქარნი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება.
ავთანდილ ბრძანა: „ამათი მე ეს ასრე მენება“ (1560[1]).

აქეთ არაბნი გაუხდეს და შეუტიეს ცხენები;
ტარიელ ხელთა აღო, შუბსა ახმარა მძლე ნები,
უკრა და ცხენსა გააცლო იგ სიკვდილისა მკენები,
რამაზს შეჰყარა აწ ღმერთმან სამთა გმირთაგან სენები (1560[2]).

უბრძანა თუ: სიმუხთალე ორჯელ შენი შემიტყუია;
არ გაგიშვებ შენ ცოცხალსა, ესე ჩემგან შეგიტყუია,
არც გაუშვებ ხატაელთა, რაცა ჩუენთა ხელთა ტყუეა.
შიში მოჰკლავს უსაცილოდ რამაზს, ესე შემიტყუია (1560[3]).

ამას მოსდევს სტროფი:

ცხენის ფერხთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა...

ახლა გასაგებია, ვინ მოეგება ტარიელს, ვინ ვის ცხენის ფეხს მოეხვია, რატომ, ან ვინ ვის მოახსენა — შემიბრალეო, და სხვ. ამით ბუნდოვანობაც გაიფანტა და ავტორის მიზანდასახულობაც გამართლდა: ტარიელი შეებრძოლა ხატაელებს, დაამარცხა და ბრძოლით გაიკაფა გზა ინდოეთის ტახტისაკენ.

თუ ერთის მხრივ 1608 სტროფის ღშუალო გადაბმა 1609 სტროფზე ბუნდოვანს ხდის მომდევნო სტროფებს, თუ მათი ღშუალო მეზობლობა ლოგიკურად დაუშვებელია და ფსიქოლოგიურად — გაღმართლებელი, მეორეს მხრივ, 1609 სტროფს მოსდევს სტროფები, რომლებშიც აშკარად იგულისხმება 1560[1 ?]სტროფების შინაარსი: რამაზი უბრძოლველად კი არ დანებდა ტარიელს, არამედ ბრძოლაში დამარცხდა.

მართლაც, „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ-ო“ (1614), ვკითხულობთ მომდევნო სტროფში „მოერიოვ-ო“, და არა — „დაგნებდეს-ო“; „ძლეული შიშმან თუ ლია-ო“ (1615), — ვკითხულობთ იმავე რამაზის შესახებ. „ძლეული“ შეიძლება ითქვას მხოლოდ ბრძოლაში დამარცხებულზე.

მოვიდეს, ნახეს, რამაზის ლაშქარი ძლიეღა ეტია (1617).

თქმა არ უნდა, რომ აქ ლაპარაკია სწორედ რამაზის იმ ლაშქარის შესახებ, რომელზეც №№ 4499, 205 ხელნაწერთა ერთი ტაეპი გვაუწყებდა:

ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება
(1560[5] 1956 წ. — 1812[5]).

წინააღმდეგ შემთხვევაში, როდის გაჩნდა აქ ეს ლაშქარი, რომელიც „ძლივღა ეტია"? აძრიგად, ეს ანალიზი ცხადყოფს, რომ სტროფები 1560[1-7](1956 წლ. გამ. — 1812[1-7]) დადასტურებული №№ 4499 და № 205 ხელნაწერებით, ინდო-ხატაელთა ამბის ორგანული შემადგენელი ნაწილია. სხვა ნიშნების მიხედვითაც, რომელთა შესახებ აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, ეს სტროფები იმავე ავტორისაა, რომელმაც ინდო-ხატაელთა გაგრძელება დაწერა.

დამახასიათებელია მხოლოდ ერთი დეტალი.

ფრიდონი უადგილოდ არის ჩაჩხერილი და მიტმასნილია ლოგიკური კავშირის გარეშე როგორც კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო გამოცემათა მიერ რუსთაველისად მიჩნეულ ინდო-ხატაელთა გაგრძელების ერთ სტროფში (1607), ისე ამავე გაგრძელების მათ მიერ იგნორირებულ ტექსტში:

არაბთა, იცის ყოველმან, მათი აბჯარი შუბია,
ფრიდონ—მზე მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია (1607).

ცოტა წინარე წამოდეგ, არას გიშველის დედლობა,
ფრიდონის სიკისკისობა, შენს ლაშქარზედა ჭუელობა (1560).

ასეთ შემთხვევას პოემის ძირითადი ტექსტი არსად არ ადასტურებს.

ვფიქრობთ, ყველა ზემონათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ინდო-ხატაელთა გაგრძელება კ. ჭიჭინაძისა და საიუბილეო გამოცემებში წარმოდგენილია რედაქციულად, შემოკლებული სახით, ხოლო მისი ავტენტური, სრული სახე წარმოდგენილია ხელნაწერებში № 4499, № 205.

მაგრამ თუ ზემონათქვამი სწორია, მაშინ გზა იხსნება ახალი დასკვნებისაკენ.

რადგან სტროფები 1560[1-7] ინდო-ხატაელთა გაგრძელების უცილობელი, ორგანული ნაწილია, ანუ ეს გაგრძელება სრული, ავტენტური სახით წარმოდგენილია ხელნაწ-ში №№ 4499 და 205, შესაძლოა ინდო-ხატაელთა გაგრძელება გაანალიზებულ იქნეს სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. თუ ინდო-ხატაელთა გაგრძელების სამხედრო ხელოვნება პოემისეულის ნიშნებს ატარებს, მაშინ ეს გაგრძელება რუსთა-

ველს უნდა მივაკუთვნოთ, თუ არა, მთელი „ამბავი“ დანართად და სიყალბის ჩამდენის დაწერილად უნდა ვიცნოთ.

პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატალური სურათები პოემაში შეტანილია არა როგორც მხატვრული სამკაული (მხოლოდ), სიუჟეტის გართულების საშუალება, ან დამოუკიდებელი, თვითმიზნის მქონე ეპიზოდები, არამედ როგორც ეპოქის სამხედრო ხელოვნების რეალისტური ასახვა. ახლა არავინ დაობს იმის შესახებ, რომ პოემა მარტო სიყვარულის ჰიმნი და რაინდობის საგალობელი არ არის. მასში ასახულია მისი წარმომშობი ეპოქა საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალებით, კულტურული პროფილით, მორალით, ეთიკით, იდეებით, მიზნებით, სოციალური თუ ყოფაცხოვრებითი ტრადიციებით და დეტალებით. კერძოდ, „სამხედრო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები, სამხედრო ტექნიკა და მთელი სამხედრო ხელოვნების ვითარება, რომელსაც ვხვდებით პოემის ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების სურათებში, ქართული სამხედრო ხელოვნების, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დადგენილი სამხედრო ტრადიციების მხატვრული უკუფენაა, ხოლო ზოგიერთი დეტალი ამ ომებისა შეიძლება გადახატული იყოს ახლო აღმოსავლეთის სინამდვილედან“ [1].

ამით, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ პოემის სამხედრო ხელოვნება ყოველმხრივ შესწავლილია. ეს ჯერ არც შესაძლოა, რადგან თვით ქართული სამხედრო ხელოვნებაც მე-12—13 საუკუნეთა, თავის მკვლევარს მოელის. მაგრამ უდავოა, რომ ქართული სამხედრო ხელოვნება აღნიშნული ეპოქისა ფეოდალურია. ისიც უდავოა, რომ მის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია და მისი თავისებურება განსაზღვრა კიდეც ძლიერმა მონარქიულმა ხელისუფლებამ, რომელმაც, მართალია, ცვალებადი წარმატებით, მაინც შეძლო მთელი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაერთიანება ნაციონალური თუ სხვა საბაბით მონარქის უზენაეს ბრძანებლობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ხარკის დადება და კავკასიის გაერთიანება.

სავსებით ანალოგიურ სისტემასთან გვაქვს საქმე „ვეფხისტყაოსანშიც“, ფეოდალური ინდოეთის, — რომლის ლაშქარიც ფეოდალურის პრინციპით ორგანიზირდება, — ეროვნული გაერთიანება ერთი მონარქის სკიპტრის ქვეშ მისი სამხედრო პოტენციალის აშკარა ზრდით აღინიშნა, რაც ხატაეთისათვის ხარკის გადახდევინებით დაგვირგვინდა.

შევადაროთ ამ სისტემას სადავო თავების სამხედრო ხელოვნება.

---

1 სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში, ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV.

სადავო თავების სამხედრო ხელოვნება ფეოდალურის არავითარ ნიშანს არ ატარებს.

> მერე ხუთასი ვაზირი მყავს აქათ წარუვალია,
> ოავები დასჯერ, ადინე სისხლი, მართ ვითა ღვარია (611), —

ეუბნება რამაზი ტარიელს. დავანებოთ თავი იმას, რომ ძირითადი ტექსტი არ იცნობს ვაზირთა ასეთ რიცხვმრავალ შტატს. ფეოდალური სამხედრო ხელოვნების სისტემაში, როცა ჯარის ორგანიზაციაში გადამწყვეტ როლს ფეოდალი (აქ — ვაზირი) ასრულებს, ასეთი რადიკალური დემოკრატიზმი წარმოუდგენელი მოდერნიზმია: რამაზი ვერ მოჰკვეთდა იმ ტოტს, რომელსაც მისი ძლიერება ემყარებოდა. ამასვე ადასტურებს ინდოეთის ხანგრძლივი ოკუპაცია, რის საშუალებასაც მოკლებული იყო ფეოდალური ლაშქარი (რომელსაც შინ ცოლ-შვილი და უპატრონოდ მიტოვებული ოჯახი ეგულებოდა).

ავტორს წარმოდგენა არა აქვს არც ჯარის ორგანიზაციულ წყობაზე, რომელიც როგორც საქართველოში, ისე პოემაში თემობრივ-ტერიტორიულ პრინციპს ემყარებოდა და „თემ-თემად“ იკრიბებოდა (552), არც ტაქტიკურ ერთეულზე (ძირითადი ტექსტის „რაზმი“, „დასი“). მართალია, ტარიელი უთვლის რამაზს: „შემები, რაზმი დააწყევ-ო“ (1605), მაგრამ ეს რუსთაველის ტარიელის „რაზმი დავაწყევ-ის“ ღბრალო განმეორებაა: თვით ბრძოლაში არც ავთანდილ-ტარიელს, არც რამაზს არავითარი რაზმი არ „დაუწყვიათ“.

ტაქტიკური ერთეულის გარეშე კი 80.000 კაციანი მებრძოლი ლაშქარი მხოლოდ უპიროვნო მასაა, რაც რუსთაველს ბრძოლის ველზე არასოდეს არ გამოჰყავს.

ომებს კი სახელმწიფოები აწარმოებენ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად. კლაუზევიცი აღნიშნავდა, რომ ომები არის პოლიტიკის გაგრძელება იარაღის საშუალებით [1]. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით კი არა პოლიტიკისა აბსტრაქტულად, არამედ პოლიტიკისა, რომელსაც ამა თუ იმ ეტაპზე ატარებენ მმართველი კლასები [2]. ასეა პოემაშიც. ტარიელმა ხატაეთის მეფეს ჯერ ნოტა გაუგზავნა, და როცა ამით ვერაფერს მიაღწია, გაილაშქ-

---

[1] Клаузевиц, О войне, Москва, 1936 г., т. I, ст. 23.

[2] Ленин, О войне, 1914—1918 гг., Москва, 1924.

რა ხატაეთზე. ტარიელი მოითხოვდა ხარკს, პოლიტიკურ მორჩილებას. ფრიდონმა სამშობლო გააერთიანა მის მიერვე გაჩაღებული ომით; ქაჯეთის ციხის ოპერაციების შემდეგაც კი გმირები არ ივიწყებენ მატერიალურ სარგებლობას და პოლიტიკურ ამოცანებს:

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები,
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები (1426)

და წამოიღეს, ხოლო ქაჯეთის სამეფოს დამოუკიდებლობა სრულიად გააუქმეს.

რა პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობა არსებობს ხატაეთსა და არაბებს შორის, რომელთა შუა მოქცეულია მთელი ახლო აღმოსავლეთი და ინდოეთი? არავითარი. მაშ, რისთვის გაიღებს როსტევანი ასეთ უზარმაზარ სახელმწიფოებრივ მსხვერპლს, რომელიც ნაჩვენებია აქ:

კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი დაყაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია (1567).
გაემართეს და წავიდეს დია სპითა და ბარგთა (1577).

მხოლოდ მეგობრობისათვის? ეს უანგარო მეგობრობის მქადაგებელი რუსთაველისათვისაც კი ნამდვილი გულუბრყვილობაა, რაც მას არ ახასიათებს; ის რეალისტი მხატვარია და არა ხელოვნური ზღაპრის ავტორი.

მხოლოდ ამ მოსაზრებათა მიხედვითაც შეიძლებოდა სათანადო დასკვნა გამოგვეტანა, მაგრამ გადავიდეთ თვით ბრძოლის სურათების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული მომენტების შედარებაზე.

ფალსიფიკატორი დიდ სიფრთხილეს იცავს და მიმბაძველობის უნარს ამჟღავნებს. მას სურს, შექმნას რუსთაველური ბატალური სურათები, სარგებლობს მისი ტერმინოლოგიით, სიტუაციებით, ცალკეული ტაქტიკური ხერხებით და სხვა მომენტებით, და ცდილობს ამათ საკუთარი ელფერი მისცეს.

მართლაც, საკმარისია ინდო-ხატაელთა დამატების ომის დისპოზიცია შევადაროთ რუსთაველის მიერ შექმნილ ინდო-ხატაელთა ბრძოლის დისპოზიციას ზოგადად, რომ ვიცნოთ მათი სქემატური იგივეობა.

თქვენი მესმა სალატო, საცნობელად გამოვვარდი (433).
რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გალატობენ (434).

მეფე ცოტად შოგვეპვის, ვის მკვრეტნი ვერ გელევან.
მალვით ჩაცმულ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან (435),

აცნობეს ტარიელს.

ვერას ვუზამთ გოლიათთა, თუ არ ხერხით, თვალთა ჩენით,

ამიტომ „შევეტყუენეთ საქმით ჩვენით-ო" (1560), — განუცხადა დამატების რამაზსაც თავის ვაზირთ.

რუსთაველი გვეუბნება: როცა საომრად მზადმყოფი მოწინააღმდეგის წინაშე აღმოჩნდა რამაზი თავისი მხედრობით, რის მოლოდინიც მას არ ჰქონდა, მაშინ მისმა სარდლებმა

კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამქღავნეს (444).

ყალბისმქნელის რამაზსაც არ სურს მტერთან ვაჟკაცური ომი. მას განზრახვა აქვს, როგორც ვნახეთ, ღალატით დაღუპოს ტარიელი, მაგრამ

ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექმნა გამომქღავნება (1560).

როცა ხატაელთა სარდლობამ ნიშანი მისცა ლაშქარს, ხატაელთა არმიებიც

სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს (114).

ყალბისმქნელი:

ლაშქარნი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება (1560).

შეიძლება ამათ კ. ჭიჭინაძემ პასტიჩიო დაარქვას. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. აქ განმეორებაა, მაგრამ არა თავისთავის, არამედ რუსთაველის, რადგან თვით რუსთაველი არსად არ იმეორებს ერთხელ გადახდილი ბრძოლის სურათს, სიტუაციას, ხერხებს, ტაქტიკას, გარდა ერთი მომენტისა: ტარიელი მუდამ მცირერიცხოვანი რაზმით იბრძვის მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ამიტომ იგი ყოველთვის სწრაფ. ფიცხელ შეტევას აწარმოებს, რათა მტერმა არ მოასწროს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ეს არის რუსთაველის ძირითადი ტაქტიკური პრინციპი.

აქ კი ყალბისმქნელი რუსთაველის პრინციპის ერთგული რჩება... მაგრამ იმეორებს რა ინდო-ხატაელთა ომის სქემას, გაგრძელების ავტორი ვერ ერკვევა სამხედრო ვითარებაში, იხლართება მის მიერვე

შექმნილ სიტუაციაში, ღალატობს რუსთაველის სამხედრო ეთიკის, მორალის, სტრატეგიის პრინციპებს, და ქმნის სურათს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას.

პირველად — „კაცი ოთხმოცი ათასი“.

ჯერ ერთი, რუსთაველი ითვლის ბევრეულებით (33, 44, 434, 1286 და სხვ.); შემდეგ:

არაად ასეთი რაოდენობის მებრძოლი მასის სათავეში ტარიელი არ დგას. ინდოეთის ლაშქრის რაოდენობა ინდო-ხატაელთა ბრძოლაში განსაზღვრული არ არის, მაგრამ ის არ შეიძლება ოთხმოც ათასს აღწევდეს, რადგან ხატაელთა წინააღმდეგობის გასატეხად საკმარისი აღმოჩნდა სამასი მძიმედშეიარაღებული მეომარი; სამასი კაცი ახლდათ გმირებს ქაჯეთშიც. გულანშაროს გამაერთიანებელ ბრძოლაში კი ფრიდონის მთელი ლაშქარი, რომელსაც ტარიელი სარდლობდა, ორ ნავზე დაეტია. ამრიგად, მოწინააღმდეგის ლაშქარი რიცხობრივად ყოველთვის ჭარბობს ტარიელისას. მიუხედავად ამისა, ტარიელი არსად არ ღალატობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და სამხედრო ეთიკას. პირიქით, მოწინააღმდეგეს მოუწოდებს მათი დაცვისაკენ: „შეხვეწენით, ვითა წესი და რიგია“ (443). გამარჯვებულიც ყველგან ტარიელი გამოდის.

აქ კი ტარიელი ოთხმოცი ათასი კაცით თავს დაესხა ხუთას შეუიარაღებელ ხატაელს. ისინიც დათანხმდნენ: „შეიქნა შეტევებ-შემოტევება“. მაგრამ რით შეუტია რამაზმა? აკი მის „ვაზირებს“ „არცა თუ ჰქონდა დანანი!“.

არავითარი სტრატეგიული, ან ტაქტიკური თვალსაზრისი არ ამართლებს ასეთ ფიცხელ შეტევას აქ. ამჟამად ხომ რიცხობრივი უპირატესობა ტარიელის მხარეზეა შეფარდებით 80.000 : 500. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რამაზის მთავარი ძალები მხოლოდ შემდეგ გამოჩნდნენ, როცა ბრძოლა გაჩაღდა ტარიელის ლაშქარსა და რამაზის უიარაღო დიდებულთა შორის:

> ჭართ ამაზედა შეიქნა შეტევებ-შემოტევება.
> ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექმნა გამომჭღაენება.
> ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება...

მაგრამ დავუშვათ, რომ ვიდრე მომენტამდე: „შეიქმნა შეტევებ-შემოტევება“, ე.. ი. ბრძოლის, შეტაკების დაწყებამდე ყველაფერი რიგზეა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რასაც უნდა მოჰყვეს ნამდვილი

პრძოლა. რუსთაველის რამაზს განზრახვა აქვს გარემოიცვას ტარიელი: „ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან“ (435), აცნობებს ტარიელს, რასაც იგი განახორციელებს კიდეც: „ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი“ (442). — გვიდასტურებს ტარიელი. ასეთი ტაქტიკური მანევრის განსახორციელებლად რუსთაველის რამაზის ჯარებმა „თავნი ორგნით აქარავნეს, შექმნეს რაზმი მრავალკეცი“ (444) და სხვ. ამრიგად, რამაზის 130.000-ანი ლაშქარი დაყოფილია რაზმებად და განლაგებულია მრავალკეცად. ტარიელმა კი პირველად იქ მიმართა, „სად უფროსი ჯარი დგესა“ (446), ჯერ მტრის მთავარი ძალები გაანადგურა, რითაც მის რიგებში არევ-დარევა შეიტანა და მისი წინააღმდეგობა გატეხა. ამ გზით მან შეკრული რკალი გახსნა, რაც რეზერვის ომში დროულად ჩაბმამ ტარიელის გამარჯვებით დააგვირგვინა [1].

ყალბისმქნელმა კი იქ დასვა წერტილი, საბაც ნამდვილი ბრძოლა უნდა დაიწყოს. იგი საკუთარ წინააღმდეგობებში გაბღართული, დიდი გაჭირვებით მიჰყვა რუსთაველს ერთ გარკვეულ საზღვრამდე, სანამ ლაპარაკი შეიძლებოდა „მოტყვილებაზე“, „ხერხთა გამომრჩევლობაზე“, სანამ შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ „ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება“, ანუ, სანამ შესაძლო იყო დიდი მებრძოლი მასები ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. მაგრამ როცა საქმე მიდგა თვით ბატალური სურათის შექმნაზე, „გამორჩეული“ ტაქტიკური ხერხების განაღდებაზე, როცა თვით ბრძოლა უხდა გაიმართოს და ერთმანეთს შეებას არაბთა მხრით 80.000 კაციანი ლაშქარი და ხატაელთა მხრით, მთელი მათი ძალების ომში ჩაბმის შემდეგ— საგრძნობი რაოდენობის მებრძოლი მასები, როცა „ლაშქარი სრულად მოვიდა, რაც რამაზს გულში ენება“, ყალბისმოქმედს აღარ აღმოაჩნდა შესაძლებლობა განავითაროს დაწყებული „შეტევებ-შემოტევება“, და მებრძოლთა ბავშვური წაკინკლავების შემდეგ, რომლის დროსაც ტარიელმა ცხენი მოუკლა რამაზს, ბრძოლაც დაამთავრა. აშკარაა, ყალბის მქნელი ვერ გაცლოდა დიამეტრალურად დაპირისპირებული მებრძოლი მასების შუბლური შეტაკების ტრაფარეტული „სურათის“ მოხაზვას.

---

[1] იხ. უფრო ვრცლად — სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში, ქუთ. პედინსტ. შრომები, ტ. IV, 1942.

ამრიგად, ტარიელის მიერ გადახდილი ეს მეოთხე ბრძოლა არა თუ არაფერს მატებს პოემის წინანავალ ბატალურ სურათებს და სამხედრო სინამდვილეს, არამედ მის პროფანაციას და ფალსიფიკაციას წარმოადგენს. თვით ტარიელის სარდლობა და ტაქტიკური ხელმძღვანელობის უნარი აქ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ რამაზს

უკრა და ცხენსა გაავლო, იგ სიკვდილისა მქენები...

გადავიდეთ ამის შემდეგ ინდო-ხატაელთა გაგრძელების ცალკეული მომენტების განხილვაზე.

პირველად აქ უნდა აღვნიშნოთ რუსთაველის სამხედრო ეთიკა. მისი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს არასოდეს შეურაცხმყოფელ სიტყვას არ აკადრებენ: „ჩვენო ძმანო და პატრონო-ო“ (388), შეუთვალა რუსთაველის ტარიელმა რამაზს. თვით რამაზის პასუხი: „ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენზედა რა პატრონია“ (400), ტარიელმა მოიხსენია, როგორც „ლაღნი და უკადრნი“, თუმცა ეს პასუხი არას შეიცავს პირად, პერსონალურად ვისიმე პიროვნების შეურაცხმყოფელს. ინდო-ხატაელთა გაგრძელებაში კი ტარიელი მისგან „შეფიცხებული“ ხატაელთა დარაჯების მეშვეობით უთვლის რამაზს:

ინდოეთსა ვით მოადეგ, შმაგთაგანცა უფრო შმაგო (1604).
პირ-ბაზო, ჩემი მორევნა რა დია-დაგიქადიან (1605).

უკანასკნელი ტაეპის მიმართვა რუსთაველის სამხედრო ეთიკის და ეტიკეტის უხეშ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ, და ამის გამო შეუძლებელია მასვე მივაკუთვნოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხედრო თათბირები, რომელთაც ტარიელი მართავს მის მიერ გადახდილი ბრძოლების წინ.

სწორედ ამ თათბირებზე იქნა დაყენებული უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული დებულება რუსთაველის ეპოქის სამხედრო ხელოვნებისათვის:

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია (1392).

მაგრამ ტარიელი არც ერთ თათბირზე წუთითაც არ თმობს მთავარსარდლის უფლებებს. ხატაეთის ბრძოლის წინ მან თავისი ვაზირები მხოლოდ რჩევისათვის მოიწვია, და გაიზიარა მათი წინადადებანი მხოლოდ იმიტომ, რომ მოეწონა ისინი: „მეკვეთა ესე თათბირი-ო“ (426), აცხადებს სარდალი. დიდი პრინციპულობა, დისციპლინა, ღრმა დასაბუთება წარმოდგენილ წინადადებათა, და მათი თავაზიანი, მორიდე-

ბული გარჩევა და უარყოფა ახასიათებს ქაჯეთის თათბირსაც. ტარიელი აქაც ინარჩუნებს სარდლის უფლებას — გაარჩიოს წარმოდგენილი წინადადებანი და გამოიტანოს მათ მიმართ შესაფერი მსჯავრი. მულლაზანზარში კი ის ერთადერთი ხელმძღვანელი იყო ბრძოლისა.

ერთგვარი „თათბირი“ წინ უძღოდა სადავო ეპიზოდის ბრძოლასაც. ოცა' ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის ჯარებმა დაინახეს რაშაზის ხუთასკაციანი რაზმი,

> შეტევებასა ლამოდეს ყმანი არაბთა თანანი (საიუბ. 1608).

მაკრამ,

> ტარიელ ეტყვის: ნუ იქმთო, მისცა სიტყვისა ნაშანი (იქვე).

შემდეგ გააცნო რა თავისიანებს „რამაზის სიმუხთალია“, უბრძანა: „აწ შევუტიოთ, ნუ ვარჩევთ-ო“ (1560). ახლა კი ყოველგვარი მორიღებისა და ბოდიშის გარეშე

> ავთანდილ ბრძანა: ვაცადოთ...
> გამოამეღავნებს უცილოდ სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა (იქვე).

მაგრამ ბოლოს მაინც „აღარ აცალეს“ და სხვ.

უდისციპლინო, აყალმაყალით სავსე თათბირი, რომელშიც წინ წახტომა, არათავაზიანი ურთიერთდამოკიდებულება, კოლეგის აზრის უბოდიშო უარყოფა ბატონობს, რომელსაც არა ჰყავს ხელმძღვანელი. — აი, გაგრძელების „თათბირი“. ამით ვამთავრებთ.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სადავო ტექსტის სამხ. ხელოვნებას შთლიანად და ბრძოლის სურათებს კერძოდ არაფერი აქვთ საერთო არც საზოგადოდ ქართულ, ან ფეოდალურ სამხედრო ხელოვნებასთან, არც კერძოდ რომელიმე ისტორიულ ბრძოლასთან. ინდო-ხატაელთა გაგრძელების სამხედრო ხელოვნება საერთოდ არც ერთი ქვეყნის, ან სოციალური ეპოქის სამხედრო ხელოვნების ასახვა და ორეული არ არის. სამაგიეროდ შეიძლება დადგენილ იქნას ის სალიტერატურო ტრადიციები, რომლებითაც საზრდოობდა სიყალბის ჩამდენი. ეს არის „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ და „შაჰ-ნამეს“ ვერსიების სამხედრო ხელოვნება. მაგრამ ეს ცალკე თემაა, და მას ოდესმე დავუბრუნდებით. აქ კი, უკვე წარმოებული ძიების შედეგად უნდა დავა-

სკვნათ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი, მასში წარმოდგენილი ბატალური სურათის და სამხედრო ვითარების მიხედვით, პოემის ძირითადი ტექსტის ავტორის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება[1].

ამრიგად, ინდო-ხატაელთა ამბის ავტორი ორ-ორჯერ ასახელებს:

1) ძირითადი ტექსტის ავტორს, იმოწმებს მას და პირველად ბრძნად მოიხსენიებს, მეორედ — რუსთველად;

2) თავის თავს, და თუმცა მეორედ — მეტი სიზუსტით (მესხი), მაინც კვლავ „ვინმეს" საფარით.

ეს მომენტი დიდი ზედმიწევნილობით განსაზღვრავს ორი პიროვნების ურთიერთმიმართებას: ერთია ძირითადი ტექსტის ავტორი, მეორე— გაგრძელებისა.

1946 წ.

---

[1] თუმცა ამ წერილის მიზანი სადავო ტექსტის ავტორის ვინაობის დადგენა არ არის, მაგრამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა გამო მასზე მოკლედ შევჩერდებით. იგი ერთგან წერს:

ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვნე:
ესეაო მამაცისა მეტისმეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე (1614)...

ძნელი არ არის აღმოჩენა იმ „საკითხავისა", რომელიც ამ „ბრძენთა მოსწავლე ვინმეს" უპოვნია (და გამოუყენებია კიდეც); ეს არის ძირითადი ტექსტის

რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე...
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე (468).

მეორეგან კი ის უფრო აზუსტებს როგორც თავის, ისე ამ „ბრძენის" ვინაობას:

ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა" (1665).

ე. ი. ვწერ (ამ გაგრძელებას) რუსთველის მიბაძვითო („ქართ., ლიტ., ისტ." II, 1941, გვ. 119).

ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხისათვის

ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის სამზადისთან დაკავშირებით ფართო განხილვის საგნად უნდა იქცეს პოემის მოცულობა, კერძოდ მისი დაბოლოების საკითხი. დღეს მტკიცედ არის დადგენილი, რომ იყო პოემის არა ერთი, არამედ რამდენიმე გამგრძელებელი: ვიღაც მესხი მელექსე, რომელიც ერთდაიმავე „ვინმეს“ ამოფარებული, ორჯერ ასახელებს თავის თავს (1614, 1665); ეს იგივე ვიღაც სარგის თმოგველია, რომელსაც პოემის პროზაული გაგრძელება დაუწერია, მაგრამ მისი ნაწილი გაუღელქსავი დარჩენია; ვიღაც ანონიმი (ვტნი. 1956 წ. 1869, 1870, 2024), შეიძლება ნანუჩა ციციშვილი, რომლის უეჭველი სტროფებიც გვაქვს გაგრძელებაში, იოსებ თბილელი-სააკაძე (იქვე, გვ. 317) და სხვ. პოემის პირველმა გამომცემლებმა იმედი გამოთქვეს, რომ მათი ბეჭდური გამოცემა საზღვარს დაუდებდა ასეთ საქმიანობას: „ამ ბეჭვდამ ახლა... გაცუდნა ყოვლნი მჩმახველნიო“, აცხადებენ ისინი პოემისათვის წამძღვარებულ გალექსილ წინასიტყვაობაში.

მაგრამ „ამ ბეჭვდამ“ მაინც ვერ „გაცუდნა ყოვლნი მჩმახველნი“: გიორგი თუმანიშვილმა გასული საუკუნის დასაწყისში გაუკეთა პოემას ახალი დასასრული, რაც პეტრე ლარაძემ მის მიერ გამოგონილ „არტანუჯულ“ ხელნაწერისეულად მონათლა, მაგრამ ბარბარე ქობულაშვილმა, როგორც ეს თავის დროზე გაარკვია ალ. სარაჯიშვილმა („ძვ. საქ.“ ტ. 4) და დღეს საბოლოოდ დადგენილია (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, 1958, გვ. 322), შეიძლება თავისდაუნებურად, გასცა მათი საიდუმლო.

მეორეს მხრივ, პოემის ვრცელ რედაქციებს დიდი გასავალი ჰქონია. როგორც დღეს ცნობილია, გადამწერლები საკუთარი თუ დამკვეთელთა სურვილის თანახმად 1712 წლის გამოცემის ტექსტს ხელნაწერების მიხედვით უმატებდენ გაგრძელებებსა და დანართებს, რის გამოც

გვაქვს ხელნაწერები, რომლებშიც ძირითადი ტექსტი ვახტანგისეულია, დასასრულ — ვრცელი რედაქციისა. ჩანართ-დანართთადმი ინტერესი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მ ბროსე და მისი თანარედაქტორები იძულებული გამხდარან მათ მიმართ ერთგვარ დათმობაზეც კი წასულიყვნენ.

ამ დანართების საგრძნობი რაოდენობა დღეს შეტანილია პოემის გამოცემებში. მათ ავთენტურობას არც ერთი სერიოზული მკვლევარი არ იზიარებს, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო მათ ტექსტში მაინც ეთმობა ადგილი. ამ ვითარებას ჰყავს რამდენიმე დამცველიც ზედმეტი არ იქნება მათ შეხედულებებზე. შევჩერდეთ, მით უმეტეს, რომ თითქმის არც ერთი მათგანი რუსთაველმცოდნეობაში კრიტიკულად განხილული არ არის. ამათგან მთავარია აწ განსვენებული კ. ჭიჭინაძის შეხედულებანი, კ. ჭიჭინაძისა, რომელიც უგულებელყოფდა და უარყოფდა რა ყველა უეჭველ მოწმობას დანართების შესახებ, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამტკიცებდა, პოემის მთელი ხელნაწერული მემკვიდრეობა რუსთაველის კუთვნილებააო.

რუსთაველმცოდნეობის საკითხებზე „მუშაობის დროს ჩემი საფუძველია ფორმალიზმი, როგორც ლიტერატურული კვლევა-ძიების მეთოდი, რომელიც ემყარება მწერლის სტილის რაც შეიძლება ფართო და ღრმა შესწავლას", წერს კ. ჭიჭინაძე თავის წიგნში „რუსთაველის გარშემო" (თბ. 1929 წ. გვ. 28). რა მეცნიერული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ამ მეთოდით კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ დასკვნებს, ეს დღევანდელი მკითხველისათვის ნათელია. როდესაც ამის შესახებ მას მიუთითეს, მან განაცხადა: „ფორმალისტი არ ვარ, ფორმალიზმი, როგორც ლიტერატურული კრიტიკის შკოლა, მხატვრულ შემოქმედებას თვლის ხელოსნობად, ხოლო ამ შემოქმედების ნაყოფს ნივთად". აქ მთავარი მაინც სხვა გარემოებაა. ფორმალისტურ მეთოდსაც შეუძლია ერთგვარი სამსახური გაუწიოს ლიტერატურათმცოდნეობას, თუ მას გავიგებთ მწერლის სტილის, ენის და მხატვრულ საშუალებათა მიხედვით პრობლემების განხილვას... ოღონდ აუცილებელია ამ მეთოდის ცოდნით გამოყენება.

როგორ იყენებდა ამ მეთოდს კ. ჭიჭინაძე? ამის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით. პოემის ძირითად ტექსტსა და ნართაულ სტროფებში მას ცალ-ცალკე შეუსწავლია ალიტერაციათა რაოდენობა, და მისულა დასკვნამდე, რომ ძირითადი ტექსტის ავტორი-

საა ინდო-ხატაელთა, ინდო-ხვარაზმელთა, გმირთა მოხუცებისა და დაბოცვის ამბებიც და ანდერძებიც („ალიტერაცია ქართულ შაირში...“), ოომელთა ავტორები დღეს დადგენილია და ცნობილი იყო მაშინაც. ამიტომ ამ წიგნის განხილვა რუსთაველმცოდნეობამ საჭიროდ არ ცნო (აკად. კ. კეკელიძე, „რუსთაველიანა“, მნათობი, 1927, № 2, გვ. 181, სქოლიო). შემდეგ მკვლევარი თუმცა ისევე თავგამოდებით იცავდა ამ თავების ავთენტურობას, ყველა მათ პოემაში შეტანას აღარ მოითხოვდა, მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავს თვლიდა პოემის ორგანულ და საჭირო ნაწილად და შრომაში „რუსთაველის გარშემო“, აგრეთვე სხვა წერილებში მხოლოდ ამის დამტკიცებას ცდილობდა, მაგრამ როგორ, ამას მისი ერთი „საბუთის“ განხილვა დაგვანახებს. ამ მიზნით მას ძირითად ტექსტში დაუთვლია სტროფები (მისი ტერმინოლოგიით — ტაეპები), „რომელთა რითმის უკანასკნელი მარცვალი არის ნაწილაკი „სა“ („რუსთავ. გარშემო“. გვ. 123). იგი მეტად გულუბრყვილოდ აცხადებდა, რომ თურმე ძალიან ხშირია, როდესაც რუსთაველის სტრიქონებში „ერთი ამგვარად დაბოლოებული სიტყვა იწვევს სხვა სიტყვებს ასეთივე დაბოლოებით“. ასეთი აღმოჩენილა 287. შემდეგ მას ამ სტროფებში ამოუთვლია „ნაწილაკი სა“, თუ ის ტაეპში ერთადერთი (რითმისიული) არ არის, შეუჯამებია, მიღებული რიცხვი ყოველ ათეულში საშუალოს მისაღებად გაუყვია 28-ზე და ამ გზით დაუდგენია, რომ „საშუალო რიცხვი ყოველ ათეულ ტაეპში ხსენებული დაბოლოებით ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებისათვის იქნება 54“ („რუს. გარშ.“ გვ. 124). შემდეგ ასეთივე შემთხვევები მკვლევარს დაუთვლია აღორძინების ეპოქის ძეგლებში. აღმოჩენილა, რომ არც ერთ მათგანში მათი რიცხვი 47-ს არ აღემატება (ალბათ, ყოველ ათეულ სტროფში). ბოლოს მას დაუთვლია ინდო-ხატაელთა ამბის სა „ნაწილაკიანი“ სტროფები. მთელ „ამბავში“ ასეთი მხოლოდ 7 აღმოჩენილა. საძიებელი „ნაწილაკების“ საერთო ჯამი ამ 7 სტროფში, 41, აღარ მოსწონებია. მას უფიქრია, რომ მისი მდგომარეობა გამოსწორდება, თუ გაგრძელების 10 სტროფში 54-ზე მეტი სა აღმოჩნდება. ამიტომ, გინდა თუ არა ამ რიცხვის მისაღებად, მას გამოუანგარიშებია, რამდენი სა იქნებოდა კიდევ ინდო-ხატაელთა გაგრძელების დაუწერელს სამ სტროფში: „ამ შვიდი ტაეპის ჯამი რომ ათი ტაეპის ჯამით გავადიდოთ პროპორციონალური გადიდებით (41 : 0,7), მივიღებთ 60-ს“, — წერს იგი, და აცხადებს: „არც ერთი ზემოდასახელებული

(აღორძინების — მ.მ.) პოემა ამხელა რიცხვს არ იძლევა“ („რუს. გარშ.“ 125) ამ მსჯელობით მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ინდო-ხატაელთა ეაგრძელება რუსთაველის დაწერილია.

სამწუხაროდ, ეს მსჯელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არავითარი ხა ნაწილაკი არ იცის ქართულმა ენამ (აკ. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 627—630). ხა ქართულ ენაში ხან მიცემითის ნიშანია ემფატიკური ხმოვნით, ხან ნათესაობითის ბოლოკიდური ასეთივე ხმოვნით, ხან მესამე სუბიექტური პირის ნიშანი პროსოდიული ხმოვნით და სხვ. ამ ხა-თა სიმრავლე კ. ჭიჭინაძის მითითებულ შემთხვევებში შედეგია არა მათი ეჟფონიური მნიშვნელობისადმი გაპოდევნების, არამედ მსაზღვრელ-საზღვრულთა შეთანხმებისა მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში. კ. ჭიჭინაძეს თითქოს დაუთვლია ასეთი შეთანხმების შემთხვევები ტაეპში, როცა რითმას ხა აბოლოებს. მაგრამ, ჯერ ერთი, შეიძლება ასეთი შეთანხმებანი გვქონდეს ტაეპში რითმის ვარეშე ტაეპს შიგნით. მეორეც არის და, ტაეპში, გამოთვლის ნიმუშად დამოწმებულში, — გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა, — მას მხოლოდ სამი ხა დაუთვლია (რუსთ. გარშემო, გვ. 123), ხოლო ის ვეღარ შეუმჩნევია, რომ ქვასაცა მაგარსა ისეთივე სრული შეთანხმებაა მიცემითში, როგორც ლექსებისა ტკბილისა, ბროლბადახშისა თლილისა და ტყვიისა ლბილისა ნათესაობითში. იგი შეუცდენია ც ნაწილაკს ემფატიკური ა ხმოვნით, რის გამოც ფორმაში ქვასაცა ბრუნვისეული ს ვეღარ შეუმჩნევია.

ამის მიხედვითაც აშკარა ხდება, კვლევა-ძიების წმინდა ფორმალისტურ ნიადაგზეც რომ დავდგეთ, რამდენად სანდოა განსვენებული მკვლევარის ამოთვლები და სტატისტიკური გაანგარიშებანი. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ყალბია ამ ამოთვლის მეთოდი.

მკვლევარს პოემის მთელი ძირითადი ტექსტიდან უნდა ამოეწერა მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვებში სრული შეთანხმების, აგრეთვე ამ შეთანხმებათა დარღვევის შემთხვევები, და ყველა ამ მონაცემების ანფუძველზე დადგინდა, რომელი სჭარბობს, რომელი ამათგანი ახასიათებს რუსთაველის მეტყველებას და სხვ., ანალოგიური ანალიზი უნდა ეწარმოებინა სადავო ტექსტისა და მიღებული შედეგები შეეფარდებინა ერთმანეთისათვის. ეს საფუძველს მისცემდა მკვლევარს გამოეტანა დასკვნა: მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების თვალსაზრისით ძირითადი და სადავო თავები იდენტურნი არიან თუ არა. რაც

შეეხება ვარაუდს, თუ რამდენი სა იქნებოდა რომელიღაც წარმოსახვით სტროფებში, რომლებიც ჯერ არ დაწერილა, მისი დოკუმენტალური ძალა მეცნიერებისათვის არაფერია. ნათელია, რომ თუ ძაზღვრელ-საზღვრულის ორ ბრუნვაში სრული შეთანხმების შეძთხვევებს გაგრძელების მხოლოდ შვიდ სტროფში გვაქვს, აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ასეთი შეთანხმება მისი ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი არაა, რის გამოც არ შეიძლება იგი ძირითადი ტექსტის ავტორისად ჩავთვალოთ.

ახლა დავდგეთ წმინდა ფორმალისტურ თვალსაზრისზე. შესაძლოა რუსთაველს მართლაც იზიდავდა ბგერათა სა კომპლექსი და ხშირად მიმართავდა მათ ლექსის ბგერითი მხარის რეგულირებისათვის. მაშინ მისი რაოდენობა გულდასმით უნდა ამოვთვალოთ არა მხოლოდ საზღვრულ-მსაზღვრელ სახელებში, არამედ ყველგან, სადაც ძირითად ტექსტში მათ ამ თვალსაზრისით რაიმე ფუნქცია აქვთ დაკისრებული, გამოვნახოთ მისი ადგილი რუსთაველის პოემის ევფონიაში, რომელიც ამ მხრივ ასტრონომიულ სამყაროს წააგავს, ასევე უნდა დავადგინოთ მისი როლი სადავო თავების ევფონიაში და მხოლოდ შემდეგ გვექნება უფლება — შევადაროთ ორი შედეგი ერთმანეთს, რომლისგანაც თავისთავად გამოვა, მართალია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი დასკვნა. ეს იქნებოდა ფორმალისტური მეთოდის სწორი გამოყენება და არა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერილ და დაუწერელ სტროფებში სავარაუდო სა „ნაწილაკების“ შედარება აღორძინების ძეგლების სა „ნაწილაკების“ რომელიღაც რაოდენობასთან. აღორძინების ძეგლები ამ მუშაობისას საერთოდ არაფერ შუაშია. მკვლევარს უნდა დაემტკიცებინა არა ის, რომ სადავო თავების სტილი განსხვავდება აღორძინების ძეგლთა სტილისაგან. აღორძინების ძეგლთა სტილისაგან განსხვავდება, მაგალითად, „თამარიანის“ და „აბდულმესიანის“ სტილიც, მაგრამ ეს გარემოება მეტად უვარგისი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ინდო-ხატაელთა გაგრძელება რუსთაველის კუთვნილებაა.

არის ერთი გარემოებაც, რომელიც არ შეიძლება არ აღინიშნოს. სადავო თავებსა და აშკარად დაბალ ბოლოსიტყვაობაში სა რითმიანი მოიპოვება არა შვიდი, არამედ სწორედ 10 სტროფი, რომლებშიც გვხვდება არა კ. ჭიჭინაძის მათემატიკური ოპერაციების მიხედვით ნავარაუდევი 60, არამედ სულ 40 თუ 45-ოდე სა. აი, თერმე რა-

ტომ გაადიდა მკვლევარმა „შვიდი ტაეპის ჯამი ათი ტაეპის ჯამამდე“ „პროპორციონალური გადიდებით“.

რუსთაველმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. ეს გავლენა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ჰომეროსის, დანტეს, სერვანტესის, შექსპირის გავლენა ჰომდევნო ეპოქის ბერძნულ, იტალიურ, ესპანურ და ინგლისურ ლიტერატურაზე. აკად. კ. კეკელიძე ფაქტობრივი ვითარებიდან გამოდის, როცა აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის ფორმასთან ერთად შემდგომი პერიოდის ლიტერატურაში გადადის პოემის თითქმის მთელი მხატვრული აქსესუარი მისი მეტაფორებით, შედარებებით, პარალელიზმებით, ტროპებით და ფიგურებით... დავიწყებული არ არის დიდი პოეტის სიტყვიერი ორნამენტაციის არც ერთი მოტივი, რომელიც მას აღებული აქვს“ სინამდვილის სხვადასხვა სფეროდან (გაზ. „კომ.“ 1937 წ. № 283).

ასეთი ვითარება თვით აღორძინების მწერლებმაც შენიშნეს. XVIII საუკუნის მწერალი იესე ტლაშაძე თავის „კათალიკოს-ბაქარინში“ საკმაოდ მოსწრებულად შენიშნავს:

> რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა-ტკბილო და შაჰარიანო,
> ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა ლექსი მრავალი მოგპარიანო.

აღორძინების მწერლობა ესოდენ დავალებულია რუსთველისაგან. ამის გამო შეუძლებელი და მოულოდნელი აღარ არის, განსვენებული მკვლევარი თავის გამოთვლებში მართალი და შეუცდომელიც რომ იყოს, თუ რუსთაველის ცალკეული პოეტური ხერხები ან სტილისტიკური თავისებურებები თავს იჩენენ გამგრძელებელთა შემოქმედებაში. ყოველი გამგრძელებელი ხომ სწორედ იმას ცდილობს, რომ შექმნას იდენტურის თუ არა, იმიტაციურის შთაბეჭდილება მაინც. სხვაგვარად მისი ნახელავი დაკარგავდა ავთენტურის ხასიათს და არა თუ გარეშე მკითხველისათვის, თვით გამგრძელებლის თვალშიც იმის ხორცშეტად იქცეოდა, რის დასრულება და „შეკეთებაც“ მან სცადა. საკუთარი როლი აიძულებს გამგრძელებელს, მიბაძოს „დასამთავრებელ“ ობიექტს. ამის გამო ეს მიმსგავსებულობა და განმეორება ასეთი შემოქმედების ძირითადი პირობაა. მას გამგრძელებელი აღწევს არა თავისთავად, ნატურალურად, არამედ მისაბაძი ობიექტის ღრმად

და საფუძვლიანად შეისწავლის შემდეგ. მაგრამ იგი მაინც ვერ ახერხებს ამაღლდეს თავის შთაგონების წყარომდე, მის შემოქმედებაში ბალაუნებურად იჩენს თავს საკუთარი, პირადი პოეტური შესაძლებლობანი, იქნება იგი იდეურ-მსოფლმხედველობრივი, ენობრივ-სტილისტიკური, მხატვრულ-ფორმალური თუ ყველა ერთად აღებული.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ საქმეში სხვადასხვა გამგრძელებლები თავისი ნიჭისა, ცოდნისა და გემოვნების მიხედვით სხვადასხვაგვარ წარმატებას აღწევენ. ინდო-ხვარაზმელთა და შემდგომი თავების ავტორები რუსთაველს ასტრონომიული მანძილით ჩამორჩებიან, ინდო ხატაელთა ამბის ავტორი კი, რომელიც თავს „ვინმე მესხს“ უწოდებს და ჩვენი ღრმა რწმენით ინდო-ხვარაზმელთა ამბავში ნახსენები სარგის თმოგველია, ნახევრად ასტრონომიულით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ნახელავის ავტორი რუსთაველია. რამდენიმე პოეტური ელემენტის შესაძლო მსგავსებასთან ერთად ამ ამბის ავტორს აქვს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემები, ენა (აშკარად მამხილებელი მისი წარმოშობის ეპოქისა), პოეტური საშუალებანი, რომლებიც მეტად აშკარად განასხვავებენ მის ნაშრომს რუსთაველის ქმნილებისაგან და სხვ. ამას გრძნობდა თვით კ. ჰიჰიხაძეც, და შესაძლოა არანაკლებ, ვიდრე პოემის დანარჩენი მკვლევარები. მაგრამ რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ეს თავები უსათუოდ რუსთაველისად გაესაღებინა, შექმნილი ვითარებიდან მას ასეთი გამოსავალი უპოვნია: „მართალია, აქ (ინდო-ხატაელთა ამბავში, მ.მ.) არის სუსტი ადგილები, მაგრამ არა ისეთი, რომელზე სუსტი პოემის უდავო ნაწილში არ გამოიძებნებოდეს. ეს თავები პოეტს საბოლოო რედაქციაში... მეორე რედაქციიდან უნდა ჰქონდეს შეტანილი გადაუმუშავებლად, ისე როგორც ბევრი სხვა ადგილები (მაგალითად, ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებნელად და მომდევნო თავები), რომელთა პოეტური ღირსება ამ თავებზე მაღლა არ დგას“ („რუსთავ. გარშემო“, გვ. 127 — 128).

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ თუ ერთი ოდენობის ცალკეული ელემენტები შესაბამისად ტოლია მეორე ოდენობის ცალკეული ელემენტების, ასეთი ოდენობანი ტოლია. თუ ინდო-ხატაელთა ამბის ცალკეული ფორმობლივი მონაცემები „ვეფხისტყაოსნის“ ასეთივე ფორმობლივი მონაცემების ტოლია, იგი, როგორც მხატვრული მთელი, შესაბამისად უნდა ტოლი იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ასეთივე თავე-

ბისა. ამის აღიარება განსვენებულმა კ. ჭიჭინაძემ ვერ შეძლო, რადგან ეს არ შეიძლება. ამიტომ მოიშველა მან პოემის რამდენიმე რედაქციით დაწერის თეორია და რომ „პოემაში ბევრი სუსტი ადგილებია". მაგრამ საშუალო სკოლაში გვისწავლია, რომ უარყოფით აიდიდეთა ჯამი უფრო დიდ უარყოფით სიდიდეს მოგვცემს. გამოდის, რომ ინდო-ხატაელთა ამბავის მიმატება პოემის საერთო მხატვრულ ღირსებას არა თუ რამეს ჰმატებს, არამედ ბღალავს კიდეც ჩას. ამავე დროს კ. ჭიჭინაძე აცხადებდა: „ვეფხისტყაოსნის მკვლევარისათვის აუცილებელია ჰქონდეს „ლიტერატურისა და ლიტერატურის ისტორიის კარგი ცოდნა, საფუძვლიანი ცოდნა პოემისა, თანდაყოლილი და კარგად აღზრდილი ესთეტიკური გემოვნება, პოეტის ფსიქოლოგიასა და საერთოდ პოეტური შემოქმედების ფსიქოლოგიაში გარკვევის უნარი და, დასასრულ, გამჭრიახე გონება"... აგრეთვე „ღრმა ბუნება, პოეტური აღღო და დიდი ესთეტიკური გემოვნება" (იქვე, გვ 12, 28), რასაც, მისი აზრით, მოკლებული იყვნენ „ვეფხისტყაოსნის" ქართველი მკვლევარები.

სამწუხაროდ, მკვლევარს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რა საფუძველი აქვს, განაცხადოს: ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებრად და მომდევნო თავები, რუსთაველის პოემის ეს ბრწყინვალედ შესრულებული ეპიზოდები, სუსტიაო.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ თავისი ფორმალისტური მეთოდებით კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ დასკვნებს თვით კ ჭიჭინაძე არც თუ დიდად დამაჯერებლად თვლიდა. განაცხადა რა, „ყოვლად შეუძლებელია" პოემა არაბეთში დამთავრდეს და რუსთაველმა არ გვიჩვენოს, როგორ ავიდა ტარიელი ინდოეთის ტახტზეო, და შეეცადა რა ინდო-ხატაელთა ამბის ძირითადი ტექსტისადმი კუთვნილება პათი შინაარსობრივი ანალიზით ცხადეყო, ის წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ საკითხი უკვე სავსებით გამორკვეულია, მე მაინც განვიხილავ საკითხს, რუსთაველის ლექსის ფორმალური ნიშნების მიხედვით და ვთხოვ მკითხველს, ამ განხილვის შედეგი მიიღოს როგორც ზედმეტი დამაჯერებელი მასალა, როგორც დამატება ზემოთ წარმოდგენილი სრულიად ურყევი ობიექტური საბუთებისა" (იქვე, გვ. 122). გამოდის, რომ „სრულიად ურყევ ობიექტურ საბუთად" თვით კ. ჭიჭინაძე ტექსტის შინაარსობლივი ანალიზიდან გამომდინარე დასკვნებს მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით ორ არგუ-

მენტს ასახელებდა: ინდო-ხატაელთა ამბის სიუჟეტური აუცილებლობა პოემისათვის და მათ შორის შინაგან კავშირს.

შევჩერდეთ ორიოდე სიტყვით, ჯერ პირველ მოსაზრებებზე.

სიუჟეტური აუცილებლობა ყველაზე უვარგისი არგუმენტია ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობის დასამტკიცებლად. გახა ყველა ჰწერალი თავის გმირებს უთუოდ მკითხველის თვალწინ დააქორწინებს, ან კიდევ დახოცავს?

მეორეს მხრივ, ლიტერატურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მეცნიერებათა ისტორიამ იცის ბევრი შემთხვევა, როცა ავტორმა ვერ მოასწრო დაწყებული საქმის ჩანაფიქრისებურად დამთავრება. ამგვარი ფაქტებიდან ერთის დასახელებაც კმაროდა, „კაპიტალის“ მე-2 და მე-3 ტომებისა, მაგრამ თავს ძალაუნებურად გკთავაზობს თვით „ვეფხისტყაოსნის“ ფატალისტური ისტორია. რომ აღარაფერი ვთქვათ სარგის თმოგველის „ლექსთა შეუწყობლად“ ღარჩენილი „ამბის“ გამლექსავის შორეულ ცნობებზე, კ. ბალმონტმა ჩვენ თვალწინ არ გადათარგმნა ინდო-ხატაელთა ამბავი, როგორც დაბარტი, პ. პეტრენკოს კი მისი თარგმნა არ დასცალდა, რის გამოც ორივე დასახელებული მთარგმნელის ნაშრომები სხვებმა დაამთავრეს: პირველისა — ე. ტარლოვსკაიამ, მერისა — ბ. ბრიკმა.

სიუჟეტური აუცილებლობა, როგორც ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობის დამადასტურებელი, ფიქტიური არგუმენტია. თუ სხვა გარემოებებმა მისი ძირითადი ტექსტის ავტორისადმი მიკუთვნება შეუძლებელი გახადეს, სიუჟეტური აუცილებლობა მის რუსთაველისადმი კუთვნილებას ვერ დაამტკიცებს. ამ გარემოებასაც გრძნობდა განსვენებული კ. ჭიჭინაძე. იგი წერდა: „სიუჟეტის გაშლისა და განვითარების შესახებ კიდევ შეიძლება კამათიო“ (იქვე, გვ. 118). ამის გამო ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობის ურყევ საბუთად მას ამ ამბავსა და ძირითად ტექსტს შორის შინაგანი კავშირი მიაჩნდა, რასაც, მისი აზრით, ცხადყოფდა რამდენიმე გარემოება, მათ შორის — ტარიელისა და ავთანდილის დავა მულღაზანზარში.

მულღაზანზარში ქაჯეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გმირთა შორის იმართება დავა, — სად წავიდნენ პირველად: ინდოეთში თუ არაბეთში. ტარიელი არაბეთში წასვლის მომხრეა:

თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსას არ ვექმარები (1472), —

უთვლის იგი ფრიდონის პირით ავთანდილს.
ავთანდილი არ იზიარებს ამ წინადადებას. ის უთვლის ტარიელს:

ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე,
ინდოეთს განახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გვერდსავე გეჯდეს მნათობი პირი ელეათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე (1478).

„რა გამისრულდეს ესენი... მაშინღა მივალ არაბეთსო“ (1479). ამ სტროფების მიხედვით მკვლევარი დაასკვნიდა: გმირებმა იციან ინდოეთის ოკუპაციის ამბავი და ავთანდილი ამიტომ მიისწრაფის იქით, მაშასადამე, ინდო-ხატაელთა ამბავი იგულისხმება პოემით, და ამიტომ იგი აუცილებელიაო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ ტაეპში საჯდომთა, მჯდომარე და მომდევნოში გეჯდეს რუსთაველისაა. მაგრამ დავიჯეროთ, ოღონდ ვიკითხოთ: რომელი ძალების იმედით ეუბნება ავთანდილი ტარიელს: მინდა ვნახო „მებრძოლნი თქვენნი მოგესრნესო?“ თუ ინდო-ხატაელთა ამბავს დაეჯერება, ეგვიპტელი ვაჭრების განცხადების თანახმად ინდოეთში „მოსულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია (1594) ... გარეთ ციხენი წაუხვამან“ (1595), ე. ს., მთელი ინდოეთი ოკუპირებულია ხატაელთაგან, ისე, რომ მათ გასაძევებლად ინდოეთიდან საჭირო გამხდარა არაბთა 80.000 კაციანი ლაშქარი. ავთანდილი კი, შესანიშნავი სტრატეგი, რომელიც წინასწარ ჰკრებს ცნობებს ქაჯეთის სამხედრო პოტენციალის შესახებ და ნესტანს ფატმანის პირით უთვლის:

მანდაურთა მეომართა ანგარიში ვწრილად გვინა.
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინა (1273).

„რაცა იცი მანდაური, მოგვიწერეო“ (1274), ვერ იფიქრებდა, რომ ფრიდონის სამეფო გამოიყვანდა ამ ლაშქარს, სამეფო, რომელიც, ფრიდონისავე განცხადებით, „ცოტა“ (600), პატარაა, და რომელმაც ეს-ეს არის გადაიხადა მისი ძალებისათვის შეუფერებელი გრანდიოზული ბრძოლა. მას უფლებაც არ ჰქონდა ფრიდონის სახელით მიეცა ტარიელისათვის რაიმე სამხედრო გარანტიები.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას ენიჭება, რომ თვით ტარიელი აქ, მულღაზანზარში, ერთ სიტყვასაც არ ლაპარაკობს ინდოე-

თის ოკუპაციაზე ხატაელთაგან. მას არც მოაგონდა, რომ თუ იგი არაბეთიდან დამხმარე ძალას ვერ მიიღებს, შესაძლოა კელარც ინდოეთის ტახტს ელირსოს. არაბეთში მას წასვლა სურს, რათა მოაგვაროს ავთანდილის დაქორწინების საქმე და ბოდიში მოუხადოს როსტევანს. მულღაზანზარში ინდოეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მაშინ ვერც ავთანდილი ეტყოდა მას ფაქტობრივ უარს არაბეთის სამხედრო ძალით დახმარებაზე, რაც პირდაპირ გამომდინარეობდა მისი წინადადებიდან ინდოეთს გამგზავრების შესახებ. მეორეს მხრივ, თუ ტარიელი თვითონ არ დაიწყებდა ინდოეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ლაპარაკს, პასუხს მაინც გასცემდა ავთანდილს ამის შესახებ. აქ, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველის ზღაპარი იმის შესახებ, რომ რუსთაველი მკითხველს განზრახ უმალავს ინდოეთის ოკუპაციის ამბავს: თუ უმალავს, ავთანდილს რაზე ალაპარაკებს ასე აშკარად?

ამრიგად, ერთადერთი დასკვნა. რომელიც 1478 და 1479 სტროფების შესახებ უნდა მივიღოთ, ისაა, რომ ეს სტროფები ყალბი, და მათზე დაყრდნობა კვლევა-ძიებისას არ შეიძლება. საკითხს ვეღარ ვაგრძელებთ იმის შესახებ, თუ რატომ გაჩნდა პოემაში ეს სტროფები და რამდენად ბუნებრივი და დასაბუთებულია 1477 და 1480 სტროფების უშუალო მეზობლობა.

ასეთია კ. ჭიჭინაძის მოსაზრებანი. მომდევნო წერილებში მას ახალი არაფერი უთქვამს, რის გამოც მათ აღარ ვეხებით. არ ვეხებით აგრეთვე მის მოსაზრებებს, რომელთაც შემდეგში თვითვე უარყოფდა.

ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობას ჰყავს სხვა მომხრეებიც, თუმცა მცირერიცხოვანი. ასეთად უნდა დავასახელოთ ნაყოფიერი, ნიჭიერი მკვლევარი დოც. ს. ცაიშვილი. იგი ხელნაწერთა ანალიზიდან გამოდის და იმ დასკვნას აკეთებს, რომ ხსენებული თავები რუსთაველისაა. ამას გარდა, საბუთად მკვლევარი იმ გარემოებასაც იშველიებს, რომ გამოჩენილ ქართველ ლექსიკოგრაფს საბას თავის „სიტყვის კონაში“ ორი სიტყვა, კერძოდ, დამაჯნება და ხარხაჩო, შეუტანია ინდო-ხატაელთა ამბიდან, ხოლო დანარჩენი დანართი თავებიდან მას ლექსიკონში არცერთი სიტყვა არ შეაქვს, რაც მკვლევარის აზრით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ საბა ინდო-ხატაელთა ამბავს რუსთაველისად თვლიდა, დანარჩენ თავებს — გამგრძელებლის ნახელავად.

აღნიშნული მოსაზრების შესახებ რუსთაველმცოდნეობაში უკვე გა-

ძოითქვა კრიტიკული შენიშვნები. ბაად. კ. კეკელიძემ საგანებით სამართლიანად მიუთითა, რომ საბა თავის ლექსიკონში რუსთველოლოგიის პრობლემებს კი არ ჭრიდა, მას ქართული სიტყვები აინტერესებდა და კრებდა მათ იქ, სადაც წაიკითხავდა. ამ მართებულ მოსაზრებას აქ მხოლოდ ის შეიძლება დაემატოს, რომ საბას „სიტყვის კონაში“, სალექსიკონო მასალა შეტანილია პოემის გაგრძელებათა სხვა თავებიდანაც. ესენია: ამრი (ს. ყუბ. 1995) მეტყველების მნიშვნელობით, აზარი (2020) განგების, უფლისაგან შეწევნის მნიშვნელობით, კატარი (1994) ცუდი ფიქვის მნიშვნელობით და შეიძლება ზოგიერთი სხვაც. ამის მიხედვით გამოდის, რომ საბა ინდო-სვარაზმელთა ამბავსაც რუსთაველისად თვლიდა.

ესეც არ იყოს, საბა არ არის ვახტანგზე უფრო კომპეტენტური „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში. ვახტანგის აზრი კი პოემის შედგენილობაზე ცნობილია. რატომ უნდა დავუჯეროთ ამ საკითხის გადაჭრაში საბას და არა ვახტანგს, გაუგებარია.

რაც შეეხება ხელნაწერთა ანალიზს, ეს, რა თქმა უნდა, საჭირო, აუცილებელი და რთული საქმეა. მაგრამ ამით მხოლოდ ხელნაწერთა გენეზისების პრობლემა გადაიჭრება, და არა ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობისა, რადგანაც ეს „ამბავი“ მე-15—16 საუკუნეთა და, მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებზე ხნიერია. ამასთანავე არ შეიძლება ხელნაწერებზე მსჯელობისას თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ხელნაწერთა იქით ამოფარებული არიან მათი გადამწერლები. ვინ არიან ისინი? აღმურაანთ კასპარები, მარტიროზაშვილები, ბეგთაბეგოვები, სოძხიოვები, ასლანოვები, საფიროვები და სხვ., რომელთა ლიტერატურული განათლება და ეროვნულ-ნაციონალური შეგნება, მათი საქმიანობის მიხედვით, მეტად საეჭვო გარანტიებია „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობის პრობლემის გადასაჭრელად. ეს ის გადამწერლები არიან, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ თავფურცლებზე რუსთაველის მიერ სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლად აცხადებდნენ, ტექსტს რუსთაველის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური და ამიტომ აშკარად ყალბი სტროფით იწყებდნენ („პირველთავი—დასაწყისი“), ასეთივე პოლემიკური სტროფებით ავსებდნენ შესავალს, თვით ტექსტს გულმოდგინედ ავრცელებდნენ მათ მიერვე დასათაურებული „ნანუჩას ჩამატებული მას უკან“, ან „ტფილელის იოსების ნათქვამი“ ანდერძებით, და ყველაფერს ამას

რუსთაველის ქმნილებად აღიქმებდნენ. მატერიალური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ვახტანგის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ცალებს კი წვავდნენ, ან მას იწერდნენ და გაგრძელებებს ხელნაწერთა მიხედვით ურთავდნენ.

ინდო-ხატაელთა ამბისა და საერთოდ, პოემის დაბოლოების შესახებ თავისებური შეხედულება წარმოადგინა პროფ. ვ. ბერიძემ. „მე ვფიქრობ, — აცხადებს მკვლევარი, — რომ შოთას ხელიდან ნაწარმოები აგებულების მხრივ უნდა გამოსულიყო დაახლოებით ისე, როგორც ეს გვაქვს ხელნაწერებში. რომელიმე კატასტროფის დროს... ნაწარმოების ბოლო დაკარგულა ან მთლიანად ანდა გადარჩენილა მხოლოდ ფრაგმენტების სახით... მაგრამ ხალხს ტრადიციით ჯერ კიდევ ახსოვდა (?!) ვეფხისტყაოსნის ნამდვილი დაბოლოების შინაარსი და აი, სწორედ ამ ტრადიციისა და ფრაგმენტების მიხედვით ხდება (ე. ი. მომხდარია, მ. მ.) დაბოლოების რესტავრაცია, აღდგენა“. „ვეფხისტყაოსანს“ თუ გაუკეთეს ვრცელი დაბოლოება, — წერს იქვე მკვლევარი, — მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი თვით შოთას უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაკარგულა“. ამ მსჯელობის საფუძველზე მკვლევარს გამოაქვს დასკვნა... „ვეფხისტყაოსანში უნდა შევიდეს ინდო-ხატაელთა ამბავი (მაგრამ ისე, რომ), რაც მთელი ნაწარმოების ძირითად, უდავო ტექსტს ეწინააღმდეგება, ე. ი. რაც რესტავრაციის ეპოქის (!) ძალაუნებური ანარეკლია, უნდა ჩამოშორდეს“ მას (თბ. სახ. უნ. შრომები, 1936, III, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 140 — 141, სქოლიო).

„ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერებში ვახტანგის გამოცემასთან მთელი ათი თავით მეტია. ამას უწოდებენ „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციას, ან დაბოლოებას. თუ ამგვარი დაბოლოება პოემას ჰქონდა, მაგრამ მთლიანად დაიკარგა, და დღევანდელი ხელახლაა გამგრძელებლის მიერ დაწერილი, როგორც ერთ შემთხვევაში ვარაუდობს პროფ. ვ. ბერიძე, რა უფლება გვაქვს მისგან არა თუ სამი თავი, თუნდაც ერთი სტრიქონიც კი რუსთაველს მივაწეროთ? მეორეს მხრივ, თუ პოემის რუსთაველური ვრცელი დაბოლოებისაგან მხოლოდ ფრაგმენტები გადარჩა (მოკლებული მხატვრულ და სიუჟეტურ მთლიანობას, რაც დასტურდება იმით, რომ მას შევსება დასჭირვებია) და დღევანდელი დაბოლოება შევსებულია ახალი სტროფებით. ეს ენი რომ ხელახლა გამოვიტანოთ მისგან, კიდეც რომ მოხერხდეს მათი გამორჩევა,

ასე გამოფატრული ინდო-ხატაელთა ამბავი კიდევ რად უნდა, როგორც შეინარჩუნებს იგი მხატვრულ მთლიანობას? მესამე და მთავარი: ამ აღდგენილ-რესტავრირებულიდან რატომ მხოლოდ პირველი სამი თავი შევიტანოთ პოემაში, დანარჩენებმა რაღა დააშავეს?

„რესტავრირებული“ დაბოლოების პოემაში შეტანის კონსტრუქციული თეორია, რომელიც გარკვეული კომპრომისული შეხედულებების გამომხატველია, ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება არქიტექტურული ნაგებობის გუმბათი. ან პორტალი კი არ არის, მისი უცილობლად აღდგენა რომ ყოფილიყო შესაძლებელი. ის ლიტერატურული ძეგლია. ორასმილიონიანმა რუსმა ხალხმა ვერ გაბედა აღედგინა „ევგენი ონეგინის“ IX და X თავებისაგან გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ეს თავები და ასეთი სურვილიც კი რომ ვინმეს გამოეთქვა. უეჭველია, მას გიჟად ჩათვლიდნენ. რესტავრაციის უმტკივნეულოდ შესრულებას ზოგჯერ თვით გენიალური ავტორებიც ვერ ახერხებენ და ისიც — ფერწერულ ტილოზე. გავიხსენოთ ი. რეპინის ცნობილი „იოანე მეოთხის და მისი შვილის“ დაჭრისა და რესტავრაციის ისტორია. საჭირო გახდა თვით რეპინის მიერ რესტავრირებულის სასწრაფო (გაშრობამდე) გაწმენდა, რათა გენიალური სურათი სამუდამოდ არ დამახინჯებულიყო. იგი აღადგინა ისეთმა გამოჩენილმა მხატვარმა და ფერწერული ძეგლების რესტავრაციის სპეციალისტმა, როგორიც არის ი. გრაბარი. მაგრამ, იმავე ი. გრაბარის ცნობების თანახმად, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დიდძალი ფოტოსურათების, ფერადი რეპროდუქციების და ასლების მეშვეობით, რომლებიც მის განკარგულებაში იყო. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე პირადი არაერთგზისი შთაბეჭდილებანი, მთლიანი ორიგინალის ხანგრძლივი შესწავლით შენახული.

ახლა რამდენიმე სიტყვა არა მარტო იმის შესახებ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი ყალბია, — ეს ყველასათვის, ვინც პოემის ხელნაწერებს იქით მგოსანთმგოსნის შემოქმედებას ხედავს, აშკარა და უდავოა, — არამედ იმაზეც, თუ როგორ ამახინჯებს პოემას ეს ამბავი.

აქ მხოლოდ რამდენიმე სტროფს ვებებით, რის გამოც უნდა გავიხსენოთ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი ერთი ავტორისაა, სულ ერთია, იქნება იგი რუსთაველი თუ ყალბისმქმნელი. ამიტომ თუ ერთ-ერთი ამ სამი თავიდან ყალბი აღმოჩნდა, ყალბად უნდა ვიცნოთ დანარჩენებიც. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ამბავი ხელნაწერთა უმრავლესობასა

და გამოცემებში შეტანილია რედაქტირებული, შემოკლებული სახით. მისგან ზოგიერთ სხვა სტროფთან ერთად გაძევებულია 7 სტროფი, რაც დაკვირვებული ანალიზის გარეშე, ერთი შეხედვით შეუმჩნეველია. სამაგიეროდ შეუძლებელია ამ ამბავს მოვწყვიტოთ მისი პირველი სტროფი:

ჭედსა ზედა გადმოადგა, მეტად დიდი ჭარავანი;
კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი;
გარეშემო მოეკვეცნეს უკანამო დალალანი,
მეფე ბრძანებს: „მოასხითო, ჩვენ დავყოენოთ აქა ხანი“ (1573).

როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, რამ აიძულა მისრელი ვაჭრები შავებით იგლოვონ ინდოეთის მეფე ინდოეთის საზღვრებს გადაღმა, სამი დღის სავალზეც კი ამ საზღვრებიდან? ეს გაუგებრობათა მხოლოდ დასაწყისია. მთავარი აქ სხვაა.

„ამბის“ მიხედვით მთელი ინდოეთი ოკუპირებულია ხატაელთაგან, რის გამოც „მუნა მყოფსა ყველაკასა შეეკერა, ჩვეწცა, შავიო“ (1596), აცხადებენ ვაჭრები. როგორ ყველაკასა? ხატაელებსაც? ვაპატიოთ ყალბისმქმნელს ეს ბუნდოვანობა, მას სურს გვითხრას, რომ შავებით გლოვობენ ინდოელები და ინდოეთში მყოფი არაოკუპანტი უცხოელები. მაგრამ რამდენად შესაძლებელია, ინდოეთის მკაცრი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, როცა ინდოეთის საზღვარიც კი დახურულია (1596), „ჯაბანნი, ომისაცა უმეცარნი“ ვაჭარნი, რომლებიც მოგების ინტერესებს არა თუ უცხოეთის პოლიტიკურ, არამედ საკუთარი სიცოცხლის ინტერესებზეც მაღლა აყენებენ (1034), — ინდოეთის სასახლეს და ხალხს დემონსტრაციულად თანაუგრძნობდნენ?

მაგრამ ვივარაუდოთ, რომ აქ ყველაფერი რიგზეა. განვიხილოთ მხოლოდ მგლოვიარობის ფორმა.

მგლოვიარობა შეიძლება იყოს და არის კიდეც ან პირადი, გამომდინარე მგლოვიარის პირადი მდგომარეობიდან, მის სულიერ ყოფასთან შეფარდებული, არაცნობიერი კმაყოფილების მომგვრელი, და სხვისი მწუხარებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი, ზოგჯერ — ოფიციალურიც. მგლოვიარობა მეორე შემთხვევაში გარდაცვალებულის, მისი პირისუფლისა და ზოგჯერ მთელი ერისადმი პატივისცემის გამომხატველია. მისრელი ვაჭრების მგლოვიარობას, ცხადია, ასეთი

ხასიათი აქვს. და თურმე ნუ იტყვით, ეს ვაჟკაცები ამ პატივისცემას გა-
მოხატავენ იმით, რომ, იმოსებიან რა შავებში, ასევე მოსავენ თა-
ვიანთ... ვირებს! ბევრი შეიძლებოდა ამ სტროფის შესახებ გვეთქვა, მაგრამ აქ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რომ დავიმოწმებთ საბას: „სახედარი — ცხენი ნიადაგ საჯდომელი, ვირი, აქლემი, თე რაც“. „ამირანდარეჯანიანში“ კი „ათასი საჯინიბო ცხენი და სამიათასი სახედარი“ ურთიერთ დაპირისპირებულია. როგორც საჯდომი ცხენი და ტვირთმზიდავი პირუტყვი. „მეტად დიდი ჭარავანიდან“ კი შეუძლებელია ვირების გამოძევება. თვით პოემაშიც იგი მრავალჯერ არის მოხსენებული, როგორც ტვირთმზიდავი ცხოველი, ამასთანავე, როგორც სულელი, ყველასაგან გაჩირდული და სასაცილოდ აგდებული (958, 1108, 1166, 931). და სრულიად ინდოეთის მეფეს, რომლის განდიდებისათვის რუსთაველს არ დაუშურებია საღებავები, თითქოს ვირები გლოვობენ! ვინც იჯერებს და ამტკიცებს, რომ ამ სტრიქონების ავტორი რუსთაველია, იგი, ცხადია, ვერ გრძნობს, რა მდგომარეობაში აყენებს ამით რუსთაველს და მის გმირებს.

ერთ ნარკვევში ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ინდო-ბატაელთა ამბავი როგორც კ. ჭიჭინაძის, ისე საიუბილეო გამოცემებში შეტანილია არა იმ სახით, როგორც გამოვიდა მისი ავტორის ხელიდან, არამედ შეჭოკლებულად. მისგან კ. ჭიჭინაძემ გააძევა ხელნაწერებით დადასტურებული შვიდი სტროფი, რომლებიც ამ ამბის ორგანული ნაწილია. აკად. ალ. ბარამიძე თუმცა ამ შვიდ სტროფზე ამბობს: „თავის ბუნებრივ ადგილზეაო“, ესე იგი, აღიარებს, რომ ეს სტროფები „ამბის“ ორგანული ნაწილია, მათ გადაჭრით მაინც ვერ აკუთვნებს „ამბის“ ავტორს იმ ფორპალური საბუთით, რომ ეს შვიდი სტროფი ორიოდე ხელნაწერში გვხვდება (ნარკვ. III, გვ. 91, 101). კ. ჭიჭინაძემ კი ამ სტროფებზე ლაპარაკს სრულიად თავი აარიდა. მაგრამ ხსენებული შვიდი სტროფი არც ერთ ხელნაწერსაც რომ არ შემოენახა (აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერთა განმასხვავებელ ნიშნებზე საუბრისას დოქტ. ს. ცაიშვილს ეს გარემოება ვერ შეუმჩნევია; იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციები“, „ლიტერ. ძიებანი“, XIII, 1961 წ. გვ. 263), 1812—1813 (ყუბ.) სტროფებს შორის ნაპრალი იმდენად ამკარაა, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით მათ შორის სტროფების დაკარგვა გვევარაუდებინა. მაგრამ რადგან ამ დანაკლისის შემავსე-

ბელი შვიდი სტროფი, ყველა ნიშნებით „ამბისეული“, სახეზეა, არავითარ ფორმალურ საბუთს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მის მიკუთვნებას „ამბისადმი“.

ინტერესს მოკლებული არაა ვიკითხოთ: რატომ აარიდა თავი კ. ჭიჭინაძემ ამ შვიდი სტროფის ავთენტურობის საკითხს? იმიტომ, რომ ორი შესაძლო პასუხიდან მისთვის ორივე ერთგვარად საზიანოა: თუ ეს შვიდი სტროფი „ამბის“ ორგანული ნაწილია, ისინი მეტად აწკარა და ხმამაღალი მოწამენი არიან მთელი „ამბის“ სიყალბისა; თუ ეს სტროფები ჩანართია, კ. ჭიჭინაძის მთელი რუსთველოლოგიური კონცეფცია ხუხულასავით ირღვევა: „ვეფხისტყაოსანს“, კერძოდ, მის უკანასკნელ თავებს, ჩანართები ჰქონია.

კ. ჭიჭინაძე ყველა საშუალებით ცდილობდა ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობა დაემტკიცებინა. ამ სურვილით არის ნაკარნახევი მისი განცხადება: „ვეფხისტყაოსანი“ იულიუს კეისრის წიგნი ხომ არ არის, შიგ სამხედრო ხელოვნება ვეძებოთო“ („ლიტ. და ხელ.“, 1949, 14 VIII), რითაც ერთი ხელის დაკვრით „უარყო“ პოემის გენიალური სამხედრო მონაცემები, რასაც ჩვენ ცალკე ნარკვევი ვუძღვენით („სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“, ქუთ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. IV, 1942 წ.). წერილში ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით“ კი დავასაბუთეთ, რომ „ამბის“ ბატალური სურათები პოემისეულის უბადრუკი გადამღერებაა; მეორეს მხრივ ჩვენ იქვე აღვნიშნეთ, რომ ამ „ამბის“ სამხედრო სინამდვილე „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების უტყუარი გავლენის მატარებელია, რის გამოც მთელი ამბავი არ შეიძლება XVI საუკ. ადრე ჩამოყალიბებულიყო (იგივე „შრ.“, ტ. VI).

დავუშვათ, რომ 1812 1—7 სტროფები ყალბია, ანუ აქ გვაქვს „ყალბისმქმნელობა კვადრატში“, რასაც უსაფუძვლოდ დასცინოდა კ. ჭიჭინაძე. 80.000 კაციანი ლაშქარი ხომ თითქოს როსტევანმა გაატანა ძმადნაფიცებს არაბეთიდან ინდოეთში. ამ ქვეყნების მაშინდელი (და ახლანდელი) გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მათ შუა მოქცეული იყო საკმაოდ ძლიერი ირანი, თავი რომ დავანებოთ პატარ-პატარა სასულთანოებს და თურქ-სელჩუკთა სამფლობელოებს. რუსთაველმა არ იცოდა გეოგრაფია? საეჭვოა. ალ. სვანიძემ აჩვენა, რომ რუსთაველი კარგად იცნობს თავისი ეპოქის გეოგრაფიას, ე. ი დედამიწის მატერიკებს (ამერიკა, ავსტრალია, ანტარქტიდა) გამოკლე-

ბით; რუსთაველი იცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, იცის რომ ომებს აქვ „წესი და რიგი“ (443) და სხვა. სანადიროდ გამოსულ ფრიდონსაც კ არ აპატიეს ბიძაშვილთა მესაზღვრეებმა საზღვრის დარღვევა. როგო მოხდა, რომ ეს 80.000 კაციანი ლაშქარი არაბეთიდან გამოსული, ყ კელგვარი სამხედრო ინცინდენტის გარეშე მიადგა ინდოეთის კარიბჭეს?

ეს კითხვა რუსთაველს არ დაესმის, რადგან იგი ამ სისულელეს არ წარმოიდგენდა. ყალბისმქმნელი კი პასუხის გასაცემად თავს არ იწუხებს. რაც შეეხება დანართების რუსთაველისად გამსაღებლებს, მათ ისღა დარჩეხათ, განაცხადონ, რომ ეს ლაშქარი არაბეთიდან ინდოეთს სარკ ლებმა საჰაერო ტრასით გადასხეს.

დასასრულ, შევჩერდებით ერთ მაჩვენებელზე, რომელსაც ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს ამ პრობლემის გადაჭრაში.

განსვენებულმა კ. ჯიჯინაძემ ინდო-ხატაელთა ამბის რუსთაველურობის დასამტკიცებლად „ვეფხისტყაოსნის“ ვითომცდა „XIV — XV საუკუნეების“, „უზბეკური ვერსიები“ მოიშველია. ყველამ კარგად იცის, რით დამთავრდა ამ ვერსიების აღმოჩენის სასაცილო ისტორია: „ვერსიები“, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის კვალობაზე შექმნილი ნაშრომი აღმოჩნდა. მკვლევარს რომ უზბეკური ფოლკლორის ნაცვლად ქართული ფოლკლორისათვის მიემართნა ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობის თაობაზე და პრობლემაც მისი ავთენტურობის შესახებ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი რწმენის მიხედვით გადაეჭრა, უფრო სანდო დასკვნას მიიღებდა.

ძირითადი რედაქცია ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“, ანუ როგორც მას ხალხში უწოდებენ, „ტარიელიანი“, რომელიც აშკარად შოთას ქმნილებიდან მომდინარეობს, არ ცნობს ინდო-ხატაელთა ამბავს. ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ „ტარიელიანს“ ინდო-ხატაელთა ამბის გარეშე ასეულობით მთხრობელი მოეპოება, ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში დაბრუნებას კი ერთი თუ ორი მეზღაპრე გადმოგვცემს. მაგრამ როდის არის შექმნილი ეს თავები, ამას მკითხველი ადვილად გაარკვევს.

ამ ამბის შემცველ ვარიანტებში ყველაზე ძირითადისა და სრულის, „ქაიხოსროს ხელმწიფის“, იდენტურობამდე მსგავსება ლიტერატურულთან ადასტურებს, რომ იგი ჩვენს თვალწინ გამოსულა თავის პირ-

ველ წყაროდან. მეორეს მხრივ, ამ ვარიანტებში ვკითხულობთ: ჩასვეს ფელუკაში... უუშვეს ფელუკაი .. დუუძახეს ჯალათებს... იმ მინუთ'მი... ამ მინუთში... შევიდა შიგნით გემში... კაპიტანმა ღალატობა დეიწყო... შუათანა ატაჟაში... შუა და მაღლა ატაჟებში... პლატუჭი გაატანა... კამპანია გამართეს“ და სხვ. (ს. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937 წ.), რასაც არ იცნობენ „ტარიელიანის“ ძირითადი ვარიანტები.

როგორც ვიტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ეს ვარიანტები შექმნილია მას შემდეგ, რაც ს. კაკაბაძემ 1913 წ. დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქცია, ან უკიდურეს შემთხვევაში, 1880 წლის შემდეგ, როცა გაგრძელებანი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში.

ამ მიმოხილვის შემდეგ ყველა მკითხველს უფლება აქვს გვკითხოს: სად მთავრდება, ჩვენი აზრით, პოემა?

პოემა მთავრდება გმირების შეხვედრით როსტევანთან. როცა როსტევანმა თანხმობა განაცხადა ავთანდილი მიიღოს სიძედ, ამით ამოიწურა ყველა გაურკვეველი მოლოდინი. ამის შემდეგ მკითხველისათვის ნომავალი ნათელია. დიდი რუსთაველი განათლებულ მკითხველს გულისხმობს, მას სამუშაოს უტოვებს: დაე მკითხველმა წარმოიდგინოს, რა მოხდება შემდეგ, დაე მას მეხსიერებაში ჩარჩეს ახალგაზრდობის, მშვენიერების, ბედნიერების მწვერვალზე მდგომი გმირები. საწინააღმდეგო, სიუჟეტის ბოლომდე განვითარების თვალსაზრისს მივყევართ იმის აღიარებამდე, რომ პოემის გმირები

> ტარიელ და ცოლი მისი სიბერითა გაუშვერდეს,
> დაყენეს წელნი ოთხმეოცნი, დაღრკეს, დაბრმეს, დაცაბერდეს (ყუბ. 2065).

ასეთი თვალებ-წირპლიანი ტარიელი და ნესტანი იქნებ საკმაოდ აკმაყოფილებს ზოგიერთ მკვლევარის „თანდაყოლილ და კარგად აღზრდილ ესთეტიკურ გემოვნებას“, მაგრამ რუსთაველის რიგიანი მკითხველი მას ვერ შეეგუება, და არა იმიტომ, რომ მკითხველს საერთოდ არ სურს მხატვრულად ასახული სიბერე იხილოს, არამედ იმიტომ, რომ მას არ სურს წარმოიდგინოს ბებერი ნესტანი და თისათინი. „Роман хочу довести только до Полтавы, может быть до Прутского похода, ещё не знаю. Не хочется, чтобы люди в нём состарились, — что мне с ними старыми делать“. წერდა თავის შედევრის, ისტორიული რომანის „პეტრე პირველის“ შესახებ ალ. ტოლსტოი. მაგრამ გამგრძელებლებმა ვერ გაიგეს რუს-

თაველის ჩანაფიქრი. ამ უკანასკნელებმა პოემას მიაბეს ჯერ მოქმედების განვითარება არაბეთში, შემდეგ — ინდო-ხატაელთა და შემდეგ მომდევნო ამბები. გამჭრძელებელის ნახელავი იწყება სტროფით:

> ყმა მეფესა მოახსენებს: მიკვირს, სხვასა რად რას ბრძანებ,
> რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რადღა აგვიანებ?
> მიეგებეთ მხიარული, სახლსა თქვენსა მოიყვანებ,
> შემოიმოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოიეანებ (1534).

რუსთაველმცოდნეობაში მტკიცედ არის დადგენილი, რომ რუსთაველს მეფე ზეადამიანურ, ღვთაებრივ პატივში აჰყავს:

> რომელმა შექმნა სამყარო...
> მისგას არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მიერითა,

ვინც შექმნა სამყარო, მანვე გააჩინა მეფე ღვთაებრივი სახითო, ამბობს რუსთაველი პოემის პირველსავე სტროფში. აღნიშნული შეხედულება მიღებული და გაბატონებული იყო რუსთაველის ეპოქის საქართველოში, როცა გაერთიანებული სახელმწიფოს სათავეში იდგა თვითმპყრობელი მეფე, ძლიერი, შეუზღუდავი, რომლის ბრძანება კანონი იყო ქვეშევრდომთათვის. „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმრთეებისა“, წერდა გიორგი მერჩულე ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში. ქართველ მეფეთა ეს შეხედულება და ეს მდგომარეობა მტკიცედ არის გამოხატული ქართულ სიგელ-გუჯრებში, რომლებშიც ისინი თავის თავს მეფეებად თვლიდნენ „ნებითა ღვთისათა“, თავს „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფეს“ უწოდებდნენ და ამ სიგელებს და ბრძანებულებათ „სახელითა უფლისითა“ იძლეოდნენ.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ პოემის გმირები უაღრესად მოკრძალებულნი, მორიდებულნი არიან მეფეთა მიმართ. მათი ეს უქვეშევრდომილესი დამოკიდებულება მეფეებისადმი მჟღავნდება არა მარტო ოფიციალურ-ვითარებაში, არამედ ყოფაცხოვრებითს ურთიერთობაშიც.

როცა გმირები „მიჰხვდეს არაბთა საზღვარსა“, აქედან „ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფისა“, „რა მოუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა“, „მეფე შეჯდა, გაეგებნეს“ მოსულთ, მაგრამ „რა ერთმანერთი აუჩნდა მოგებულ-მოსაგებათა“, ავთანდილმა უთხრა ტარიელს:

> იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი დებულაო (1510).

და ტარიელს სთხოვა, გამიადვილე როსტევანთან შეხვედრაო. და თურმე ნუ იტყვით, ავთანდილი, რომელსაც ამ მომენტში განსაკუთრებული თავაზიანობა, სილბო, მორჩილება ჰმართებს, როცა მის მორიდებას, მოკრძალებას მეფისადმი უნდა აასკეცებდეს ახლად შექმნილი მდგომარეობა — სასიძოდ აღიარება, როცა, მართლაც, „ხელთა ჰქონდა ხელმანდილი, პირსა მითა იფარვიდა“ (1530) სირცხვილისა და მორიდების გამო, როცა ეს წუთია „მეფე კოცნასა ლამობდა“, მაგრამ მას „ავთანდილ ფერხთა ეხვევის“ (1531), მოულოდნელად, უეცრად, სწრაფად წამოხტება, წინ წამოდგება, ივიწყებს „პატრონისა კრძალვასა“ და ამოდენა საზოგადოების თანდასწრებით კორექტივს შეიტანს მოხუცებული სათაყვანო მეფის მოქმედებაში, დაუწუნებს მას საქციელს, შენიშვნას მისცემს, მოვალეობას და ისიც — მასპინძლისას მოაგონებს მეფეს და მოაგონებს უხეში, როყიო მოურიდებლობით: მიკვირს რად რას ბრძანებო და სხვ.

აქ ყველაფერი მოულოდნელია, მოულოდნელია როგორც თვით ფაქტი ავთანდილისაგან როსტევანის საქციელში კორექტივის შეტანისა. ისე ამ კორექტივის ფორმა და შინაარსი. ავთანდილი, „ზრდილი მეფეთა შვილობით“ (992), მომხიბლავი თავისი ტაქტით, წონასწორობით, სიდინჯით, მოსაზრებულობით, სათაყვანებელ მოხუც მეფეს ამოდენა საზოგადოების თვალწინ ჰკუას არ დაარიგებდა, საქციელს არ დაუწუნებდა და მერე ისეთი შეურაცხმყოფელი, აგდებული, უკადრისი, დამამცირებელი ფორმით. ავთანდილი ეუბნება მეფეს, რომ მას უკვირს, რასაც „ბრძანებს“ მეფე და უკვირს აგრეთვე მისი ქცევა, მოქმედება, როგორც უტაქტო, მოუფიქრებელი, მოუსაზრებელი, მცდარი, რომელიც საჭიროებს შესწორებას, გამოსწორებას: „სხვასა რად რას ბრძანებ“, რას დაფანტულხარ, რას მიედ-მოედები. რატომ ნესტანს არ მიხედავო. ასე უსაყვედურა მან მეფეს, რომელსაც მისი ერთადერთი და სათაყვანებელი ასული, „ნაზარდი სათუთოებითა“ (63) „ლხინი და ჯავრი, სოფლისა წყალი“ (104), „მამისა სიცოცხლე“ (105), საყვედურზე: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასაო“ (106), პასუხად უაღრესი მორიდებით, თავმდაბლად, მზრუნველობით, პატივისცემით ჰკადრებს: „ხელმწიფეო, დაჯრეჯილსა ვინცა გცნობდეს“, ვინც თქვენს უკუნებობას გაიგებს, ვინ გაბედოს თქვენი მყუდროების დარღვევა, „ვინცა განახა კადნიერად რაზომ გინდა ამაყობდესო“ (107).

ზედმეტი არ იქნება ისევ გავიხსენოთ, რომ „ღმრთისაგან დიდად კაცოველი“,

მშობლიური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი (857).

როსტევანი ავთანდილისათვის იმდენად მიუწვდომელი, საკრძალავი, მაღალი იყო, რომ ამ უკანასკნელმა მას პირადად ერთხელაც ვერ კაუბედა თხოვნა, გამიშვიო: პირველად ეჯიბი შეგზავნა მეფესთან (142), მეორედ — ვაზირი. მივიდა რა სასახლეში, ეს უკანასკნელი „შეუშინდა, საწყენელსა მოხსენება ვერ შეჰმართა“ (752) მეფეს, „მეშინიანო“ (754), მოახსენა მას და მისგან „გაწბილებული“ (763), ცხარე ცრემლით ატირებული (760), „გამოძრწდა და გამომელდა“ (761) დარბაზიდან, როგორც რიგითი მონა-მსახური; იგი მხოლოდ გამოძახების შემდეგ ჰბედავს მეფესთან გამოცხადებას, ისიც „მოწიწებით“ (814) და თავგზააბნეული სრულებით ვეღარ ბედავს კვლავ შებრუნდეს მეფესთან და მოახსენოს, ავთანდილი გაიპარაო, რის გამოც ეს მეფეთა შემდეგ პირველი პირი სასახლეში ანუ „მოახლე მეფისა დასთა დასისა“ (44), უსტასრა (737) და გულისგული (814) მეფისა, „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ „ხელმწიფის კარის გარიგებით“ და პრემიერი დღევანდელი ტერმინოლოგიით, სასოწარკვეთილი გაიძახის:

მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი,
ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს, რაცა ეთქვი, მასცა ვინანიო (817).

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, თუ რაოდენ მორიდება, მოკრძალება, პატივისცემა, უსაზღვრო და უნაზესი სიყვარული გამოხატა ავთანდილმა იმავე როსტევანისადმი მის ცნობილ „ანდერძში“. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მის საფინალო სტროფში მან მეფე მოიხსენია როგორც „მტერთაგან საკრძალველი“ (807).

შემოიმოს შუქთა მისთა (ნესტანისთა), ნაოლად გარე მოივანებო, —

უთხრა ავთანდილმა როსტევანს, თითქოს ამ უკანასკნელს ავთანდილის თვალში საკუთარი შუქი დაჰკარგოდეს. ასეთი მიმართვა დამცირებაა როსტევანისა, მაგრამ კიდევ უარესია შენიშვნა:

დაუყენა თვალ ელვამან, მისთა ღაწვთაგან კრთომილმან (1536),

მეფეს თვალები დაუყენა ნესტანის ღაწვთაგან კრთომილმა შუქმაო. თვალდამდგარი, თვალდაყენებული, თვალდავსებული, თვალი დაგიდგეს და სხვ. ქართულ სიტყვა-პასუხში დღესაც ფრიად უხვად ელურ მიმართვად და წყევლად ითვლება, რის გამოც შეუძლებელია დავუშ-

ვათ, რომ იგი რუსთაველმა წარმოთქვა მეფის, და ისიც როსტევანის მისამართით.

მაგრამ გამგრძელებლის უვიცობა კიდევ უფრო შორს მიდის. თურმე როსტევანს თვითვე დაუკარგავს საკუთარი მდგომარეობისა და უმაღლესობის შეგნება, ამჩატებულა და ნესტანის შებედვაზე გაიძახის: მე გიჟი ვარ კუთვნილებისამებრ, სამართლიანად, არა ტყუილად,

შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიან (1537),

ჩემნი, ნესტანოო.

ცრუ რუსთაველი მეორედაც ღაღადებს: ნესტანისა და ტარიელის იხდოეთს გამგზავრების დროს, გამოთხოვებისას, როსტევანი „ხელთაგან უფრო ხელდების“ (1574), გიჟებზე უფრო გიჟდებაო. ანალოგიური მოკენტი ძირითად ტექსტში არსად გეხვდება. პოემაში არც ერთი შემთხვევა არ გვაქვს, როცა რუსთაველი მეფეებს გიჟებად მოიხსენიებს, ასეთ ფაქტს იქ ვერავინ იპოვის.

ასე დახურდავდა პოემის დასაწყისის „მაღალი... მოსამართლე... განგებიანი“ და სხვ. მეფე როსტევანი მეფეზე, რომელიც „ხელდების“. ცრუ რუსთაველისა და მისი ავთანდილის ამ აგდებულ დაძოკიდებულებაში მეფისადმი, შეიძლება ავტორის უნებურადაც კი, ასახვა უპოვნია აღორძინების ეპოქაში მეფისადმი გაუბრალოებულ დამოკიდებულებას, რომელმაც მალე იჩინა თავი თამარის შემდეგ, როცა თვით გიორგი ლაშას „ღვინითა უცნობო ქმნილნი“ ამხანაგები „ზედამოეტევენეს... (და) ერთიცა თვალი, მარჯვენე, ხედვისაგან უხედველ ყვეს“ (ქართ. ცხ. II, 1959, გვ. 155), როცა მეფის ოჯახის სიწმინდის შელახვასაც ბედავენ (იქვე, გვ. 253), როცა ყოველი ფეოდალი მეფობაზე ჰეტს თუ არა, იმოდნობას მაინც ჩემობდა.

არა, რუსთაველის როსტევანი მიჩვეული არ არის ტუქსვას, საყვედურებს, შენიშვნებს, მითითებებს ქვეშევრდომთაგან, და ისიც ავთანდილისაგან: ამ უკანასკნელისათვის როსტევანი „ღმრთისა სწორია“ (856), „ღმრთისაგან დიდად ცხოველიც“ (857). ასეთადვე დარჩება იგი მისთვის სასიკვდილო სარეცელზეც, ასეთადვე დარჩება მისთვის მისი ცხედარიც.

სრულიად არამცირედი მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მთარგმნელს, უგერძვნია რა ეს გარემოება, აღნიშნული სტროფი შეულამაზებია, და იმდენად, რომ თარგმანს არაფერი აქვს საერთო

ორიგინალთან. ყველაზე ტიპიურია ამ მხრივ აკად. შ. ნუცუბიძის თარგმანი:

Витязь молвит: в красноречье я в твое, владыка, вник...

ახლახან გარჩეულ ორ სტროფს შორის ვკითხულობთ:

ტარიელსცა მოახსენა, შესხდეს, ჭალსა მივეგებნეს,
მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ღაწვნი ღებნეს.
მიჰხვდეს მათსა საწადელსა, იგი პოვეს, რაცა ძებნეს,
ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს (1535).

მაგრამ ტარიელს და ავთანდილს შორის არ არის ისეთი ურთიერთობა, რომ ერთმა მეორეს „მოახსენოს“. ამას გარდა, აქ ყურადღებას იქცევს საფინალო ტაეპი: ვის „მათთა“? თუ „თვისთა“? ან რა საჭიროა საერთოდ აქ „ხელი ჰხადეს ხრმალთა“, ეს ხომ მკითხველმა კარგა ხანია იცის? აქ იგივე ამბავია, რაც 1607 და 1616 სტროფებში, რომლებშიც „ფრიდონ-მზე მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია“ და „ტარიას ხრმალნი ვერ გაძლეს, ჯერთ ხორცი მოიმშიერეს“ უაზროდ, სრულიად უკავშიროდ და დაუსაბუთებლად არის მიკერებული წინმავალ ტაეპებზე, რა თქმა უნდა, სტროფის შესავსებად. ეს უკანასკნელი „ხერხი“ მხოლოდ გამგრძელებლის კუთვნილებაა და რუსთაველი მისგან თავისუფალია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1539 სტროფი. მოგვყავს მთლიანად:

შესხდეს, წავიდეს ყველანი, შინა თავისა მარებად,
ჰქონდეს შვიდნიენი მნათობნი მის მზისა დასადარებად,
არ მიიხვდომის სიტურფე, არს მათგან მოუმხვდარებად,
ადრე მივიდეს მეფისა სახლად სამყოფად, არებად.

აქ ლაპარაკია ნესტანის სილამაზის ვერ მიხვდომაზე, გაგებაზე, ცნობაზე, მაგრამ სტროფი აშკარად მიუთითებს გამგრძელებლის უვიცნობაზე, რადგან მათ, დამხვდურებმა თუ ნესტანის მხლებლებმა, დიდი ხანია იცნეს და აღიარეს ნესტანის სიტურფის მომხიბლაობა; წინამავალ სტროფში სწორედ მათ შესახებ აღნიშნავს იგივე ავტორი:

გაკვირდეს ყოვლნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა (1538).

მთელი სურათი ავთანდილ-თინათინის შეხვედრისა მომდევნო

სტროფებში ისეა წარმოდგენილი, თითქოს თინათინმა წინასწარ იცის, რომ როსტევანი თანახმაა ავთანდილის სიძობის და თინათინიც იქ, სასახლეში, უკვე გამზადებულია სადედოფლოდ. მაგრამ საიუბილეო (1937 წ.) გამოცემის ტექსტით, თინათინმა როსტევანის და ავთანდილის შეთანხმების შესახებ არაფერი იცის. ამ ხარვეზს ავსებს დამატებათა თვალსაზრისით „სანდრო“ ხელნაწერი № 4499, აგრეთვე ხელნაწერები 461, 2610, 205, რომლებშიც საიუბილეო გამოცემის 1526 სტროფის შემდეგ ვკითხულობთ, როგორც როსტევანის სიტყვებს:

ქალსაცა ჰკითხეთ, აცნობეთ, იქს თქვენსა გაგონებასა?

მართლაც

თინათინს ჰკადრეს ყოველი მეფეთა ნაუბარია...
ქალმან ჰკადრა თუ: „მეფეო, რადღა ვიხმარებ ენასა“?.. (ყუბ. 1723 1, 2, 3).

ამით, როგორც ვხედავთ, ხსენებული ხარვეზი ამოვსებულია. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ აქ დამოწმებული სტროფები რუსთაველისაა, არა, აღნიშნული სტროფების არსებობა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელმა აქ ამბების განვითარებაში უფრო მეტი ლოგიკურობა დაიცვა, ვიდრე ზოგიერთმა გადამწერმა და რედაქტორმა, რომელთაც დამოწმებული სამი სტროფი პოემიდან გააძევეს, ცხადია იმის გამო, რომ ისინი მეტად აშკარად ღალადებდნენ თავისი ავტორის ვინაობას. ეს უკანასკნელი, უდავოა, იგივეა, ვინც ინდო-ხატაელთა გაგრძელება დაწერა.

ერთ სტროფში ვკითხულობთ:

ორთავე ხელი მოჰკიდეს და დასვეს ტახტსა თავისსა,
გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა;
უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოვლსა სანახავისსა (1543).

ძნელია დავიჯეროთ, რომ რუსთაველი იტყოდა: თინათინი ავთანდილის სურვილს მოეკლაო. რუსთაველი სიტყვის ჯადოქარია, მაგრამ ასეთი უცხაური პარადოქსი მისი არაა: „უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოვლსა სანახავისსა“. აქ ქართული ენაც, აზრიც და თინათინიც ჩაწიხლულია რითმისათვის, რათა ავტორმა როგორმე ლექსი შეაკოწიწოს.

ქალსა შესჭვა, გაუკვირდა, ავთანდილის გვერდსა ჯდომა,
ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე და გამო გულშან კრთომა (1544),—

ვკითხულობთ მომდევნო სტროფში.

აქ უაზრობაა „გაუფიცხა შე და გამო გულმან კრთომა“, მაგრამ დავუშვათ, რომ ის რაღაცას ნიშნავს. თუ თინათინი ისეთი ქალია, რომ იგი ავთანდილის „სურვილსა მოეკლა“, როგორც გამგრძელებელი წინამავალ სტროფში ლაპარაკობს, მაშინ „შესწბა, გაუკვირდა, ფერი ჰკრთა“ და სხვ. სრულიად უადგილოა.

თითქოს როსტევანმა უბრძანა „სპასთა“ მხოლოდ „ავთანდილის თაყვანება“ და განუცხადა: „ესეაო მეფე თქვენი“ (1546), ნამდვილმა როსტევანმა კი რამდენიმე წუთის წინ უთხრა ტარიელს:

მე სიძესა ავთანდილს უკეთესსა ვპოვებ ვერა,
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მიეც, აქეს და მას ეფერა (1526).

რუსთაველმა ძალიან კარგად იცის, რომ მეფობა და სკიპტრა სათამაშო ბურთი კი არ არის, ან ჯოხი, რომელსაც ბავშვები ხან მისცემენ, ხან წაართმევენ ერთმანეთს, არამედ კონსტიტუციური აქტი, მაგრამ ეს არ იცის გამგრძელებელმა. ამ უკანასკნელმა არც ის იცის, რომ მეფის მიერ ერთხელ გაცემული სიტყვა და ბრძანება პოემით გარდუვლად უნდა ასრულდეს.

აღნიშნული თავის ორ უკანასკნელ სტროფში ვკითხულობთ:

მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს, გულნი ჩვენნი აგულვანნეს (1547).
ტარიელსა უთხრა ქებით იმედისა თავსა დება.
ქალსა უთხრა: შემიყრიხართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს აგრეთვე თქვენი დება,
ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა გაფლიდება. (1548).

ამ სტროფებში სხვა გარემოებებთან ერთად, ყურადღებას იქცევს „მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს“. ეს შეაძუნტნეს რუსთაველს, რომელმაც სამი უზარმაზარი ბრძოლის სურათი შექმნა, 1547 სტროფამდე არსად უხმარია.

„ტარიელსა უთხრა ქებით იმედისა თავსა დება“, ვკითხულობთ 1548 სტროფში. აქაც უცნაური უაზრობაა. ეს უგრძვნიათ გადამწერლებსა და რედაქტორ-გამომცემლებს, ამით აიხსნება, რომ ხსენებული ტაეპი ხელნაწერებსა და გამოცემებში დიდი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი.

როგორ შეიძლება ადამიანმა ვინმეს იმედი უთხრას ქებით? აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ტარიელმა იმედი უთხრა თინათინს, მაგრამ გაუგებარია, რა იმედი სჭირდება არაბეთის ტახტის მფლობელს, რომელსაც ისეთი მამა ჰყავს, როგორიც როსტევანია და ისეთი მეუღლე, როგორიც ავთანდილია.

ერთგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა გაფლიდებაო, —

ხურავს აეტორი სტროფს. ჯერ ერთი, თინათინს არავინ „ორგული და შემცილე“ არა ჰყავს. მეორეც არის და, თუ გამგრძელებელს დავუჯერებთ, დახმარებას ისევ ტარიელი მოელის თინათინისაგან, თორემ თინათინს არაფერი დახმარება არ ჭირდება.

რაღაა გაფლიდება? ფლიდი პოემაში ორპირის, მატყუარას მნიშვნელობით იხმარება. გამოდის, რომ ტარიელმა უთხრა თინათინს: ორგულნი და შემცილენი გაგიორპირო, მატყუარებად გიქციო, დაგიმორჩილო მოჩვენებითად (და არა ნამდვილადო). კარგი დაპირებაა სწორედ!

აი მხოლოდ ნაწილი იმ ფაქტების, რომლებიც ცხადყოფენ, რომ გაგრძელება იწყება სტროფით „ყმა მეფესა მოახსენებს“ (1534). ამას ნათელჰყოფს წინამავალი სტროფიც, რომელშიც რუსთაველმა შეაჯამა პოემა და მოგვცა მისი იდეური ნასკვის საბოლოო განკვეთა:

მეფე ყელსა ეხვეოდა მას ლომსა და ეითა გმირსა,
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უპყრეტს პირსა.
ივი მზე და ხელმწიფება ასე მიჰხვდა, ვითა ღირსა,
მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა (1532).

ეს შეხედულება არ არის განკერძოებული და ოდიოზური, როგორც მისი იმ სახით თაყვანისმცემლებს მოეჩვენებათ, როგორსაც მას დღეს იცნობენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „შოთას პოემის დასასრული, უეჭველია, ვახტანგისეულ ხელნაწერთა და გამოცემის დაბოლოებაზე ადრე უნდა წყდებოდეს, სახელდობრ, ავთანდილისა და თინათინის ქორწილის თავის იმ ტაეპზე, სადაც ნესტანდარეჯანის თინათინთან გამოთხოვებისა და სამშობლოში გამგზავრების ამბავია აღნიშნული“ („ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, 1956, გვ. 25); აკად. ქ. ქეკელიძე იმ აზრისაა, რომ „პოემა თავდება ავთანდილისა და თი-

ვათინის დალოცვით და ტარიელის განცხადებით თინათინისადმი“ (1548). მომდევნო სტროფებიდან იგი მხოლოდ რამდენიმეს მიიჩნევს რუსთაველისად (რუსთველოლოგიის საკითხები, ტფ. სახ. უნივ. შრომები X, 1939, გვ. 114); აკად. აკ. შანიძე გადაჭრით აღიარებს, რომ პოემის დღევანდელი (1937 წლისეული) დაბოლოება აღორძინების ეპოქის პროდუქტია (სიმფონია, გვ. 036—037); ასეთივე აზრისაა აკად. ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და ყველა სერიოზული საბჭოთა მკვლევარი და მცოდნე ჩვენი პოემის. ხოლო პროფ. ს. კაკაბაძემ თავის 1927 წლის გამოცემაში ავთანდილისა და თინათინის ქორწილი გამოჰყო კიდეც ძირითადი ტექსტიდან და პეტიტით დაბეჭდა სათანადო მოკლე შენიშვნით.

დასახელებულ მკვლევართა ასეთი შეხედულებანი შეუვალი არგუმენტია პოემის არა თუ ხელნაწერული მემკვიდრეობის, არამედ ვაჟტანგისეული დასასრულის არარუსთაველურობისა, რადგანაც აკად. ივ. ჯავახიშვილს, აკად. ქ. კეკელიძეს, აკად. აკ. შანიძეს, აკად. ალ. ბარამიძეს და სხვ. ვერც ქართული კულტურის და „ვეფხისტყაოსნის“ სიძულვილს დასწამებს ვინმე, ვერც მათ უცოდინარობას. რუსთაველმცოდნეობას ისღა დარჩენია, რომ ყურადღება ეს ვითარება და მისგან სათანადო დასკვნები გამოიტანოს. რუსთაველმცოდნეობას ჩიხში აყენებს არა მარტო ინდო-ხატაელთა ამბავი, არამედ პოემის ვაჟტანგისეული დაბოლოებაც და სანამ მკითხველი მასში ორიენტირებული არაა. პოემას ეს დაბოლოება დღევანდელი სახით ახლავს, ამ ჩიხიდან მას ვერავინ გამოიყვანს. თუ დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი აცხადებდა: „შოთა რუსთაველის გმირებში ქართული გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებსო“, ყველა მსურველი ამ აზრის საწინააღმდეგოდ გაუჭირვებლად დაასაბუთებს, რომ ეს გმირები „ბინდით ცისკრამდე“ და გათენებამდე ღრეობენ და თვეობით ლოთობენ ისე, რომ წუთითაც არ ისვენებენ. თინათინის ქორწილშიო... ვკითხულობთ აქ, —

> მსმელთათეის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,
> ბინდით ცისკრამდე სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა (1552).
> თამაშობდიან, არ იყო ყოლა გაყრანი სმისანი (1560),

და ღვინოსმულნი თავს ძალას ატანდნენ ფხიზელურადო (1559).

რუსთაველის გმირები დიახაც არ ამბობენ უარს სმაზე, მღერაზე, და მოლხენაზე (51, 71, 686), მაგრამ წუთითაც არ ივიწყებენ ზომიერებას (687), და როცა ხელში სავსე ჭიქები უჭირავთ, თავისი „ქცევითა წყნარითა“ და „ენითა, წყლიანად მოუბარითა“ (59), სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს წყვეტენ; თუ აკად. აკ. შანიძე რუსთაველს მგოსანთმგოსნის დიდი პატივით მოიხსენიებს, პოემის ვითომ დიდი ჭირისუფალნი და მოამაგენი, რათა რუსთაველს ინდო-ხატაელთა ამბის ავტორობა დაუმტკიცონ, მოურიდებლად და დაუსაბუთებლად განაცხადებენ, რომ „პოემაში ბევრი სუსტი ადგილები მოიძებნება, რომელთა ღირსება“ ინდო-ხატაელთა ამბავზე მაღლა არ დგას; თუ პროფ. ალ. ბარამიძე და სხვა გამოჩენილი მკვლევარები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ რუსთაველს მეფეები ღვთაებრივს პატივში აჰყავს, რომ ამ მხრივ იგი XII საუკ. ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სინამდვილისა და შეხედულებების ანარეკლია, ვინმე ვიგინდარას სრული შესაძლებლობა აქვს ეს მტკიცება ადვილად გააბათილოს, რადგან დანართებში ნათქვამია, რომ დროდადრო ეს მეფეები ხანდახან ხელდებიან, რომ მათი ხელქვეითები და ქვეშევრდომები მეფეებს საჯაროდ აძლევენ შენიშვნებს, მოურიდებლად საქციელს უწუნებენ და წესრიგისაკენ მოუწოდებენ; თუ ვინმე დაასაბუთებს, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნებაში აისახა XII—XIII საუკ. ქართული ფეოდალური სამხედრო ხელოვნება, დიადი და ეპოქისათვის სწორუპოვარი, ახალი მომდევნო ეპოქის სამხედრო ხელოვნების ნიშანთა შემცველი და მაუწყებელი, ყველა მსურვალი ადვილად განაცხადებს, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნება „შაჰ-ნამეს“ ბატალური სურათების უცილობელი გავლენის დაღს ატარებს, და ა. შ. ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ არ აღმოჩნდება პრობლემა, რომლის გადაჭრასაც წინ არ გადაეღობება გამგრძელებლის ნახელავი.

დიდი და რთული ამოცანა დგას ჩვენი მეცნიერების წინაშე: მართლაც. დროა დაიბეჭდოს აკადემიური ტექსტი პოემისა, რომელშიც ზედმიწევნით სრულად აისახა ქართული ხალხის ეროვნული იდეალები. მისწრაფებანი, რწმენა, შეხედულებანი, ზნეობა, ეთიკა, მრწამსი, ტრადიციები, სული; დროა რუსთაველს ავუხადოთ პასუხისმგებლობა იმ აუარებელი კურიოზებისათვის, რომლებიც უვიცმა ხელოსან-გამგრძელებლებმა და გადამწერლებმა შექმნეს და პოემას მიაწერეს; დროა დაიბეჭდოს მხოლოდ რუსთაველის ტექსტი, რათა ყველა მკვლევარს,

ქართველს, მოძმეს თუ უცხოელს, შესაძლებლობა მიეცეს მგოსანთ-მგოსნის შემოქმედებაზე მხოლოდ მისი ტექსტის მიხედვით იმსჯელოს. მაგრამ ეს დიდი პრობლემა, რომელიც ვერ გადაჭრა რამდენიმე თაობამ, ღირსია ფართო მეცნიერული დისკუსიის, ღირსია იმისა, რომ მის გადაჭრას მიეძღვნას, თუ მეტი არა, ერთი გაფართოებული სამეცნიერო სესია მაინც.

1962 წ.

სარჩევი

ეროვნული იდეები ვეფხისტყაოსანში . 5

სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში

საკითხის შესწავლის ისტორიიდან 45

ვეფხისტყაოსნის სამხედრო ხელოვნება 69

დასკვნები 91

ვეფხისტყაოსნის სამხედრო ხელოვნების სადაურობისათვის . . . 99

მედიცინა ვეფხისტყაოსანში 114

ნადირობა ვეფხისტყაოსანში 131

რუსთაველის ბიბლიოგრაფიისა და ტექსტის დადგენის საკითხები 187

ტუსენისეული მასალების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის 187

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან 205

შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი დაზიანებული და დამახინჯებული ადგილის შესახებ 233

ერთი ჩანართად მიჩნეული სტროფის შესახებ 252

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით 261

ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხისათვის 280

რედაქტორი რ. ორჯონიკიძე
მხატვარი ა. სარჩიმელიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ო. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XI-66 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 19,5. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 15,4.
უე 02846. ტირაჟი 1.000. შეკვ. № 1233.
ფასი 1 მან. 28 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.